# კვირის პალიტრა

№ 9 (421) ◆ 3 – 9 მარტი. 2003 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.




როდესაც ვაშინგტონი მოითხოვს, რომ საქართველოში მყოფი მისი ჯარისკაცები ამერიკული კანონმდებლობით გასამართლდნენ, ესე იგი, მას არ სჯერა შენი კანონმდებლობის და სამართალწარმოების და სავსებით საფუძვლიანადაც. მაგრამ ეს ხომ არ არის თანასწორი პარტნიორობის შედეგი. ამით ამერიკამ პირდაპირ განაცხადა, რომ ქართული სახელმწიფოებრიობა აფერაა და მეტი არაფერი... ჩვენთან არ, ან ვერ არჩევენ ერთმანეთისგან ორიენტაციას და იდეოლოგიას. მხოლოდ ორიენტაციის აღიარებით ამერიკის ან ევროპის იდეოლოგიას ქვეყანაში ვერ დაამყარებ. გვ.3

**პაატა ზაქარეიშვილი**

## მემკვიდრეს ზესახელმწიფოები შეარჩევენ




ზესახელმწიფოების პოლიტიკა არეულობასა და ქაოსს არ ითვალისწინებს. ისინი მიზნისკენ სვლას ამჯობინებენ მშვიდად და, რაც მთავარია, მშვიდობიანად. ეს კი, მოკლედ რომ ვთქვათ, იმას ნიშნავს, რომ მემკვიდრესაც ისინი შეარჩევენ და თავიანთ რჩეულს რევოლუციური სვლების გარეშე მოიყვანენ ქვეყნის სათავეში. გვ.5

**ექსკლუზივი** *სამხედრო თემაზე:*

## კონტრაბანდული იარაღი შუა აზიიდან თურქეთში საქართველოს გავლით გაიტანეს

გვ.8




ქართველმა მესაზღვრეებმა და მებაჟეებმა ამ ტრაილერს უკანონო ვერაფერი უპოვეს და მშვიდობიანად გაატარეს თურქეთის მხარეს. თურქმა მესაზღვრეებმა კი, სპეციალური მოწყობილობებით გაჩხრიკეს ეს მძიმეწონიანი მანქანა და ცეცხლსასროლი იარაღის დიდი პარტია აღმოაჩინეს(!).

## მოსკოვს აშფოთებს ქართულ ცაში ამერიკული მზვერავის გამოჩენა

გვ.9

ლეგენდარული U-2 ქართულ ცაში გამოჩნდა. ამ სტრატეგიული დანიშნულების სადაზვერვო თვითმფრინავებს, როგორც წესი, მხოლოდ განსაკუთრებული მნიშვნელობის დავალებებზე გზავნიან...




## სენსაციური ინტერვიუ ქართველ კონტრაბანდისტთან, რომელსაც საზღვარზე „ცოცხალი საქონელი" გადაჰყავს

რა განძი გვქონია?!

## მცხეთა — წმინდა ქალაქი, ბიზნესცენტრი თუ ორივე ერთად...

გვ.5,13



თურმე, ყველას თავიდანვე მხოლოდ მცხეთის კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, მისი წმინდა ქალაქად გამოცხადება და საპატრიარქოს კონტროლს დაქვემდებარება სურდა და სხვა რაიმეს გაკეთება აზრადაც არ მოსვლია... მაშინ, რაღა საჭირო იყო კამათი, ან აჟიოტაჟი რატომ ატყდა?

## საგანგაშო სტატისტიკა

### ხელისუფლება აღწერის შემაშფოთებელი შედეგების შელამაზებას აპირებს?!

„აღწერამ რეალური სურათი ვერ მოგვცა. ვარაუდით შემიძლია გითხრათ, რომ საქართველოს მოსახლეობა დღეს 4 მილიონ კაცს არ აღემატება. აქედან ქართველი 2,5 მილიონზე ნაკლები იქნება. თუ ამ რიცხვს გამოვაკლებთ ემიგრაციაში წასულთა რაოდენობას, რაც აღწერის მონაცემებით, დაახლოებით 700-800 ათასია, მაშინ ქართველი მოსახლეობის რიცხოვნობა საქართველოში კატასტროფულად მცირეა. დაახლოებით ნახევარი მილიონი გარდაცვლილი დღესაც „იღებს" პენსიას. აფხაზეთიდან ლტოლვილთა რაოდენობა 550 ათასამდეა გაზრდილი. ახლა ეს ციფრები 14 ლარზე გაამრავლეთ და გამოდის, რომ ბიუჯეტი ყოველთვიურად ზედმეტად 15 მილიონამდე ლარს იხდის." გვ.7

**„არჩევნებში 60. 000 ყალბი პირადობის მოწმობის გამოყენებას შეეცდებიან"**

## ჩემპიონები

**როგორ წამოიწყო და განავითარა თავისი ბიზნესი ბიძინა ივანიშვილმა...**

## რითი დაიწყო ყველაფერი?!



21 წლის ბიძინა ივანიშვილი

წარმატებული ქართველი ბიზნესმენის მოღვაწეობა ჩვენს საზოგადოებაში დიდ ინტერესს იწვევს. ვფიქრობთ ეს პუბლიკაცია „კვირის პალიტრის" მკითხველისათვის არ იქნება ინტერესმოკლებული. გვ.23,32



## გამარჯობა, მამა!

**თემურ ჭკუასელი**

ძვირფასო მკითხველო! თქვენ გელით შეხვედრა დიდ ემიგრანტთან, დიდ ქართულ სიყვარულთან, მის უდიდებულესობასთან — ქართული სიმღერის სათავესთან. გვ.17

თქვენ მოგინდებათ მუხლის მოდრეკა და ყურის მიგდება ყელში მობჯენილი და ვერშეკავებული ცრემლის სადაყოლებისა... თქვენ გელით წინ დიდი გაქართველება (რედ.).

**ვერსია**

## მდინარის ზედაპირზე ულამაზესი ქალი ცურავდა...

ქალს ტანთ ქათქათა პერანგი ემოსა, ოქროსფერი თმა წყლის ზედაპირზე ფარშავანგის ბოლოსავით გაშლოდა, თვალები დაეხუჭა, პირი მოეკუმა და სამკაულებით დაფარული ხელები მკერდზე შემოეწყო. გვ.10

# გაზაფხული შემოსულა, ლევან!

## ენერგოკომპანიები არ ნებდებიან...

„ეი-ი-ეს თელასის“ ხელმძღვანელის, იგნასიო ირიბარენის მტკიცებით, სახელმწიფოსთან დადებული ხელშეკრულების რამდენიმე პუნქტი უხეშად ირღვევა. ამერიკული კომპანია ტარიფის კლებასთან ერთად, კომერციულ დანაკარგებზე დაწესებულ დღგ-ს და დღემდე მიუღებელი აქტივების საკითხებსაც აპროტესტებს. სანამ ამერიკულ კომპანიაში სარჩელის სახეებზე ფიქრობენ, სახელმწიფო ელექტროსისტემამ და ენგურჰესმა ტარიფში საკუთარი წილის შემცირების გამო სასამართლოს უკვე მიმართეს. სემეკის დადგენილებას ორივე კომპანია საოლქო სასამართლოში ასაჩივრებს.

ახალი დადგენილების მიხედვით, ტარიფში სახელმწიფო ელექტროსისტემას საკუთარი წილი საშუალოდ 13%-ით, ხოლო ენგურჰესს 30%ით შეუმცირდა. სემეკის თავმჯდომარე აცხადებს, რომ მან ამ სარჩელების შესახებ არაფერი იცის. მისი განცხადებით, ელექტროენერგიის ტარიფი პირველი მარტიდან თბილისში, დღგ-ის გარეშე, 10,15 თეთრი, რეგიონებში კი — 6,35 თეთრი იქნება.

## პრეზიდენტი ეკლესიას შეეხო...

საქართველო საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე აღებულ ვალდებულებებს ვერ ასრულებს. ძირითადი პრეტენზიები ადამიანის უფლებების დარღვევის კუთხით კეთდება. დღეს უკვე პრეზიდენტიც აღიარებს იმ ფაქტს, რომ საქართველოში რელიგიურ უმცირესობათა უფლებები ირღვევა. ედუარდ შევარდნაძის თქმით, ამ მხრივ ვითარება კატასტროფულ ზღვარს უახლოვდება. მან მხარი დაუჭირა უშიშროების საბჭოს მიერ შემუშავებულ ეროვნული და რელიგიური უმცირესობების დაცვის შესახებ კანონპროექტს. პროექტი უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილემ, რუსუდან ბერიძემ წარუდგინა მთავრობას. მოხსენებას ხელისუფლების სხვა წევრებიც გამოეხმაურნენ. კომენტარი გააკეთა პრეზიდენტმაც. ქვეყნის პირველი პირი სხდომაზე პირველად შეეხო მართლმადიდებლურ ეკლესიაში არსებულ პრობლემებსაც, რამაც საზოგადოების არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. საპატრიარქოს მიერ მოგვიანებით გაკეთებულ საპასუხო განცხადებაში ნათქვამია, რომ როგორც ყველა ჯანსაღ ორგანიზმს, ეკლესიასაც შეიძლება პრობლემები ჰქონდეს და მათი გაზვიადება და კონფრონტაციის მიზნით გამოყენება არამართებულია.

## — ვითარებას სიკვდილით დასჯა გამოასწორებს?

პარლამენტში სიკვდილით დასჯის აღდგენაზე ალაპარაკდნენ. ამ მუხლის გაუქმება თავის დროზე ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა იყო ევროსაბჭოში საქართველოს გასაერთიანებლად. საერთაშორისო ნორმის დარღვევაზე ლაპარაკი დეპუტატებმა მას შემდეგ დაიწყეს, რაც ქვეყანაში უმძიმესი კრიმინალური ვითარება შეიქმნა.

რატომღაც ყველაფერზე პასუხს სახალხო დამცველს სთხოვდნენ. პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ნანა დევდარიანი ანგარიშით ორი თვის დაგვიანებით წარდგა. ადამიანის უფლებათა დაცვის ექვსი თვის შედეგებზე დეპუტატებს იგი საკმაოდ ზოგადად ესაუბრა. ომბუდსმენმა ძირითადი აქცენტი წინასწარი დაკავების საკითხებზე და სისხლის სამართლის კოდექსში შესატან ცვლილებებზე გააკეთა. დეპუტატები ბოლო დროს გამწვავებული კრიმინალური მდგომარეობის გამო ნანა დევდარიანისგან უფრო მძაფრ შეფასებას ელოდნენ.

## თბილისი მონაგონი ყოფილა...

საქართველოს რეგიონების დიდი ნაწილი ელექტროენერგიის გარეშეა დარჩენილი. დენი საერთოდ არ მიეწოდებათ ზუგდიდის, ხობის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, სენაკის, აბაშის, მარტვილისა და წყალტუბოს რაიონებს.

ელექტროენერგიაზე შეზღუდვები დაწესდა მარნეულის, გარდაბნის, ოზურგეთის, ჩოხატაურის, ლანჩხუთისა და ბორჯომის რაიონებში. ეს გადაწყვეტილება სახელმწიფო ენერგოსისტემამ საბითუმო ბაზრის დავალებით მიიღო. როგორც გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში აცხადებენ, ურჩ გადამხდელებთან ერთად იჩაგრებიან გადამხდელი რეგიონებიც. არ არსებობს ბერკეტი, რომელიც გადამხდელებისთვის დენის მიწოდების საკითხს მოაგვარებს. ჯერჯერობით უცნობია, როდის მიიღებენ ელექტროენერგიას სამეგრელოსა და იმერეთის რეგიონები. ენერგეტიკოსთა თქმით, ვითარება შესაძლოა მარტის დასაწყისში გაუმჯობესდეს. გაერთიანებული ენერგოკომპანია რუსეთიდან 80 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგიის იმპორტს აპირებს.

## შერიგება ჩაიშალა...

სასტუმრო „მერიოტში“ სამხრეთ კავკასიის სამი სახელმწიფოს საპარლამენტო დელეგაციების შეხვედრა გაიმართა. საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის პარლამენტარებს შორის დიალოგი ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაცია „ლინქსის“ მხარდაჭერით მიმდინარეობდა. შეხვედრის გამართვის იდეა 2001 წელს ლონდონში გაჩნდა. ამ ინიციატივის მომდევნო ეტაპი სამხრეთ კავკასიის საპარლამენტო ასამბლეის შექმნა უნდა იყოს.

თბილისში გამართულ შეხვედრას ევროსაბჭოს, ევროკავშირის, ეუთოსა და ნატოს წარმომადგენლებიც დაესწრნენ, რომელიც სომხეთისა და აზერბაიჯანის დელეგაციებს შორის კამათის შემდეგ ჩაიშალა.

## „ეი-ი-ეს თელასს“ ნონა გაფრინდაშვილიც უჩივის...

ცნობილი მოჭადრაკის, ნონა გაფრინდაშვილის ოჯახი და თბილისის მე-9 კლინიკური საავადმყოფო ამერიკულ კომპანიას სერიოზულ ბრალდებებს უყენებენ. მათი განცხადებით, ელექტროენერგიის ხშირი გათიშვა თუ ძაბვის ცვალებადობა ავადმყოფების ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის. სწორედ ამ მიზეზს უკავშირებენ 2000 წელს გურამ გაფრინდაშვილის (ნონა გაფრინდაშვილის ძმის) გარდაცვალებას. დაზარალებული მხარეები მორალური და მატერიალური ზარალის ასანაზღაურებლად საკმაოდ სოლიდურ თანხას ითხოვენ. უცხოური კომპანიის ადვოკატი ბრალდებას არ ეთანხმება. მისი განცხადებით, ექსპერტიზის პასუხში არსად მინიშნებული არ არის, რომ გურამ გაფრინდაშვილის სიკვდილი ან საავადმყოფოს კუთვნილი აპარატურის მწყობრიდან გამოსვლა „თელასის“ ბრალია.

## უცხოელები აფინანსებენ, ქართველები კაფავენ...

პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა ტყის რეაბილიტაციის პროექტი დაამტკიცა. იგი მსოფლიო ბანკმა 15-მილიონიანი შეღავათიანი კრედიტით დააფინანსა, რომელსაც საქართველო 7 წლის ვადით მიიღებს. პროექტით გათვალისწინებულია ტყის საფრის რეაბილიტაცია და უკანონო გაჩეხის წინააღმდეგ შესაბამისი ღონისძიებების გატარება. პროექტი უკვე განიხილეს საფინანსო-საბიუჯეტო, გარემოს დაცვისა და გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტებმა. საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები საქართველოს ტყეებში შექმნილ საგანგაშო ვითარებაზე უკვე მერამდენედ ლაპარაკობენ. არც აღნიშნული კრედიტია პირველი. მიუხედავად ამისა, მდგომარეობა დღითი დღე უარესდება...

## დევნილები ელექტროენერგიას მოითხოვენ...

წყნეთში მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილები საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმით იმუქრებიან. ელექტროენერგიის მიწოდების გაუმჯობესების მოთხოვნით, მათ თბილისთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზა გადაკეტეს. დევნილთა მტკიცებით, ბოლო ათი დღის განმავლობაში დენი დღე-ღამეში მხოლოდ სამი საათით მიეწოდებოდათ. დახმარებისთვის მათ საკრებულოს, პარლამენტსა და პოლიტიკურ პარტიებს მიმართეს. აქციის მონაწილეები წყნეთში პარლამენტის თავმჯდომარის ასვლის შემდეგ დაიშალნენ.

## როდის ჩაცხრება გრიპის ეპიდემია?

ბოლო კვირის მანძილზე „მოსკოვი 99“-ის სახელით ცნობილი გრიპით გამოწვეული გართულებების შედეგად თბილისში კიდევ 2 კაცი გარდაიცვალა. მიუხედავად ამისა, ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლები გრიპის ეპიდემიაზე არ ლაპარაკობენ.

მათი განცხადებით, დაავადებათა შემთხვევებმა საგრძნობლად იკლო. სტაციონარულ მკურნალობას ამ დროისთვის ინფექციური პათოლოგიის ცენტრში 24 კაცი გადის. ვირუსის ხელახალი გააქტიურების საშიშროებას ინფექციონისტები ვეღარ ხედავენ, თუმცა ვერც მის საბოლოო ჩაცხრომაზე ლაპარაკობენ.

## შეიარაღებული ფორმირებები დაიშლება?

უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ დეპუტატ ვიტალი ხაზარაძის დადგენილების პროექტი განიხილა, რომლის თანახმადაც შემოწმებას უნდა დაექვემდებაროს ყველა შეიარაღებული ფორმირების კანონიერება. საგანგებოდ შექმნილი კომისია სამართალდამცავ სტრუქტურებთან აქტიური თანამშრომლობით გადაამოწმებს ამ ფორმირებათა კავშირებს პოლიტიკურ პარტიებთან და მათი დაფინანსების წყაროებს. არჩევნების მოახლოებასთან ერთად აღნიშნული თემა უფრო და უფრო აქტუალური ხდება, თუმცა ჯერჯერობით მისი გადაჭრა მსჯელობის ფორმატს ვერ გასცდა.

## „ძირს 8 მარტი!“

ფრაქცია „ტრადიციონალისტის“ წევრმა ნატო ჩხეიძემ პარლამენტის სხდომაზე ქალთა საერთაშორისო დღის — 8 მარტის გაუქმების საკითხი დასვა. დეპუტატის თქმით, 8 მარტის დღესასწაული რევოლუციონერ კლარა ცეტკინის სახელს უკავშირდება. მისი წინადადებით, ქალთა დღედ საქართველოში 14 მაისი — წმინდა თამარ მეფის ხსენების დღე უნდა გამოცხადდეს. დეპუტატს არ დაეთანხმა პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, რომელმაც პარლამენტარებს მცირე ისტორიული ექსკურსი ჩაუტარა. სპიკერს მიაჩნია, რომ 8 მარტი გაეროს მიერ აღიარებულია და ამდენად, საერთაშორისო დღესასწაულების რანგში გადის. ეს დღე კომუნისტურ იდეოლოგიასთან არ უნდა ასოცირდებოდეს, რადგან დაკავშირებულია ევროპაში 150 წლის წინ ქალთა პირველ საპროტესტო გამოსვლებთან, რომლებიც მათი უფლებების დაცვას ემსახურებოდა.

## მორიგი ანტიკრიმინალური ფაზა პანკისში

უშიშროების საბჭომ პანკისის ხეობაში ანტიკრიმინალური ოპერაციის მესამე ფაზის დეტალები განიხილა. კანცელარიაში გამართულ სხდომაზე გადაწყდა, რომ ოპერაციას შინაგან საქმეთა მინისტრი უხელმძღვანელებს.

ხეობაში ანტიტერორისტული ღონისძიებების დაწყების აუცილებლობა მას შემდეგ დადგა, რაც უშიშროების საბჭოს მდივანმა პანკისში გელაევის რაზმისა და სხვა კრიმინალების მოსალოდნელი გადმოსვლის შესახებ განაცხადა. ანტიკრიმინალურ ოპერაციაში მონაწილეობას არ მიიღებენ უცხო ქვეყნის ძალისმიერი სტრუქტურები. მოლაპარაკებები ოპერაციის შესახებ რუსეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების სპეცსამსახურებთან მიმდინარეობდა (იხ. გვ. 9).

## მზადება არჩევნებისთვის

საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით პრეზიდენტის განკარგულებით შექმნილმა ქვეკომისიამ ორკვირიანი მუშაობის შედეგები გამოაქვეყნა. კომისიაში გაერთიანებულია რვა დეპუტატი, არასამთავრობო სექტორის რვა წარმომადგენელი და სახელმწიფოს ხუთი მაღალჩინოსანი მოხელე. კომისიის პროექტის მიხედვით, საარჩევნოდ მზადება თითქმის ყველა სახელმწიფო სტრუქტურას დაევალება. მაგალითად, ძალოვნებმა ამომრჩეველთა ზუსტი სიების შესადგენად საარჩევნო ოლქების მიხედვით მათ დაქვემდებარებაში მყოფ უბნებზე მცხოვრებთა მონაცემები უნდა შეაგროვონ. სახლმმართველობებსა და პოლიციის ქვეგანყოფილებებს საარჩევნო ოლქებისა და უბნების ზუსტი საზღვრების დადგენა დაევალებათ. საგარეო უწყებამ საზღვარგარეთ მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებზე ზუსტი ინფორმაცია ცესკოს უნდა მიაწოდოს. და კიდევ ერთი დავალება საგარეო უწყებას — მან უნდა მიმართოს ევროსაბჭოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს, მოავლინონ დამკვირვებლები 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებისა და წინასაარჩევნო პროცესის გასაკონტროლებლად.

## შევარდნაძეს ჰუსეინიც აკრიტიკებს...

ერაყის კონფლიქტთან დაკავშირებით საქართველოს სახელმა უკვე მეორედ გაიჟღერა. ამერიკის პრეზიდენტის შემდეგ ჩვენი ქვეყანა ამჯერად ერაყის ლიდერმა სადამ ჰუსეინმა მოიხსენია. რუსულმა მედიამ ბაღდადში კომუნისტური პარტიის ლიდერის, გენადი ზიუგანოვის ვიზიტის შემდეგ სადამ ჰუსეინის მიერ წარმოთქმული სიტყვა გამოაქვეყნა. სტატიის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ჰუსეინის მძაფრი კრიტიკის სამიზნეა.

ერაყელი დიქტატორი რუსეთს ამერიკის მიმართ მეტი სიმკაცრის გამოჩენისკენ მოუწოდებს. ზიუგანოვთან შეხვედრისას ჰუსეინმა აღნიშნა, რომ ჩეჩნეთის პრობლემა ამერიკამ ხელოვნურად შექმნა. გაზეთ „ზავტრაში“ დაბეჭდილი მასალის თანახმად, შეერთებული შტატები ამისთვის ედუარდ შევარდნაძეს მოხერხებულად იყენებს. სადამ ჰუსეინმა ერაყში მოსალოდნელი საომარი მოქმედებების ფონზე საქართველოს პრეზიდენტი ბაღდადის საწინააღმდეგოდ გამოთქმული პოზიციის გამოც გააკრიტიკა და განაცხადა, რომ საქართველოში შევარდნაძის მიმართ სიძულვილს აშკარა საფუძველი აქვს.

## „აირზენა“ ახალ თვითმფრინავს ყიდულობს

ავიაკომპანია „აირზენა — საქართველოს ავიახაზები“ ამერიკული კომპანია „სი-აი-თი“-საგან 11 წლის წინ გამოშვებულ 112-ადგილიან „ბოინგ 737-500“-ს შეისყიდის.

შესაბამის ხელშეკრულებას მხარეებმა ხელი უკვე მოაწერეს. აქამდე „აირზენა“ ორი „ბოინგის“ მფლობელი იყო, რომელთაც არნახული ჯაფა ადგათ კლიენტების ევროპა-აზიაში გადასაყვანად. სიახლე კომპანიას საშუალებას მისცემს კიდევ სამი რეისი დანიშნოს. ავიაკომპანიის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ თვითმფრინავი ტექნიკურად გამართულია, მაგრამ მისი შემოწმება რეგულარულად მოხდება.

## თავის თავს უჩივისო?!

კავშირგაბმულობის ექსმინისტრი კავშირგაბმულობის მარეგულირებელ კომისიას, ელექტროკავშირს და ახალ ქსელებს დაუპირისპირდა. ფრიდონ ინჯიამ ლეიბორისტული პარტიის სახელით საკონსტიტუციო და საოლქო სასამართლოებში სარჩელი შეიტანა. ლეიბორისტებმა სატელეფონო სააბონენტო გადასახადის გაზრდა მას შემდეგ გააპროტესტეს, რაც „ნაციონალების“ ლიდერმა სააკაშვილმა ნათელაშვილს ბრალად „სატელეფონო მაფია“ დასდო და განაცხადა, რომ ლეიბორისტები ამ სფეროში ტარიფის გაძვირებას არ ეხებიან, რადგან მისი ერთ-ერთი მსხვილი მესაკუთრე ფრიდონ ინჯიაა. კერძო სექტორში ტარიფი 2 ლარამდე, სახელმწიფოში კი 4 ლარამდე გაიზარდა. ინჯიას განცხადებით, სააბონენტო გადასახადის ასეთი მასშტაბით გაზრდა მოქალაქეთა უფლებებს არღვევს. კავშირგაბმულობის ყოფილი მინისტრის მტკიცებით, ყოველთვიური გადასახადი მხოლოდ ერთი ლარი უნდა იყოს. გარდა ამისა, შეღავათები უნდა დაუწესდეთ ინვალიდებს, ომის მონაწილეებსა და კავშირგაბმულობის სისტემის თანამშრომლებს. ლეიბორისტებმა „ნაციონალების“ გული მაინც ვერ მოიგეს. სატელეფონო მომსახურების ტარიფის გაძვირების გამო ახალი ქსელების წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი ვანო მერაბიშვილმაც შეიტანა. იგი აცხადებს, რომ ახალი ქსელების ერთ-ერთი დამფუძნებელი კომპანია „სელკომია“, რომლის 64-პროცენტიანი წილის მფლობელი სწორედ ფრიდონ ინჯიაა. აქედან გამომდინარე, მერაბიშვილის თქმით, ინჯიას სასამართლოში სარჩელი, ფაქტობრივად, საკუთარი თავის წინააღმდეგ შეაქვს.

## სტალინის გარდაცვალების 50 წლისთავი

50 წლის წინ, 5 მარტს საბჭოთა ხელისუფლებამ ოფიციალურად განაცხადა დიდი ბელადის გარდაცვალების შესახებ. საქართველოში სტალინური ორგანიზაციები ამ თარიღის აღნიშვნას მასშტაბური მიტინგით აპირებენ. საინტერესოა, რომ სტალინის ძეგლის აღდგენის მოთხოვნით 17-მა სტალინურმა ორგანიზაციამ მერიას უკვე მიმართა. სტალინელები მტკვრის სანაპიროსთვის ძველი სახელწოდების, „სტალინის სანაპიროს“ დაბრუნებასაც გეგმავენ.




## დააკავეს №3 ტერორისტი

პაკისტანის პოლიციის ქვედანაყოფებმა ამერიკის შეერთებული შტატების სპეცსამსახურებთან ერთად უნიკალური ოპერაცია ჩაატარეს. დაპატიმრებულია ბინ ლადენის უახლოესი თანამებრძოლი, ჰალიდ შეიხ მუჰამედი. როგორც ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო აცხადებს, „ალ ქაიდას“ იერარქიაში მუჰამედი მესამე ფიგურა იყო. იგი ნიუ-იორკის ცათამბჯენებზე განხორციელებულ ტერაქტს ხელმძღვანელობდა და ბინ ლადენის უშუალო მითითებებს ასრულებდა. შეიხი მუჰამედი ამერიკის მთავრობას 25 მილიონ დოლარად ჰყავდა შეფასებული. მისი დაკავება პაკისტანში ცნობილი შეიარაღებული დაჯგუფების, „ჯამაათ ლამიას“ ერთ-ერთი ლიდერის ბინაში მოხდა. ოპერაცია იმდენად სწრაფად ჩატარდა, რომ ტერორისტებმა რეაგირება ვერ მოასწრეს. შეიხ მუჰამედთან ერთად დაპატიმრებულია ორი პირი, რომელთა ვინაობა ჯერჯერობით არ მჟღავნდება. ცნობილი ტერორისტის დაკავებას პრეზიდენტი ჯორჯ ბუშიც გამოეხმაურა. მან პაკისტანში განხორციელებულ ოპერაციას ფანტასტიკური უწოდა.

## ჰუსეინი მოლბა?

ერაყის მთავრობა თანახმაა ყველა რაკეტის დემონტაჟი დაიწყოს. ამის შესახებ განცხადება გაეროს ინსპექტორთა მისიის ხელმძღვანელმა, ჰანს ბლიქსმა გააკეთა. მან „ალ-სამუდ-2“-ის განადგურების შესახებ ბაღდადის პირობას რეალური განიარაღებისკენ წინ გადადგმული ნაბიჯი უწოდა. ამერიკა და დიდი ბრიტანეთი ბლიქსის ოპტიმისტურ განცხადებას საკმაოდ სკეპტიკურად უყურებენ. მათი მტკიცებით, ერაყის განცხადება კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ბაღდადი გაეროსთან უბრალოდ თამაშობს და დროს იგებს. როგორც მოსალოდნელი იყო, განსხვავებულია ოფიციალური პარიზის პოზიცია. საფრანგეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელის, დომენიკ დე ვილპენის განცხადებით, ბაღდადის გადაწყვეტილება ერაყის სრული განიარაღების დასაწყებად მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

## თურქეთი ომისთვის ემზადება

თურქეთის პარლამენტმა ქვეყანაში ამერიკული ჯარების განლაგების შესახებ კანონპროექტის განხილვა დაიწყო. სხდომამდე ცოტა ხნით ადრე კი ანკარამ და ვაშინგტონმა ერაყის წინააღმდეგ ოპერაციაში მონაწილეობის პირობების შესახებ შეთანხმებას მიაღწიეს. თურქეთი ამერიკისგან 26-დან 30 მილიარდამდე დოლარს სესხისა და გრანტის სახით მიიღებს. ჯერ არ არის ცნობილი, დათანხმდა თუ არა თურქეთი საკუთარი ჯარის ჩრდილოეთ ერაყში შეყვანას. ამას აქტიურად ეწინააღმდეგებიან ერაყელი ქურთები. ამერიკა კი თურქეთისგან პასუხს დაუყოვნებლივ ითხოვს. „თუ ანკარა ყოყმანს გააგრძელებს, ვაშინგტონი არჩევანს სხვა გეგმის სასარგებლოდ გააკეთებს“, — განაცხადა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა რიჩარდ ბაუჩერმა.

## რუსეთი და გერმანია ამერიკის წინააღმდეგ?

რუსეთისა და გერმანიის ლიდერებმა მოსკოვში გამართულ შეხვედრაზე კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის მიერ მომზადებულ რეზოლუციას არ ეთანხმებიან. გერჰარდ შრედერი და ვლადიმირ პუტინი მიუღებლად მიიჩნევენ ისეთი რეზოლუციის მიღებას, რომელიც ომის ავტომატურად დაწყებას განაპირობებს. ამავე დროს პუტინმა აღიარა, რომ ამერიკის მხრიდან ერაყზე ზეწოლა ამ ეტაპზე სასარგებლოა. ამ მიზეზით, ოფიციალური ბაღდადი ნელ-ნელა უფრო აქტიურ თანამშრომლობაზე თანხმდება.

# როგორი ტომიც ვართ, ზუსტად ისეთი ბელადი გვყავს...

## „ანტიკორუფციული გეგმები და ღონისძიებები საქართველოში ბლეფია...“



*„...რადგან მათხოვრად გადაიქცა ახლა ღირსება,*
*რადგან არარამ შეიფერა ძვირფასი ფარჩა,*
*რადგან სიცრუე ერთგულების გახდა თვისება,*
*რადგან უღირსებს უსამართლოდ დაადგეს დაფნა...“*

შექსპირი თავის სონეტებში კიდევ მრავალ უკეთურობაზე წერდა და ბევრი მათგანი ჩვენს დღევანდელობას შეესაბამება. არშემდგარი სახელმწიფო, ჩამოუყალიბებელი საზოგადოება და პოლიტიკური უმწიფრობა (თუ უტიფრობა) — ალბათ ზრდილობიანი უცხოელი ექსპერტები ამას გულისხმობენ, როდესაც საქართველოში უკვე მერამდენედ ჩამოსულნი, ერთი და იმავე სურათის ხილვისას, ჩვენს ქვეყანას „დემოკრატიის შენების პროცესში“ მყოფად მოიხსენიებენ. კორუფციაზე ლაპარაკი ანაქრონიზმად იქცა და ვინაიდან ხელისუფლებისგან განსხვავებით, უბრალო ხალხს სახელმწიფოს ძარცვის საშუალება არა აქვს, ერთმანეთის დაყაჩაღებას მიჰყო ხელი. პოლიტიკური პარტიების სასამართლოდან სასამართლოში სირბილი მალე სპორტული ტრადიციის სახეს მიიღებს და წინასაარჩევნო პერიოდში სარჩელის შეტანაზე ჩემპიონატი გამოცხადდება პურის უფასოდ დარიგების, ბენზინის ნახევარ ფასად გაყიდვის, დროშის ფერის ან ტარის სიგრძის თაობაზე... ტრიბუნიდან მხილება ქართველ მოღვაწეთათვის იმ ჩვეულებად იქცა, რომელიც მხილებას არ სცილდება. მთელი აზარტი იმაშია, თუ ვინ ვის უფრო მეტი თანხის მიტაცებას წამოაძახებს. უკვე ათ წელზე მეტია, რაც რუსეთის გავლენის სფეროში ვბუქნავთ — ვითომ ევროპა-ამერიკისკენ გავრბივართ...

ერაყთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადების გამო საქართველოს პრეზიდენტს არაბული სამყაროს სახელით სადამ ჰუსეინიც ლანძღავს. რუსეთი სპარსეთის ყურეში ომის დაწყებას უცდის, მერე კი, ალბათ პანკისის ხეობაში „საერთაშორისო ტერორიზმზე“ ნადირობის სეზონს გახსნის.

...აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს თუ კიდევ უნდათ ევროკავშირში შესვლა, თავის განცხადებებს დაუფიქრდნენო — ჟაკ შირაკი „ახალბედა“ სახელმწიფოების, მათ შორის საქართველოსგან ერაყთან ომის მხარდაჭერამ გააღიზიანა. გამოდის, დასავლეთ ევროპაც მომდურებული გვყოლია... გვრჩება ამერიკა და დაატარებენ კიდეც რიჩარდ მაილსს უწყებიდან უწყებაში ქართველი ხელისუფალნი ამა თუ იმ საკითხის გადასაჭრელად — თითქოს ელჩი კი არა, გუბერნატორი იყოს... დღეს ქართველი პოლიტიკოსები და ჩინოვნიკები ერთმანეთს ამერიკის „სიყვარულში“ და თეთრ სახლთან ნაცნობობაში ეჯიბრებიან, მაგრამ რატომღაც, ამერიკული დემოკრატიის გადმოღების (თუნდაც მცდელობის) ნაცვლად ამერიკის უსიტყვო მორჩილებას ამჯობინებენ ისევე, როგორც ეს საბჭოთა რუსეთის დროს ხდებოდა...

ასეთ ვითარებაში საქართველოს პერსპექტივებზე ვესაუბრებით პოლიტოლოგ **პაატა ზაქარეიშვილს:**

— დღეს ბევრს ლაპარაკობენ საერთაშორისო და, მათ შორის, ამერიკის დახმარებაზე. დახმარების სურვილი შეიძლება ძალიან დიდიც იყოს, მაგრამ ელემენტარულია — თუ არ ვიცი, საით მიცურავ, არ შემიძლია ზურგის ქარი გისურვო. თუ საქართველო არ გაარკვევს, საით მიცურავს, მას ამ ცურვის პროცესში ვერავინ დაეხმარება. ჩვენი ხელისუფლება დასავლური ორიენტაციის აღიარებისას მხოლოდ განაცხადებით შემოიფარგლა. იმ ფასეულობების რეალურად გასატარებლად კი, რასაც დასავლეთის კეთილდღეობა ემყარება, არაფერი გაუკეთებია. ჩვენთან ერთმანეთისგან ვერ, ან არ არჩევენ ორიენტაციას და იდეოლოგიას. მხოლოდ ორიენტაციის აღიარებით ამერიკის ან ევროპის იდეოლოგიას ქვეყანაში ვერ გაავრცელებ. ამერიკელი ჯარისკაცების და დიპლომატების სიმრავლემ და გავლენის გაზრდამ დამამშვიდებელი ილუზია არ უნდა შეგვიქმნას. მსოფლიოში უამრავი ქვეყანაა ისეთი, სადაც ამერიკული იდეოლოგია არ არსებობს. მაგრამ არსებობს ამერიკული ორიენტაცია — ამ ქვეყნებში ყველაფერს ამერიკელი დიპლომატები და სამხედროები მართავენ. ცნობილი ფაქტია — აფრიკის ერთ-ერთი ქვეყნის კანიბალი პრეზიდენტი კემბრიჯის კურსდამთავრებული იყო და ამერიკის ორიენტაციასაც „აღიარებდა“. მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, ადამიანებს ხელით შეჭამ თუ დანა-ჩანგლით? — სწორედ ასეთ ქვეყნებს უწოდებენ „ბანანის რესპუბლიკებს“ და, როგორც ჩანს, ამ წოდების მისაღებად საქართველო ყველა კრიტერიუმს პასუხობს. სხვათა შორის, ამაში ყველაზე ნაკლები წვლილი ამერიკას მიუძღვის — თუ საერთოდ შეიძლება მის წვლილზე ლაპარაკი. დამეთანხმებით, რომ ვაშინგტონი საქართველოში მილიარდებს გულმოწყალების გამო არ ხარჯავს — ეს მისი ინტერესების გასატარებლად ხდება. შეერთებულ შტატებს საამისოდ მთელ მსოფლიოში ორი ხერხი აქვს. მისთვის, რასაკვირველია, უკეთესია, თუ ამ ფინანსებს ქვეყანა დემოკრატიული პროცესების განვითარებისთვის გამოიყენებს და სრულფასოვან სახელმწიფოდ ჩამოყალიბდება. ასე მოხდა ბალტიისპირეთის, პოლონეთის, ჩეხეთის და სხვა რამდენიმე სახელმწიფოს შემთხვევაში. ლოგიკურია — როდესაც ადამიანს ფულს აძლევ, არ გინდა, ლოთობაში ან სამორინეში დახარჯოს იმიტომ, რომ ისევ შენ მოგაკითხავს და ეს მათხოვრობა უსასრულოდ გაგრძელდება. და ჩვენც სწორედ ამ დღეში ვართ.

შეერთებულ შტატებს, ევროპული ქვეყნებისგან განსხვავებით, ძალიან ფართო ინტერესები აქვს. მათ გასატარებლად ნებისმიერ გზაზე თანახმაა. ავიღოთ საუდის არაბეთი, თურქეთი, სამხრეთ ამერიკის ქვეყნები — ეს თეთრი სახლის საკმაოდ მყარი გავლენის არეალია, მაგრამ დამეთანხმებით, დემოკრატიისგან ძალიან შორს დგანან. ისევე, როგორც საქართველოში, იქაც ყველაფერი რამდენიმე ოჯახური კლანის ხელშია. სამაგიეროდ, უსიტყვოდ ასრულებენ ვაშინგტონის დირექტივებს. როგორც გამოჩნდა, ეს გზა ჩვენ ავირჩიეთ, აქ თეთრი სახლი არაფერ შუაშია. საქართველოს მთავრობას ხელისუფლების შესანარჩუნებლად ამერიკის მორჩილება სჭირდება და არა მისი ფასეულობების გაზიარება.

**— უკანასკნელ ხანს საქართველოში ერთგვარი ტენდენცია შეინიშნება — ამერიკის ელჩს იწვევენ კანცელარიაში, ამა თუ იმ სამინისტროში-ანგარიშის მოსასმენად, მინისტრის მოღვაწეობის შესაფასებლად, მოსახლეობის დასაშოშმინებლად და ა.შ. საქართველოს პარლამენტში ამერიკელი სამხედროებისთვის დიპლომატიური სტატუსის მინიჭებასაც ძალიან ბევრი მომხრე გამოუჩნდა...**

— ეს ტენდენცია ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ ამერიკა აღარ ელოდება საქართველოში დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცებას და უკვე უშუალო ჩარევით იწყებს თავისი ინტერესების გატარებას თუნდაც იმ ფინანსური თუ პოლიტიკური მხარდაჭერის სანაცვლოდ, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ თავისი სიხარბისა და უნიათობის გამოისობით არამიზნობრივად გამოიყენა. სწორედ ამაში მდგომარეობს ზემოთ ნახსენები „მეორე ვარიანტი“ ინტერესების გატარებისა. როდესაც ბორჯომის ხეობაზე ხმაური ატყდა, თბილისში ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი ჩამოვიდა. მან პროექტის აუცილებლობაზე ისაუბრა, თუმცა პრეზიდენტს „ყურში რა უთხრა“, არავინ იცის. ფაქტი ერთია — გარემოს დაცვის მინისტრმა გადაწყვეტილება ერთ ღამეში შეცვალა. თავად განსაჯეთ — როდესაც ვაშინგტონი მოითხოვს, რომ საქართველოში მყოფი მისი ჯარისკაცები ამერიკული კანონმდებლობით გასამართლდნენ, ესე იგი, მას არ სჯერა შენი კანონმდებლობისა და სამართალწარმოების და საფუძვლიანადაც. მაგრამ ეს ხომ არ არის თანასწორი პარტნიორობის შედეგი. ამით ამერიკამ პირდაპირ განაცხადა, რომ ქართული სახელმწიფოებრიობა აფერაა და მეტი არაფერი. სამწუხაროდ, მე არაფერი მაქვს იმის საწინააღმდეგო, ქართველი მოხელეების გადასაწყვეტ პრობლემებს ამერიკის ელჩი წყვეტდეს. სამწუხაროდ იმიტომ, რომ საქართველოს ხელისუფლებას საამისო შნო არ გააჩნია. სხვათა შორის, ნურავინ შეიქმნის ილუზიას, რომ ასეთ საქართველოში შეერთებული შტატები თავის ბაზებს გახსნის და მასობრივად განათავსებს თავის ჯარებს. მას ურჩევნია მილიარდები დახარჯოს ქართული სამხედრო ნაწილების ჩამოყალიბებაში, ვიდრე აქაური განუკითხაობის გამო თუნდაც მისი ერთი ჯარისკაცი დაიღუპოს.

**— როგორც აღნიშნეთ, ეს არჩევანი ამერიკამ ქართული რეალობიდან გამომდინარე გააკეთა. ალბათ, ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ დღემდე საქართველოში სრულფასოვანი პოლიტიკური გეზი, ანუ ის, რაზეც სახელმწიფოს მშენებლობა უნდა დაეფუძნოს, არ ჩამოყალიბებულა.**

— თუ დავუკვირდებით, ქართულ რეალობაში ეროვნული მოძრაობის შემდეგ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურა აღარ აღმოცენებულა. ეს იმიტომ ხდება, რომ სახელმწიფო ინსტიტუტი ფაქტობრივად გაუქმებულია. პოლიტიკოსი ხომ მუდმივ მოღვაწეობაში, სახელმწიფო მოღვაწეობაში ყალიბდება. ამის საჭიროება კი, უბრალოდ, არ არსებულა. მიუხედავად ამისა, ყველას თავისი წილი პოპულარობა და რეიტინგი აქვს. ალბათ იმიტომ, რომ მოსახლეობა ოდენ მნიშვნელოვან საკითხს უპასუხისმგებლოდ ეკიდება — განა ვინმე მიანდობს სტომატოლოგს კუჭის ოპერაციის გაკეთებას? ან მანქანაში ჩაუჯდება ვინმე ადამიანს, რომელმაც მართვა არ იცის და არც მოწმობა აქვს? მაშინ რატომ უჭერენ მხარს ამა თუ იმ პოლიტიკოსს? მათაც ხომ არ იციან სახელმწიფოს მართვა... ჩვენ გვყავს კარგი რეჟისორები, კარგი მწერლები ან კარგი მეცნიერები და პოლიტიკოსობას იბრალებენ იმიტომ, რომ სახელმწიფოს მოთხოვნილება არ არსებობს. დღეს საქართველოში რეალური საქმის კეთება არაპოპულარულია და ისინიც დღევანდელი ცხოვრებით ცხოვრობენ — ცდილობენ, ამა თუ იმ მნიშვნელოვანი თანამდებობის ხელში ჩაგდებას არა იმიტომ, რომ სიტუაცია გამოასწორონ, არამედ თანამდებობით ნაშოვნი ფული საკუთარ პარტიაში რომ გადაქაჩონ. საქართველოში სიტუაცია რომ გამოსწორდეს, ძირეული ცვლილებებია საჭირო. პოლიტიკოსმა იმ ქირურგის ფუნქცია უნდა შეასრულოს, რომელმაც იცის, რომ ავადმყოფის მოსარჩენად ტკივილის მიყენება გარდაუვალია, მაგრამ ამ ნაბიჯზე მიდის. ხომ უზნეობაა, ავადმყოფის კეთილგანწყობის სანაცვლოდ, მის მკურნალობაზე უარის თქმა. დღეს ამგვარივეა ქართველი პოლიტიკოსების დამოკიდებულება ხალხის მიმართ.

**— ძირეული ცვლილებები ახსენეთ. ამის შესახებ უკვე, რამდენიმე წელიწადია, ლაპარაკობენ. შეიქმნა ანტიკორუფციული საბჭო და რეკომენდაცია-მოხსენებებიც მომზადდა. მაგრამ ამის ერთადერთი შედეგი ის იყო, რომ ხალხი მიეჩვია მოსმენას — თუ ვინ რამდენს იპარავს, სად რა ფული კეთდება — სახელმწიფოში ქურდობა დეკლარირებული გახდა... ბავშვმაც კი იცის, რომ სხვადასხვა დანაშაულისთვის პოლიციაში ჩვეულებრივი ტარიფებია დაწესებული, რომ ყველას ყველაფერი შერჩება, მთავარია, გადახდა შეძლოს...**

— ანტიკორუფციული გეგმები და ღონისძიებები საქართველოში ბლეფია. ეს არის ყალბი ჯანმრთელობის ცნობა, რომელიც თბილისს დასავლეთისთვის საჩვენებლად სჭირდება. ჩვენი მთავარი უბედურება ის არის, რომ დასავლეთს ვერ წარმოუდგენია, როგორ შეიძლება ადამიანი ავად იყოს და ყალბი ჯანმრთელობის ცნობა გააკეთოს. ზემოთ „ბანანის რესპუბლიკა“ და ჩვენი პერსპექტივები ვახსენეთ. როგორც ჩანს, ევროპა-ამერიკის თვალში ამ წოდებისთვის ყველა „ნორმატივი ჩაბარებული“ არ გვაქვს, ან ძალიან ცოტა დაგვრჩა, ან უკანასკნელ იმედს იტოვებენ. საქართველო ხომ ერთი დიდი ბუტაფორიაა — აზრების ქვეყანა. უცხოური მისიებისთვის გვაქვს აზრები გამოკრული — „პრეზიდენტი“, „პარლამენტი“, „არჩევნები“, „პოლიცია“, „თავისუფალი მედია“, „არასამთავრობო ორგანიზაციები“ — თუ ძირისძირობამდე ჩაუღრმავდებით, ნებისმიერი სფეროს გარჩევა ერთ დასკვნამდე მიგვიყვანს — აბსოლუტური უმრავლესობა თავის ფუნქციას პირდაპირი მნიშვნელობით ვერ ასრულებს. ჩვენთან ყველამ ყველაფერი იცის. ეს აზრები უცხოელებისთვის გვჭირდება, რათა საქართველოში ჩამოსულებს ტყუილი მივყიდოთ. ხშირად თავს იმშვიდებენ — კორუფცია ყველგან არისო. მართლაც არის კორუფცია ესპანეთშიც, იტალიაშიც, საბერძნეთშიც, მაგრამ იქ ყველაფერს ბოლომდე არ ხრავენ, რადგან საამისო განათლება ჰყოფნით. ჩვენთან კი, ვაშლს რომ მოიპარავენ, მერე ხეს ფესვებიანად თხრიან და ანადგურებენ — შე კაი კაცო, ხე მაინც დატოვე და ბოლო-ბოლო, გაისადაც მოიპარე... საამისოდ, ქართველ ჩინოვნიკებს განათლება არ ჰყოფნით და არც პასუხს სთხოვს ვინმე; იმიტომ, რომ ამის მოთხოვნილება, ზოგადად, არ არსებობს — საქართველოში ერთადერთი კაცია პასუხისმგებელიც, გამკეთებელიც და გამფუჭებელიც — მას ედუარდ შევარდნაძე ჰქვია. ათას ლეგენდას ჰყვებიან — რომ მიზანმიმართულად იქცევა და მხოლოდ თვითონ იცის, რას აკეთებს, რომ ნატოში და ევროკავშირში გავწევრდებით... და თურმე ყველაფერი მრავალი წლის წინ ჰქონდა გათვლილი. დაახლოებით ისეთი სიტუაციაა, მაინ რიდს რომ აქვს აფრიკელი ტომების ცხოვრება აღწერილი — ბელადს რომ უაზროდ ეთაყვანებიან — თუ როგორ აანთო ცეცხლი, როგორ მოკლა თოფით ირემი. იმიტომ, რომ ცეცხლი და თოფი არ იციან, რა არის. როგორი ტომიც ჩვენ ვართ, ზუსტად ისეთი ბელადი გვყავს... რა შუაშია ერთი ადამიანი. ყველა ნორმალურ სახელმწიფოში ყველაფერზე პასუხისმგებელია სისტემა, რომელსაც ესა თუ ის, თუნდაც ძალიან ჭკვიანი ადამიანი უნდა მოერგოს, თუ ქვეყნის ხელმძღვანელობა უნდა. ჩვენთან კი პირიქითაა...

**— მართლაც, უდავოა, რომ ყველაფრის სათავე საქართველოში სისტემის უვარგისობაა. გადის წლები და ის კვლავ უცვლელი რჩება. სამაგიეროდ, ქვეყანაში ისეთი საგანგაშო პრობლემები წარმოიქმნება, რომლებიც საქართველოს არასოდეს ჰქონია, მათ შორის, რელიგიური ურთიერთობები. ხელისუფლება დაპირებებს არ იშურებს, მაგრამ ფაქტია, რომ აფხაზეთის და სამაჩაბლოს პრობლემები ქრონიკულად მოუგვარებელი რჩება...**

— რელიგიურ ურთიერთობებთან დაკავშირებით, ძალიან მოკლედ შემიძლია გითხრათ — მთავარი პრობლემა აქაც კანონის უძლურებაა. დღეს ბევრს ლაპარაკობენ კანონზე რელიგიის შესახებ, რომელმაც რელიგიური ძალადობა უნდა აღკვეთოს. კი, მაგრამ, ხომ არსებობს კანონმდებლობა, რომელიც ადამიანს მეორე ადამიანის დასახიჩრებას, ცემას უკრძალავს. აუცილებლად ის უნდა ეწეროს, რომ მართლმადიდებელს იეღოველის ცემა ეკრძალება, ან იეღოველს ვინმეს სახლში შევარდნა? რაც შეეხება აფხაზეთს, ამ მხრივ ჩვენ ბევრ რამეზე დაფიქრება გვმართებს. ჩემი აზრით, შეცდომას უკვე პირველივე სიტყვიდან ვუშვებთ, როდესაც ვამბობთ, რომ აფხაზეთი უნდა დავიბრუნოთ. ჩვენ აფხაზები უნდა დავიბრუნოთ და ამის შემდეგ შევძლებთ აფხაზეთში დაბრუნებას... დააკვირდით, როგორ იქცევა რუსეთი — ის სწორედ აფხაზებთან ურთიერთობას გვეცილება, ამ გზით იბრძვის. ჩვენ კი პირიქით, ჩვენი განცხადებებით მათ ქართველებთან ურთიერთობის ყველანაირ სურვილს ვუკარგავთ. მოვითხოვთ ლტოლვილების უპირობო დაბრუნებას და თბილისში ლტოლვილები ისეთ პირობებში გვყავს, როგორც გლადიატორებთან საბრძოლველ ლომებს წვრთნიან — აშიმშილებენ და ამწარებენ. თან, ეუბნებიან, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ აფხაზების ბრალია. ალბათ იმიტომ, რომ უკან დაბრუნების სურვილი არ დაკარგონ? კი, მაგრამ, ამ ხალხმა ხომ ერთად უნდა იცხოვროს, როცა უკან დაბრუნდებიან?! ჩვენ აფხაზებთან საერთო ენის გამონახვა უნდა ვცადოთ. კარგად ვიცი, ეს არ იქნება იოლი, მაგრამ სხვაგვარად, ვერანაირი ევროკომისია და ჰააგის სასამართლო ვერ გვიშველის...

**— არც კავკასიის მეზობელ ქვეყნებს აქვთ კარგად საქმე — თბილისში დაგეგმილი სამმხრივი შეხვედრა ლამის აზერბაიჯანელი და სომეხი პარლამენტარების ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა...**

— როგორც ჩანს, არც ერთ მხარეს შერიგება არ სურს. ისინი თბილისში უბრალოდ, ამ პოზიციის დასაფიქსირებლად ჩამოვიდნენ. სხვათა შორის, თბილისი, ალბათ ზემოთ ნახსენებ მიზეზთა გამო, ამ შემთხვევაშიც უნიკალურ შანსს უშვებს ხელიდან — საქართველოს ტერიტორია სომეხი და აზერბაიჯანელი მოსახლეობის, კომერციული ურთიერთობის პლაცდარმად შეიძლება იქცეს, საიდანაც საქართველო დიდ მოგებას ნახავს — გნებავთ, პოლიტიკური, გნებავთ, ეკონომიკური თვალსაზრისით. როგორც ჩანს, დიალოგის კულტურის უქონლობა ზოგადკავკასიური პრობლემაა და არა მხოლოდ ქართული. ჩვენ თუ ოპონენტთან პოლემიკას დავთანხმდებით, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი მოსაზრების მართებულობაში დავარწმუნოთ, არაფერი გამოვა. არავითარ შემთხვევაში მისი მოსმენა და თუნდაც ლოგიკური მარცვლის გაზიარება არ გვინდა. სანამ ასე იქნება, როგორც საერთო კავკასიური სახლის, ისე ქართული სახელმწიფოებრიობის შენებას აზრი არ ექნება.

***დაჩი გრძელიშვილი***

> — ანტიკორუფციული გეგმები და ღონისძიებები საქართველოში ბლეფია. ეს არის ყალბი ჯანმრთელობის ცნობა, რომელიც თბილისს დასავლეთისთვის საჩვენებლად სჭირდება. ჩვენი მთავარი უბედურება ის არის, რომ დასავლეთს ვერ წარმოუდგენია, როგორ შეიძლება ადამიანი ავად იყოს და ყალბი ჯანმრთელობის ცნობა გააკეთოს.

> ნურავინ შეიქმნის ილუზიას, რომ ასეთ საქართველოში შეერთებული შტატები თავის ბაზებს გახსნის და მასობრივად განათავსებს თავის ჯარებს. მას ურჩევნია მილიარდები დახარჯოს ქართული სამხედრო ნაწილების ჩამოყალიბებაში, ვიდრე აქაური განუკითხაობის გამო თუნდაც მისი ერთი ჯარისკაცი დაიღუპოს.

CMYK

# საქართველოს საპატრიარქოს განცხადება

## 28 თებერვალი, 2003 წელი

ა.წ. 26 თებერვალს მთავრობის სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტის მიერ ჩვენს ქვეყანაში რელიგიური ექსტრემიზმის შესახებ გაკეთებულ განცხადებაში მოხდა ამ პრობლემის ეკლესიასთან დაკავშირება, რაც არასწორია, რადგან რელიგიური ექსტრემიზმი არასოდეს ახასიათებდა ჩვენს ეკლესიას. დღეს შექმნილი სიტუაცია კი საქართველოსთვის არატრადიციულ ახალწარმოქმნილ რელიგიურ გაერთიანებებს შორის დაპირისპირების შედეგია და ეს 2001 წლის 30 მარტის საქართველოს პარლამენტის დადგენილებაშიც არის ასახული.

საქართველოს საპატრიარქო ყოველთვის აცხადებდა და კვლავაც აცხადებს, რომ რელიგიურ საფუძველზე გამოვლენილი ნებისმიერი ძალადობა, იქნება ეს ფიზიკური შეურაცხყოფა თუ უფრო დახვეწილი ფორმით განხორციელებული აგრესია, არსებული, მძიმე სოციალური მდგომარეობის გამოყენება და ე.წ. ჰუმანიტარული ტვირთის დარიგებითა და სხვადასხვა სოციალური პროგრამებით ხალხის გადაბირების მცდელობა, მართლმადიდებელი ეკლესიისთვის მიუღებელია და დასაგმობი.

რაც შეეხება ერთ-ერთი ქალაქის რელიგიური ლიდერის უმძიმესი ბრალდებებით ოთხჯერ ნასამართლეობას, ვფიქრობთ, პრეზიდენტს ინფორმაცია არასწორად ჰქონდა მიწოდებული. ჩვენ ამით არ გვინდა ვთქვათ, რომ პრობლემები არა გვაქვს. იგი ქვეყანაშიც მრავლადაა და საერთოდ ყველგანაა, მით უმეტეს იქნება ათეისტური წნეხიდან ახალგანთავისუფლებულ ეკლესიაში, მაგრამ არა იმ დონის, რომ ძალოვანი სტრუქტურების პირდაპირი ჩარევა იყოს საჭირო.

იესო ქრისტე ყველას აძლევს საშუალებას სინანულისა და გამოსწორებისა; და ეკლესიაც, აქედან გამომდინარე, ყოველთვის იქნება მზად, ხელი შეუწყოს პიროვნების ზნეობრივ ამაღლებას და სრულყოფას.

აღვნიშნავთ იმასაც, რომ როგორც სექტანტური, ისე საერთოდ არამართლმადიდებლური სწავლება მართალია უცხო და მიუღებელია ჩვენთვის, მაგრამ ეკლესია ყველას მიმართ ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს საღმრთო სიყვარულისა და საღმრთო სწავლების პრინციპით და სახარებისეული სიტყვით მოუწოდებს ყველას ჭეშმარიტი გზისაკენ, რაც არ ლახავს სხვა ერისა და სხვა სარწმუნოების წარმომადგენელთა უფლებებს, და თავის მხრივ ავალდებულებს მათ, ანგარიში გაუწიონ და პატივი სცენ მართლმადიდებელი ქართველი ერის სარწმუნოებრივ ტრადიციასა და პრინციპებს.

# რატომ არ აშენდა შადრევანი გმირთა მოედანზე



ალბათ, ძნელი წარმოსადგენია თბილისი გმირთა მოედნის გარეშე. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, წინა საუკუნის 20-იან წლებამდე ეტლშებმული ცხენები ამ ადგილას ძლივს იკვალავდნენ ხევებს შორის გზას. მოხრიოკებულ ტერიტორიას აცოცხლებდა მხოლოდ აქა-იქ გაშენებული კერძო ბაღი და რამდენიმე ეგზოტიკური დასახელების დუქანი — „არ წახვიდე, გენაცვალე“ (რომლის საეჭვო რეპუტაციაზე ხშირად საუბრობდნენ მაშინდელ თბილისში), „ედემი“ და „ფანტაზია“... ახლანდელი ცირკის წინ მდებარე გორაზე ჯარისკაცთა ყაზარმები იყო მიმოფანტული, რის გამოც ამ ბექობს „ყაზარმების გორას“ ეძახდნენ... სწორედ მის ძირში გადიოდა ე.წ. „ძველი დილმის გზა“... ვარაზისხევის აღმართს კი ტაატით მიუყვებოდნენ ურემშებმული ხარები... ამ ულიმღამო და უდაბური ადგილის იქით (დღევანდელი ვაკის და საბურთალოს ტერიტორია) ტყეები და ძველი ქალაქის ქარსაცავი ზონა შეგხვდებოდათ მხოლოდ...

ამ ადგილის გამოცოცხლება მხოლოდ 1927 წელს დაიწყო, როცა ზოოპარკი დააარსეს, 1930 წელს კი ჩელუსკინელების ხიდი (არქიტექტორი ნიკოლოზ სევეროვი) ააგეს. თბილისის დასახლებული უბნების საზღვრები თანდათან იზრდებოდა. 1936 წელს „ყაზარმების გორის“ წინ არქიტექტორ მიხეილ კალაშნიკოვის პროექტით აშენებული იმ დროის სენსაციური ნაგებობა ჩაიბარეს თბილისელებმა — ასბინიანი, თერთმეტსართულიანი სახლი, 1940 წელს კი გაიხსნა თბილისის ცირკი (არქიტექტორები — ნიკოლოზ ნეპრინცევი, სტეფანე სატუნცი, ვლადიმერ ურუშაძე), რის შედეგადაც მეტ-ნაკლებად დასრულებული იერი მიეცა ახალგაშენებულ მოედანს.

თითქმის საუკუნე გავიდა, ამ ადგილს კი ბევრი არაფერი შემატებია, თუ არ ჩავთვლით, უზარმაზარი მიწისქვეშა გადასასვლელების კომპლექსს, რომელსაც ყველასათვის ნაცნობი მიზეზების გამო ვერაფერში იყენებენ თბილისელები — ცირკის წინ მდებარე ტერიტორიაზე თითქმის ნახევარკილომეტრიან მიწისქვეშა გადასასვლელში (ხშირად გრაფიკითაც რომ არ მიეწოდება ელექტროენერგია) ჩასვლა დღისით-მზისითაც რომ ზედმიწევნით სარისკოა — თქმა არ უნდა...

თუ ზაფხულში ან შემოდგომაზე ამ ტერიტორიაზე დილაუთენია მოხვდებით, გაგაოცებთ გმირთა მოედნის მწვანე საფარს შესეული შინაური ცხოველების სიმრავლე... მწყემსები კი შორიახლო დგანან და მოთმინებით ელიან — როდის დანაყრდება დამშეული პირუტყვი...

ეს ხდება 21-ე საუკუნეში — ქალაქის ცენტრში...

ამ დროს კი, თაროზეა შემოდებული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი პროექტი, რომელიც გმირთა მოედანზე დიდი შადრევნის დამონტაჟებას ითვალისწინებს. პროექტის ავტორი გახლავთ მოქანდაკე ირაკლი ჟვანია, რომელიც ღირსების მედლით დაჯილდოვდა... თავისი წინა ნამუშევრისთვის, მრგვალ ბაღში აგებული შადრევნისთვის — „პატარა უფლისწული“...

**— რატომ შემოიდო თაროზე გმირთა მოედნის პროექტი?** — ამ კითხვით მივმართეთ ავტორს.

**ირაკლი ჟვანია:** — „პატარა უფლისწულის“ შემდეგ თბილისის მერმა მთხოვა დამემუშავებინა ჩვენს ქალაქში დიდი შადრევნის მშენებლობის იდეა. სწორედ ამ დროს მზადდებოდა ქართული სახელმწიფოებრიობის 3000-წლოვანი ისტორიის იუბილე. სწორედ ეს ორი ფაქტორი დავაკავშირე ერთმანეთთან და გავაკეთე პროექტი, რომელიც თბილისში გმირთა მოედანზე „დამოუკიდებლობის ობელისკის“ აღმართვას გულისხმობდა დიდი შადრევნის თანხლებით. ვფიქრობ, ზედმეტი მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ ახლანდელი „ბოსტნის“ მაგივრად (რომელიც იმ ადგილასაა გაშენებული) მრავალფიგურიანი ლამაზი კოლონა და შადრევანი წყლის დიდი მასით გაცილებით მეტად მოუხდებოდა თბილისსაც და იუბილესაც. შეგროვდა მოედნის გარშემო მცხოვრებთა ხელმოწერები. ხალხს ძალიან მოეწონა იდეა — ტერიტორიის გალამაზების გარდა, შადრევანს სხვა ფუნქციაც ენიჭებოდა — მოგეხსენებათ, ზაფხულში ამ გაშლილ ადგილას როგორ ცხელა... მინიმალურ ფასად ვდგამდით 12-მეტრიან მარმარილოს კოლონას მოოქრული ფიგურებით, 1100 კვმ მოცულობის აუზით და კომუნიკაციებით. შადრევნის გახსნა შევიდა საიუბილეო პროგრამაში. ეს პროგრამა კი სახელმწიფო კანცელარიაში მომზადდა და პრეზიდენტის განკარგულებით დამტკიცდა. ამ დოკუმენტს ხელს აწერდა პატრიარქი, სამღვდელოება, საზოგადოებრიობის 100 თვალსაჩინო წარმომადგენელი, მათ შორის — სახელმწიფო და კულტურის მინისტრები და მერიის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე. ღონისძიებისთვის პრეზიდენტის ფონდიდან მილიონი ლარი გამოიყო...

**— როგორც ვიცი, მსგავსი ღონისძიება არ ჩატარებულა...**

— იქნებ, თქვენმა გაზეთმა ჩაატაროს გამოკითხვა, თუ ვინმეს რამე სმენია ამ ღონისძიების შესახებ... ეტყობა, ვიწრო წრეში იზეიმეს და ხალხს არაფერი უთხრეს... არ ვიცი...

**— არც შედრევანთან დაკავშირებით ისმის რამე?**

— პრეზიდენტის და საიუბილეო კომისიის მიერ დამტკიცებული დოკუმენტით მივედი არქიტექტურის საბჭოზე, რომელსაც მშენებლობის დაწყების ნებართვა უნდა გაეცა. სხვათა შორის, ეს ის საბჭოა, რომლის შემადგენლობა, ფაქტობრივად, ოცი წელია არ იცვლება და მისი „მოღვაწეობის“ შედეგია ის, რაც ხდება მამადავითზე, აბანოთუბანში, 9 აპრილის ბაღში და ა.შ... ეს საბჭო, რა თქმა უნდა, შეუვალი აღმოჩნდა... ასე შემოიდო თაროზე პრეზიდენტის დამოწმებული პროექტი, თბილისს კი ერთი ლამაზი შადრევანი დააკლდა... ეს ამბავი დასრულებულად მიმაჩნია — ასე თვლის ახალგაზრდა ხელოვანი და თავისი უამრავი კოლეგის მსგავსად, უცხოეთის გზას გაჰყურებს. მრგვალ ბაღში კი არაერთხელ გაძარცულ და აღდგენილ „პატარა უფლისწულს“ ამ დღეებში კიდევ ერთი ფიგურა მოახერხეს... მალე გაზაფხული მოვა... თუ დილაუთენია თერთმეტსართულიანი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხვდებით, გახედეთ გმირთა მოედანს — იქ შადრევანი არა, მაგრამ საზაფხულო „იალაღად“ ქცეული პირუტყვშესეული მინდორი ნამდვილად დაგხვდებათ...

***ეკა მახარაშვილი***

# დედის დღეს გილოცავთ!



3 მარტი დედის დღეა, 8 მარტი — ქალთა საერთაშორისო დღე. თუმცა ამ უკანასკნელს დღეს ბევრი არ აღიარებს საქართველოში, მაგრამ მაინც... 3 მარტიც და 8 მარტიც ერთი შეხედვითაც კი გამორჩეული, ღიმილითა და ყვავილებით სავსე დღეებია.

ჩვენ, ყველანი ჩვენი დედებისგან მოვდივართ, როგორიც არ უნდა იყოს ის: ღარიბი თუ შეძლებული, წარჩინებული ოჯახის შვილი თუ უბრალო გლეხი, განათლებული თუ უსწავლელი, ის მაინც მშვენიერია, იმიტომ რომ დედაა.

აკაკი კვანტალიანს დედა რომ ჩამოაკითხავდა სამტრედიიდან სანოვაგით დატვირთული, თურმე ბატონი აკაკი სიამაყით გადახედავდა ოჯახის წევრებს თუ მასთან იმ დროს თავშეყრილ კოლეგებს და იტყოდა: — ა, ამისი შვილი ვარ მეო. საკუთარ ნიჭს დედის ნიჭიერებას უკავშირებდა, საკუთარ გამძლეობას — დედის გამძლეობას. დედაა, ვისთანაც ყველაზე დიდი გაჭირვების ჟამს მიგიწევს გული და დედაა, ვისაც ვაჟკაცი შვილი გაჭირვების დროს დარდით კი არა, სიცილით მიეგებება, ხევსურული ლექსიც ხომ ამას ამბობს:

*გარდაუჩინდა დედასა, გაცინებულის პირითა,*
*გარდაუშალა ქოჩორნი, გადაპოხილნი ტვინითა!*

შეიძლება მითხრათ — დღეს აღარაფერი არსებობს, ათასობით ქალი ქუჩაშია გამოსული სარჩოს საშოვნელად მაშინ, როცა ქმრები და შვილები უმწეოდ ელიან შინო...

ზოგ შემთხვევაში, მართლაც ასეა და მით უმეტეს, ეს კვირა, 3 მარტით რომ იწყება და 8 მარტით მთავრდება, ათას სიხარულად ვაჩუქოთ დედას. მხოლოდ იგია ამქვეყნად, შვილის მუდარაზე: „სიკვდილ მითხოვს, გენაცვალეო“-ს, — დაუფიქრებელ თანხმობას რომ აცხადებს.

# რამაზ ჩხიკვაძე 75 წლისაა



28 თებერვალს რამაზ ჩხიკვაძეს 75 წელი შეუსრულდა. ყველამ კარგად იცის, როგორ არ უყვარს ბატონ რამაზს დაბადების დღეების აღნიშვნა... იუბილარი ეცადა, ამ თარიღს უხმაუროდ ჩაევლო, მაგრამ არ გამოუვიდა... ტრადიციული იუბილე კი აიცილა თავიდან, თუმცა ის, რაც 28 თებერვალს მოხდა, შეიძლება „იუბილე-ექსპრომტად“ მოინათლოს. ბატონ რამაზს მეგობარმა — თემურ ჭყონიამ საიუბილეო შემოტევებისგან თავის ასარიდებლად წყნეთში, საკუთარ აგარაკზე, თავშესაფარი შესთავაზა. იქ მისულ მსახიობს სიურპრიზი დახვდა: დიდი სუფრა და მეგობრები...

რას იზამ, როცა სცენაზე აზდაკი, რიჩარდი თუ ქოსიკო გყავს განსახიერებული, როცა კინოეკრანზე შესრულებული პირველი როლიც კი დღემდე ახსოვს და უყვარს მაყურებელს, ძნელია, შეუმჩნევლად ჩაატარო საკუთარი დაბადების დღე. საყვარელ მსახიობს წყნეთში დავუკავშირდით:

**— ბატონო რამაზ, „კვირის პალიტრა“ გილოცავთ დაბადების დღეს, დიდხანს სიცოცხლეს და ბედნიერებას გისურვებთ...**

— დიდი მადლობა.

**— საზოგადოებას არაფერი დარჩენია უყურადღებოდ, არც თქვენი დაბადების დღეები, არც სპექტაკლები თუ ფილმები, არც ის, რომ ორჯერ თქვით უარი ღირსების ორდენზე... ამ უკანასკნელთან დაკავშირებით არ შეგეკითხებით, რატომო. პასუხი ნათელია.**

— უბრალოდ, ძალიან მინდა ერთი რამ, ადამიანის კეთილდღეობისათვის არსებობდეს ყველა პირობა. სხვადასხვა პრობლემაზეც ამიტომ ვლაპარაკობ ხოლმე. ჩვენზე ამბობენ, საქართველოს შეუძლია ნახევარი ევროპა გაანათოსო. ვერ გავიგე, რა ხდება. თუ ასეთი საშუალება გვაქვს, რატომ არ ვიყენებთ? კი, ბატონო, შეიძლება, მე არ მესმის და პოლიტიკა ისე მიდის, ავყვავდებით. დავიჯერო, რომ ასეთი სტრატეგია გვაქვს? მაგრამ სულ იმის შიში, შუქი გვექნება თუ არა, ან გაზს გამოგვირთავენ თუ არა, შეიძლება? ამიტომ ვარ შეძრწუნებული. ვითმენთ და კიდევ მოვითმენთ, ოღონდ, რატომ?

**— ზოგს ჰგონია, რომ თქვენთვის ყოფითი პრობლემები არ არსებობს...**

— 15 წელი ვიშენებდი სახლს, არც აგარაკი მაქვს, არც რაიმე სხვა... რაც გამაჩნდა, ყველაფერი ამაში ჩავდე. როგორც იყო ავაშენე. იმედი მქონდა, გამომკვებავდა, აბა, ჩემი ხელოვნებით ვერ ვიარსებებდი... მით უმეტეს, მე, სიბერეში წასული კაცი ვარ... სცენაზე გამოსვლას რომ ველარ შევძლებ, ხომ უნდა მქონდეს რაღაც. ეს სასტუმროც არაფერს გვაძლევს... მე სხვაზე უფრო ვფიქრობ... ვისაც არაფერი აქვს როგორ ირჩინოს თავი, რა ვქნათ, მაინც იმედით უნდა ვუყუროთ მომავალს.

**— ძალიან უყვარხართ ხალხს. გავიგე, თურმე წიგნის გამოცემასაც აპირებენ თქვენზე.**

— დიახ, მეუბნებიან, წიგნი უნდა დავწეროთ თქვენზეო. კარგი, დავწეროთ, მაგრამ დაბეჭდვა? მაგისი ფული სად არის.

**— ბატონო რამაზ, თქვენი შემოქმედების საზღაურად დიდი აღიარება მიიღეთ. თქვენი დაბადების დღით განსაჯეთ, ცდილობდით, მაგრამ ვერსად დაიმალეთ. მაინც მოგაგნეს და მოგილოცეს. მაინც რატომ არ გინდათ, ერთხელ მაინც აღგინიშნონ იუბილე?**

— ვერ წარმომიდგენია ამაზე დიდი იუბილე, როგორიც ჩემმა მეგობრებმა მომიძღვნეს, ხალხმა, რომელსაც ვუყვარვარ... ყველამ, ვინც მომილოცა.

**— ჩვენს გაზეთში ადრე გამოქვეყნებულ ინტერვიუში აღნიშნეთ, სამი რამ არ მიყვარს ამქვეყნად: ქორწილი, ქელეხი და იუბილეო. იუბილესთან დაკავშირებით ყველაფერი ნათელია. ქორწილი თუ გადაიხადეთ თავის დროზე?**

— პატარა ქორწილი გვქონდა, ჩუმად, მეგობრების ვიწრო წრეში, სულ 15 კაცი იყო. ის კი არა და, ახლა ვუთხარი ჩემს მეუღლეს, ჯვარი დავიწეროთ-მეთქი. თავის დროზე ჯვარიც არ დაგვიწერია.

**— დაბადების დღე ვერ გამოაპარეთ ვერავის, ვერც მეგობრებს, ვერც მასმედიას. თქვენ ნახეთ, ჯვრისწერას რა მოჰყვეს.**

— რა, ქორწილს გადამიხდიან? — გაეცინა ბატონ რამაზს...

არადა, ცხადია, ქორწილსაც გადაუხდიან...

***ლელა ჯიყაშვილი***



# მემკვიდრეს ზესახელმწიფოები შეარჩევენ...






ვინ იცის, იქნებ გაგვიმართლა... დაზუსტებით ძნელი სათქმელია, მაგრამ ზესახელმწიფოები საქართველოთი ნამდვილად დაინტერესდნენ. თანაც იმდენად, რომ წინასაარჩევნო აქტივობის მორევში მათი ძლიერი და თითქმის შეუმჩნეველი ხელიც გამოჩნდა. „გამოჩენა“, ცხადია, პირობითადაა ნათქვამი, მაგრამ თავად ფაქტის დადასტურება საკმაოდ განსხვავებული სიმპტომებით შეიძლება.

ორიოდ დღის წინ მაღალჩინოსანმა უცხოელმა მართლაც ნანატრი ამბავი გვამცნო — ნატოს კარიბჭეს 4 წელი გვაშორებს. 2007 წლის სავარაუდო წარმატებებით კი დღესვე შეიძლება ქულების დაგროვება. მსგავსი განცხადებების გახმაურების დროსა და ადგილს შემთხვევითობასთან კავშირი არ აქვს. არჩევნებთან? — ალბათ, კი. მაღალჩინოსანი უცხოელის დამაიმედებელი ფრაზა კი წინასაარჩევნოდ ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს და ნატოს კარამდე სულაც რომ ვერ მივაღწიოთ, ელექტორატის მოსახიბლად ხომ გამოდგება?

სავალუტო ფონდის წარმომადგენლებმა უკანასკნელი ვიზიტის დროსაც იგივე თქვეს, რაც არაერთხელ უთქვამთ. ანუ, მთავრობის ნამოღვაწარით უკმაყოფილონი დარჩნენ. „ვერდიქტი“ ტიპური იყო, მაგრამ ფონდის წარმომადგენელთა შეხვედრების სქემა — არა. მათ ვიზიტის დასაწყისშივე ითხოვეს პრეზიდენტთან აუდიენცია. თითქოს რა უნდა იყოს ხაზგასასმელი ამ ფაქტში, მაგრამ როდესაც ასეთი გამონაკლისი წინასაარჩევნოდ ხდება, უნდა ვიგულისხმოთ, რომ საუბარს განსხვავებული ხასიათი ჰქონდა — ზუსტად როგორი, ვერ ვიტყვით, მაგრამ შედეგად ფონდის წარმომადგენელთა უკმაყოფილებას ისეთი წვიმა არ მოჰყოლია, როგორც ქუხდა. ცხადია, საქმე არც საკადრო ცვლილებებამდე მისულა...

კიდევ ერთი — ამ დღეებში ედუარდ შევარდნაძეს ერთი, ალბათ მისთვისაც არასასურველი კომენტარის გაკეთება მოუხდა. არასასურველის იმიტომ, რომ ბატონმა ედუარდმა, რომლის ნათლობის სახელი გიორგი გახლავთ, ზუსტად იცის, რამდენად წამგებიანია საპატრიარქოსკენ თითის თუნდაც ირიბად გაშვერა. მას ეს ადრე (ყოველ შემთხვევაში, 1992 წლის შემდეგ) არ გაუკეთებია. მართლმადიდებელ ეკლესიასთან კარგი, მჭიდრო ურთიერთობა მისი პოლიტიკის ერთ-ერთი კოზირი გახლდათ. კოზირებს კი შემთხვევით არ თმობენ. ბოლო ორი წლის განმავლობაში არაერთი ავტორიტეტული წერილი თუ მოთხოვნა მოვიდა, რომელიც საქართველოში რელიგიური უმცირესობების უფლებებს შეეხებოდა. მიუხედავად ამისა, პრეზიდენტს საპატრიარქო, მისი რომელიმე წარმომადგენელი არაფერში გაურევია. გულუბრყვილობა იქნება ვიფიქროთ, რომ მისი მკაცრი კომენტარი გამოიწვია საპატრიარქოს მხრიდან ე.წ. „სააკაშვილის დროშის“ აღიარებამ. ალბათ არაპოპულარული პოზიციის დაფიქსირება შევარდნაძეს იმ საერთაშორისო საზოგადოების მოთხოვნით მოუხდა, რომლის შემწეობის იმედი წინასაარჩევნოდ ნამდვილად აქვს.

თუ ჩამოთვლილი არგუმენტები გეცოტავათ, შეგახსენებთ, რომ მათი რაოდენობა სავარაუდოდ მოიმატებს. ისე კი, ზესახელმწიფოების პოლიტიკა არეულობასა და ქაოსს არ ითვალისწინებს. ისინი მიზნისკენ სვლას ამჯობინებენ მშვიდად და, რაც მთავარია, მშვიდობიანად. ეს კი, მოკლედ რომ ვთქვათ, იმას ნიშნავს, რომ მემკვიდრესაც ისინი შეარჩევენ და თავიანთ რჩეულს რევოლუციური სვლების გარეშე მოიყვანენ ქვეყნის სათავეში. ამისათვის არსებული ხელისუფლებისთვის საპარლამენტო არჩევნებში მორალური მხარდაჭერის უზრუნველყოფაა საჭირო...

სხვათა შორის, ეს გარემოება მოწინავე პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენლებსაც კარგად ესმით და რა გასაკვირია, რომ პრეზიდენტობის ყველა მსურველი პირველ რიგში ამერიკის შეერთებულ შტატებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ცდილობს თავის გამოჩენას.

მმართველ პარტიას რაც შეეხება, უნდა ითქვას, რომ შევარდნაძის მომხრეები მხოლოდ უცხოელების იმედად არ აპირებენ მდინარის გადაცურვას და ამისთვის ბლოკიც შექმნეს. გაიზრდება თუ არა ამ ბლოკში გაერთიანებული სუბიექტების შეკრებით საარჩევნო ხმების ჯამი, ამას მომავალი გვიჩვენებს. ყოველ შემთხვევაში, მოქალაქეებმა ისეთი ნაბიჯი გადადგეს, როგორიც შეძლეს. თანაც, ამ ნაბიჯს პარლამენტში მათი ლიდერის ცვლაც უნდა მოჰყვეს — ვიტალი ხაზარაძის რეიტინგი პარტიის მაღალჩინოსნებსაც გაუჩენს შეკითხვებს და შეიძლება იგი ირაკლი გოგავათი ჩაანაცვლონ. გოგავა უფრო მისაღებია ოპონენტთა თითქმის ყველა პოლიტიკური ძალისთვის, ვიდრე ხაზარაძე. საარჩევნო შტაბის უფროსობა კი გოგავას უკვე აქცევს „მოქალაქეების“ არაოფიციალურ საპარლამენტო ლიდერად. ერთი კია, რომ საარჩევნო შტაბის უფროსს, უწინდელივით, მომავალშიც მოხვდება ქვემო ქართლის გუბერნატორისთვის ნასროლი ქვები. თუმცა, ეს ის ხარკია, რომლის გაღებაც მამალაძისთვის გოგავას თავისი დღევანდელი სტატუსის სანაცვლოდ უწევს.

ახალშექმნილი საარჩევნო ბლოკი ალბათ არსებული რესურსების მაქსიმალურად გამოყენებასაც ეცდება. ამ რესურსებში კი ის პოლიტიკოსებიც შედიან, რომელთაც მაღალი რეიტინგი და კარგი რეპუტაცია აქვთ. მაგალითად, გია ყარყარაშვილი და ახალშობილი „ქართული ლიგა“. კიდევ... ირაკლი ბათიაშვილი, რომელიც განშორების შემდეგ თანდათან მოქკავშირის ორბიტაზე აღმოჩნდა. ასეთი პიროვნებების ჩამონათვალი კი, საშემოდგომოდ უდავოდ გაიზრდება.

***მაია გაბუნია***

# მცხეთა — წმინდა ქალაქი, ბიზნესცენტრი თუ ორივე ერთად...

ჩვენს საზოგადოებაში უკვე გაოცებისა და აღშფოთების გარეშე საუბრობენ, თუ როგორ გაიყიდა თბილისის ესა თუ ის ღირსშესანიშნავი შენობა, პოპულარული პოლიტიკოსი თუ სასიქადულო მწერალი ან პოეტი. მაგრამ როგორც მცხეთასთან დაკავშირებით ატეხილმა ბუნდოვანმა აჟიოტაჟმა გამოაჩინა, მიუხედავად ზემოთქმულისა, საბედნიეროდ, ქართველები მცხეთის „გასაყიდად“ მზად ჯერ არ ვყოფილვართ...

რაც შეეხება „ბუნდოვან აჟიოტაჟს“ — ამ ორიოდე კვირის წინ, მოგეხსენებათ, ცნობილი ბიზნესმენის, გუჯა ბუბუტეიშვილის მცხეთის რეზიდენციაში საზოგადოების თვალსაჩინო მოღვაწეებს უხმეს. საინიციატივო ჯგუფმა „დარბაზი“ დააარსა. გაიმართა საუბარი საქართველოს ისტორიულ დედაქალაქში არსებულ მძიმე მდგომარეობაზე, მის ისტორიულ და კულტურულ მნიშვნელობაზე. აქვე ისიც ითქვა, რომ აუცილებელი და შესაძლებელიც არის მცხეთის აღორძინება-განაშენიანება და რომ ამისთვის საქართველოში ყველა წარმატებული ბიზნესმენი უნდა დაირაზმოს. მოგვიანებით „დარბაზისგან“ მცხეთის მერად ბადრი პატარკაციშვილის არჩევის იდეამაც გაიჟღერა და სიუჟეტმაც გაბუნდოვანება დაიწყო. ალბათ, უახლოესი წარსულიდან გამომდინარე, საზოგადოებაში არასასიამოვნო ინფორმაციები გავრცელდა — რომ თითქოს, მცხეთის ყიდვას პატარკაციშვილი აპირებდა და სასიქადულო ქართველი მოღვაწეები მხოლოდ შირმად სჭირდებოდა. რომ მცხეთაში, სამთავროსა და სვეტიცხოვლის გვერდით ხუთვარსკვლავიან სასტუმროებს და კაზინოებს ააშენებდნენ, რათა უცხოეთიდან ჩამოსული მილიონერები ფულის წაგების შემდეგ დიდოსტატის ნახელავს დაემშვიდებინა. როგორც ჩანს, საზოგადოების ეჭვი იმანაც გააძლიერა, რომ არანაკლებ ამაღლებული მოტივაციით გასხვისებულ ქორწინების სასახლეში პრივატიზების დღიდან საქორწინო ცერემონია აღარ ჩატარებულა.

რაც შეეხება მცხეთას — უცნაურია, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს საკითხთან დაკავშირებულმა ყველა მხარემ ერთმანეთთან კამათისას ერთი და იმავეს მტკიცება დაიწყო — თურმე, ყველას თავიდანვე მხოლოდ მცხეთის კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, მისი წმინდა ქალაქად გამოცხადება და საპატრიარქოს კონტროლს დაქვემდებარება სურდა და სხვა რაიმეს გაკეთება აზრადაც არ მოსვლია... მაშინ, რაღა საჭირო იყო კამათი, ან აჟიოტაჟი რატომ ატყდა?

სიტუაციაში გარკვევის მიზნით, გადავწყვიტეთ, საქართველოს უძველეს დედაქალაქთან დაკავშირებით „დარბაზის“ წევრსაც გავსაუბრებოდით, საპატრიარქოს წარმომადგენელსაც და ნეიტრალური მხარის პოზიციაც მოგვესმინა.

*მამა ზენონი, სვეტიცხოვლის წინამძღვარი:*

დიდი განსჯა არ უნდა სჭირდებოდეს იმის მტკიცებას, რომ მცხეთა საქართველოს ქრისტიანობის ცენტრია. თავისთავად, აქ ბევრი რამ არის მოსაწესრიგებელი და აღსადგენი, მაგრამ გააჩნია, რა მიზნით განხორციელდება ზემოთ ნახსენები ინვესტიცია და რის აშენებას მოხმარდება. მთავარია იქ არსებული სიწმიდეები შეუბღალავი და დაცული იყოს. ამის საუკეთესო გარანტად კი საპატრიარქოს მიერ მომზადებული კანონპროექტი მიმაჩნია. ამის მიხედვით, მცხეთის ტერიტორიაზე ნებისმიერი მშენებლობისთვის, მიწათსარგებლობასთან დაკავშირებული საკითხის გადაჭრისთვის ან რაიმე სხვა მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებისთვის ფართო საზოგადოების მსჯელობა და საბოლოოდ, საპატრიარქოს ნებართვა უნდა იყოს საჭირო. ასეთ შემთხვევაში, წმინდა ქალაქი ყველანაირი საფრთხისგან იქნება დაცული. იცით, ამ შემთხვევაში ამოსავალი წერტილი ის უნდა იყოს, რომ აქაურობას სვეტიცხოვლის გუმბათი იცავს და მბრძანებლობს. ნებისმიერი მნიშვნელოვანი საკითხიც სწორედ მის „ჩრდილქვეშ“, მისი ინტერესებიდან და ღირსებიდან გამომდინარე უნდა გადაწყდეს.

***(გაგრძელება იხ. მე-13 გვ.)***

# ნებისმიერ პასუხისმგებლობას ვკისრულობთ...

## პირველი ივლისიდან ხელისუფლებამ გაზრდილი ხელფასები უნდა დაარიგოს?!

*„გაერთიანებული დემოკრატების“ იდეა მოსახლეობის სახელფასო მინიმუმის 115 ლარამდე გაზრდის შესახებ პარლამენტმა მოიწონა და დაამტკიცა კიდეც. თითქოს გასაკვირი არაფერია, რომ კანონმდებლებმა გაჭირვებულ მოსახლეობას მოწყალე თვალით შეხედეს და მათი სატკივარი წინასაარჩევნოდ მაინც მიიტანეს გულთან. მაგრამ ითქვა, რომ ამ კეთილ საქმეს მავანნი ანგარიშების მიზნით შეეწივნენო, — გოგიტიძე ჟვანიას როგორ დაუდგა მხარშიო, მხრებს იჩეჩდნენ პოლიტიკურ კულუარებში და მათი საეჭვო გარიგების სქემის ამოხსნას ცდილობდნენ. თუ რა მოხდა სინამდვილეში, როგორ მონახეს აბაშიძის ბანაკმა და „დემოკრატებმა“ ერთმანეთისკენ სავალი გზები, ამის გარკვევა „დემოკრატ“* ***ვასილ მაღლაფერიძესთან*** *ვცადეთ:*

**— აქამდე „აღორძინებისთვის“ ზურაბ ჟვანია მიუღებელი პოლიტიკოსი იყო. როგორ და რატომ აღმოჩნდით „გაერთიანებული დემოკრატები“ და „აღორძინება“ თანამოაზრეები. ალბათ თქვენც შეიტყვეთ, რომ თქვენს შეთანხმებას საეჭვო კუდები მოუძებნეს.**

— მრავალ საკითხში ჩვენსა და „აღორძინებას“ შორის მწვავე წინააღმდეგობა მართლაც არის, მაგრამ საპარლამენტო ცხოვრებაში ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ რაღაც კონკრეტულ საკითხზე პოლიტიკური ძალები საერთო ენას პოულობენ. ამ შემთხვევაში, ეს მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების საშუალება აღმოჩნდა და მათ გაიზიარეს ჩვენი შეხედულება.

საიდუმლო არ არის და არც დაგვიმალავს, რომ ვიწონებთ თავისუფალი ეკონომიკური ზონების შემოღებას და ამ საკითხში „აღორძინებას“ მხარს დავუჭერთ. ჩვენს პოზიციას საჯაროდ ვაფიქსირებდით, მალულად არც გვიცდია რამის გაკეთება. ამ კონკრეტულ საკითხზე შევთანხმდით.

**— ე. ი. თქვენ შორის დამოკიდებულება შეიცვალა და „აღორძინება“ მტრად აღარ გსახავთ?**

— დამოკიდებულება არ შეცვლილა... როგორც გითხარით, ბევრ საკითხზე ჩვენი შეხედულებები არ ემთხვევა და არც მომავალში დაემთხვევა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მათ არ გავეკაროთ და იმაზე ვეკამათოთ, არის თუ არა თოვლი თეთრი და ყინული კი — ცივი. როცა პარლამენტში უმცირესობაში ხარ, ნორმალური მოვლენაა მოკავშირეების ძებნა, მით უმეტეს, რომ არიან ისეთი ფრაქციები, რაც უნდა კარგი უთხრა, მაინც არაფრის გაგონება არ სურთ. სამთავრობო ფრაქციებმა — „მოქკავშირმა“, „თანადგომამ“ და სოციალისტებმა საკითხის მოსმენაც არ ისურვეს, დარბაზში არ შემოვიდნენ. წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით, ჩვენი ნაბიჯი სავსებით მართებული იყო.

**— სახელისუფლებო ფრაქციებსა და მთავრობას თითქოს ძალზე მყარი კონტრარგუმენტი აქვთ — რომ ხელფასის ზრდას ეკონომიკური კოლაფსი მოჰყვება. თუ მართლაც ასე მოხდა, აიღებთ თუ არა „დემოკრატები“ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე?**

— თუ ამის გამო ქვეყანას რაიმე პრობლემა შეექმნა, ნებისმიერ პასუხისმგებლობას ვკისრულობთ. თუმცა მიმაჩნია, რომ აბსურდია ზოგიერთების მტკიცება, თითქოს ამას რაიმე ეკონომიკური პრობლემა მოჰყვება.

**— რით გამოიხატება თქვენი პასუხისმგებლობა?**

— ყველაფრით... თქვენ მართლაც გჯერათ, რომ 115 ლარი თუ ექნება ხალხს ხელფასი, ქვეყნის ეკონომიკური საფუძველი შეირყევა? ცხადია, როცა ქვეყანაში ასეთი აღრიცხვის მექანიზმი აქვთ და აღურიცხავ მილიონებს მავანნი ჯიბეში იდებენ, რეზერვებზე ლაპარაკი ზედმეტია. პოლიტიკურ პასუხისმგებლობასაც ვიკისრებთ და თუ ვინმე იურიდიული პასუხისმგებლობის საფუძველს მოგვიძებნის, ამისთვისაც მზად ვართ. ხელისუფლების ეს მიეთმოეთი იმაზე მეტყველებს, რომ მათ ელემენტარული იურიდიული პასუხისმგებლობის გრძნობა არ გააჩნიათ. თუ ხელისუფლებას არ სჯერა, რომ შეიძლება ხელფასების 115 ლარამდე გაზრდა, მაშინ უნდა წავიდეს და ის ხალხი მოვა, ვინც ამ საქმეს რეალურად გააკეთებს.

თუ კოლაფსს ის არ იწვევს, რომ ჩვენს აღმასრულებლებს ხელფასი 140 ლარი აქვთ და ხელფასის გარეშე ასი იმდენი, ხალხისთვის ხელფასის გაზრდა რატომღა გამოიწვევს კოლაფსს? ნუთუ სჯერა ვინმეს, რომ ჩვენი მინისტრები იმ 140 ლარს სჯერდებიან? ყოველივე ამის შემხედვარეს ერთი ანდაზა მაგონდება — მაძღარი მშიერს პურს წვრილად უფშვნიდა და თან აყვედრიდა, — რა ღორულად ჭამო... კაცმა როგორ უნდა თქვას, ხალხს შავი პურის, დენისა და წამლის ფულს ნუ მისცემთო, როცა იმავე ფულს მინისტრები ჩაიდებენ ჯიბეში და სამსართულიან სახლებსაც აიშენებენ, ქვეყანა ჩალით კი არ არის დახურული... ზოგიერთები ჰალსტუხებს რომ დაიკიდებენ და ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს არახუნებენ, მართლა ჭკვიანები კი არ არიან. ჩვენი მთავრობა გაიძვერობის უმაღლეს საფეხურზეა ასული. რატომ იმან არ გამოიწვია კოლაფსი, რომ ჩვენი მაღალჩინოსნები უკანასკნელი მოდელის უცხოური მანქანებით დაბრძანდებიან? ამ მცირეხელფასიან მოხელეთაგან ზოგიერთს 5-5 ჯიპი ჰყავს გარაჟში, ზოგიერთების საზღვარგარეთ მივლინებები კი მილიონები უჯდება ქვეყანას.

**— იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტი გამოიყენებს კანონიერ უფლებას და ვეტოს დაადებს პარლამენტის გადაწყვეტილებას, რას აპირებთ „დემოკრატები“?**

— არ მინდა ვიფიქრო, რომ პრეზიდენტი ჩვენს ჯიბრზე გადადგამს ამ ნაბიჯს. ყველა საშუალებას ვიხმართ, — საკონსტიტუციო სასამართლოში ვიჩივლებთ. თუ პრეზიდენტი ასე მოიქცევა, ის ვეტოს საკუთარ ქვეყანას დაადებს... ყველაფერი კი იმით დამთავრდება, რომ მოსახლეობა პრეზიდენტს დაადებს ვეტოს.

ამას წინათ, მთავრობის სხდომაზე ორდღიანი ლაქლაქი რომ გამართა მთავრობამ, ვის ატყუებენ. სწორად უთხრა მათ დავით სალარიძემ — საბაჟო გახსნილია და შავი ფული მინისტრების ჯიბეებში მიდისო. ყოველივე ამის ფონზე კი ჯორბენაძე აცხადებს — მაღალი თანამდებობის პირებში კორუფცია აღარ არსებობსო. ცხადია, ასეთ მთავრობას არანაირი რეზერვი არ ექნება. იცით, რომ იანვრის ბიუჯეტი უკვე გაირღვა (გუშინწინ თებერვლის ბოლოს შესრულეს იანვრის ბიუჯეტი და თებერვლისას რას უზამენ, არ ვიცი). ეს ხალხი ლაპარაკობს კიდევ კოლაფსზე, მაგათი გათვლებისა და ეკონომიკური აზროვნების შედეგი აგერ არის, თქვენ თვალწინ? ვისაც არ სჯერა ჩვენი მოთხოვნის შესრულებისა, დაიხუროს ქუდი და წავიდეს...



**— მაგრამ თქვენი ოპონენტები (კონკრეტულად კი ჯანდაცვის მინისტრი) ამბობს, ხელფასის მომატებაზე თქვენზე გაცილებით ადრე ვყვიროდიო. ზოგიერთები კი წინასაარჩევნო ეშმაკობად გითვლიან ხალხის მდგომარეობაზე ზრუნვას.**

— ჩვენი ოპონენტი ამირან გამყრელიძე ვერასოდეს იქნება. მას თუ ჩვენი ოპონენტობა სურს, მინისტრობიდან უნდა გადადგეს. იგი ჯერჯერობით დაქირავებული მინისტრია, რომელმაც პარლამენტის მიღებული კანონი უნდა შეასრულოს. როცა ხელოსანს კედლის შესაღებად ქირაობ, მან ფერის გამო კამათი არ უნდა დაგიწყოს... და თუ ვერ შეღება კედელი, გაუშვებ და იმ ხელოსანს მოიყვან, ვინც ამ საქმეს თავს გაართმევს.

დავუშვათ, არის ეს გამყრელიძის ან შევარდნაძის იდეა, მათ იდეებზე კი არ უნდა იდაონ, კეთილი უნდა ინებონ და 1-ელი ივლისიდან გაზრდილი ხელფასები დაარიგონ. და იცით როგორ? ქამრები უნდა მოიჭირონ, გააკონტროლონ საბაჟო, ამოიღონ ფული და ისე გასცენ ხელფასები. იდეის პირველობაზე არ უნდა იყოს კინკლაობა.

და კიდევ, ეს რომ ჩვენი წინასაარჩევნო მანევრი და პოლიტიკური გათვლა ყოფილიყო, ოპოზიციური პარტიები ჩვენს მხარდასაჭერად თავს არ მოიკლავდნენ...

***იზო რკაძე***

# ვინ მოკლა პატარა გიორგი(?!)

დიდი ხანია ჩვენი საზოგადოებისათვის აღარაფერია უცხო, მით უფრო, ძარცვა, გლეჯა და სისხლიანი ბაკქანალიები, მაგრამ იმან, რაც 2002 წლის 25 აგვისტოს მოხდა წყნეთში, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ყველაფერი კი იქიდან დაიწყო, რომ 25 აგვისტოს, საღამოს, წყნეთის მკვიდრმა ნინო ლაშხიამ, რომელიც სანაგვის მიმდებარე ტერიტორიაზე თხებს დაეძებდა — გადაგდებული ახალშობილი შენიშნა.

მძიმე მდგომარეობაში მყოფი ჩვილი დიღმის ბავშვთა საავადმყოფოში მოათავსეს. ექიმების დიდი მონდომების მიუხედავად, ჩვილს სამი თითი მაინც მოჰკვეთეს (როგორც გაირკვა, თითები ახალშობილს ღორმა დაუზიანა).

> აფხაზეთის უზენაესმა სასამართლომ კვლავ შეძლო ჰუმანისტის ნიღაბი მოერგო და ბასარიას მიმართ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება აღმკვეთ ღონისძიებად წინასწარი პატიმრობის შეფარდების შესახებ ბათილად ცნო და მასაც კურდღელიას მსგავსად, შინაპატიმრობა შეუფარდა.

აღშფოთებულმა საზოგადოებამ მომხდარში ჩვენში ყველაზე ღირებული დედაშვილობის კულტის დეგრადირების საშიშროება იგრძნო და დამნაშავეთა დასჯა მოითხოვა.

როგორც გამოძიებით გაირკვა — პატარა გიორგი (ჩვილი ჯერ კიდევ საავადმყოფოში ყოფნისას მონათლა საპატრიარქომ) დედისათვის — ლელა კურდღელიასთვის არასასურველი ბავშვი აღმოჩნდა (შესაძლებელია — მძიმე სოციალური პირობების გამო — კურდღელიას გიორგის გარდა, კიდევ სამი მცირეწლოვანი შვილი ჰყავს), მისი მოცილება ჯერ კიდევ 4 თვის ორსულობის დროს სცადა. ამ მიზნით მისმა მეგობარმა ნინო ბასარიამ მას ვეტერინარული დანიშნულების ჰორმონული პრეპარატი „ესტროფანი" გაუკეთა. იგივე ნემსი კურდღელიამ 25 აგვისტოსაც გაიკეთა, მშობიარობის წინ — ბასარიას რწმუნებით, ჩვილი მკვდარი უნდა დაბადებულიყო.

სავარაუდოდ, კურდღელიას მძიმე მშობიარობა ჰქონდა, რადგან მოგვიანებით, უგონოდ მყოფი რამდენიმე დღე რეანიმაციულ განყოფილებაში იყო მოთავსებული. რადგან ჩვილი მაინც ცოცხალი დაიბადა — ნინო ბასარიამ მისი დახრჩობა ჯერ აბაზანაში სცადა, შემდეგ კი სანაგვეზე გადააგდო.

კურდღელიასა და ბასარიაზე ვაკე-საბურთალოს პროკურატურაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე — განზრახ მკვლელობის მცდელობით. კურდღელიას დასაკავებლად პოლიციას დიდი ჯაფა არ დასდგომია, რადგან ეჭვმიტანილი საავადმყოფოში იმყოფებოდა. პროკურატურის დიდი მონდომების მიუხედავად, კურდღელიასთვის აღმკვეთი ღონისძიების შეცვლა აფხაზეთის უზენაესმა სასამართლომ მაინც მოახერხა და მოსამართლე ჯემალ რაფავამ კურდღელიას შინაპატიმრობა შეუფარდა, ხოლო ნინო ბასარიას კი სოხუმის საქალაქო სასამართლომ აღმკვეთ ღონისძიებად წინასწარი პატიმრობა შეუფარდა დაუსწრებლად. ბასარია 6 თვის მანძილზე აფხაზეთის ტერიტორიაზე იმალებოდა.

როგორც ჯემალ რაფავა აცხადებს, — გიორგის დედა თავგამოდებით ცდილობდა ბავშვის დაბრუნებას და მომხდარში ბასარიას ადანაშაულებდა (კურდღელიას სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მას ჩვილი არ უნახავს, ვინაიდან იგი უგონოდ იყო). გიორგის მამობას აღიარებდა კურდღელიას მეუღლეც — წარსულში რამდენჯერმე ნასამართლევი საკმაოდ მძიმე ხასიათის მქონე პირი. იგი, დარწმუნებული მეუღლის უდანაშაულობაში, პროცესზე დასწრებას ითხოვდა. სანამ მშობლები ამაოდ დაობდნენ, გიორგი ჩვილ ბავშვთა სახლში გადაიყვანეს, ხოლო დეკემბერში ჯანმრთელობის გაუარესების გამო, კვლავ პედიატრიის ინსტიტუტში მოათავსეს. მიუხედავად ქალაქის მერის, ვანო ზოდელავას საჯარო განცხადებებისა — საჭიროების შემთხვევაში, საზღვარგარეთიდან მოვიწვევთ ექიმებსო, პატარა გიორგი მენინგოენცეფალიტით გარდაიცვალა.

მალე ჩვილის გარშემო ატეხილი აურზაური ჩაცხრა და უშუქობით თუ უგაზობით გაწამებულ საზოგადოებას სანაგვეზე ნაპოვნი ჩვილი აღარც გახსენებია.

17 თებერვალს აფხაზეთში მიმალული ნინო ბასარია (მიმალვაში მხოლოდ ოპერატიული სამსახურისთვის იყო, თორემ გამოძიებამ, და არა მარტო მან, შესანიშნავად იცოდა, რომ ბასარია თავს გალის რაიონის სოფ. ოქუმს აფარებდა ბებიასთან) ნებაყოფლობით გამოცხადდა პროკურატურაში.

**კახა ლაითიძე, გამომძიებელი:** — ვიცოდით, რომ ბასარია გალის რაიონის სოფ. ოქუმში იმალებოდა. წერილი მივწერეთ ოთხმხრივ საგამოძიებო ჯგუფის თავმჯდომარეს, ზუგდიდის პროკურორს, ჭკადუას, სადაც მივუთითეთ ბასარიას ზუსტი ადგილსამყოფელი.

მასთან მიმდინარეობდა მუშაობა იმის შესახებ, რომ ადრე თუ გვიან, მაინც მოუწევდა სასამართლოს წინაშე წარდგომა და სჯობდა, ეს დროულად მომხდარიყო. ნინო ბასარია ა. წ. 18 თებერვალს წარვადგინეთ სასამართლოში აღმკვეთი ღონისძიების დადასტურების მიზნით. აფხაზეთის უზენაესმა სასამართლომ კვლავ შეძლო ჰუმანისტის ნიღაბი მოერგო და ბასარიას მიმართ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება აღმკვეთ ღონისძიებად წინასწარი პატიმრობის შეფარდების შესახებ ბათილად ცნო და მასაც კურდღელიას მსგავსად, შინაპატიმრობა შეუფარდა.

რა გაითვალისწინა ბასარიას შემთხვევაში მოსამართლე ჯემალ რაფავამ?

**ჯემალ რაფავა:** — ეჭვმიტანილი გამოცხადდა ნებაყოფლობით. მზად არის, პასუხი აგოს დანაშაულისთვის. ხასიათდება დადებითად (მეზობლების აზრის გათვალისწინებით), არ არის ნასამართლევი, არის მარტოხელა დედა, კმაყოფაზე ჰყავს მცირეწლოვანი შვილი და ინვალიდი დედა, არ აქვს მუდმივად საცხოვრებელი ადგილი. გარდა ამისა, გამოძიებამ ვერ დაამტკიცა პირველადი აღმკვეთი ღინისძიების (წინასწარ პატიმრობა) მართებულობა. ასეც რომ არ იყოს, მე ვერ ვხედავ ბასარიას შინაპატიმრობაში გამოძიებისთვის ხელის შემშლელ პირობას.

არანაკლებ საინტერესოა თვით ბასარიას აზრი ნებაყოფლობით ჩაბარების თაობაზე.

**კახა ლაითაძე:** — როგორც ბასარია აცხადებს, იგი კურდღელიების მხრიდან ელოდებოდა სიმართლის გამოაშკარავებას, მაგრამ რადგან ასე არ მოხდა, იძულებული გახდა, თვითონ დაამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ამჟამად გამოძიება კომისიური ექსპერტიზის პასუხს ელოდება (რომელიც საეჭვოდ ჭიანურდება). ექსპერტიზამ უნდა დაადგინოს, თუ აქვს რაიმე მიზეზობრივი კავშირი პატარა გიორგის გარდაცვალება ბასარიასა და კურდღელიას ქმედებასთან! თუ ექსპერტიზა ამ კითხვას დადებით პასუხს გასცემს, მაშინ როგორც გამოძიება აცხადებს, საქმე არა მკვლელობის მცდელობასთან, არამედ დამთავრებულ დანაშაულთან (განზრახ მკვლელობასთან) გვექნება (შეიძლება ექსპერტიზამ ექიმების ბრალეულობაც აღმოაჩინოს. — ნ. ბ.).

რამდენად ობიექტური იქნება კომისიური ექსპერტიზა, ამას დრო გვიჩვენებს. თუმცა სათუოა, შეძლებს თუ არა იგი პატარა გიორგის სიკვდილის ნამდვილი მიზეზის დადგენას. ერთი კი ცხადია, პატარა გიორგი თავს საზოგადოებას ალბათ მომავალშიც გაახსენებს.

*ნინო ბურჭულაძე*

# ყაჩაღების ადგილსამყოფელი ძაღლებმა უშეცდომოდ აღმოაჩინეს...

გასულ სამშაბათს ბახტრიონის ქუჩაზე ხუთი ნიღბიანი თავდამსხმელი შეიჭრა დარჩიაშვილების ბინაში და იარაღის მუქარით ფული მოითხოვეს. სარწმუნო ინფორმაციით, მეექვსე მოგვიანებით ჩაერთო მოვლენებში, რომელიც დაახლოებით ასე განვითარდა:

დაფეთებული ყაჩაღები, რომლებიც ასეთ დროს გასაგები მიზეზების გამო მასპინძლებზე ნაკლებად როდი ნერვიულობენ, ხელში ავტომატითა და დანებით სასწრაფოდ ითხოვენ ფულს. ამ დროს ბინაში იმყოფებიან ოჯახის



უფროსი, მისი მეუღლე ანა, ვაჟიშვილი ზურაბ დარჩიაშვილი ცოლითა და მცირეწლოვანი ბავშვით. ფულის მიცემაზე უარის მიღების შემდეგ მომხვდურებმა ფიზიკური ძალადობა დააპირეს, მაგრამ უფროსმა დარჩიაშვილმა, რომელიც კარატეს ინსტრუქტორია, რამდენიმე მოძრაობით აგრძნობინა, რომ ეს არ გამოუვიდოდათ. ყაჩაღებმა იარაღის გამოყენება სცადეს, მაგრამ მათ დაასწრო ზურაბ დარჩიაშვილმა, საფანტიანი პისტოლეტით ისროლა და ორი მომხვდური დაჭრა. ამით დამფრთხალმა შეშინებულმა ავტომატიანმა უაზრო სროლა ატეხა ოჯახის ბინადართა მისამართით. ეს, ასე ვთქვათ, სარწმუნო ვარაუდია. მტკიცების სახეს იგი მხოლოდ საბრალდებო დასკვნასა და საბოლოოდ, სასამართლოს გადაწყვეტილებაში მიიღებს. შედეგი კი ისაა, რომ ქალბატონი ანა თავში მიყენებული ჭრილობით ადგილზევე გარდაიცვალა. ოჯახის უფროსს თორმეტი, ხოლო ზურაბ დარჩიაშვილს ერთი ჭრილობა აქვს. ექიმები იმედს იძლევიან, რომ მამა-შვილის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. ვიდრე ბინაში ეს ჯოჯოხეთი ტრიალებდა, ოჯახის რძალმა მოახერხა და პოლიციაში დარეკა. ექვსივე ბოროტმოქმედი ამ ამბიდან სამი საათის შემდეგ მეზობელ სახლში დააკავეს, რაშიც მათ დიდი დახმარება გაუწიეს კინოლოგიური სამსახურის ძაღლებმა, რომლებმაც უშეცდომოდ აიღეს გეში და პირდაპირ იმ ბინას მიადგნენ, სადაც ბოროტმოქმედები იმალებოდნენ (პრესაში იბეჭდებოდა ვერსია, თითქოს სამართალდამცავები სისხლის კვალს გაჰყვნენ, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. — ვ.გ.). ისიც უნდა ითქვას, რომ მანამდე პოლიციელების მხედველობის არეში მოხვდა დედაქალაქის 101-ე სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლე, 15 წლის მამუკა აბრამოვი, რომელიც იქვე ტრიალებდა და მომხდარისადმი აშკარად ზედმეტ ყურადღებას იჩენდა. ძაღლების ნაპოვნ ბინას შიგნიდან არ აღებდნენ. აქ აუცილებლად გასათვალისწინებელი იყო ის გარემოება, რომ რაკი აღნიშნული სახლის ირგვლივ მომხდარის გამო საგანგაშო სიტუაცია იყო შექმნილი და, ბუნებრივია, ყველა მობინადრე საქმის კურსში იყო, შეიძლებოდა სრულიად უდანაშაულო ხალხს შიშის გამო კარი არ გაეღო. ამიტომაც კარის შემტვრევის გადაწყვეტილება პოლიციელებმა მხოლოდ მას შემდეგ მიიღეს, როცა დარწმუნდნენ, რომ სწორედ ამ საეჭვო ბინის მობინადრე იყო ეჭვმიტანილი აბრამოვი და ისიც გაარკვიეს, რომ მკრთალი, მაგრამ დაკვირვებული თვალისთვის შესამჩნევი სისხლის კვალიც ამ ბინის კართან აღინიშნებოდა.

კარი იძულებით შეანგრიეს და ხუთივე ბოროტმოქმედი ისე გათოკეს, ვერც ერთმა მათგანმა ხელის განძრევაც ვერ მოასწრო. იმავე დღეს გაირკვა, რომ სამალავი ბინა აბრამოვებს ეკუთვნით, რომლის ორი წევრი: 21 წლის შალვა და ჩვენი ნაცნობი მამუკა აბრამოვები ყაჩაღობის მონაწილეები არიან. საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ დანაშაულის ორგანიზატორი იმავე სახლში (№3 ბინაში) მცხოვრები, ადამიანის გატაცებისათვის სასჯელმოხდილი 28 წლის მირიან ვარდუაშვილია. ექვსეულში შედის ადრე ყაჩაღობისთვის ნასამართლევი 27 წლის გაბრიელ ალიევი, მეტსახელად „გაბრო".

*ვაჟა გავაშელი*

# ქურდობა, რომელზეც 15 წლამდე ციხეა...

## „მეცოდება დაპატიმრებულები იმიტომ, რომ ბავშვები არიან"

გასულ კვირას საოლქო სასამართლოში „აიეტის" კაბელის ქურდობისთვის 18-19 წლის ბიჭები გაასამართლეს და აღმკვეთი ღონისძიებაც შეუფარდეს. ქურდობა რომ დანაშაულია და ქურდი უნდა დაისაჯოს, ამაზე არავინ დაობს, მაგრამ სხვა საკითხია — ვინ, როგორ და რატომ ისჯება. თუმცა ამაზე ცოტა მოგვიანებით.

### ფაქტი

ოფიციალური ინფორმაციით, 15 თებერვალს ფუნიკულიორის ტერიტორიაზე მდებარე შპს „აიეტის" სადგურიდან სატელევიზიო კაბელის ქურდობის მცდელობის ფაქტზე მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პოლიციამ დააკავა იურიდიული და ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტები კონსტანტინე ვაშაკიძე, ზურაბ ფოჩხუა და არასრულწლოვანი გიორგი თოხაძე. გამომძიებელ სოსო გორგაძის განცხადებით, მათ აღიარეს დანაშაული და თქვეს, რომ ქურდობა ჩაიდინეს 13 თებერვალსაც, მოპარული კაბელი გაასუფთავეს პლასტიკატისგან, ჩააბარეს ნავთლუღში მდებარე ლითონის ჩამბარებელ პუნქტში, აიღეს 180 ლარი და გაიყვეს.

გამოძიებამ შემთხვევის ადგილიდან ნივთმტკიცებულების სახით ხერხი ამოიღო.

ერთი შეხედვით თითქოს ამ ამბავში არაფერია არც სკანდალური და არც გაზეთში დასაწერი. მაგრამ, არის ერთი გარემოება: 2002 წლის ზაფხულიდან სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც, ფერადი ლითონების ქურდობისთვის სანქცია გამკაცრდა და სასჯელი რვიდან თხუთმეტ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს და ეს მაშინ, როცა მკვლელობის შემთხვევაში, სისხლის სამართლის კოდექსში ათასნაირი ხვრელია დატოვებული იმისათვის, რომ მკვლელი მსუბუქად დაისაჯოს. ბუნებრივად ჩნდება კითხვა — რატომ გამკაცრდა სასჯელი მაინცდამაინც ფერადი ლითონების ქურდობისთვის?!

„ალუმინის ქვაბი რომ მოიპაროს, იძულებული ვარ, ეს მუხლი წავუყენო..."

სხვათა შორის, ეს ის უპრეცედენტო შემთხვევაა, როცა ბრალმდებლის ამპლუაში მყოფი გამომძიებელი და პროკურორი უხერხულად იშმუშნებიან, რადგან ბიჭები მრავალწლიანი „სროკისთვის" არ ემეტებათ. ვესაუბრებით მთაწმინდა-კრწანისის რაიონის გამომძიებელს **სოსო გორგაძეს.**

**— როგორც შევიტყვე, „აიეტის" კაბელის ქურდობაზე სამი ახალგაზრდაა დაპატიმრებული, მათ საკმაოდ მძიმე მუხლი აქვთ წაყენებული.**

— ერთია არასრულწლოვანი და თავდებით გავუშვით, ორნი 18-19 წლისანი არიან... რაც შეეხება მძიმე მუხლს, 2002 წლის ივნისის თვიდან კანონმდებლობაში ცვლილება შევიდა 182 პრიმა




მუხლის სახით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას შავი ან ფერადი ლითონების ქურდობისთვის. სანქცია ძალიან გამკაცრებულია. მუხლის მეორე ნაწილი — ჯგუფურად ჩადენილი დანაშაული, რაც ამ შემთხვევაში გვაქვს, ითვალისწინებს 8-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას. ექსპერტიზა დავნიშნეთ და როგორც კი გვექნება დასკვნა, იძულებულნი ვიქნებით, ეს მუხლი წავუყენოთ.

**— თქვენთვის, როგორც იურისტისთვის, რამდენად მისაღებია ეს მუხლი ამ სიმძიმის დანაშაულისთვის?**

— ვთვლი, რომ ამ მუხლს ხარვეზები აქვს. წარმოიდგინეთ, რამდენიმე ადამიანი სარდაფში რომ შეიპაროს და ალუმინის ქვაბი მოიპაროს, პასუხისმგებლობა ასეთი მძიმე მუხლით დაეკისრებათ.

ადვოკატი ყოველივე ამის უკან კორუფციას ხედავს...

**სევდია უგრეხელიძე:**

— ყოველი მუხლის დამძიმება ფულის მახეა. თუ დანაშაული ასეთი მძიმეა, მაშინ პირველ რიგში უნდა აიკრძალოს ქვეყნიდან ფერადი და შავი ლითონის გატანა. ალბათ გახსოვთ, სწორედ ამისთვის იბრძოდა ვახტანგ ბოჭორიშვილი, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. თუ დაშვებულია ლითონის ქვეყნიდან გატანა, რა თქმა უნდა, ჩნდება მიწოდებაც. მიწოდება კი საიდან უნდა მოხდეს? ვის აქვს იმდენი შავი და ფერადი ლითონი ოჯახში, რომ ჩააბაროს?! ე.ი. ხდება ქურდობის პროვოცირება. ამის მიზეზი კი ის არის, რომ ასეთ ვითარებაში ქურდობისგან ვერ ვიქნებით დაზღვეულნი. ერთ-ერთ დაკავებულს დედა მასწავლებელი ჰყავს, მამა — ინჟინერი, უმუშევარი.

რაც შეეხება კანონში ცვლილებების შეტანას, შეაქვთ შეგნებულად, რათა განსხვავება მცირე იყოს მეტ და ნაკლებ სასჯელს შორის. მარტივია, ექსპერტიზაზე ფულის გადახდა იმისთვის, რომ დაიწეროს, ფერად ლითონს არ შეიცავს მოპარული საგანიო და ამ შემთხვევაში სასჯელი მინიმალურია. სულ მცირე ნიუანსი შეიძლება ეჭვმიტანილს ძვირად დაუჯდეს. ამიტომ პატრონი ასეთ შემთხვევაში მზად არის, გადაიხადოს ფული. ეს არის კორუფციული კანონი. აკრძალონ ფერადი ლითონების გატანა, მაშინ მიმღები პუნქტებიც აღარ ჩაიბარებენ და მორჩა, კაბელებსაც არავინ მოიპარავს პურის ფულის გამო.

„კვირის პალიტრა" ასევე ესაუბრა „აიეტის" წარმომადგენელს, რომელიც შეშფოთებულია ასეთი მძიმე მუხლის გამო, თუმცა არც ის დაუმალავს, რომ მსგავსი შემთხვევები იმდენად გახშირებულია, იძულებულნი არიან პოლიციას მიმართონ.

**არჩილ თაბაგარი** („აიეტის" წარმომადგენელი): „ჩვენ სამართლებრივი რეაგირებისთვის წერილობით მივმართეთ შესაბამის ორგანოებს. მართლაც, აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და ეჭვმიტანილები დააპატიმრეს. ამ ბოლო პერიოდში ძალზე გახშირდა ქურდობა. რამდენიმე ხნის წინ იმავე ადგილზე, სადაც ეს ქურდობა მოხდა, მოიპარეს სატელიტური თეფში. აღარაფერს ვამბობ წვრილ-წვრილ კაბელებზე. ფერადი ლითონია და ამიტომ იპარავენ. რაც შეეხება სატელიტურ ანტენას, იგი საკმაოდ ძვირია. სულ მცირე, 15 ათას დოლარამდე ღირს. კაბელების შემთხვევაში კი გვინდა, რომ აღარ განმეორდეს ასეთი ფაქტი, მაგრამ როგორც გავიგე, სანქცია ძალიან მკაცრი ყოფილა — 8-დან 15 წლამდეა ციხე. გულახდილად რომ გითხრათ, ამ ახალგაზრდების ციხეში გაშვება ჩვენს ორგანიზაციას არ სურს. ჩვენთვის მთავარია, თავიდან ავიცილოთ მატერიალური ზარალი, თუკი აბონენტები უკმაყოფილონი იქნებიან ჩვენი მუშაობით, დავკარგავთ მათ. რაც შეეხება დამნაშავეთა დაჭერას, ეს უკვე სასამართლოს პრეროგატივაა. ვიმედოვნებ, რომ საქმეში იქნება შემამსუბუქებელი გარემოებები.

**— თვითონ კაბელი რა ღირს?**

— ძვირი ღირს. ერთი მეტრის მონტაჟი დაახლოებით 3-4 დოლარი ჯდება... პირადად მე, მეცოდება დაპატიმრებულები, იმიტომ, რომ ბავშვები არიან.

*მარინა მამისაშვილი*

# ხელისუფლება აღწერის შემაშფოთებელი შედეგების შელამაზებას აპირებს?!




— მოსახლეობის შარშანდელი აღწერის წინასწარი შედეგები იმდენად შემაშფოთებელია, რომ ხელისუფლებამ საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტს საბოლოო შედეგების გამოქვეყნებისგან თავის შეკავების რეკომენდაცია მისცა. დეპარტამენტის ხელმძღვანელობას სხვა გზა არა აქვს და შედეგების გამოქვეყნებას შეძლებისდაგვარად აჭიანურებს. სანამ სახელმწიფო კანცელარია სტატისტიკის დეპარტამენტთან ერთად აღწერის ციფრებს არ შეალამაზებს, მანამ ე. წ. საბოლოო შედეგებს თვალითაც ვერ ვიხილავთ, — გვითხრა საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ერთ-ერთმა თანამშრომელმა და განაგრძო, — ვის რად უნდა მოსახლეობის ასეთი აღწერა, სადაც ყალბი მონაცემები სჭარბობს ნამდვილს. ჯერ კიდევ 1995 წელს ხელისუფლებამ თითქმის ერთ მილიონ დოლარზე მეტი გამოყო საქართველოში მოსახლეობის აღწერის მოსამზადებელი სამუშაოების ჩასატარებლად. მაშინ აღწერა 1996 წლისთვის იყო დაგეგმილი, მაგრამ გაურკვეველი მიზეზების გამო, აღწერის ჩატარება არ მოხერხდა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი მილიონი დოლარი ისე აორთქლდა, ვერავინ ვერაფერი გაიგო. მაშინ დეპარტამენტში ოფიციალურად გაფორმდა საბუთები, რომ აღწერის მოსამზადებელი პერიოდი წარმატებით ჩატარდა, სინამდვილეში კი თითქმის არაფერი გაკეთებულა და ეს ფული, როგორც გითხარით, „ჩამოიწერა“. ხელისუფლება 1997 წელსაც აპირებდა აღწერის ჩატარებას. ბიუჯეტიდან თანხები ისევ გამოიყო და საქართველოს მაღალმთიანი ზონის რაიონებისა და სოფლების მოსახლეობის აღწერა ჩატარდა. შემდეგ ეს მონაცემები შარშანდელი აღწერის შედეგებში შევიდა. ხუთი წლის უკან ჩატარებული აღწერა, ბუნებრივია, შარშანდელ მდგომარეობას ვერ ასახავდა, მაგრამ მარტო ეს რომ იყოს, კიდევ არაფერს იტყოდა კაცი. დავიწყოთ იმით, რომ სახელმწიფო მოსახლეობის საყოველთაო აღწერას ფინანსურად მოუმზადებელი შეხვდა. აღწერა უკვე ერთ წელზე მეტი ხნის დამთავრებულია და ბიუჯეტმა მხოლოდ შესრულებული სამუშაოების 70% დააფინანსა. დარჩენილი თანხის გაცემას ფინანსთა სამინისტრო ეტყობა, წელსაც არ აპირებს. არადა, სტატისტიკის დეპარტამენტს აღწერის სამუშაოების შესრულებისათვის სხვადასხვა ორგანიზაციაზე სოლიდური თანხები აქვს გასაცემი. ალბათ ეს კიდევ ერთი ბერკეტია ხელისუფლების ხელში — დანარჩენ თანხას მანამდე არ მოგვცემს, სანამ ხელისუფლების მიერ აღწერის რედაქტირებული ციფრები არ გამოქვეყნდება. აღწერა რომ არასწორად ჩატარდა, მიზეზი ისიც არის, რომ აღმწერთა 23-ათასიან პერსონალს სათანადო ინსტრუქტაჟი არ ჩაუტარდა. ფინანსების უქონლობის გამო დეპარტამენტი იძულებული იყო მკაცრი ეკონომიისათვის მიემართა. ინსტრუქტორები, რომლებიც რამდენიმე კვირა მივლინებულნი იყვნენ რაიონებში, მიზერული თანხებით ფინანსდებოდნენ. დეპარტამენტიდან მივლინებული ერთი ინსტრუქტორის დღიური სამივლინებო თანხა 3 ლარს არ აღემატებოდა მაშინ, როცა სასტუმროში ერთი ღამის გათევა მინიმუმ 10-15 ლარი ღირს. კვებაზე არაფერს ვამბობ. ამიტომ მივლინებული ლექტორები, რომლებსაც აღმწერებისათვის მოსახლეობის აღწერის ყველა დეტალი და ნიუანსი უნდა გაეცნოთ, სწავლების პროცესს ერთ-ორ დღეში ამთავრებდნენ და უკან ბრუნდებოდნენ, თუმცა მკაცრი ეკონომია ზოგიერთებს იმიტომ დასჭირდათ, რომ თავიანთი ჯიბეები შეევსოთ. მესამე მიზეზი კი გახლავთ ის, რომ თვითონ მოსახლეობა მოუმზადებელი შეხვდა აღწერას. ისინი სწორად არ აჩვენებდნენ ოჯახის წევრთა რიცხოვნობას, გასაგები მიზეზების გამო არ ამხელდნენ ერთი ან ორი წლის წინ გარდაცვლილი ოჯახის წევრის სიკვდილს და აღმწერს გარდაცვლილს, როგორც ცოცხალ კაცს, ისე აღანიშნინებდნენ აღწერის ფორმაში. ხშირი იყო შემთხვევები, როცა ლტოლვილები თავიანთი ოჯახის წევრთა რიცხვს ზრდიდნენ. არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ საქართველოში უამრავი მკვდარი სულია პენსიონერებისა და ლტოლვილების სახით — ისინი შიშობდნენ, რომ აღწერის შედეგად ყველაფერი გაირკვეოდა და ერთჯერადი დახმარებები და პენსიები შეუწყდებოდათ. აღმწერთა ერთი ნაწილი საერთოდ არ მიდიოდა ოჯახებში — სახლმმართველობებიდან იღებდნენ მონაცემებს, შემდეგ აღწერის ფორმებში გადაჰქონდათ, ერთ დღეში ამთავრებდნენ საქმეს და ხელფასს ამაში იღებდნენ. ერთი სიტყვით, უამრავი დარღვევა იყო და ამიტომ აღწერამ რეალური სურათი ვერ მოგვცა. კიდევ უფრო დამახინჯდება შედეგები რედაქტირების შემდეგ.

**— იქნებ გაგვაცნოთ აღწერის ძირითადი მაჩვენებლები?**

— გამიჭირდება, მაგრამ აღწერის იმ შედეგებს, რომლებიც გასაიდუმლოებულია და ზოგიერთზე ხელი მიმიწვდება, მაინც გაგაცნობთ. მაგრამ გაითვალისწინეთ, ისინი ზუსტი არ იქნება ყველა იმ მიზეზის გამო, რომელიც უკვე ჩამოგითვალეთ. ვარაუდით კი შემიძლია გითხრათ, რომ საქართველოს მოსახლეობა დღეს 4 მილიონ კაცს არ აღემატება. აქედან ქართველი 2,5 მილიონზე ნაკლები იქნება. თუ ამ რიცხვს გამოვაკლებთ ემიგრაციაში წასულთა რაოდენობას, რაც აღწერის მონაცემებით, დაახლოებით 700-800 ათასია, მაშინ ქართველი მოსახლეობის რიცხოვნობა საქართველოში კატასტროფულად მცირეა.

დაახლოებით ნახევარი მილიონი გარდაცვლილი დღესაც „იღებს“ პენსიას. აფხაზეთიდან ლტოლვილთა რაოდენობა 550 ათასამდეა გაზრდილი. ახლა ეს ციფრები 14 ლარზე გაამრავლეთ და გამოდის, რომ ბიუჯეტი ყოველთვიურად ზედმეტად 15 მილიონამდე ლარს იხდის. ერთ ნიუანსსაც გაგაცნობთ: აღწერის ფორმაში, სარწმუნოების გრაფაში ტრადიციულ სარწმუნოებასთან ერთად, სამწუხაროდ, არ იყო მითითებული იეღოვას მოწმეთა რაოდენობა, მათი რაოდენობა საქართველოში არცთუ ისე მცირეა. მაგრამ ხელისუფლების მოთხოვნით, არატრადიციული სარწმუნოებების მიმდევრები „და სხვა“-ში შეიტანეს და ეს „და სხვა“-ს რაოდენობა მილიონს გადასცდა. თითქმის დაცლილია საქართველოს მთიანი რეგიონები მოსახლეობისაგან. ერი განიცდის დაბერებას, — არ არის ბუნებრივი ნამატი, პირიქით, სოლიდური კლებაა ყოველწლიურად. და კიდევ, იოლი შესაძლებელია ხელისუფლებამ საქართველოში მოსახლეობის რაოდენობა სულ მცირე ნახევარი მილიონით კიდევ გაზარდოს. აღწერის მონაცემებით მკვდარი სულების ხარჯზე ეს რაოდენობა ისედაც გაზრდილია. აღწერის შედეგებით ისიც დამაფიქრებელია, რომ საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარზე მეტი თბილისში ცხოვრობს, ზოგი დროებით, ზოგი კი მუდმივად.

**— რაში სჭირდებათ რაოდენობის გაზრდა?**

— როგორ თუ რაში სჭირდებათ? წელს საპარლამენტო არჩევნებია და ნახევარი მილიონი მკვდარი სული ხელისუფლებისათვის სასურველ ნებისმიერ დეპუტატობის კანდიდატს პარლამენტში დასვამს...

ჩვენ საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, **სოსო არჩვაძეს** შევხვდით და მას რამდენიმე კითხვით მივმართეთ:

**— ბატონო სოსო, გვაქვს კონფიდენციალური ინფორმაცია, რომ აღწერის შედეგები მეტად შემაშფოთებელია და განზრახულია საბოლოო შედეგების შელამაზება.**

— არასწორი ინფორმაცია გაქვთ. არავინ არაფრის შელამაზებას არ აპირებს, მით უმეტეს, ხელისუფლება. რომც უნდოდეს ეს, ვერ გააკეთებს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის პროცესში ჩართულნი არიან უცხოელი სპეციალისტები.

**— მაშ, დღემდე რატომ ვერ შეძელით აღწერის შედეგების გამოქვეყნება?**

— ძალზე შრომატევადი სამუშაოები ჩატარდა, რომლის ნაწილი საცაა გასრულდება. სხვათა შორის, კანონით გათვალისწინებული აღწერის შედეგების გამოქვეყნების ვადები არ დაგვირღვევია. 18 თვეში უნდა ჩავეტიოთ. ჯერ მხოლოდ ცამეტი თვეა გასული აღწერის ჩატარებიდან. თუმცა წინასწარი შედეგები შემიძლია გაგაცნოთ. კერძოდ, აღწერით საქართველოში რეგისტრირებულია 4 მილიონ 400 ათასი კაცი. აქედან 75-80% ქართველია. რა თქმა უნდა, წინა აღწერასთან შედარებით, რომელიც საქართველოში 1989 წელს ჩატარდა, მნიშვნელოვანი კლებაა მოსახლეობის მხრივ, დაახლოებით მილიონ ასი ათასი კაცით. სახეზეა მოსახლეობის დაბერების ტენდენცია. ასევე დიდია მიგრანტთა რაოდენობაც.

**— ამბობენ, რომ მოსახლეობამ უამრავი მკვდარი სული აჩვენა აღწერის ფორმაში და ამით ხელოვნურად გაიზარდა მოსახლეობის რიცხვი.**

— შეიძლება ზოგიერთმა ასეც გააკეთა, მაგრამ ეს საერთო სურათს მნიშვნელოვნად არ შეცვლის.

**— როგორც ვიცით, სახელმწიფო ბიუჯეტმა აღწერა მხოლოდ 70%-ით დააფინანსა და ამის გამო სიძნელეებიც შეგექმნათ.**

— რა თქმა უნდა, ფინანსების უკმარისობამ ხელი შეგვიშალა, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ ბიუჯეტი ამ ღონისძიებას ბოლომდე დააფინანსებს. ფინანსებთან დაკავშირებით სჯობს დეპარტამენტის საფინანსო-სამეურნეო სამმართველოს უფროსს, ავთო კურტანიძეს დაუკავშირდეთ.

**ავთო კურტანიძე:** — შარშან მოსახლეობის საყოველთაო აღწერა საქართველომ საოცრად მცირე სახსრებით ჩაატარა. თუ საზღვარგარეთის ქვეყნებს ერთი კაცის აღწერა სამიდან ხუთ დოლარამდე უჯდება, ხოლო რუსეთმა ანალოგიური ღონისძიებისათვის შარშან ორი დოლარი დახარჯა, თითოეული მოქალაქის აღწერისათვის საქართველომ 80 ცენტი იმყოფინა. ამ მაჩვენებლით გინესის რეკორდების წიგნში ვართ შესატანი.

**— რა თანხა გამოყო ბიუჯეტმა?**

— არ მინდა ამაზე ლაპარაკი(?!). გადაამრავლეთ 4 მილიონ 400 ათასი კაცი 80 ცენტზე და თანხას მიიღებთ.

**— რატომ მაძლევთ ასეთ „ძნელ“ დავალებას?**

— არ მაქვს სურვილი ამაზე ვილაპარაკო. ხაზინიდან ფულს ვერ ვიღებ. 250 ათასი ხელფასისა და აღწერის ფორმების დაბეჭდვის ვალი უნდა გავისტუმრო...

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ხაზინა თურმე დეპარტამენტს აღწერის დასამთავრებლად ფულს ვერ თუ არ აძლევს. მაგრამ ეს სხვა ინსტანციების გასარკვევია. თუმცა ხაზინის ხსენებისას სტატისტიკის დეპარტამენტის საფინანსო სამმართველოს უფროსმა მრავალმნიშვნელოვნად ჩაიცინა. მერე ჩემს დაეჭვებულ მზერას რომ წააწყდა, მიხვდა, ზედმეტი მოუვიდა და მითხრა: „არა, ხაზინა კარგად მუშაობს და პროცენტებს არც არავინ მთხოვს. თქვენ სხვა რამ არ იფიქროთ“.

*P.S. საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგების გამოქვეყნებას დაახლოებით 250 ათასი ლარი სჭირდება. ალბათ ხაზინა ამ ფულსაც გაიმეტებს, მაგრამ საკითხავი ის არის, რამდენად რეალური იქნება აღწერის საბოლოო შედეგები, მით უმეტეს მაშინ, როცა წინ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები გველის და როცა ყოველი მკვდარი სულის საარჩევნო ხმა თავის წონა „ოქროდ ღირს“.*

**ზვიად ჩაკვეტაძე**

# „არჩევნებში 60. 000 ყალბი პირადობის მოწმობის გამოყენებას შეეცდებიან“



ქართული პოლიტიკური სპექტრი საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადება. მომავალ არჩევნებზე ფსონები მაღალი იქნება, რადგან საკანონმდებლო ორგანოში უმრავლესობით მოსული ძალა მომავალი 10 წლის მანძილზე პოლიტიკური ამინდის შემქმნელი და მთავარი დირიჟორი იქნება. სწორედ ამიტომ ელიან შემოდგომაზე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ამბიციურ ახალგაზრდებსა და ძველი თაობის პოლიტიკოსებს შორის. ბუნებრივია, ძველები მდგომარეობის შენარჩუნებას შეეცდებიან, ახლები კი სახელისუფლებო სადავეების ხელში ასაღებად იბრძოლებენ და არც ის იქნება გასაკვირი, რომ ბრძოლაში ყველა თავის ნაცად თუ ახალ ხერხს და მეთოდს გამოიყენებს.

პარტიებისთვის წინასაარჩევნოდ პოზიციების გამყარების ერთ-ერთი მეთოდი ამომრჩეველთა სიებით მანიპულირებაა (ამ მეთოდს შეძლებისდაგვარად ყველა ძალა იყენებს). სწორედ საარჩევნო სიების შედგენისა და გადამოწმების მექანიზმზე გაიმართა დიდი დავა-კამათი პარლამენტში. ოპოზიცია შიშობს, რომ სახელისუფლებო ძალები ნაცად ბერკეტებს აამოქმედებენ და სიებში შეყვანილი მკვდარი სულებისა და უცხოეთში გადახვეწილი ჩვენი თანამოქალაქეების ხმებს თავიანთ სასარგებლოდ ჩაყრიან საარჩევნო ურნებში. ფრაქცია „მრეწველების“ თავმჯდომარემ **ზურაბ ტყემალაძემ** კი საშიში ინფორმაცია ამცნო საზოგადოებას, არჩევნებისთვის ყალბ პირადობის მოწმობებს გამოიყენებენო. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მას რამდენიმე კითხვით მივმართეთ:

> **— 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ 60. 000 ყალბი პირადობის მოწმობა დაუბეჭდავთ. პირადობის მოწმობებით მიღებული ხმები მშვენივრად გამოიყენა სახელისუფლებო ძალამ, — ის ყალბი დოკუმენტაცია დღესაც ზოგიერთი პირის ხელთაა და ვფიქრობ, საშემოდგომოდ მათ ისევ წარმატებით გამოიყენებენ.**

— გავიგე, რომ 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ 60.000 ყალბი პირადობის მოწმობა დაუბეჭდავთ. პირადობის მოწმობებით მიღებული ხმები მშვენივრად გამოიყენა სახელისუფლებო ძალამ, — ის ყალბი დოკუმენტაცია დღესაც ზოგიერთი პირის ხელთაა და ვფიქრობ, საშემოდგომოდ მათ ისევ წარმატებით გამოიყენებენ.

პარლამენტში ყველანი შეთანხმებულნი ვიყავით, რომ წინასაარჩევნოდ ახალი პირადობის მოწმობების შემოსაღებად ვიბრძოლებდით. დღეს კი უკვე ცხადია, რომ არჩევნებზე ხმების მიცემა ძველი მოწმობებითა და ძველი საარჩევნო სიებით მოხდება.

**— არჩევნების მომზადების საგანგებო საპარლამენტო კომისიის მიერ შემოტანილი ცვლილებები რას გულისხმობს?**

— იმას, რომ შს სამინისტრომ და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უნდა გადასცენ სიები საარჩევნო კომისიებს. სიები რომ უვარგისია, ყველამ ვიცით. წინასაარჩევნოდ მოსახლეობის აღწერა ჩატარდა, მაგრამ სტატისტიკის დეპარტამენტი მისი გამოქვეყნებისგან თავს იკავებს. არადა, აღწერისთვის მილიონები დაიხარჯა. აქ ორი რამ შეიძლება ვივარაუდოთ: ან აღწერისთვის გამოყოფილი ფული შეიჭამა და საქმე არ გაკეთდა, ან ვიღაცას ხელს არ აძლევს მოსახლეობის რეალური რაოდენობის დაფიქსირება.

საარჩევნო კანონპროექტში ყველა ძალა სათავისო ცვლილების შეტანას ცდილობს, რათა მღვრიე წყალში იოლად დაიჭირონ თევზი. ვახტანგ ხმალაძეს, რომელმაც ეს კანონპროექტი წარმოადგინა, ბრალს არ ვდებ, მაგრამ მასში მკვეთრად ჩანდა ერთი პოლიტიკური ძალის ინტერესი.

**— რომელ პოლიტიკურ ძალას გულისხმობთ?**

— იმას, რომელმაც წინა საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა, ვის ხელშიც იყო მაშინ „მოქალაქეების“ საარჩევნო შტაბი, გვარებს ნუ დამასახელებინებთ... ზემოთ ნახსენები 60.000 პირადობის მოწმობა მათ გამოიყენეს.

**— ისე „მოქალაქეებთან“ და ხელისუფლებასთან მწვავედ დაპირისპირებულ ძალად „მრეწველებიც“ არ აღიქმებით.**

— ჩვენ პარტიის შექმნის დღიდან მიუმხრობელი ძალა ვიყავით.

**— მაშინ სააკაშვილის ოპოზიციურ გაერთიანებაშიც მიგიწვევდნენ.**

— სააკაშვილი ოპოზიციონერად არ მიმაჩნია. „მოქალაქეთა კავშირი“ მარტივ მამრავლებად იმიტომ დაიშალა, რომ ისევ გაერთიანებულიყო. აქაოდა, ფერი ვიცვალეთ, ის აღარ ვართ, რაც უწინ ვიყავითო. თავიდანვე გამორიცხული იყო, რომ სააკაშვილი და ჟვანია ცალ-ცალკე იქნებოდნენ.

**— მაგრამ ფაქტია, რომ ისინი აღარ არიან შევარდნაძესთან.**

— მერწმუნეთ, შევარდნაძემ თუ მათ მიმართ ოდნავი სიმპათია გამოამჟღავნა, სააკაშვილიც და ჟვანიაც სიამოვნებით მივლენ მასთან.

**— რაკი ჯორბენაძესთან „მრეწველები“ იოლად პოულობთ საერთო ენას, ითქვა, წინასაარჩევნოდ „მოქალაქეები“ და თოფაძის პარტია ითანამშრომლებენო...**

— საერთო ენას ჟვანიასთანაც იოლად ვპოულობ და ჯორბენაძესთანაც. მით უმეტეს, რომ ჯორბენაძესთან დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებს. ჩვენ ურთიერთსიმპათია მის სახელმწიფო მინისტრად გახდომამდე გვქონდა.

**— ვთქვათ, არ შესრულდა თქვენი მოთხოვნა ახალი პირადობის მოწმობებთან დაკავშირებით?**

— აუცილებლად შესრულდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, პარლამენტში შემოსულ არც ერთ კანონპროექტს არ დავუჭერთ მხარს.

**იზო რუკაძე**

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 1-ლი მარტიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,1450 |
| ევრო | 2,3082 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,3863 |
| რუსული რუბლი | 0,0697 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,3406 |

## პანკისში პატრულს ცეცხლი გაუხსნეს

პანკისის ხეობის სოფ. ჯოყოლოს ბოლოს, ბორჩაშვილების უბანთან, ზამთრის უკანასკნელ დღეს ავტომატის ჯერი გაუხსნეს იმ მობილური პატრულის ავტომობილებს, რომლებშიც პოლიციელები და შინაგანი ჯარების მებრძოლები ისხდნენ. ინციდენტის ადგილზე დამატებითი დანაყოფი და საბრძოლო ტექნიკა გაიგზავნა. აღმოჩენილი იქნა ავტომატის 30-მდე მასრა. პატრულის მანქანას ექვსი გამჭოლი ნატყვიარი აქვს, რის გამოც პროკურატურამ უკვე აღძრა საქმე განზრახ მკვლელობის მცდელობის მუხლით. დაკავებულია რამდენიმე ეჭვმიტანილი. ეს პირველი ამგვარი შემთხვევაა და ამიტომაც შემაშფოთებელი. არ არის გამორიცხული, რომ პროვოკაცია დაკავშირებულია პანკისის ხეობაში ანტიკრიმინალური და ანტიტერორისტული ოპერაციის მორიგ ეტაპთან.

ეს ეტაპი ითვალისწინებს პანკისის ხეობაში დამატებითი ძალების შეყვანას, მათ შორის, თავდაცვის სამინისტროდანაც. როგორც ადრე აღვნიშნავდით, საქართველოს ხელისუფლება შიშობს, თოვლის დადნობის შემდეგ უკანონო შეიარაღებულმა დაჯგუფებებმა კვლავ არ მოინდომონ თავის შეფარება პანკისის ხეობაში. ბოლო მოვლენების შემდეგ ჩეჩნურ შეიარაღებულ ფორმირებებს საზღვარგარეთიდან ადრინდებურად უკვე აღარ უჭერენ მხარს. აშშ-ის სპეცსამსახურები აქტიურად თანაშრომლობენ როგორც ქართველ, ისე რუს კოლეგებთან ჩეჩნეთში არაბი ტერორისტების ჯგუფების მოქმედების აღსაკვეთად. ამიტომაც არ არის გამორიცხული, რომ ეს უკანასკნელები ეცდებიან, ჩეჩნეთი დატოვონ და თავშესაფარი სხვაგან იპოვონ. ძველი ინერციით, მათთვის პანკისის ხეობა ამ მხრივ კვლავ მისაღებია. შესაძლოა, 28 თებერვალს, პანკისის ხეობაში ქართველი სამართალდამცავების პატრულის ავტომობილების დაცხრილვა დასაშინებელი აქციაც იყოს — ზაფხულში ჩვენს ძმებს ველოდებით ჩეჩნეთიდან და სჯობს აქედან დროზე აიბარგოთო. თუკი ასეთი ინციდენტები შემდგომშიც გაგრძელდა და, მით უმეტეს, მსხვერპლით დამთავრდა, საქართველოს ძალოვანი სტრუქტურებიც, ბუნებრივია, მათ საკადრის პასუხს გასცემენ. ეს კი, საშიშროებას ქმნის, პანკისის ხეობა პატარა ჩეჩნეთს დაემსგავსოს.

## სავალდებულო სამხედრო სამსახურს კვლავ ემალებიან

28 თებერვალს დასრულდა შარშანდელი საშემოდგომო გაწვევა, რომელიც, წესით, საახალწლოდ უნდა დამთავრებულიყო. საშემოდგომო გაწვევის კიდევ ორი თვით გაგრძელების მიუხედავად, გეგმა მაინც არ შესრულდა — სავალდებულო სამხედრო სამსახურში მხოლოდ 37,4%-ია გაწვეული ანუ 6.301 წვევამდელის ნაცვლად, სამხედრო ფარაჯა მხოლოდ 2.350-მა კაცმა ჩაიცვა. 1.652 წვევამდელის მშობელმა კი არ დაინანა მოსაკრებლის — 200 ლარის — გადახდა და შვილს ჯარში გაწვევა ერთი წლით გადაუვადა. თვე-ნახევარში უკვე ახალი, საგაზაფხულო გაწვევა იწყება, მაგრამ ჩანს, გეგმა არც მაშინ შესრულდება.

## ამერიკელები საქართველოში იარაღის ტარების დაკანონებას ითხოვენ

გასულ კვირას პარლამენტში არ შედგა „აშშ-ისა და საქართველოს მთავრობებს შორის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმების რატიფიცირება. ეს შეთანხმება ითვალისწინებს მრავალი სახის შეღავათს აშშ-ის სამხედრო და სამოქალაქო პერსონალისთვის საქართველოს ტერიტორიაზე მათი ყოფნისა და გადაადგილებისას. მათ შორის საქართველოში პასპორტებისა და ვიზების გარეშე შემოსვლას, იარაღის ქონას და ტარებას, აგრეთვე საელჩოს ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალისთვის განსაზღვრული პრივილეგიებისა და იმუნიტეტის მათთვის მინიჭებას და სხვა. ამ შეთანხმების ზოგიერთი პუნქტი არ შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონებს და აუცილებლად მოითხოვს დახვეწას, რის გარეშეც მიზანშეუწონელი იქნება მისი მიღება. ასეთი შეთანხმება რომ აუცილებელია, ნათელია — ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორები, რომლებიც „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამაში მონაწილეობენ, თითქმის ერთი წელია ისედაც იმყოფებიან საქართველოში და სამხედრო ფორმასაც ატარებენ, იარაღსაც. ამას კი, კანონიერი საფუძვლების შექმნა სჭირდება. საქართველოს პარლამენტი მალევე დაუბრუნდება ამ შეთანხმებას და ალბათ მის რატიფიცირებასაც მოახდენს.

## რუსმა, აზერბაიჯანელმა და ქართველმა მესაზღვრეებმა ერთად მუშაობა ისწავლეს

დაღესტნის ქალაქ კასპიისკში (ეს სწორედ ის ქალაქია, სადაც არაერთი ტერაქტი მოხდა), დასრულდა რუსი, აზერბაიჯანელი და ქართველი მესაზღვრეების ერთობლივი სამეთაუროსაშტაბო სწავლება. იგი ორ ეტაპად წარიმართა. თავდაპირველად, სამი მეზობელი ქვეყნის მესაზღვრეები საზღვრის დამრღვევთა დაკავების ურთიერთშეთანხმებულ ქმედებებს ხვეწდნენ. შემდგომში კი რუსმა მესაზღვრეებმა თავიანთი საბრძოლო მზადყოფნისა და ტექნიკური აღჭურვილობის დემონსტრაცია ჩაატარეს, თუმცა ამით თავიანთი ქართველი კოლეგები ნაკლებად გააკვირვეს, რადგან ამ უკანასკნელთ უფრო თანამედროვე ტექნიკაც უნახავთ თურქ მესაზღვრეებთან ერთობლივ სწავლებაზე.

# ქართული არმიის მომავალი მხოლოდ პროფესიონალიზმშია

რედაქციაში ხშირად მოგვდის წერილები, რომელთა ავტორები გვთხოვენ, ვურჩიოთ, თუ როგორ გახდნენ „წვრთნისა და აღჭურვის“ ამერიკულ-ქართული პროგრამის მონაწილეები.

პროგრამაში ჩართვის მექანიზმის შესახებ „კვირის პალიტრამ“ გვერდში „ანიდან-ჰოემდე“ უკვე აუხსნა მკითხველს ეს პროცედურა. მთავარი და სასიამოვნო ის არის, რომ საქართველოს მოქალაქეებმა ნელ-ნელა იწამეს ამ პროგრამის მომავალი და სურთ ქვეყნის პროფესიონალი დამცველები გახდნენ თუნდაც სტაბილური ანაზღაურების გამო, რადგან შრომის საზღაურის გარეშე ადამიანი პროფესიონალი ვერასოდეს გახდება. გასულ კვირას შესაძლებლობა გვქონდა, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარესთან, ბატონ ირაკლი ბათიაშვილთან ერთად მოგვენახულებინა ჯერ იალღუჯაზე, კრწანისის პოლიგონზე „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამის მიმდინარეობა და შემდეგ თავდაცვის სამინისტროს ახალციხის 22-ე მსუბუქი ქვეითი ბრიგადა.


პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ბათიაშვილი საქართველოს სამხრეთ საზღვარზე — ახალციხეში სამხედროებისა და მესაზღვრეების პრობლემებს გაეცნო

ნანახი ერთმანეთისგან ისე განსხვავდებოდა, როგორც ცა და დედამიწა, რაც კიდევ ერთხელ გვიჩვენებს — ჯარში მხოლოდ მსურველებმა უნდა იმსახურონ.

„წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამაზე საუბრით თავს აღარ შეგაწყენთ, მაგრამ ერთი რამ აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ — „კომანდოს“ ბატალიონისგან განსხვავებით, სახხერის ბატალიონი მომზადებას ზამთრის პერიოდში გადის. ეს უკანასკნელნი, მართალია, კარვების ნაცვლად შენობებში ცხოვრობენ, მაგრამ სისტემატური უშუქობა ძალიან ბევრ პრობლემას უქმნით. ცოტა ხნის წინ ბატალიონის ნახევარი გრიპმა ლოგინში ჩააწვინა, შეიძლება იმიტომაც, რომ უდენობის გამო, სათანადოდ ვერც ყაზარმა თბება და რაც არანაკლებ მთავარია, არც ცხელი შხაპი აქვთ, არადა ინტენსიური ყოველდღიური ფიზიკური მომზადების შემდეგ მებრძოლებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ მუდმივი ცხელი შხაპი. ცუდი იქნება, თუკი საყოფაცხოვრებო პირობების მოუგვარებლობით „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამას პრობლემები შეექმნება.

ახალციხის 22-ე ბრიგადის შენობა-ნაგებობები კი ძალზე პირქუშად გამოიყურება. ერთი საუკუნის წინ აგებული შენობების უმრავლესობა ამორტიზებულია (ამ სტატიის ავტორი ახალციხის ყოფილ მე-10 კადრირებულ დივიზიაში 1992 წლის 13 აგვისტოსაც იმყოფებოდა და შეუძლია შეადაროს, თუ რა დღეშია ამჟამად ეს შენობები).

თავდაცვის სამინისტროს სულაც არ სჭირდება ყველა ამ შენობისა თუ საწყობის გარემონტება, რადგან შესანახი ბევრი არაფერია და არც პირადი შემადგენლობაა იმდენი, რომ ათობით ყაზარმა შეავსონ. უპრიანი იქნება, თუ მთავარი სამხედრო უწყება ამ გამოუყენებელ შენობებს ქონების მართვის სამინისტროს გადასცემს შემდგომ გასაყიდად, თუნდაც სამშენებლო მასალის სახით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოფილი დივიზიის სამხედრო ქალაქების უზარმაზარი ტერიტორიების დასაცავად საკმარისი ჯარისკაცებიც კი არ ჰყავთ. თანაც ჯარისკაცები უმთავრესად ყარაულში დგომით ცდებიან და საბრძოლო მომზადებას ნაკლებ დროს ანდომებენ.

იმედად ის რჩება, რომ თავდაცვის სამინისტროს გაისიდან განზრახული აქვს ახალციხის ბრიგადის რეორგანიზება, რამაც ეს შენაერთი უფრო ბრძოლისუნარიანი უნდა გახადოს.

***იალღუჯა-ახალციხე-თბილისი***

## ქართველი მეზენიტეებიც ემზადებიან

ამერიკა ერაყთან საომრად ემზადება, თუმცა უსაქმოდ თურმე არც ქართველი მეზენიტეები რჩებიან, რომლებმაც გაზაფხულის პირველივე დღე რაკეტების სროლით აღნიშნეს.

1-ელ მარტს ქუთაისთან, სიმონეთის პოლიგონზე, გაიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საჰაერო ძალების საჰაერო თავდაცვის საზენიტო დანაყოფების პრაქტიკული სწავლება.

იმის გათვალისწინებით, რაც ქართულ ცაში ხდება, მკითხველისთვის გასაგები იქნება, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება რეალურ საბრძოლო ვითარებასთან მიახლოებულ პირობებში მეზენიტეთა მომზადებას.

როგორც პრაქტიკული სწავლების ხელმძღვანელმა, სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარი შტაბის უფროსმა პოლკოვნიკმა **ამირან სალუქვაძემ** გვითხრა, მეზენიტეებმა რეალური საბრძოლო სროლები მოახდინეს საზენიტო-საარტილერიო, საზენიტო-სარაკეტო დანადგარებიდან და კომპლექსებიდან.

საზენიტო-საარტილერიო ცეცხლი წარმოებდა 23 მმ კალიბრის ЗУ-23-2 და 57 მმ კალიბრის С-60 ტიპის საზენიტო-საარტილერიო დანადგარებიდან, მაგრამ, რაც მთავარია, ქართველმა მეზენიტეებმა ივარჯიშეს გადასატანი Стрела-2М საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებით.

საერთოდ, „სტრელებით“ თუ „იგლებით“ სავარჯიშო სროლებისას ძირითადად უპილოტო მფრინავ სამიზნეებს იყენებენ, მაგრამ მათი უქონლობის დროს მარტივ ხერხს მიმართავენ — პოლიგონზე, მთის მწვერვალზე, ცეცხლს დაანთებენ და 1-1,5 კმ-ის სიშორიდან ესვრიან „სტრელებს“. სროლების შედეგები დამაკმაყოფილებლად შეფასდა.

სულ 80-მდე ზემსახურმა და ჯარისკაცმა გაიარა მეზენიტეების მომზადება. საგულისხმოა, რომ მათ შორის არიან როგორც „კომანდოს“, ისე ახალშექმნილი „ხევსურეთის“ ბატალიონის წარმომადგენლებიც; ანუ ის კონტრაქტით მომსახურე სამხედროები, რომლებსაც საჭიროების შემთხვევაში ოპერატიულად გადაისვრიან ჩეჩნეთ-ინგუშეთის საზღვრის სიახლოვეს.

ბუნებრივია, რომ რამდენიმე ათეული მეზენიტე 3-4 „სტრელის“ გასროლით საკმაო ცოდნას და პრაქტიკულ გამოცდილებას ვერ მიიღებდა, მაგრამ ყველას თითო „სტრელა“ რომ ესროლა, მაშინ აღარაფერი დაგვრჩებოდა. იმედს იძლევა ის გარემოება, რომ ორსამ კვირაში საზღვარგარეთის ერთერთი ქვეყნიდან ქართველ მეზენიტეებს ჩამოუტანენ „სტრელასა“ და „იგლას“ სროლის სწავლების სპეციალურ ტრენაჟორს, რომელიც რეალური გასროლების გარეშე („იგლას“ ერთი რაკეტის საფასური დილმის ბაზარზე გამოტანილი ნახმარი „ჯიპის“ ფასის ტოლია) მათ ეფექტიან ხმარებას შეასწავლის.

სხვათა შორის, სპეცსამსახურებს მოუწევთ (თუ უკვე არ აკეთებენ ამას) აღრიცხვაზე აყვანა თითოეული იმ მეზენიტისა, ვინც გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის ხმარებას შეისწავლის, რადგან ამ ხელობის სამხედრო (ისევე, როგორც მენაღმე) პირი პირდაპირ მისწრებაა საერთაშორისო ტერორისტებისთვის.

## ჩეხური კომპანია „ტომაში“ შარქოფს...

*როგორც გაზეთის წინა ნომერში მოგახსენეთ, თუ ჩეხი ჟურნალისტების გამოძიება დაადასტურებს, რომ ჩეხური ფირმები, საქართველოში იარაღის გაყიდვის საბაბით, მსოფლიოს კონფლიქტების ზონებში ყიდდნენ იარაღს, ამას შესაძლოა დიდი სკანდალი მოჰყვეს. ობიექტურობის დაცვის მიზნით, დავუკავშირდით ჩეხური კომპანია* Thomas-*ის რეგიონალურ დირექტორს ბატონ* ***რევაზ ჭერელიძეს*** *და აღნიშნულის შესახებ კომენტარი ვთხოვეთ:*

— ჩეხი ჟურნალისტების მიერ თქვენთვის მოწოდებული ცნობა არ შეესაბამება სიმართლეს. მე თქვენი სტატიის შესახებ შევატყობინე Thomas-ის ხელმძღვანელობას და ისინი გაარკვევენ, საიდან მოდის ეს ინფორმაციები, — გვითხრა ბატონმა რევაზმა, — ტანკები კი ნამდვილად იმდენი გამოგვიგზავნეს, რამდენიც სტატიაშია მითითებული — 12 ცალი.

— **რამდენ ფირმას აქვს ლიცენზია, იარაღის ექსპორტისთვის?**

— ჩეხეთში ხუთ ფირმას აქვს იარაღის საზღვარგარეთ გაყიდვის ლიცენზია. შესაძლოა მიმდინარეობს წმინდა კომერციული დაპირისპირება, რაც ჩეხეთში პერიოდულად ხდება.

— **გამორიცხავთ საქართველოსთვის მიყიდვის საბაბით ჩეხური იარაღის სხვა ქვეყნებში მოხვედრას?**

— ჩვენი კომპანიისგან გამორიცხულია, რომ ერთი ქვეყნისთვის განკუთვნილი ტექნიკა სხვა ქვეყანაში მოხვდეს. მით უმეტეს, რომ მძიმე ტექნიკის ექსპორტი ვენის კონვენციით რეგულირდება და მათი რაოდენობა კვოტებს ემორჩილება. ვინმემ რომ მაინც სცადოს ამის გაკეთება, უდიდეს სირთულეებს წააწყდება. ამის გაკეთება მხოლოდ სახელმწიფოთა დონეზე თუ შეიძლება.

— **ბულგარეთის აეროპორტში დაკავებულ იარაღის პარტიაზე რას გვეტყვით?**

— ეს ტვირთი საქართველოსთვის იყო განკუთვნილი. პილოტები ბურგასში იმიტომ დასხდნენ, რომ საწვავი თვითმფრინავისთვის უფრო იაფად ეყიდათ. კომპანია Thomas-ის მიერ ტვირთის გამოგზავნა ყოველგვარი ფორმალობის დაცვით მოხდა და არ გვაინტერესებს, გადამზიდავებს რაიმე დამატებითი ტვირთის გადატანა თუ ჰქონდათ ჩაფიქრებული.

*„კვირის პალიტრა“ მაინც დაელოდება ჩეხი კოლეგების ჟურნალისტური გამოძიების საბოლოო შედეგს, რომელიც, სავარაუდოდ, ერთ-ორ კვირაში მეტ-ნაკლებად ნათელს მოჰფენს, იყენებენ თუ არა საქართველოს სახელს იარაღის შავ ბაზარზე.*

## ექსკლუზივი: კონტრაბანდული იარაღი შუა აზიიდან თურქეთში საქართველოს გავლით გაიტანეს

სურათზე გამოსახული სატვირთო ტრაილერი საქართველო-თურქეთის საზღვრიდან ათიოდე მეტრში, თურქი მესაზღვრეების ტერმინალზე დგას. იგი რამდენიმე ხნის წინ, საქართველო-თურქეთის საზღვრის ვალეს ტერმინალის გადაკვეთისას დააკავეს.

ქართველმა მესაზღვრეებმა და მებაჟეებმა, ამ ტრაილერს უკანონო ვერაფერი აღმოუჩინეს და მშვიდობიანად გაატარეს თურქეთის მხარეს. თურქმა მესაზღვრეებმა კი, სპეციალური მოწყობილობებით გაჩხრიკეს ეს მძიმეწონიანი მანქანა და ბოლოს აღმოაჩინეს ის, რასაც ეძებდნენ — ცეცხლსასროლი იარაღის დიდი პარტია.

ეტყობა, თურქ მესაზღვრეებს და სპეცსამსახურის წარმომადგენლებს ადრევე ჰქონდათ ინფორმაცია, რომ ამ ტრაილერით თურქეთში კონტრაბანდული ავტომატების შეტანას შეეცდებოდნენ, თორემ ნამდვილად ვერ მიაგნებდნენ, იმგვარად იყო დამალული.

„ხელმარჯვე ოსტატებს“ სატვირთო ავტომობილის მისაბმელის ლითონის კონსტრუქციების შიგნით ჩაუმალავთ დაშლილი იარაღის ნაწილები, გარედან კი ეს კონსტრუქციები კვლავ შეუდუღებიათ.

სატვირთო ტრაილერი შუა აზიიდან მოდიოდა, სადაც იარაღის უქონლობას არავინ უჩივის. ეტყობა, ინფორმაცია იარაღის კონტრაბანდის თაობაზე, იქიდანვე მიაწოდეს თურქეთის სპეცსამსახურებს (სხვათა შორის, როგორც ამბობენ, შუა აზიაში თურქული სპეცსამსახურების წარმომადგენლები აქტიურად მუშაობენ) და ამ უკანასკნელებმაც აღარ დაახანეს. თუმცა, ალბათ მაინც არ ენდნენ ქართველ კოლეგებს და ოპერაცია თავისსავე ტერიტორიაზე ჩაატარეს.



# მოსკოვს აშფოთებს ქართულ ცაში ამერიკული მზვერავის გამოჩენა

ხუთშაბათს, 27 თებერვალს, ქართულმა მხარემ კვლავ ბრალი დასდო რუსეთს საჰაერო სივრცის დარღვევაში, მაგრამ მოსკოვმა იუკადრისა — თქვენს ცაზე ჩემი კი არა, ამერიკული მზვერავი თვითმფრინავი დაფრინავდაო.

ეტყობა, ამჯერად რუსი სამხედროები არ ტყუოდნენ (თუმცა ორი რუსული ამოუცნობი საჰაერო ობიექტი იმ დღეს მართლაც „ეწვია" ჩვენს ცას), თუმცა საქართველო თავიდან ამას მალავდა. ალბათ იფიქრა, თუკი ჩვენი რადარები ხშირად ვერ ამჩნევენ ცაში თვითმფრინავს, რუსებიც „ბრმები" იქნებიანო.

მაგრამ ნურას უკაცრავად! რუსეთის სამხედრო საჰაერო ძალების წარმომადგენელმა ოფიციალურად განაცხადა, რომ 27 თებერვალს, საქართველოს საჰაერო სივრცეში, 20 კმ სიმაღლეზე, რუსეთის საზღვრიდან 20-25 კმ-ში, დაფრინავდა ამერიკული სადაზვერვო თვითმფრინავი U-2S, რომელსაც თვალს ადევნებდნენ რუსული ლოკატორები.

ლეგენდარული U-2-ის ქართულ ცაში გამოჩენა იმაზე მეტყველებს, რომ თბილისი უკვე გახდა ვაშინგტონის სტრატეგიული პარტნიორი, რადგან ამ სტრატეგიული დანიშნულების სადაზვერვო თვითმფრინავებს, როგორც წესი, მხოლოდ განსაკუთრებული მნიშვნელობის დავალებებზე გზავნიან.

აშშ-ის სტრატეგიული ავიაციის მეთაურობამ პირველი სადაზვერვო U-2-ები ჯერ კიდევ 1956 წელს მიიღო შეიარაღებაში და მას შემდეგ „სისხლს უშრობდა" საბჭოთა კავშირს. U-2-ები 20-21 კმ-ის სიმაღლეზე სერავდნენ ხოლმე საბჭოთა კავშირის დიდ ნაწილს და მოსკოვის თავზეც დაუსჯელად დანავარდობდნენ. ფაქტობრივად, 1960 წლამდე, პენტაგონს თითქმის ყველა საბჭოთა სტრატეგიული ობიექტის საჰაერო სადაზვერვო სურათი ჰქონდა, რადგან საბჭოთა გამანადგურებელი თვითმფრინავები 20 კმ-ის სიმაღლემდე ვერ ადიოდნენ და ვერაფერს აკლებდნენ ამერიკელ მზვერავს.



27 თებერვალს ქართულ ცაში ასე გამოიყურებოდა მზვერავი U-2S

ნავსი მხოლოდ 1960 წლის 1-ელ მაისს გატყდა — პაკისტანიდან შემოფრენილი U-2 სვერდლოვსკთან იმ დროს ჩამოაგდეს, როცა მისმა პილოტმა, პაუერსმა, სურათები გადაუღო მაშინ ყველაზე საიდუმლო საბჭოთა ობიექტს — კოსმოდრომ „ბაიკონურს". პაუერსი იმ დროისათვის ახალმა C-75 ტიპის საზენიტო რაკეტამ ჩამოაგდო. თავად პილოტმა პარაშუტით მშვიდობიანად დაშვება მოახერხა. იგი დაატყვევეს და შემდეგ ამერიკაში დაჭერილ საბჭოთა მზვერავ აბელზე გაცვალეს. სხვათა შორის, იმ დღეს, 1-ელ მაისს, პაუერსთან ერთად, მეორე საბჭოთა საზენიტო რაკეტამ ერთი თავისი გამანადგურებელიც ჩამოაგდო, რომლის პილოტიც დაიღუპა.

მას შემდეგ U-2-ებს საბჭოთა ცაში გზა გადაეკეტათ. არ გაუვლია დიდ დროს, რომ მათ თავი ისახელეს — 1962 წელს „კარიბის კრიზისის" დროს კუბაში საბჭოთა ბალისტიკური რაკეტები აღმოაჩინეს. ერთი U-2 საბჭოთა საზენიტო რაკეტამ კუბის ციდან „ჩამოხსნა".

**ჩვენი დოსიე: U-2-ის მაქსიმალური ასაფრენი წონა 10 ტ-ზე მეტია. მისი სიგრძეა 15 მ, ხოლო ფრთაგაშლილობა — 24 მ. ცაში ადის 27 კმ-მდე, ხოლო 20 კმ სიმაღლეზე ფრენის კრეისერული სიჩქარეა 740 კმ/სთ.**

სპარსეთის ყურეში მოსალოდნელ ომთან დაკავშირებით პენტაგონმა ორი სტრატეგიული მზვერავი U-2S საუდის არაბეთში, ელ-ჰარჯის ბაზაზე გადაისროლა, ხუთი კი არაბთა გაერთიანებული საამიროების ელ-დაფას სამხედრო აეროდრომზე განათავსა.

საქართველოს ცაში 27 თებერვალს გამოჩენილი U-2S-ც, სავარაუდოდ, ერთ-ერთი ბაზიდან შემოფრინდა, რაც მას არ გაუჭირდებოდა, რადგან შეუძლია 4.635 კმ სიშორეზე 15 სთ-იანი სადაზვერვო ფრენა განახორციელოს. ამ ხნის განმავლობაში მისმა ერთადერთმა პილოტმა შიმშილით გონება რომ არ დაკარგოს, კოსმონავტივით, ისიც სპეციალურ ტუბებში მოთავსებული თხევადი საკვებით საზრდოობს.

U-2S-ის საქართველოს ცაში გამოჩენა შემთხვევითი სულაც არ არის. მასზე დაყენებულია საჰაერო დაზვერვის თანამედროვე საშუალებები. მათ შორის: ელექტრონული დაზვერვის ავტომატური სისტემა GU, სადაზვერვო ფოტოაპარატები და, რაც მთავარია, ფირმა „პიუზის" გვერდითი ხედვის საბორტე რადიოლოკატორი.

სწორედ ეს მოწყობილობა აძლევს შესაძლებლობას U-2S-ს, მოწინააღმდეგის ტერიტორია მის საჰაერო სივრცეში შეუსვლელად დაზვეროს. რუსი მეზენიტეები ალბათ შეაშფოთა ამერიკული U-2S-ის საქართველოს სივრცეში, რუსეთის საზღვრის გასწვრივ ფრენამ — მას შეეძლო დაეზვერა ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული ობიექტების ნაწილი.

არადა ჩრდილოეთ კავკასია რუსეთის ფედერაციის უკიდურესი სამხრეთი საზღვარია და მოსკოველი სამხედრო სტრატეგები არ გამორიცხავენ ამ მიმართულებიდან NATO-ს ჰიპოთეზურ საჰაერო თავდასხმას.

საბჭოთა პერიოდში ამერიკული U-2-ები სსრკ-ის საზღვრის გარშემო დაფრინავდნენ და ცდილობდნენ, საზღვრისპირა რაიონები მაინც დაეზვერათ. მაშინ U-2-ები თურქეთის საჰაერო სივრციდან ჩრდილოეთ კავკასიას ვერ სწვდებოდნენ და მხოლოდ საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში განთავსებული საბჭოთა სტრატეგიული ობიექტების ფოტოგრაფირებით კმაყოფილდებოდნენ.

U-2-ებიდან საჰაერო მონიტორინგზე ბაღდადელი „მბრძანებელი" სადამ ჰუსეინიც კი თანახმაა. ასე რომ, ჩვენს საჰაერო სივრცეში იმ ქვეყნის მზვერავი თვითმფრინავების გამოჩენა, რომელსაც ძმობას ვფიცავთ, საგანგაშო არ უნდა იყოს.

პირიქით, ამ ფაქტის ჩვენ სასარგებლოდ გამოყენებაც შეიძლება — 20 კმ-ის სიმაღლიდან, თანამედროვე სადაზვერვო რადიოელექტრონული აპარატურით, დღე-ღამის ნებისმიერ დროს და რთულ მეტეოროლოგიურ პირობებშიც, ოპერატიულად დაფიქსირდება ყველა ის მცირერიცხოვანი ჯგუფიც კი, რომელიც თოვლის დადნობისთანავე შეეცდება ჩეჩნეთიდან თუ ინგუშეთიდან საქართველოში გადმოსვლას, რასაც ასე უფრთხის ოფიციალური თბილისი.

არსენალი

# რაკეტით — რაკეტაზე

## რამდენად გვემუქრებიან ერაყული „სკადები"



საბჭოთა „სკადი" ერაყში

თუკი დავუჯერებთ რუსულ რეაქციულ გაზეთ „ზავტრას", რომელიც სადამ ჰუსეინისა და „პირველი" რუსი კომუნისტის, ზიუგანოვის შეხვედრის ამბავს გვაუწყებს, ერაყის ბელადი იცნობს საქართველოს, დიდად აფასებს მის ერთ შვილს — იოსებ ჯუღაშვილს — სტალინს, ხოლო მეორეს — ედუარდ შევარდნაძეს, აუგად მოიხსენიებს და ამერიკელთა ხელქვეითს უწოდებს.

აქედან გამომდინარე, მთლიანად ვერ გამოვრიცხავთ, რომ ერაყთან ომის დაწყების შემთხვევაში, ჩვენკენ რომელიმე ერაყული რაკეტა არ გამოფრინდება. ჩვენი მონაცემებით, ეს საშიშროება უფრო გაიზრდება, თუკი პენტაგონი საქართველოს ტერიტორიიდან ან საჰაერო სივრციდან მიიტანს იერიშს ერაყზე.

მაინც რითი შეუძლია დაემუქროს ერაყი მისგან 450-500 კმ-ით დაშორებულ საქართველოს?

12 წლის წინ, „უდაბნოს ქარიშხლის" ოპერაციის დროს, მოკავშირეთა ავიაციამ გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა ერაყის სამხედრო ინფრასტრუქტურას, მათ შორის სამხედრო აეროდრომებს და იქ განთავსებულ თვითმფრინავებს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, სადამ ჰუსეინმა მაინც შეინარჩუნა ზოგიერთი ტიპის საბრძოლო თვითმფრინავი, რომლებსაც 500 კმ რადიუსზე შორს შეუძლიათ განახორციელონ დაბომბვა. ესენია: 4 ერთეული ფრენის საშუალო სიშორის ბომბდამშენი Ту-22 და ერთიც — Ту-16, რომლებიც ბაღდადთან ახლოს, ელ-ჰაბანიას აეროდრომზე დგანან. ისინი საბჭოთა კავშირმა ერაყს სულ ცოტა, 20 წლის წინ მიჰყიდა და საეჭვოა, ბრძოლისთვისვარგისი იყოს.

ალბათ ერაყი დასაბომბად მოიერიშე Су-25-ებს გამოიყენებს. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ თბილისშივე აწყობილი თვითმფრინავები ისევ თბილისს დაემუქრონ, როგორც ეს ბოლო წლებში ჩრდილოეთიდან, რუსეთიდან ხდება.

თავის დროზე ერაყს თბილისმა 68 მოიერიშე მიჰყიდა, რომლებიც ერაყში ჩასულმა ქართველმა სპეციალისტებმა ააწყვეს. მათგან სადამ ჰუსეინს დღეს მწყობრში 30-ღა დარჩა (7 ამ ტიპის მოიერიშე 1991 წელს ირანში გადაფრინდა, ორი — ამერიკულმა F-15-ებმა რაკეტებით გზაში ჩამოაგდეს, დანარჩენი კი აეროდრომებზე გაანადგურეს).

დღეისათვის 16 ერთეული Су-25 ელ-ჰაბანიას ბაზაზე, ხოლო 14 ცალი — ბაღდადის ახლოს, აეროდრომზე დგას. დამატებითი ოთხი ჩამოსაკიდი ავზით ერაყული მოიერიშეები შეძლებენ საქართველოს დედაქალაქამდე მოღწევას, თუმცა შანსი მცირე ექნებათ (ისევე, როგორც სხვა ერაყელ თვითმფრინავებს), რადგან თურქეთის საჰაერო სივრცის რამდენიმე ასეული კმ ექნებათ გადმოსალახი.

თურქეთში კი NATO-მ უკვე დაიწყო თანამედროვე საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების შეტანა, რაც ერაყულ თვითმფრინავებს ჩრდილოეთ ერაყის თავზეც კი აღარ გააჭაჭანებს.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ერაყული ბომბდამშენი და მოიერიშე თვითმფრინავების საქართველოს საჰაერო სივრცემდე მოღწევა თითქმის გამორიცხულია, რჩება სხვა, უფრო მნიშვნელოვანი საშიშროება — ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულებისა და საშუალო სიშორის მოქმედების ბალისტიკური რაკეტები.

საერთოდ, ბალისტიკური რაკეტის ჩამოგდება ბევრად უფრო რთულია, ვიდრე თვით ზებგერითი გამანადგურებლისა. თუ უცხოელ სამხედრო ექსპერტებს დავუჯერებთ, სადამ ჰუსეინის განკარგულებაში კვლავ რჩება ტაქტიკური რაკეტების გასაშვები 50-მდე და ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების გასაშვები 6 მობილური დანადგარი.

ტაქტიკური რაკეტები, რომელთა ფრენის სიშორე 80-150 კმ-ზე მეტი არ არის, არ ემუქრებიან საქართველოს, თუმცა ამერიკელებს კი აშფოთებს, რადგან ერაყული „ელ-სამუმი" ქუვეითში ამერიკულ ბაზებს მისწვდება (ერაყს აკრძალული აქვს ჰქონდეს 150 კმ-ზე მეტი ფრენის სიშორის მქონე ბალისტიკური რაკეტები. თეთრ სახლს ომის დაწყების მორიგი საბაბი რომ არ მისცეს, ბაღდადი დათანხმდა „ას-სამუდ-2"-ების განადგურებას, რომლებიც განსაზღვრულზე 10-20 კმ-ით შორს მიფრინავდნენ).

საქართველოს ტერიტორიას ერაყის მხრიდან შეიძლება დაემუქროს სამი ტიპის ბალისტიკური რაკეტა — ოპერატიულ-ტაქტიკური, 8K14 და საშუალო სიშორის „ელ-ჰუსეინი" და „ელ-აბასი".

ბალისტიკური რაკეტა 8K14 შედის ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების სარაკეტო სისტემა 9K72-ში (NATO-ს კლასიფიკაციით SCUD-B-ში) და მას მაღალი გამავლობის მანქანიდან ისვრიან. სხვათა შორის, თბილისელებს და დედაქალაქის სტუმრებს თავის დროზე არაერთხელ უნახავთ ეს „ქმნილება" — „სკადის" რაკეტა წლების განმავლობაში საბურთალოზე, სამხედრო მუზეუმის წინ, კვარცხლბეკზე „იწონებდა" თავს (ეტყობა, შემდეგ ჯართში ჩააბარეს), ხოლო მთლიანად მობილური სისტემა, კომუნისტების დროს, სამხედრო აღლუმებზე, რუსთაველზე გაინავარდებდა ხოლმე („სკადის" ორი დანადგარი ელიას მთაზე, საარტილერიო ნაწილში ინახებოდა და რუსი სამხედროების გასვლის დროს დაწვეს).



რუსული C-300B სომხეთში

5,8-ტონიანი, 11 მ სიგრძის „სკადის" რაკეტის ფრენის მაქსიმალური სიშორე 300 კმ-ს არ აღემატება. ამიტომაც იგი შეიძლება დიდი გაჭირვებით მოსწვდეს საქართველოს საზღვრებს და ისიც მხოლოდ მაშინ, თუკი სადამის „სკადები" პარტიზანულად შეიჭრებიან თურქეთის ტერიტორიაზე.

ყველაზე საშიშია საშუალო სიშორის „ელ-ჰუსეინი" და „ელ-აბასი". სადამის კონსტრუქტორებმა მათი მოქმედების რადიუსი მარტივი ხერხით გაზარდეს — „სკადის" რაკეტის თითქმის ერთტონიანი (989 კგ) საბრძოლო ქობინის მასა შესაბამისად 250 და 500 კგ-ით შეამცირეს.

შემსუბუქებული და გაუმჯობესებული რაკეტული ძრავათი აღჭურვილი „ელ-ჰუსეინის" მოქმედების რადიუსი 550 კმ-მდე, ხოლო „ელ-აბასისა" — 850 კმ-მდე გაიზარდა. ეს კი სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ ამ ბალისტიკურმა რაკეტებმა შუა ერაყიდანაც კი მოაღწიონ საქართველოს ტერიტორიამდე. მართალია, მოდერნიზებულ ერაყულ ბალისტიკურ რაკეტებს ისედაც არადამაკმაყოფილებელი სროლის სიზუსტე უფრო გაუუარესდათ, მაგრამ მჭიდროდ დასახლებულ ქალაქებზე შეტევისას 2-3 კმ-ით აცდენა არაფერს ნიშნავს, მით უმეტეს, თუკი რაკეტას ჩვეულებრივი ფუგასურ-მსხვრევადი ქობინის ნაცვლად ქიმიური ან ბირთვული უყენია.

### რით შეიძლება თავის დაცვა?

ბალისტიკური რაკეტებისგან თავის დაცვა ძალზე ძნელია. მიუხედავად იმისა, რომ პირველად ბალისტიკური რაკეტა (P-5 ტიპის) ექსპერიმენტის სახით საბჭოთა მეზენიტეებმა ჯერ კიდევ 1962 წლის 4 მარტს ჩამოაგდეს, დღემდე მსოფლიოს არც ერთ ქვეყანას არა აქვს ისეთი საზენიტო სისტემა, რომელიც შეძლებდა ბალისტიკური რაკეტების უშეცდომოდ ჩამოგდებას.

„უდაბნოს ქარიშხლის" ოპერაციის დროს ერაყმა რამდენიმე ათეულამდე „სკადი" ესროლა ისრაელის ქალაქებს. მათი ნაწილი ამერიკულმა საზენიტო-სარაკეტო სისტემებმა — „პეტრიოტებმა" — ჩამოაგდეს. თუმცა ამერიკელი მეზენიტეების მოქმედების ფრიადზე შეფასება ძნელია, რადგან „პეტრიოტის" რაკეტა მართალია ერაყული „სკადის" გვერდზე ფეთქდებოდა, მაგრამ ფრენის ტრაექტორიას დიდად ვერ უცვლიდა და „სკადები" მაინც ებრაულ ქალაქებს აცვივოდა თავს.

დღეს ამერიკული „პეტრიოტების" ბოლო, მესამე მოდიფიკაციის სისტემებია გადასროლილი ერაყის საზღვრებთან. ახალ რაკეტებს დამიზნების უკეთესი მოწყობილობა და უფრო ძლიერი ქობინიც აქვთ — 40 მ-ის დაშორებით აფეთქების შემთხვევაშიც ისინი მიზანს მაინც ანადგურებენ.

„პეტრიოტის" რაკეტის სიგრძე 5,2 მ-ია, 906 კგ-ს იწონის და წამში 1,7 კმ სიჩქარეს ავითარებს. მათ თვითმფრინავებისა და ბალისტიკური რაკეტების განადგურება 100 კმ-ის დაშორებით 25 კმ სიმაღლეზეც შეუძლიათ.

„პეტრიოტის" საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები, ამერიკის გარდა (მათ „პეტრიოტის" გასაშვები 485 დანადგარი აქვთ, აქედან 104 რეზერვში) სხვა ქვეყნებსაც აქვთ: გერმანიას 36 კომპლექსი, იაპონიას — 120, რამდენიმე ცალი — ისრაელს.

ბალისტიკური რაკეტების წინააღმდეგ საბჭოთა კავშირმა თავის დროზე სპეციალურად შექმნა საჯარისო საჰაერო თავდაცვის სისტემა C-300B, რომელიც გათვალისწინებული იყო ამერიკული „პერშინგებისა" და „ლანსების"



ამერიკული „პეტრიოტი" თურქეთში

ჩამოსაგდებად. C-300B ორნაირ რაკეტას ისვრის. 5,8 ტ-იანი საზენიტო რაკეტა 9M82 100 კმ-ის სიშორეზე „პერშინგების" ჩამოსაგდებად იყო განკუთვნილი, ხოლო 3,5 ტ-იანი 9M83 კი 75 კმ-ზე დაშორებული „ლანსებისა" და „სკადების" გასანადგურებლად.

ამჟამად საქართველოს ახლოს, უფრო სწორად, ზუსტად საქართველო-ერაყის შემაერთებელ ჰიპოთეზურ ხაზზე განთავსებულია ორივე, ზემოხსენებული, შედარებით თანამედროვე საზენიტო-სარაკეტო სისტემების ბატარეები: C-300B-ები რუსებისა — სომხეთში, ხოლო ამერიკული „პეტრიოტები" — თურქეთში.

ბალისტიკური რაკეტების განადგურება ანტისარაკეტო სისტემებით ყველაზე ადვილია მაშინ, როდესაც რაკეტა ჯერ სტარტს იღებს და შედარებით მცირე სიჩქარე აქვს, ანდა ბალისტიკური ტრაექტორიიდან დაშვებისას. ფრენის ტრაექტორიის ყველაზე მაღალ წერტილში კი ვერც ერთი საზენიტო რაკეტა ვერ მისწვდება მას.

ამიტომაც კარგი იქნებოდა თანამედროვე საზენიტო ანტისარაკეტო სისტემების უშუალოდ საქართველოს ტერიტორიაზე განთავსება. ამით ჩვენი ქვეყანა მნიშვნელოვნად დააჩქარებდა ეფექტიანი ეროვნული საჰაერო თავდაცვის სისტემის მოწყობას. სჯობდა, ამერიკული „პეტრიოტების" ერთ დივიზიონს მაინც დაედო ბინა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში.

*რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა*

*ამას წინათ ერთი გახმაურებული მკვლელობის სასამართლო პროცესს დავესწარი. სასამართლო ყველანაირად ცდილობდა უსაფუძვლო ბრალდებებით დაუმტკიცებელი [illegible] ბრალეულობა. ამ დარგის სპეციალისტი არ გახლავართ, მაგრამ ჩემი აზრით, იმ დღეს სასამართლომ ამ სიტუაციაში არსებული ყველა მანკიერება წარმოაჩინა, როცა ადვოკატის ორმოცდაათი შუამდგომლობიდან მხოლოდ სამი დააკმაყოფილა.*

*ამ პროცესზე ჩემ უფრო დეტალურად ალბათ განაჩენის ძალაში შესვლის შემდეგ მოგიყვებით. ამჯერად კი მკითხველთან ერთად ცოტა შორეულ წარსულში გადავინაცვლებთ.*

*ჰოდა, ასე, — XVIII საუკუნის 70-იანი წლები და ქართული მართლმსაჯულების ერთი კურიოზული ეპიზოდი, რომელსაც თითქმის უცვლელად, ანუ იმ სახით მოგაწვდით, რა სახითაც მოვიძიე იგი ძველ სასამართლო არქივებში.*

### მებადურების „ნადავლი“

მიტუა მენაბდიშვილმა და ესტატე ქიაბრიშვილმა გამთენიისას ჩაუშვეს მტკვარში კამჭის [illegible] ბადეები, რომლებიც [illegible] გადმოქონდათ ხოლმე და ზედ გადასხდნენ.

საღამო ხანს კი ყარაიაზს უწიეს და წინა კვირას დაგებული ჩანგლები დაათვალიერეს. უბრალო მებადურები რომ ყოფილიყვნენ, ამისთვის არ წამოვიდოდნენ. თევზი ზემოთაც იყო მტკვარში, მაგრამ მიტუა და ესტატე ლოქოზე თევზაობდნენ. ლოქო კი თითქმის არ ამოდიოდა ყარაიაზს ზემოთ.

იმ ღამით ურემი იქირავეს ერთი ნაცნობი თათრისგან და გათენების პირს ჯერ ისევ ცოცხალი ლოქოების პოვრას შეუდგნენ. კარგად რომ ინათა, ესტატემ მდინარიდან ამოიღო, თევზი შეაგროვა და ზემოთ თხმელის ტოტები დააყარა [illegible]. ის იყო, [illegible] წყალში უნდა ჩაეყვენთა, რომ გაოცებისაგან პირჯვარი გამოისახა და მდინარეს ზემოთ დახედა — წყლის ზედაპირზე ულამაზესი ქალი ტივტივებდა და ნელ-ნელა, ტალღით მოუყვებოდა მტკვარს. ქალს ტანთ ქათქათა პერანგი ემოსა, ოქროსფერი თმა წყლის ზედაპირზე ფარშავანგის ბოლოსავით გაშლოდა, თვალები დაეხუჭა, პირი მოეკუმა და სამკაულებით დაფარული ხელები მკერდზე შემოეწყო.

ბრილიანტების ასობით სხივი ირეკლებოდა წყლის ზედაპირზე — ბეჭდები, სამაჯურები, ყელსაბამი თვალისმომჭრელად კაშკაშებდა. შეცბუნებულმა ესტატემ წამით ისიც კი იფიქრა, ეს ყველაფერი ხომ არ მელანდებაო, მაგრამ მერე ერთბაშად გამოფხიზლდა. მიხვდა, დამხრჩვალი ქალის გვამი იყო, რომელიც [illegible] ამ მდგომარეობაშიც კი ინარჩუნებდა [illegible]. ქალის ანგელოზისებურ სახეს და სხეულ ნაკაწრიც კი არ ეტყობოდა. მიტუამაც და ესტატემაც [illegible] გვამი მაინც უნახავთ მტკვარში. იცოდნენ, რომ [illegible] ქალებისა სწორედ ასე, გულაღმა, [illegible]

[illegible]

### სადაურსა სად წაიყვან

ერასტ ანდრიევსკი კავკასიის მთავარმართებლის აპარატში მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა და თბილისში დიდი ქონების მფლობელიც გახლდათ. აქვე შეირთო მშვენიერი ვარვარა თუმანიშვილი და ამ ქორწინებით ორბელიანებსაც დაუნათესავდა, რადგან პატარძალი დედის მხრიდან ამ დიდი გვარის ჩამომავალი გახლდათ. მოგვიანებით ოჯახი ოდესაში გადასახლდა, სადაც მათ უფროს ქალიშვილზე, ელენეზე ჯვარი დაიწერა აფხაზეთის მთავარმა, მიხეილის ვაჟმა გიორგი შარვაშიძემ და მეუღლესთან ერთად თბილისში, სიმამრის სახლში გადმოვიდა საცხოვრებლად. რაკი იქ სახლი კარგი, დიდი მეურნეობაც იყო მოსავლელი (ანდრიევსკის საქართველოში [illegible] ჰქონდა), მმართველად თავისი [illegible], პეტერბურგის უნივერსიტეტის გეოლოგიის ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტი დავით ჩქოტუა მოიწვია. გარდაცვალების წინ თავადმა ანდრიევსკიმ ანდერძით მთელი ქონება, მათ შორის, საქართველოშიც, თავის ორ ქალიშვილს უანდერძა.

მედიატორობდა დების თანხმობით ჯერ ორ თანაბარ ნაწილად გაყვეს ქონება და ქალაქის ნაგლეჯებზე შესაბამისი წარწერებით [illegible]. მერე ქუჩიდან მოიხმეს შემთხვევით გამვლელი პატარა ბიჭი, რომელმაც ქაღალდები ამოიღო და ერთი, ერთ დას გადასცა, მეორე კი — მეორეს. ყოველივე მშვიდობიანად დასრულდა. ოდესიდან საგანგებოდ ამ საქმისთვის ჩამოსული გიორგი შარვაშიძის სიდედრი ვარვარა თუმანიშვილი-ანდრიევსკაია და მისი [illegible] წლის ულამაზესი ქალიშვილი ნინა ანდრიევსკაია რამდენიმე დღით თბილისში დარჩნენ. მით უმეტეს, რომ ორი დღის შემდეგ მათი სიძე მეუღლესთან ერთად ქუთაისს გამგზავრა საქმეების მოსაგვარებლად. დავით ჩქოტუამ იმ დღეებში [illegible] ნინა ანდრიევსკაიას, რომ მისი წილი ქონების [illegible]

დედამისთან ერთად სახლში იყვნენ დავით ჩქოტუა, მზარეული ივლიანე გაბისონია, დარაჯი დიომიდე ქორიძე, მებაღე ივანე მჭედლიძე და ერთი მოახლე ქალი.

### განგაში

იმ დღეს დავითმა კორიდორში შემთხვევით შეხვედრილ ნინას უთხრა: — ქუთაისში მივდივარ, გიორგის შემოუთვლია, მამაჩემის საგვარეულო ხმალი ჩამომიტანე, აქაურ თავადაზნაურობას უნდა ვაჩვენოო და თუ რამე გინდათ ან თქვენ, ან დედათქვენს, ელოსთან ან გიორგისთან, შეგიძლიათ დამაბაროთო.

— ძალიან კარგი. ორივე მენატრება. საღამოთი წერილს დავწერ და დიდად დამავალებთ, თუ წაუღებთ.

ანდრიევსკების ქვის ორსართულიან სახლს სამი მხრიდან ერთიანად დაბურული ბაღი ფარავდა.

## მდინარის ზედაპირზე ულამაზესი ქალი ტივტივებდა...



მეოთხე, უკანა მხარე კი კედლის შვერილზე გადიოდა, რომლის ძირას ხმაურით მიედინებოდა ქართველების დედამდინარე მტკვარი. ეზოდან კლდიან ფერდობზე დაკლაკნილი, საცალფეხო ბილიკი ეშვებოდა, რომელიც ზედ წყლის პირას მდებარე მომცრო ბაქანზე მთავრდებოდა და რაკი ეს ყველაფერი მტკვრის ამავე ნაპირიდან უხილავი იყო, საღამოობით, როცა ადამიანის გარჩევა გაღმა მხრიდანაც ჭირდა, ამ ბილიკითა და ბაქნით სახლში მცხოვრები ქალებიც სარგებლობდნენ და სიამოვნებით ჭყუმპალაობდნენ მდინარეში. იმ დღეებში ნინა ანდრიევსკაია რამდენჯერმე დაეშვა ციცაბო ბილიკზე, რაც მათმა დარაჯმა, ფლეგმატურმა და დონდლო დიომიდე ქორიძემ ამ სახლში ცხოვრების შვიდი წლის მანძილზე ერთხელაც ვერ გაბედა. ნინა სულ სხვა იყო — ზამბარასავით მოქნილი, უბადლო ცხენოსანი და შესანიშნავი სპორტსმენი. მართალია, წყალში ერთხელაც არ ჩასულა და თავს ყოველთვის იმით იმართლებდა — ამ ბინძურ მდინარეში როგორ ვიბანავებო, მაგრამ ეს იმიტომ, რომ თავი არ გაეცა — ცურვა არ იცოდა, და მალულად ბრაზობდა: რატომ აქამდე ვერ ვისწავლეო.

— ჩამოდი, ჩამოდი, წყალი წელამდე ძლივს მწვდება... ნუ გეშინია, არაფერი დაგიშავდება, — აქეზებდა მას მოსამსახურე ცხვირპაჭუა ვარდო. მაგრამ ნინას ყოველთვის ერთი და იგივე პასუხი ჰქონდა — „წყალი ჭუჭყიანია“. ასე რომ, მთელმა სახლმა იცოდა, ნინა მტკვარში მხოლოდ ამ მიზეზით რომ არ ჩადიოდა. ამიტომაც შეშფოთდნენ, როცა ერთ საღამოს, შებინდებისას გაქრა და მისმა მძებნელებმა ნინას ნაცვლად, სწორედ იმ საბანაო ბაქანზე ნახეს აკურატულად დაწყობილი

> ქალს ტანთ ქათქათა პერანგი ემოსა, ოქროსფერი თმა წყლის ზედაპირზე ფარშავანგის ბოლოსავით გაშლოდა, თვალები დაეხუჭა, პირი მოეკუმა და სამკაულებით დაფარული ხელები მკერდზე შემოეწყო.

მისი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, რომელთაც მხოლოდ საცვლები აკლდა.

სწორედ იმ წუთებში, როცა მთელი სახლი ნინას ძებნაში იყო, მტკვრის მეორე მხარეს, იარაღის საწყობში ხანძარმა იფეთქა და რაკი ამ ადგილის ხილვა ანდრიევსკების ეზოდან უფრო მოხერხებული იყო, მეზობლები მათ ჭიშკარს მიაწყდნენ.

— ძაღლები შეამწყვდიეთ, არავინ დაკბინონ. ღმერთო ჩემო, რა დროს სეირის ყურებაა, გოგო დავკარგეთ, დავიღუპეთ, ნამდვილად დავიღუპეთ, — მალიმალ იმეორებდა მმართველი დავით ჩქოტუა.

### მიმდინარეობს გამოძიება

ქალაქის პოლიცმაისტერი მელიქ ბეგლიაროვი იმ ღამით მაინცდამაინც კარგ გუნებაზე ვერ იყო. ჯერ ქალაქისთავის ლანძღვა-გინება ვერ მოინელებინა — თეატრში მომხდარი ჩხუბის გამო და ამას ზედ თავადის ასულის გაუჩინარება და იარაღის საწყობის ხანძარი დაერთო. კიდევ კარგი, მანამ ჩააქრეს, ვიდრე ცეცხლი ტყვია-წამალს მოედებოდა, თორემ მაშინ გენახათ მისი შავი დღე — უეჭველად გადააყენებდნენ. მადლობა ღმერთს, ამ შარს გადარჩა, მაგრამ თავადის ქალის გაქრობაზეც ხომ მოსთხოვდნენ პასუხს.

— მაშასადამე, თქვენ ამბობთ, რომ მტკვარში შეგნებულად არ ბანაობდა იმ მიზეზით, წყალი ჭუჭყიანიაო. მაშ, რა უნდა მომხდარიყო?

— თქვენო ბრწყინვალებავ, ეჭვი და ვერსია ბევრია. ჩვენთვის საყურადღებო კი ალბათ ისაა, რომ რამდენიმე დღის წინ ამ გოგონამ ქონება გაუყო მის სიძეს, თავად შარვაშიძეს, რომელიც ამან ისე გაანაწყენა, რომ მივლინება მოიმიზეზა და ცოლიანად ქუთაისში გაიქცა. გარდა ამისა, გაყოფის შემდეგ, ფაქტობრივად, უსაქმოდ დარჩა მამულების მმართველი დავით ჩქოტუა — შესაბამისად, მასაც ჰქონდა განაწყენების საბაბი. მასვე უბრძანებია სარდაფში ძაღლების შეყრა. საფიქრებელია, რომ ეს თავისი ავი ჩანაფიქრის განსახორციელებლად სჭირდებოდა. არის კიდევ სხვა გარემოებებიც, რაც უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მკვლელობა ჩადენილია ანგარების მიზნით. ისიც ფაქტია, რომ იმ საღამოს ნინა ანდრიევსკაია ეზოდან არ გასულა.

— კეთილი... შეისწავლეთ, რას აკეთებს მისი დის ქმარი, თავადი შარვაშიძე ქუთაისში. სად დადის, ვის ხვდება და ასე შემდეგ. დააპატიმრეთ სახლში მცხოვრები ყველა მოსამსახურე, მათ შორის საქმეთა მმართველი ჩქოტუა. მკვლელები შინაურებში უნდა ვეძებოთ...

ბოლოს და ბოლოს, გვამი გამოჩნდა, თანაც თავისი ბრილიანტებიანად, თუმცა ამას სულ არ გაუნელებია მკვლელობის ეჭვი. მაძებრების ხელში ათობით ასეთ საქმეს გაუვლია, სადაც მკვლელობა ერთი მხრივ სწორედ ამგვარადაა შენიღბული, ანუ იქმნება თვითმკვლელობის იმიტაცია, მეორე მხრივ კი ეს ზოგიერთი მკვლელის ხელწერაცაა — ვკლავ და სხვა არაფერი მაინტერესებსო. კი, რა თქმა უნდა, რაღაც რაღაცებს აზვიადებდნენ, მაგრამ თუ წყალს არ ეკარებოდა, მართლაც როგორ უნდა დამხრჩვალიყო ეს ახალგაზრდა ქალი? საქმეს ყოველდღე ახალ-ახალი დეტალები ემატებოდა: ნინას ფეხსაცმელი იმ დღეს მზარეულ ივლიანე გაბისონიას ხარაზთან ჰქონია წაღებული ქუსლის შესაკეთებლად. შებინდებულზე კი ქალიშვილს დედამისისთვის უთქვამს: — დაბლა ჩავალ, მზარეულს ფეხსაცმელს გამოვართმევ და მალე ამოვალო, მაგრამ წავიდა და აღარ დაბრუნებულა. ფეხსაცმელი კი გაბისონიას საწოლის ქვეშ აღმოაჩინეს. აქედანვე გაჩნდა არცთუ ისე უსაფუძვლო ეჭვი, ხომ არ იყო ეს სატყუარა იმისთვის, რომ ქალი დედისთვის გამოერიდებინათ და სარდაფში მოეგუდათ, მერე კი წყალში გადაეგდოთ. მართალია, გაირკვა, რომ ძაღლები ნინას გაუჩინარების შემდეგ შეამწყვდიეს, მაგრამ ქალაქში ხმა დაირხა: — ვიღაცას მთვარის შუქზე გაღმიდან დაუნახავს, როგორ ჩაათრია ქალის უსულო გვამი რამდენიმე კაცმა ანდრიევსკების ეზოდან მდინარემდე და წყალში მოისროლესო.

ეს უკვე რაღაცას ჰგავდა. აკი მიტუა და ესტატე ირწმუნებოდნენ, წყალში გვამი სამი დღე-ღამის მანძილზე იძირება და ერთ ადგილზე დევს. როცა გაიბერება, ზემოთ ამოდის და მდინარის დინებას მიჰყვება, ამ შემთხვევაში კი გვამმა ერთ ღამეში ორმოცი ვერსი გაცურა და ერთი ნაკაწრიც არ ჰქონდეს, დაუჯერებელიაო. იმავეს ადასტურებდნენ თბილისის ანატომიური თეატრის ექსპერტები.

### მეტეხის ციხეში

გამომძიებელი ვალუ ლოლაძე კატორღელ მუსა-თათარს: — როგორც ვითომ ავადმყოფს, ახლა ერთ ავადმყოფთან გადაგიყვანენ. ამას ექიმი მარქაროვი გააკეთებს. უნდა აალაპარაკო ანდრიევსკების მზარეული გაბისონია. მან იცის, ვინ მოკლა ნინა ანდრიევსკაია და თუ ამას მოახერხებ, გპირდები, ორ წელიწადში ციხიდან გახვალ და ორი ათას მანეთსაც მიიღებ. ოღონდ იცოდე, არაფერიც რომ არ გამოგვივიდეს, მაინც უნდა დაადგე პირზე, ხომ მითხარი, მე მოვკალიო.

— კი, მაგრამ სასამართლო დაპირისპირებისას რომ დამაფიცონ? ტყუილზე ვერ დავიფიცებ.

— მოსამართლე გაფრთხილებული იქნება და არ დაგაფიცებს. დაიხსომე, იქ იქნება დარაჯი ქორიძეც. მასზეც იმასვე იტყვი, მანაც იგივე მითხრა-თქო. ერთი სიტყვით, ამ ორ კაცს მოუკლავს ჩქოტუას დავალებით-თქო.

გამომძიებელი ზურაბ წინამძღვაროვი მებაღე ივანე მჭედლიძეს: — გაბისონიამ თქვა, ივანემ გააკავა გოგო, მე კი ყელში ვწვდი და დავახრჩვეო. თუ არ გჯერა, აი, მისი ხელით ნაწერი და წაიკითხე.

— როგორ წავიკითხო, როცა წერა-კითხვა არ ვიცი. ეგეთი რამე როგორა თქვა, მე მაგის მკვდარი და ცოცხალი მაგისა.

— ისიც დაამატა, თუ არ დაადასტურებს, რომ ასე იყო, პირზე დავადგებიო.

— მოიყვა, დამადგეს, მეც დავადგები, მაგან მოკლა-მეთქი. აკი თვითონაც უთქვამს, მე მოვკალიო.

— ჰოდა, შენი რა მიდის... თქვი, მაგან მიახრჩო და ტყუილად მაბრალებს, თითქოს მე ვეხმარებოდი-თქო.

— ვიტყვი მაგის დედაცა, აბა, არ ვიტყვი? თვითონ თუ არ მზოგამს, მე რად დავზოგო.

— ჰო, მაგრამ ჯერ უნდა მოემზადო როგორ იტყვი. იცოდე, მაგრად უნდა დადგე, ბლუკუნი კი არ დაიწყო! — აქ წინამძღვაროვი ციხის ზედამხედველს ანიშნებს, გაბისონია საკნიდან გამოიყვანე, ჩვენი საუბარი კარს იქიდან მოასმენინეო.

— აბა, ახლა მითხარი, როგორ მიახრჩო გაბისონიამ ანდრიევსკაია?

— როგორ და სწვდა ყელში და გაგუდა... — კარს მიღმა გაბისონია იგინება:

— შე სულწაწყმედილო, შენ თვითონვე არ მიახრჩვე და მტკვარშიც შენვე არ გადააგდე?!

გულუბრყვილო ხალხსა და გამოძიებასაც მკვლელობის დამადასტურებელი „სამხილები“ შეუგროვდა. ისიც უნდა ითქვას, რომ საამისოდ არც მათ ცემას ერიდებოდნენ, არც დატრობას და არც სხვა სახის ინტრიგებს.

### სასამართლო

ასე რომ, გამოძიებამ სასამართლოს მხილებული მკვლელები გადასცა და დედაქალაქის პოლიცმაისტერსა და გამომძიებლებსაც ახლა ისღა დარჩენოდათ, ჯილდოებს დალოდებოდნენ. მკვლელობაში ეჭვმიტანილმა დავით ჩქოტუამ იმდენი მოახერხა, პეტერბურგიდან ჩამოიყვანა იმ დროს რუსეთის იმპერიაში ცნობილი ადვოკატი ვლადიმერ სპასოვიჩი: — დაცვას მიაჩნია, რომ გამოძიებამ თავიდანვე შეცდომა დაუშვა, როცა იმთავითვე გამორიცხა უბედური შემთხვევა, — და ადვოკატი ფაქტების შეჯერებისა და მნიშვნელოვანი არგუმენტების მოშველიებით ამტკიცებს, რომ ანდრიევსკაია იმ ღამით მტკვარში მარტო ჩავიდა საბანაოდ და იქვე დაიხრჩო.

პროკურორი: — ყველაფერი ეს მხოლოდ ვარაუდებია. თუმცა, არ უარვყოფ, კარგად არგუმენტირებული. იმას როგორღა ახსნით, რომ გვამი არ ჩაიძირა და ორმოცი ვერსი ისე იცურა, ერთი ნაკაწრიც არ დასტყობია.

ადვოკატი: — იმით, რომ გარდაცვლილს წყალი არ ჰქონდა ნაყლაპი, ხოლო როცა ფილტვები ჰაერითაა სავსე, მით უმეტეს, ისეთი აგებულებისა და წონის სხეულისათვის, როგორიც ანდრიევსკაიას ჰქონდა, ჩაძირვა გამორიცხულია (და იქვე მიუთითებს შესაბამის სამეცნიერო ლიტერატურას). რაც შეეხება იმას, შეეძლო თუ არა გვამს 10-11 საათის მანძილზე გაეცურა ორმოცი ვერსი, ესეც შესაძლებელია. მეტიც, მტკვარი ხომ ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთზე ზუსტად ამ სიჩქარით მოძრაობს და ეს დადასტურებულია მაღალკვალიფიციური ინჟინრების ბელისა და ბაბის გამოკვლევებით. ისიც უნდა დავძინო, რომ ამ დილით, ვიდრე აქ მოვიდოდი, თვითონ ჩავედი მტკვარში ანდრიევსკების ბილიკით და აღმოვაჩინე, რომ წყალი იქ ნაპირის ახლოს მართლაც დაბალია, მაგრამ საკმარისია ორი ნაბიჯი ან წინ, ან განზე გადადგა და ვეებერთელა ორმოში აღმოჩნდება მობანავე.

დასასრულ, მთავარი ეჭვმიტანილის, დავით ჩქოტუას შესახებ: მე ხელთა მაქვს დაღუპულის მამის, თავადი ანდრიევსკის სარეკომენდაციო წერილი, სადაც იგი ამ ახალგაზრდას შესანიშნავად ახასიათებს, ხოლო საქართველოში გამომავალი ყველაზე ავტორიტეტული გაზეთის „დროების“ რედაქტორი სერგეი მესხი უპატიოსნეს ადამიანს უწოდებს.

მოსამართლე მიმართავს მუსა თათარს: — დაიფიცეთ, რომ თქვენ ნამდვილად გითხრათ გაბისონიამ და მჭედლიძემ, ანდრიევსკაია ჩვენ მოვკალითო.

მუსა თათარი: — მე მითხრეს, რომ არ დამაფიცებდნენ. რაკი ასეა, ვფიცავ, რომ სიმართლეს ვამბობ: არც ერთი მათგანი, ვინც ამ საქმეზე გყავთ დაკავებული, მკვლელი არ არის.

### განაჩენი, ანუ შეკვეთილი პროცესი

გამოძიება თვითონ გაიხლართა მის მიერვე მოქსოვილ ქსელში. მათმა ლეგენდამ ისეთი საზოგადოებრივი აზრი შექმნა, რომელიც აუცილებლად ითხოვდა დანაშაულის გახსნასა და მკვლელების დასჯას. ამ შემთხვევაში სასამართლო არაფერს კარგავდა. მას შეეძლო გაეხმაურებინა სიმართლე და ყველა ეჭვმიტანილი პროცესიდანვე გაეთავისუფლებინა, მაგრამ იმის გამო, რომ საქმე ძალზე გახმაურდა (დაზარალებული მხარე გრაფი ვორონცოვის ნათესავები და თვითონაც მაღალი წოდების წარმომადგენლები იყვნენ), ხელისუფლებას ხელს არ აძლევდა მისი გაუხსნელად დატოვება. თავდაპირველად, საზოგადოება ხომ დააჯერეს, რომ ანდრიევსკაია გაგუდეს და მერე გადააგდეს წყალში. ახლა უკვე ველარ იტყოდნენ, თვითონ დაიხრჩოო. მით უმეტეს, რომ ამ ვერსიის სასარგებლოდ მხოლოდ ლოგიკა და თეორიული, წმინდა მეცნიერული გათვლები მეტყველებდა. ამიტომაც სასამართლომ მაინც გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა. დავით ჩქოტუას, როგორც მკვლელობის ორგანიზატორს, ოცი წელი კატორღა მიუსაჯეს, დანარჩენებს — ათ-ათი.

სასამართლო დასრულდა თუ არა, დაღუპულის დედა — ვარვარა თუმანიშვილი-ანდრიევსკაია ოდესაში გამგზავრების თადარიგს შეუდგა. გადაწყვეტილი ჰქონდა, ქმარი თბილისში, ქალიშვილის გვერდით გადმოესვენებინა და ბარგის ჩალაგებას შეუდგა. მაგიდის უჯრაში ნინას ქუთაისში სიძისა და დისთვის გასაგზავნი წერილი აღმოაჩინა: „ჩემო ძვირფასებო, — წერდა იგი, — ძალიან მომენატრეთ. მეგონა, თბილისში ვიჯერებდი გულს თქვენთან ყოფნით, მაგრამ გიორგის მივლინებამ ეს იმედი წამართვა. აქ ისე მომწონს, შეიძლება სულაც აღარ დავბრუნდე ოდესაში. მტკვარზე ვგიჟდები, მართალია, ცურვა არ ვიცი, მაგრამ მოახლესთან ვერ გამიმხელია. ამ საღამოს კი მაინც გავიპარები, შევეცდები თვითონ ვისწავლო. ასე რომ, როცა ჩამოხვალთ, მე უკვე კარგი მოცურავე ვიქნები. გელოდებით, მალე შეხვედრამდე, თქვენი ნინა!“

ვერც დედის სასამართლოში წარდგენილმა წერილმა გაჭრა. აკი ვამბობთ, განაჩენი შეკვეთილი იყო-მეთქი. ასე რომ, ნუ გვიკვირს, შეკვეთილი პროცესები.

S. P. ასეთი რამ ჩვენში თურმე ორი საუკუნის წინაც ხდებოდა.

*ვაჟა გავაშელი*

# სენსაციური ინტერვიუ ქართველ კონტრაბანდისტთან, რომელსაც საზღვარზე „ცოცხალი საქონელიც“ გადაჰყავს

თითქმის თორმეტი წელიწადია ცოლ-ქმარი სერგო და ნარგიზა დარსაძეები თავს საზღვარგარეთ სიარულით ირჩენენ. ასეთ მდგომარეობაში ათასობით ქართველის ოჯახია, მაგრამ ისინი სხვებისგან იმით გამოირჩევიან, რომ საზღვარგარეთ გასამგზავრებელი ვიზა არასოდეს აუღიათ. არც უცხო ქვეყნის მოქალაქის პასპორტი აქვთ და თუ დაიჯერებთ, არც საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი რაიმე საბუთი. საქართველოს სახელმწიფო საზღვარს (და არა მარტო საქართველოს) დაუბრკოლებლად, არალეგალურად ლახავენ, სულ მცირე წელიწადში ოთხჯერ მაინც და ჯერ არც ჩვენთან და არც საზღვარგარეთ ერთხელაც არავის დაუკავებია.

ერთ-ერთი „მივლინებიდან“ მომავალი ცოლ-ქმარი დარსაძეები მიკროავტობუსში გავიცანი. როგორც მგზავრებს გვჩვევია, ამ მთის მოვყევით, იმ მთისაც ვთქვით და თბილისამდე კარგად გავიცანით ერთმანეთი. მერე მოვლენები ისე განვითარდა, რომ ისევ დასავლეთ საქართველოში მგზავრობის დროს, რამდენჯერმე კიდევ შევხვდით ერთმანეთს. ჟურნალისტის ხშირი მგზავრობა მკითხველისათვის გასაგებია, სამაგიეროდ, მე დავინტერესდი, ისინი რატომ მგზავრობდნენ ასე ხშირად. ამ კითხვაზე მაშინ ცოლ-ქმარმა მიკიბულ-მოკიბული პასუხით დაიძვრინეს თავი. ვიფიქრე, ალბათ ვაჭრობენ და ამ საქმიანობის რცხვენიათ-მეთქი.

რამდენიმე დღის წინ სერგო დარსაძე ისევ შემხვდა, — ბინა საბურთალოზე ჩემი მშობლების სახლთან ახლოს უყიდია და უკვე როგორც მეზობელმა, ახალშეძენილი ბინის დათვალიერება და დალოცვა მთხოვა: „კარგი ფეხი გაქვს. რამდენჯერაც შეგხვდით მე და ჩემი მეუღლე, გაგვიმართლა... არადა, გამართლება ჩვენს საქმიანობაში ძალიან გვჭირდება, თორემ შე[illegible] ძლება ცოლ-ქმარმა რამდენიმე წელი ციხის კედლებიც კი ვხეხოთ“. სიტყვა სიტყვას მოჰყვა და ბევრი ხვეწნა-მუდარის შემდეგ სერგომ თავისი ბიზნესის საიდუმლო გამიმხილა:

— დაახლოებით თოთხმეტი წლის წინ ჩემს პატარა ბიჭს სერიოზული დაავადების დიაგნოზი დაუსვეს ექიმებმა. ჯერ თერაპიული მკურნალობის კურსი უნდა გაევლო ძვირად ღირებული წამლებითა და მერე ასევე ძვირად ღირებული ოპერაცია უნდა გაგვეკეთებინა. ამის საშუალება ნამდვილად არ მქონდა, ოთხსულიან ოჯახს ძლივს ვარჩენდი. არადა, დრო არ ითმენდა. ერთი შეძლებული ძმაკაცი მყავს აჭარაში, ჯარში ერთად ვმსახურობდით. ლაზია წარმოშობით და სახლები ბათუმშიც აქვს და სარფშიც. სწორედ მასთან გავემგზავრე დახმარების სათხოვნელად. გვარს ვერ გეტყვი, ისე ჰასანას ეძახიან. ჩავედი სარფში. შინ არ დამხვდა, მითხრეს, სასაზღვრო-საკონტროლო გამშვებ ზონაში მოიკითხეო, იქ კი თურქეთში წამსვლელების კილომეტრიანი რიგი დგას. ძლივს მოვნახე. ჩემი გაჭირვება გულთან ახლოს მიიტანა, კარგადაც გამიმასპინძლდა და ფულიც მომცა. მითხრა, კიდევ თუ დაგჭირდეს, არ მოგერიდოსო. ბავშვს ვუმკურნალე, მაგრამ ახლა საოპერაციო ფული დამჭირდა და ისევ ჰასანას მივადექი. მაშინაც გამიმართა ძმაკაცმა ხელი და გამომშვიდობებისას მითხრა, თუ ხეირიანი სამსახური არა გაქვს და ფულს ვერ შოულობ, ჩემთან ჩამოდი — მე გამუშავებ კარგ ადგილზე... კანონს ცოტა კი დავარღვევთ, მაგრამ ისე ხომ იცი, დიდი ფარა არ მოდისო. რაღა ბევრი გაგიგრძელო და ჰასანასთან დავიწყე მუშაობა.



ქართველი მესაზღვრეები ვერაფერს ამჩნევენ...

**— რას აკეთებდი?**

— ხალხი გადამყავდა საზღვარზე, სარფში ასეთი ბიზნესიც არსებობს. ყველას აქვს ისეთი საქონელი, რომლის საზღვარზე გადატანის უფლებას არ აძლევენ — ოქრო, ძვირფასი თვლები, განსაკუთრებით, ზურმუხტი და ბრილიანტი, პლატინა, ხელოვნების ნიმუშები და სხვა.

**— ამ „სხვაში“ ნარკოტიკებიც ხომ არ შედის?**

— [illegible] უნდა, მაგრამ არც მე და არც ჰასანას ერთი შემთხვევის გარდა, ნარკოტიკები არ გადაგვიტანია არც იქით და არც აქეთ. მაშინაც ამ საქმეს იმიტომ მოვკიდეთ ხელი, რომ სხვა გზა არ გვქონდა. ბრილიანტებით სავსე ტომსიკა საზღვარზე გადასვლისას ჰასანას მდინარე ჭოროხის გადაცურვის დროს დაეკარგა. ჩვენ ფონით გადავდიოდით, მაგრამ წყალი მოვარდა, კინაღამ დაგვახრჩო. თითქმის ერთი საათი ვებრძოლეთ მდინარეს და მაშინ დავკარგეთ ბრილიანტები. ისეთ კაცს ეკუთვნოდა, დედაბუდიანად ამოგვთხრიდა. ამიტომ, სანამ ზარალი არ ავანაზღაურეთ, ნარკოტიკები გადაგვქონდა თურქეთში. რა მდიდრები ვყოფილვართ ქართველები და განსაკუთრებით კი საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები. მე ალბათ ორი ტონა ოქრო მაინც მექნება გადაზიდული თურქეთში. სხვებს რამდენი ექნებათ, ვინ იცის!

**— რამდენს გიხდიდნენ, ვთქვათ, ათი კილოგრამი ოქროს გადატანაში და, ძირითადად, რა კატეგორიის ხალხს ეკუთვნის ეს კონტრაბანდა?**

— ათი კილოგრამის წაღებას ერთი კაცი ვერ შეძლებს. სამი-ოთხი კი წამიღია, მაქსიმუმ ხუთი, — მეტს ვერ მოერევი, ისე მძიმდება გზაში საქონელი. კილოგრამი ოქროს გადატანაში დაახლოებით 1.000 დოლარს იძლევიან, ბრილიანტში სამჯერ და ოთხჯერ მეტს.

**— ბრილიანტიც კილოობით გადაგქონდათ?**

— აბა, რა გგონია... საქონელი რუსეთიდანაც მოდიოდა. განსაკუთრებით დიდი რაოდენობის კონტრაბანდა 1996-1998 წლებში მოგვაწყდა. თუ დამიჯერებ, ასეული კილოგრამობით მოდიოდა ოქრო და ძვირფასი თვლები. ახლა ხელოვნების ნიმუშებს არ იკითხავ, რამდენი მოდიოდა? მათ შორის ხატებიც იყო. სხვათა შორის, ყველაზე ძნელი გადასატანი საზღვარზე კონტრაბანდისტისთვის ხელოვნების ნიმუშებია. წყალი არ უნდა მოხვდეს, არ უნდა დაიჭმუჭნოს, არ უნდა დაზიანდეს. ხათაბალაა, სამაგიეროდ, კარგად გიხდიან, თითქმის იმდენს, რამდენსაც ბრილიანტის გატანის დროს. შემკვეთი ყველა კატეგორიის ხალხი იყო: ქურდების ხელის დამცლელები, ანუ ნაქურდალი საქონლის შემსყიდველი ბარიგები, ცნობილი ბიზნესმენებიც, როგორც საქართველოში, ასევე რუსეთში. იშვიათად, მაგრამ ხელისუფლების წარმომადგენლებიც გამოერეოდნენ. საქონელს ნდობით ალჭურვილ პირს ატანდნენ. მართლა, საბჭოთა პერიოდის ქარხანა-ფაბრიკების დირექტორები დამავიწყდა. სიმდიდრე თუ ჰქონიათ, ყოფილ დირექტორებს ჰქონიათ. ერთმა, საქართველოში ცნობილმა ქარხნის დირექტორმა თითქმის 300 კილოგრამი ოქრო და პლატინა, 5 კგ ბრილიანტი, ლალი, ზურმუხტი და რა ვიცი, რა აღარ გადაგვატანინა საზღვარზე. ჩვენი კლიენტები იყვნენ უმაღლესი სასწავლებლების ყოფილი რექტორები და პრორექტორები. ერთმა ყოფილმა პრორექტორმა 40 კგ სხვადასხვა ოქროს სამკაული გადამატანინა. რაც უფრო ძვირი ღირდა და საშიში იყო ტვირთის გადატანა, ამისდა პირდაპირპროპორციულად იზრდებოდა ჩვენი „სტავკა“.

> **რამდენჯერმე ქეშანამდე მეც მივაცილე საბერძნეთში მიმავალი არალეგალები. დიდი-დიდი, თითოეულმა სამასი დოლარი გადაგიხადოს საზღვრის უკანონო გადალახვაში, მაგრამ რა ვქნა, სამასი დოლარიც ფულია. სუტენიორებსაც ჩამოჰყავთ ჩვენთან გოგოები — თითოში 500 დოლარს გვაძლევენ. მერე ის გოგოები თურქეთის იაფფასიან საროსკიპოებში მუშაობენ...**

**— მოდი, ნარკოტიკებს დავუბრუნდეთ.**

— ხომ გითხარი, მხოლოდ ერთხელ გადავიტანე-მეთქი — ამაზე ლაპარაკიც აღარ მინდა. შემიძლია რაღაც გითხრა, მაგრამ მერე კითხვებს მომაყრი, ზედმეტი წამომცდება და ამას არც შენ გაპატიებენ და მეც ამომთხრიან. ნარკოტიკების ამბავი აკრძალული თემაა — რომ გითხრა, ვინ არიან ჩარეულნი ამ საქმეში, კარგი დღე არ დაგვადგება, თანაც, ახლა ცოტა გადადის.

**— იცი, რომ ჟურნალისტი ვარ, თუ ეს ყველაფერი მართალია, რატომ გამიმხილე შენი ვინაობა...**

— მერე ვინ გითხრა, ყველაფერი [illegible] გითხარი ჩემ შესახებ. რაც შეეხება ბინას... ამასთან, არა მგონია ისეთი უსინდისო იყო, ჩამიშვა. შენ ხომ პირობა მომეცი და ძმობა შემფიცე. მაშინ აღარაფერს გეტყვი, არადა, მოსაყოლი ბევრი საინტერესო რამ მაქვს.

(გაგრძელება იხ. გვ. 13)


bp

**ბრითიშ პეტროლიუმის ექსკლუზიური დისტრიბუტორი**

**შ.პ.ს. ავიასაწვავსერვისი**

**გთავაზობთ "ბი პი"-ს უმაღლესი ხარისხის საავტომობილო ზეთებს**



ვისკო 7000 0W/40

უმაღლესი კლასის უნივერსალური მთლიანად სინთეტიკური ძრავის ზეთი ბოლო თაობის ბენზინისა და დიზელის ძრავის მქონე ავტომანქანებისათვის.



ვისკო 5000 5W/40

უმაღლესი ხარისხის სინთეტიკური ძრავის ზეთი ბენზინისა და დიზელის ძრავის მქონე მსუბუქი ავტომანქანებისათვის.



ვისკო 3000 10W/40

ნახევრად სინთეტიკური ძრავის ზეთი ბენზინისა და დიზელის ძრავებისათვის, რომელთა გარბენი აღემატება 50 000 კმ-ს.



ვისკო 2000 15w/40

მინერალური ძრავის ზეთი რუსული წარმოების ავტომანქანებისათვის, აგრეთვე უცხოური მარკის ავტომანქანებისათვის, რომელთა გარბენი აღემატება 100 000კმ-ს.



ვისკო დიზელი 15w/40

მინერალური ძრავის ზეთი, რომელიც გამოიყენება დიზელის ტიპის ძრავებისათვის, უცხოური, შედარებით ამორტიზებული ავტომანქანებისათვის.

მსოფლიო სტანდარტების უმაღლესი კლასიფიკაციები

თბილისი. აეროპორტი. ტელ./ფაქსი:99-03-55; 77-96-03; (8 77) 40-31-43

ელ. ფოსტა: afs @ access.sanet.ge

სერტიფიცირებულია

სათნომყოფელი უფლისა

# კათალიკოსი კირიონ პირველი — მხსნელი საქართველოსი!

**საქართველოს კათალიკოსის, კირიონ პირველის ცხოვრება და მოღვაწეობა V საუკუნის დასასრულისა და VI საუკუნეების მიჯნაზე, ემთხვევა ჩვენი ქვეყნის საეკლესიო ისტორიის ერთ ყველაზე რთულ პერიოდს, როდესაც არსებითად წყდებოდა საქართველოში მართლმადიდებლობის მომავალი.**

**წმინდა ნინოსგან ნათელღებულსა და 13 ასურელი მამის მიერ სარწმუნოებაგანმტკიცებულ საქართველოში კირიონმა ფაქტობრივად გადაარჩინა ერი რჯულგანდგომილებისაგან.**

**და თუ დღეს კირიონის სახელი სამშობლოში არ არის სათანადოდ დაფასებული, ეს, პირველ ყოვლისა, გახლავთ სიფრთხილე და ეჭვი ზოგიერთი მეცნიერისა, რომლებიც ყოველმხრივ დასაბუთებული არგუმენტაციის გარეშე მის პიროვნებას აიგივებენ მონოთელიტ პატრიარქ კიროს ფაზისელთან. თუმცა, მეორე მხრივ, არსებობს გამამხნევებელი საპირისპირო არგუმენტები: XX საუკუნეში აღდგენილი ავტოკეფალიური ეკლესიის მეთაური, ქვეყნის კეთილდღეობისათვის თავდადებული კათალიკოსი კირიონ მეორე, ცხადია, შემთხვევით არ დაირქმევდა ბერმონაზვნურ სახელად „კირიონს“, დარწმუნებული რომ არ ყოფილიყო კირიონ პირველის მართლმადიდებლურ ღვაწლსა და აღმსარებლობით სიმტკიცეში; ხოლო რაც შეეხება პიროვნულ მეცნიერულ მსჯავრს, ამ მხრივ უაღრესად ანგარიშგასაწევი უნდა იყოს დიდი ქართველი მოღვაწის, ისტორიკოსის, ექვთიმე თაყაიშვილის შეფასება: „კირიონი რომ არა, ჩვენ ნამდვილად გავსომხდებოდით. დიდი საქმე ქნა ეროვნული თვალსაზრისით. ნამეტანი გონიერი, მაგარი და გამჭრიახი კაცი ყოფილა, როგორც გავს! ჩვენ მას ძეგლი უნდა დავუდგათ!“**

ქრისტეს დაბადებიდან მეხუთე ასწლეულში მართლმადიდებელმა ერებმა საბოლოოდ გაარკვიეს თავიანთი ადგილი ქრისტიანულ სამყაროში. იმხანად ორი ზესახელმწიფო — ბიზანტია და სპარსეთი ეცილებოდა ერთმანეთს ლიდერობას, რომელთაგან პირველს ხელთ ეპყრა ჭეშმარიტი სარწმუნოება, ხოლო მეორე წარმართულ მაზდეანობას უხდიდა ხარკს.

სპარსელები ცდილობდნენ მოკავშირე ქვეყნები ჩამოეცილებინათ ბიზანტიისათვის და ამიტომაც ყოველმხრივ აქეზებდნენ მათ კონფესიურ დაშლასა და დანაწევრებას.

სპარსი დამპყრობლებისგან დაშინებულნი და მოქრთამულნი, ერთ-ერთი პირველნი, სომხური ეკლესიის მესვეურნი განუდგნენ მართლმადიდებლურ სარწმუნოებას, ხოლო თავიანთი ვასალური ერთგულების ჯილდოდ მიიღეს პრივილეგირებულობის უფლება. ამის შემდეგ სპარსელები უკვე ყველა ქრისტიან ქვეყანას აიძულებდნენ მიეღოთ მონოფიზიტობა, ანუ მათგან „სომხურად“ სახელდებული სარწმუნოება. ამ მისიას სიუზერენის დავალებით მეზობელი ქვეყნების მიმართ თავდადებით ახორციელებდა სომხური ეკლესია.

სპარსეთის სამეფო კარზე, ცხადია, ფრიად მოხარულნი იქნებოდნენ, თუ ისეთი დაუმორჩილებელი ქვეყნის შვილები, როგორებიც იყვნენ ქართველები, მშვიდობიანად გადავიდოდნენ მონოფიზიტურ სარწმუნოებაზე, მაგრამ სომხურ-სპარსულ ქვეგამხედვარ მიზნებს ქართველი ერის მტკიცე სარწმუნოებრივი მრწამსი ელობებოდა, რომელსაც ქრისტეს მახვილით შეიარაღებული მწყემსმთავარი წინამძღვრობდა. საბინინის შეფასებით, „ეკლესიის ჭეშმარიტ სწავლებაში ღრმად დაჯერებული, ენერგიული და უშიშარი პიროვნება, რომელსაც მტერი ვერანაირი ხრიკებით ვერ გადაიბირებდა თავის მხარეზე“.

სრულიად ახალგაზრდა იყო კირიონი, ჯერ სამი ათეულიც არ შესრულებოდა, როდესაც ავიდა საკათალიკოსო კათედრაზე და ასვლისთანავე, დაუყოვნებლივ მოიწვია მცხეთაში სრულიად იბერიის ეპისკოპოსთა კრება, სადაც მკაცრად განუწესა ყველა ქართველს, მტკიცედ მდგარიყვნენ საქართველოს ეკლესიის მრწამსზე, რომელიც ყველაფერში ეთანხმებოდა მსოფლიო ეკლესიას! ამ კრებაზე გაუმხილა მან სასულიერო წოდებას სომხური ეკლესიის ბიწიერი ცდომილებანი და პირველი პრაქტიკული ნაბიჯიც გადადგა: თვისტომთაგან წაქეზებული სომხური წარმოშობის ეპისკოპოსის მიერ მართლმადიდებლური აღმსარებლობის ქირდვის პასუხად, ჩამოართვა მას საეპისკოპოსო კათედრა, ცურტავის ეპისკოპოსად ტომით ქართველი დაადგინა და იქაურ სომხურენოვან თემში მღვდელმსახურება ქართულ ენაზე სავალდებულო გახადა.

მოსემ თავის ფარულ პატრონებთან, სპარსეთის სამეფო კარზე დაასმინა კირიონი და სომეხ-სპარსელები ფიზიკური ანგარიშსწორებით დაემუქრნენ ქართველებს და როდესაც ეგონათ, რომ დააშინებდნენ და სულიერად განაიარაღებდნენ კირიონს, კირიონმა უფრო შორს გამიზნული გადაწყვეტილებით უპასუხა — საეკლესიო კრებას მიაღებინა დადგენილება, მოწამებრივად აღსრულებული დედოფალ შუშანიკის წმინდა ნაწილების ცურტავიდან თბილისში გადმოტანის შესახებ, რათა ეს დიდებული განძი ოდესმე ხელში არ ჩავარდნოდა არამართლმადიდებლებს და პატივით დაკრძალა ისინი მეტეხის ტაძარში. ამავე დროს, ეს ღვთის სათნო საქციელი ჩადენილი იყო სომეხთათვის შესაგონებლად, რომ ნამდვილი საუკუნო ცხოვრება არა ნათესაობით მოიპოვების, არამედ აღსარებითა წმინდა სარწმუნოებისა!

ძალადობით რომ არაფერი გამოუვიდათ სომხებს, პირმოთნეობითა და დათაფლული სიტყვით სცადეს კირიონის გადაბირება. სომეხთა კათალიკოსი აბრაამი უთანხმოებისათვის საყვედურობდა კირიონს: „დაუჯერებლად გვეჩვენა: შენ, სპარსეთის შაჰის ქვეშევრდომმა, უცხო სახელმწიფოსთან — ბიზანტიასთან როგორ შეჰკარი ერთობაო!“

კირიონმა კარგად უწყოდა, რომ მონოფიზიტობას დიდი ეროვნული საცდური ჰქონდა — იგი გარეგნულად ვითომცდა ბიზანტიელთა პოლიტიკური გავლენისაგან თავდასაღწევად მცდელობდა, მაგრამ შინაგანად, მზვაობრობით „საკუთარ“ ერეტიკულ რელიგიას ამკვიდრებდა! ამიტომაც იგი შეახსენებდა აბრაამს, რომ სარწმუნოების ჭეშმარიტების კრიტერიუმი მხოლოდ მსოფლიო საპატრიარქო საყდრების მართლმადიდებლური მრწამსი იყო. აბრაამ კათალიკოსს აღარაფერი დარჩენოდა გარდა იმისა, რომ დაეწყევლა ქართველები, რასაც სრულიად მშვიდად შეხვდა კირიონ კათალიკოსი: „...მეტს ნუღარ გაირჯებით და ამისთვის მეტს ნუღარ მოგვწერთ. თუ შემდეგ მე სომხეთზე გზით გავლა მომიწევს ოდესმე — ღმერთი თუ მაღირსებს, რომ იერუსალიმს წავიდე წმინდა ადგილთა თაყვანის საცემად, თორემ სხვა რამ საქმე არა მაქვს“...

მორჩა და გათავდა! ქრისტეს მოძღვრების ჭეშმარიტებაზე დაყრდნობით, კირიონ კათალიკოსმა სამუდამოდ მოუკვეთა ქართულ ეკლესიას ურთიერთობა მწვალებლურ სომხურ ეკლესიასთან, ხოლო მოგვიანებით, მართლმადიდებლობის დამცველი პატრიარქის შეუვალობა იმითაც დადასტურდა, რომ, როდესაც შედგა ე.წ. „სპარსული კრება“, სადაც განხილვის საგანი იყო სპარსეთის სახელმწიფოს ხელქვეით მყოფი ქრისტიანი ქვეყნების აღმსარებლობის საკითხი, კირიონი კრებაზე არ გამოცხადებულა, სპარსთა ნაკარნახევი ორიენტაცია არ მიუღია და ქალკედონის კრებისთვის არ უღალატია.

სპარსთა სამეფოს მცდელობებზე უარი სათქმელად არის იოლი, ხოლო რა სულიერი და ფიზიკური ძალისხმევა დასჭირდებოდა ურჯულო დამპყრობლისგან შევიწროებულ ქვეყანაში კირიონ კათალიკოსს, იოლად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ გავითვალისწინებთ: მონოფიზიტობამ ისეთი დასაყრდენი პოვა ეროვნულ განკერძოებულობაში, რომ მისი დაძლევა ვერ შეძლეს ვერც ბერძნულმა კულტურამ და ვერც ბიზანტიურმა მართლმადიდებლობამ — ამ მწვალებლობამ მოიცვა სირიელები, კოპტები, სომხები, ეთიოპიელები, ალბანელები — რომლებმაც სულიც წაიწყმიდეს და უმრავლესი მათგანი განქარდა ფიზიკურადაც და სწორედ კირიონ კათალიკოსის დამსახურებაა, რომ ქართველებმა ბიზანტიელთა პოლიტიკურ ამბიციებს არ ამსხვერპლეს ჭეშმარიტი სარწმუნოება, გაუძლეს სპარსი დამპყრობლებისაგან წაქეზებული სომხური ეკლესიის მოძალებას და ქართული ეკლესია გადაურჩა რჯულგანდგომილებას. ეროვნული თვითმყოფადობაც შეინარჩუნა და სარწმუნოებრივად დაიმკვიდრა თავისი ადგილი ერთიანი მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში!



**ბოლოდროინდელ სამეცნიერო და პოპულარულ გამოცემებში, ისეთებში, როგორიცაა რუსული მართლმადიდებლური ენციკლოპედია და „რევიუ დევ ეტიდ არმენიე“, სომეხ ავტორთაგან გრძელდება ჩვენი ისტორიული წარსულის გაყალბების გეგმაზომიერი მცდელობანი — მათში ქართულ ეროვნულ საუნჯეთა შორის, მცხეთის ჯვარიც სომხური კულტურისა და არქიტექტურის ძეგლად არის გამოცხადებული. ამ დიდებული ქმნილების მშენებლობის პერიოდი (VI საუკუნის დამლევი და VII საუკუნის დასაწყისი) ზუსტად ემთხვევა საომარ მოქმედებათა ზღვრამდე მისულ პოლემიკას ორი მეზობელი ქვეყნის ეკლესიას შორის, რომელიც კირიონ კათალიკოსის მწყემსმთავრობით, ქართულმა ეკლესიამ მწვალებლურ სომხურ ეკლესიასთან ურთიერთობის სრული გაწყვეტით დაამთავრა. აქედან გამომდინარე, მათ, ვინც უგულებელყოფს ხელოვნების ეროვნულ ფორმებსა და ესთეტიკურ კრიტერიუმებს და ეჭვქვეშ აყენებს ძეგლის ქართულ წარმომავლობას, პოლიტიკური და ფსიქოლოგიური მოტივირებით მაინც უნდა საცნაურყონ, რომ მოკვეთილი ეკლესიის ეროვნული იერსახის არქიტექტურულ სტილს არ დაუშვებდა საკულტო ნაგებობისთვის არც ერთი სასულიერო იერარქი და ქტიტორი!**



## რას გვეტყვი, მამაო?

**— გთხოვთ, გვიპასუხოთ, რამდენ ხანს გრძელდება ყველიერი და მოძრავია ეს პერიოდი, თუ უძრავი?**

— როგორც წესი, ყველიერის თარიღი მოძრავია, ის უშუალოდ წინ უსწრებს სააღდგომო მარხვას და გრძელდება ერთი კვირის მანძილზე. წლევანდელი ყველიერი იწყება დღეიდან და 9 მარტის ჩათვლით გაგრძელდება. ამ დროის განმავლობაში მიღებული და დაშვებულია რძის პროდუქტების ხმევა საკვებად — აქედან მომდინარეობს სახელწოდებაც. ძველთაგანვე, საქართველოში, ყველიერის დადგომისთანავე, იკრძალებოდა ხორცის ჭამა და მთელი სახლი და ჭურჭელი სუფთავდებოდა, რათა სადმე ხორცის ან ცხოველური ცხიმის ნაშთი არ დარჩენილიყო. ყველიერის კვირაში ტარდებოდა ბერიკაობისა და ყეენობის სახალხო სანახაობებიც, რაც სხვადასხვა სახით მთელ საქართველოში იყო გავრცელებული.

მართლმადიდებელი ეკლესიის უძველეს ჩვეულებისამებრ, ყველიერის კვირას ქრისტიანები ერთმანეთს სთხოვენ შენდობას, მიუტევებენ და შერიგდებიან. ამიტომ ამ დღეს შენდობის კვირაც ეწოდება!

**— როდის არ შეისმენს უფალი ჩვენს ლოცვას?**

— ლოცვას არა აქვს ფასი, როდესაც ის გულწრფელად არ მიემართება უფალს, ან უგულისყუროდ არის წარმოთქმული. თავად მაცხოვარი ბრძანებს ასეთ მლოცველთა შესახებ: „ეს ხალხი პატივს მცემს ბაგეებით, მათი გული კი შორს არის ჩემგან“ (მათე, 15,8).

**— რამდენი სანთელი უნდა დაინთოს კვირაძალზე (შაბათ საღამოს) და რისთვის ვანთებთ მას?**

— ტაძარში შესული ქრისტიანი სანთელს ყოველთვის ანთებს (თუკი ამის სახსარი გააჩნია). ამ მხრივ, განსაკუთრებული მნიშვნელობა არ აქვს დღეს, არც სანთლის რაოდენობას. კვირის დღეებისგან დამოუკიდებლად, შინაც შეგიძლიათ დაანთოთ რამდენი სანთელიც გსურთ.

**— ამას წინათ ერთი მორწმუნე პოლიტიკოსისგან ტელევიზიით მოვისმინე: თუ ერთ ლოყაში გაგარტყამენ, მეორე მიუშვირე, თუ მეორეშიც გაგარტყეს, გაყიდე სამოსი და იყიდე მახვილიო. რამდენად ქრისტიანულია მახვილის ყიდვა ქრისტიანისთვის და სად სწერია ამის შესახებ?**

— სიტყვები „შეიმოსეთ მახვილით, რომელი არს სიტყვაი ღვთისაი“ პირდაპირ სწერია „საქმე მოციქულთაში“. როგორც ხედავთ, აქ სიტყვა „მახვილი“ არა იარაღს, არამედ, ღვთის სიტყვას ნიშნავს, ხოლო მოცემული განმარტება იმას გვაუწყებს, რომ ყველა საშუალებით, სამოსის გაყიდვაც რომ დაგვჭირდეს, უფლის სიტყვით უნდა მოვიპოვოთ და აღვასრულოთ.




**დიდმარხვის დაწყების წინ მკითხველს ვთავაზობთ სულისათვის სასარგებლო რჩევებს**

## სინანულის შესახებ

სინანული კიბეა, რომელსაც ავყავართ იქ, საიდანაც ჩამოვცვივდით.

***წმინდა ეფრემ ასური***

ვინც საკუთარი თავით უკმაყოფილოა, იგი კეთილ გზას ადგას და შეუძლია, ცოდვათა მიტევების იმედი ჰქონდეს.

***ნეტარი ავგუსტინე***

ნურასოდეს შეეცდებით თავის მართლებას, თუკი საამისოდ საკმარისი მიზეზი არ გაგაჩნიათ.

***კირილე, მელიტოპოლელი ეპისკოპოსი***

სხვებს ყველაფერი მიუტევე, საკუთარ თავს კი ნურაფერს შეუნდობ.

***აბბა ისაია***

არ არსებობს მიუტევებელი ცოდვები, გარდა მოუნანიებელი ცოდვებისა.

***წმინდა ისააკ ასური***

უფალს ისე არ განარისხებს ჩვენ მიერ ჩადენილი ცოდვები, როგორც ის, რომ არ გვსურს შევიცვალოთ.

***წმინდა იოანე ოქროპირი***

ნუ იტყვი: „ხვალ“. იქნებ შენთვის აღარ დადგეს ხვალინდელი დღე. ის, ვინც ცოდვათა შენდობას დაჰპირდა მონანულთ, ცოდვაში მყოფთ ხვალინდელი დღის დადგომას არ დაჰპირებია.

***წმინდა გრიგოლ დიოლოგოსი***

გულითადი განდობანი

## ნუ ვმკრეხელობთ...

ჩვენი აპოკალიფსური დროის ერთ-ერთი ნიშია საყოველთაოდ გავრცელებული სიწმინდეთმკრეხელობა და ღვთისგმობა ყოველ ნაბიჯზე: ქუჩაშიც, სამსახურშიც, ოჯახშიც, წიგნშიც, ჟურნალ-გაზეთებშიც, რადიო-ტელევიზიაშიც, მაგრამ ახლა ორიოდ სიტყვით გვსურს შევეხოთ გარეგნულად თითქოსდა „უწყინარ“, მაგრამ სინამდვილეში უმძაფრეს მკრეხელობას. ესაა მკრეხელური ლიტერატურის თარგმნა და გამოქვეყნება. აი, ერთი გამოქვეყნებული ნიმუში „მსოფლიოში ცნობილი მწერლის ჰენრი მილერის რომანიდან „კირჩხიბის ტროპიკი“ (ღმერთო, შეგვინდე მისი გამეორება, რასაც მხილების მიზნით ვიქმთ!): „ახლა შეიძლება მიხვდე, როგორ იპყრობს ადამიანთა ცნობიერებას ცათა სასუფევლის იდეა; როგორ იმარჯვებს მაშინაც კი, როდესაც ყველა საყრდენი გამოეცლება. უნდა არსებობდეს სხვა სამყარო ამ ქაოსის გარდა, სადაც ყველაფერი უწესრიგოდ მიუყრმოუყრიათ. ძნელი წარმოსადგენია, რას ემგვანება იგი — ეს სასუფეველი ცათა, რომელზეც ოცნებობენ ადამიანები. უთუოდ ბაყაყთა სამფლობელო იქნება: დამყაყებული წყალი, აყროლებული ჰაერი, ნაქაფი, მოტივტივე დუმფარები. ზიხარ დუმფარის ფოთოლზე, არავინ გაწუხებს და მთელი დღე ყიყინებ. რაღაც ამის მსგავსი უნდა იყოს — ასე წარმომიდგენია“.

ყველაზე სავალალო ის არის, რომ ასეთი მკრეხელობანი ჩვეულებრივ მოვლენად იქცა (აღარაფერს ვიტყვით ისეთი აშკარად, სულის წარმწყმედი წიგნების გამოცემაზე, როგორიცაა ნაწარმოებები „ჰარი პოტერზე“, რომლებითაც აღტაცებული იყო თავის დროზე მსოფლიო სატანისტთა ბელადი ალეისტერ კროული და სიამაყით აცხადებდა: „მოთხრობები ჰარი პოტერზე ჩვენს, სატანის თაყვანისმცემელთა რიგებს ათობით მილიონი ადამიანით ზრდისო!“ მათ აღარავინ აქცევს ყურადღებას; რა მოხდა მერე, ეს ხომ მხატვრული ლიტერატურაა, ინდივიდუალური ხედვა, დახვეწილი ნიუანსები — ყველას აქვს უფლება, როგორც ესმის და როგორც უნდა, ისე წეროსო! თუ „მხატვრული ლიტერატურა“ ასეთ მსხვერპლს, ასეთ ღვთისგმობას მოითხოვს და ბევრ „მწერალს“ ღმერთს, ეკლესიას, სიწმინდეებს აგმობინებს და ეშმაკის თაყვანისცემას აიძულებს, მაშინ ასეთი მხატვრული ლიტერატურა მართლაც რომ კერპთაყვანისმცემლობა — ეშმაკის მსახურება ყოფილა!..

ვის არ ახსოვს, რა დღე აყარა დიდმა ილია ჭავჭავაძემ, აწ უკვე წმინდა ილია მართალმა, ყოველივე ქართულის, ეროვნულის მოძულე კატკოვებსა და იანოვსკებს, როცა ისინი ჩვენი ქვეყნიური სამშობლოს სიმბოლოს — ქართულ დროშას იგდებდნენ აბუჩად და შეურაცხყოფდნენ. აქ კი, ჩვენს ზეციურ სამშობლოს შეურაცხყოფენ, დასცინიან — ცათა სასუფეველს, სადაც, მოციქულ პავლეს სიტყვით, არის ჩვენი საუკუნო მოქალაქეობა...

და არც არის გასაკვირი, რომ ჩვენი ქვეყნიური სამშობლო — საქართველო, დღეს ასეთ სავალალო დღეშია. ვისაც ზეციური სამშობლო არ უყვარს, ის არც იმ სამშობლოს ჩააგდებს რამედ, რომელიც ღმერთმა მოგვმადლა — ყველას ჩვენ-ჩვენი საზღვრები მიგვიჩინა ამქვეყნად, იმისთვის, რომ ყველა, დედამიწაზე მცხოვრები ყველა ტომი, ერი და ენა უმჯობესად განადიდებდეს შემოქმედ ღმერთს და სწორედ ქვეყნიური სამშობლოს სიყვარულის მეშვეობით მიისწრაფოდეს საუკუნო, ზეციური სამშობლოსაკენ!..

***ვასილ ბურკაძე***

**ჩვენი გაზეთის მკითხველს შეუძლია „საოჯახო-მართლმადიდებლური საკითხავი გვერდის“ ნებისმიერი რუბრიკისთვის შემოგვთავაზოს მასალები. ჩვენი საფოსტო ყუთების ადგილმდებარეობა იხ. გვ. 36.**



***გვერდი მოამზადა ზურაბ ქართველიშვილმა***

# სენსაციური ინტერვიუ ქართველ კონტრაბანდისტთან, რომელსაც საზღვარზე „ცოცხალი საქონელიც“ გადაჰყავს

*(დასაწყისი იხ. გვ. 11)*

**— კარგი, ერთი ეს მითხარი, შენი ძმაკაცი ჰასანა არ გისაყვედურებს, რატომ ილაპარაკე ჟურნალისტთანო?**

— ეს ამბავი შეიძლება თბილისში არ არის გახმაურებული, თორემ აჭარაში ყველამ იცის ამის შესახებ. ახლა მკითხავ, სამართალდამცველები რატომ არაფერს აკეთებენო. თურქ მესაზღვრეებს ხელს აძლევთ კიდეც, რომ მათ სახელმწიფოში საქართველოსა და რუსეთიდან სიმდიდრე შევიდეს, თუნდაც კონტრაბანდული გზებით. ისინი გვიცნობენ, იციან, როდის რა მიგვაქვს და არაფერს გვეუბნებიან, — პირიქით, გვიცავენ კიდეც ყაჩაღებისაგან. რომ დაგვინახავენ, ასე გვესალმებიან: „აი, საღოლ, გურჯი ეფენდი!“. რაც შეეხება ქართველ მესაზღვრეებს, სანამ აზრზე მოვლენ და ავტომატს დატენიან, ჩვენ ცხრა მთას იქით ვართ უკვე გადასულები. მესაზღვრეების გარდა, საზღვარზე მყოფმა სხვა სამართალდამცველებმაც კი იციან ჩვენი ამბავი, მაგრამ მაგ ხალხსაც ჭამა უნდა, აბა, ხელფასი რას ეყოფათ და ისინიც თავიანთ წილს იღებენ.

**— რაღაცას მეუბნებოდი ცოცხალი საქონლის საზღვარზე არალეგალურად გადატანაზე, იქნებ დამიკონკრეტო, რა გქონდა მხედველობაში?**

— ხალხის უვიზოდ თურქეთში გადაყვანას ვგულისხმობდი. ჩვენ ისინი თურქეთში მალულად გადაგვყავს, მერე თვითონ აგრძელებენ გზას. ქალაქ ქეშანში თურქ კონტრაბანდისტებს მოელაპარაკებიან და პატარა ქალაქ ენეზაში ჩადიან. ეს ქალაქი საზღვრისპირა საპორტო ქალაქია, იქიდან მეზღვაურებს არალეგალურად საბერძნეთის ქალაქ ალექსანდროპოლისამდე ჩაჰყავთ ჩვენებურები. მერე საწყლები ღამით ჩუმად როდოპის მთიანეთის მასივს შეაფარებენ თავს და ფეხით საბერძნეთის ტერიტორიის სიღრმეში შედიან. ამ ხალხის გადაყვანა ჩვენთვის ხათაბალაა, მაგრამ რას იზამ, ბიზნესი ბიზნესია, მით უმეტეს, უკანასკნელ წლებში ძალზე შემცირდა ძვირფასი ლითონების და ქვების საზღვარზე გადატანის მსურველი. ჩემს ცოლს ჩემთან კლიენტები ჩამოჰყავს. ამ ბოლო დროს ხალხი გადაგვყავს, რამდენჯერმე ქეშანამდე მეც მივაცილე საბერძნეთში მიმავალი არალეგალები. დიდი-დიდი, თითოეულმა სამასი დოლარი გადაგიხადოს საზღვრის უკანონო გადალახვაში, მაგრამ რა ვქნა, სამასი დოლარიც ფულია. სუტენიორებსაც ჩამოჰყავთ გოგოები — თითოში 500 დოლარს გვაძლევენ. მერე ის გოგოები თურქეთის იაფფასიან საროსკიპოებში მუშაობენ...

იმდენად არარეალური მეჩვენა ჩემი რესპონდენტის ინტერვიუში მოყვანილი ფაქტები, რომ ბათუმში ნათესავებს დავუკავშირდი და ვკითხე, — თუ გსმენიათ რამე მსგავსი „ბიზნესის“ შესახებ, რომელსაც სარფის სასაზღვრო ზოლში ეწევიან-მეთქი. ჩემდა გასაოცრად, ბათუმელმა ნათესავებმა თითქმის ყველაფერი დაადასტურეს და მითხრეს: „სარფში კონტრაბანდისტების საქმიანობას სულ მცირე ასი წლის ისტორია აქვს. მეტიც, აქ ცხოვრობენ ოჯახები, რომლებიც მხოლოდ ამით არიან დაკავებულები — ეს მათი საგვარეულო, ტრადიციული ბიზნესია. ყოველ ოჯახს საზღვრის გადასალახავი საიდუმლო რამდენიმე ბილიკი აქვს, მათ ადგილმდებარეობას არავის უმხელენ“.

P. S. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სახელმწიფო დეპარტამენტმა მსგავსი ბიზნესის არსებობა საქართველოში, კერძოდ კი სარფში, კატეგორიულად უარყო, თუმცა არ გამორიცხა, რომ შეიძლება ადგილი ჰქონდეს საზღვრის დარღვევის ცალკეულ შემთხვევებს.

**ზვიად ჩაკვეტაძე**



# მცხეთა — წმინდა ქალაქი, ბიზნესცენტრი თუ ორივე ერთად...

*(დასაწყისი იხ. გვ. 5)*

მთავარი ეს არის, თორემ მცხეთაში ინვესტირების ან ქველმოქმედების წინააღმდეგი როგორ ვიქნებით... ამჟამად პროექტი განხილვის სტადიაშია, რომელიც შემდეგ პარლამენტს წარუდგება და იმედი მაქვს, კანონადაც იქცევა. ამის შემდეგ, ინვესტირების სურვილი უკეთური ზრახვის მქონეთ თუ დაეკარგებათ, თორემ სხვაგვარად კანონი მცხეთის აღდგენას, პირიქით, ხელსაც შეუწყობს.

*დათო მაღრაძე:*

— არ ვიცი, რას გულისხმობს ეს ხალხი, როდესაც მცხეთის აყვავება-აშენებაზე საუბრობენ. დედათა მონასტერი, ჯვარი, სვეტიცხოველი... რომელი ერთი ჩამოვთვალო. სულიერი თვალსაზრისით, მცხეთას, ვითომ, აყვავება აკლია? რაც შეეხება ხორციელს, დასკვნები თავად გააკეთეთ. ყოველ შემთხვევაში, მე ვერავინ დამარწმუნებს, რომ სვეტიცხოვლის გვერდით ისეთ რამეს ააშენებენ, რომელიც მას ან სილამაზით, ან ფუნქციური დანიშნულებით აჯობებს. ჩვენ კარგად ვიცით, როგორ დაიკარგა თბილისი ამ „დადებითი ინვესტიციებით“ და „ფულის დაბანდებით“... მცხეთა ხომ ქრისტიანული საქართველოს სიმბოლოა — არათუ სასტუმროს, ან თუნდაც, უნივერსიტეტის მშენებლობა, ამ ტერიტორიაზე ერთი ქვის გადაბრუნებაც კი საყოველთაო მსჯელობის საგანი უნდა ხდებოდეს და საამისო მექანიზმი დიდი ხნის წინ უნდა მოგვეფიქრებინა...

მცხეთის დასაცავად ატეხილ აჟიოტაჟში თავად მცხეთელების პოზიციისთვის მაინცდამაინც დიდი ყურადღება არავის მიუქცევია...

*ირმა ნუცუბიძე, მცხეთის მკვიდრი:*

— სვეტიცხოვლის ტაძრის გარშემო ძირძველი მცხეთელების მჭიდრო დასახლებაა, ხოლო მათი საცხოვრებელი სახლები, რომლებსაც ხუხულებს უწოდებენ, შეიძლება არათანამედროვე და არაევროორემონტებით გაწყობილი, მაგრამ მშობლიური სახლებია, სადაც მათი წინაპრები ცხოვრობდნენ. და თუ ეკონომიკური გაჭირვების გამო მცხეთელებმა ზოგიერთებივით სასახლეები ვერ წამოჭიმეს, ეს არავის აძლევს უფლებას, ღირსეული და პატიოსანი ადამიანები შეურაცხყოს. ხომ არ ნიშნავს ეს ყველაფერი იმას, რომ ჩაფიქრებულია მცხეთის მოსახლეობის აყრა და გადასახლება. მცხეთას ჯერ კულტურულ ცენტრად გამოაცხადებენ, მერე ფეშენებელურ სასტუმროებს ააშენებენ, სადაც ტურისტებს მთელი მსოფლიოდან მოიზიდავენ... აზრი ხომ იგივე დარჩება და ფორმას რა მნიშვნელობა აქვს — ხინკალს მცხეთაში მაროკოდან ჩამოსული შეჭამს თუ თბილისიდან?! ან, ამ ხინკალს ხიდაშელის „დუქანში“ მოხარშავენ თუ პატარკაციშვილის ფეშენებელურ რესტორანში?!

ვესაუბრებით მწერალ *თამაზ ჩხენკელს*:

— სიმართლე გითხრათ, ამ ინვესტიციებში და რაღაც-რაღაცებში მაინცდამაინც ვერ ვერკვევი — ჩემთვის, ცოტა არ იყოს შორეული ამბავია... ისე, მე ვიყავი დარბაზის შეკრებაზე და ერთი შეხედვით, მის მესვეურებს კარგი ჩანაფიქრი უნდა ჰქონდეთ. მაგრამ ეს რამდენად განხორციელებადია, ან ზუსტად, რა გზით და როგორ უნდა გაკეთდეს, ვერ გეტყვით...

წერილი, რომელსაც მე ხელი მოვაწერე, არის მიმართვა კათოლიკოსისა და პრეზიდენტისადმი, რომელთაც ვთხოვთ, მცხეთასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრაში მეთაურობა იკისრონ. ამის იქით კი უკვე დეტალები იწყება და ძალიან დიდი სამუშაოც იქნება გასაწევი. მე რომ მკითხოთ, მცხეთას დაახლოებით ისეთი სტატუსი უნდა ჰქონდეს, როგორიც ვატიკანს აქვს — მისი მთავარი მცველი ეკლესია უნდა იყოს და ყველა საკითხსაც ის წყვეტდეს. მცხეთა საქართველოს რელიგიურ-კულტურულ ცენტრად უნდა იქცეს.

ხალხის ეჭვებს ალბათ, ამ შემთხვევაში ბადრი პატარკაციშვილის სახელი იწვევს — დანამდვილებით ხომ არავინ იცის, ვინ არის და როგორ არის — ერთი ეგ არის, რომ დიდი შეძლების პატრონია. როგორც ვიცი, მცხეთელების ერთი ნაწილიც ამიტომ არის დაეჭვებული — არავინ იცის, რა უნდა მცხეთაში, რის გაკეთებას აპირებს, ან აპირებს თუ არა. მოკლედ, უარყოფით დამოკიდებულებას სავსებით სამართლიანად საკითხის ბუნდოვანება იწვევს. სხვა მხრივ, მცხეთაში ფულის ჩადება რასაკვირველია, საჭირო და დიდი საქმეა, მაგრამ უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ვის ექნება გადამწყვეტი სიტყვა ქალაქის მმართველობაში. ჩემი აზრით, ეს ერთი კაცი არ უნდა იყოს — ალბათ, ისევ საპატრიარქომ უნდა გადაწყვიტოს ყველაფერი.

P.S. სხვათა შორის, ირმა ნუცუბიძემ რედაქციაში მცხეთელების მიმართვა მოიტანა, სადაც სიტუაცია გაცილებით მწვავე ფორმებშია აღწერილი. როგორც თავად ამბობს, მცხეთელები ამ საკითხზე სერიოზულ მსჯელობას აპირებენ. ასე რომ, მავანთ, სურვილის მიუხედავად, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებაც მოუწევთ.

**დაჩი გრძელიშვილი**

# ტომატის კონსერვებთან ფრთხილად

ქვეყნის სამომხმარებლო ბაზარი რომ წალეკილია გაურკვეველი წარმოშობის უხარისხო პროდუქციით და აგრეთვე ე. წ. მესამე ქვეყნებისთვის წარმოებული კვების ნაწარმით, უკვე არავისში ეჭვს აღარ იწვევს.

არასამთავრობო ორგანიზაცია კავშირი „21 საუკუნე“ ახორციელებს პროექტს „საკვები პროდუქციის ეკოლოგიური სისუფთავისა და უსაფრთხოების დამაკმაყოფილებელი კონტროლი“. ორგანიზაციის მიერ თბილისის სხვადასხვა მაღაზიაში შესყიდული იქნა რამდენიმე სახის კვების პროდუქტი და შემოწმდა დამოუკიდებელ, კომპეტენტურ კვების ლაბორატორიებში. შემოწმებას უნდა დაედგინა, ჰქონდათ თუ არა მათ გამოყენების ვადა გასული და იყო თუ არა მათში შემავალი ინგრედიენტების შესახებ ინფორმაცია ეტიკეტზე საქართველოში გასაგებ ენაზე დატანილი.

ტომატის კეტჩუპის ეტიკეტზე — „ტომატო კეტჩაპ“, რომელიც დამზადებული იყო იტალიაში ფირმა „კუსტოდორის“ მიერ, არანაირი ინფორმაცია გასაგებ ენაზე არ იყო დატანილი.

შემოწმდა ტომატ-პასტა „გოზდე“, თურქული წარმოების 830-გრამიან რკინის კოლოფში. მასზე საერთოდ არ იყო მითითებული გამოშვების თარიღი და გამოყენების ვადა უმთავრდებოდა 2001 წელს.

თურქული წარმოების ტომატ-პასტას „ტატი“ — 500-გრამიან მინის ქილებში ასევე არ ჰქონდა ეტიკეტზე გამოშვების თარიღი, ხოლო გამოყენების ვადა უმთავრდებოდა 2002 წელს. ამ კონსერვს ეტიკეტი გახეული, ხოლო ქილა ძლიერ გაბინძურებული აღმოაჩნდა.

ასეთმა ნაწარმმა შეიძლება მყისიერად არ იმოქმედოს თქვენს ჯანმრთელობაზე მაგრამ დროთა განმავლობაში აუცილებლად იჩენს თავს მისი ზემოქმედება ორგანიზმზე. ამას მოწმობს ახლახან მომხდარი ფაქტიც. ბოლო კვირის განმავლობაში ბოტულიზმის კიდევ ერთი შემთხვევა დაფიქსირდა, როგორც სააგენტო „მედია ნიუსს“ დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში აცნობეს, ამჯერად თბილისის ინფექციური პათოლოგიის ცენტრში 27 წლის ქალბატონი მოათავსეს, იგი მძიმე მდგომარეობაშია, მაგრამ ექიმთა ვარაუდით მის სიცოცხლეს საფრთხე უკვე აღარ ემუქრება. პროდუქტი, რომლითაც გამოწვეული იყო დაავადება, დადგენილი ჯერ არ არის, ავადმყოფის და მისი ახლობლების ცნობით, მან მიირთვა რამდენიმე დასახელების დაკონსერვებული ბოსტნეული. ამჟამად ადგილზე გამოკვლევებს ჯანდაცვის ეროვნული სამსახური აწარმოებს.

საქსტანდარტმა თებერვალში თბილისის სავაჭრო ობიექტებში ფართომასშტაბიანი რეიდების ჩატარების დროს, სხვა საკვებ პროდუქტებთან ერთად, გაყიდვაში არსებული იმპორტული ტომატ-პასტაც შეამოწმა.

ტომატ-პასტა ფაქტიურად კუსტარულად იყო შექმნილი სახამებლის საშუალებით და სრულფასოვანი პროდუქტის სახის მისაცემად დამატებული ჰქონდა სხვადასხვა ქიმიური კომპონენტები. ლაბორატორიული

**ფრთხილად იყავით ასეთი ტიპის ტომატის კონსერვების შეძენისას**




ანალიზის შედეგებით დადგინდა, რომ ტომატ-პასტის ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები არანაირ სტანდარტის ნორმებში არ ჯდებოდა და გაზრდილი იყო მშრალი ნივთიერების შემცველობა. პროდუქტის ეტიკეტზე არ იყო მითითებული არც დამზადების თარიღი და შენახვის ვადები, არც მწარმოებელი კომპანია და ქვეყანა, არც შემადგენლობა და შენახვის პირობები.

ეტიკეტზე არსებული გაურკვეველი ინფორმაცია ალბათ მარტო მწარმოებელი ქვეყნის მცხოვრებლებისთვის თუ არის გასაგები, რაც ვერაფერი შეღავათია ჩვენი მოსახლეობისთვის. არადა დამერწმუნეთ, რომ ტომატ-პასტა, ქართული კერძების დასამზადებლად ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია და ჩვენს სამზარეულოში თუ როდის აღმოჩნდება აღნიშნული პროდუქტი, არავინ იცის.

დღევანდელ ჩვენს სამომხმარებლო ბაზარს თუ ყურადღებით დააკვირდებით, თვალები აგიჭრელდებათ ნაირგვარი დასახელებისა თუ წარმოშობის კვების პროდუქტებით. განსაკუთრებით თვალს ახარებს დაკონსერვებული ხილის, ბოსტნეულის, საბავშვო თუ ჩვეულებრივი წვენების, დაკონსერვებული ხორცის პროდუქტების და სხვა მზა ნაწარმის ფართო ასორტიმენტი. ამაოდ დაუწყებთ ძებნას ამ უკიდეგანო ზღვაში ქართულ პროდუქციას, მათი წილი უმნიშვნელოა ბაზარზე. მომხმარებელთა უმრავლესობის მოთხოვნა ძირითადად იმპორტული კონსერვებით კმაყოფილდება, მაგრამ ვაი ამ დაკმაყოფილებას. მომხმარებელთა უფლების დაცვის ასოციაციის ექსპერტის განცხადებით მაღაზიების 70-80% ვადაგასული, ფალსიფიცირებული, კონტრაბანდული, სარეალიზაციოდ აკრძალული კვების პროდუქტებით ვაჭრობს. უვარგისი პროდუქტების ნიმუშები — ხილფაფები, ტომატ-პასტები, ხორცის პროდუქტების კონსერვები, წვენები და ა.შ. იმდენი აქვთ ამოღებული მაკონტროლებლებს, რომ უშველებელი გამოფენა მოეწყობა, მაგრამ რად გინდათ, ნათქვამია: „ძაღლი ჰყეფს და ქარავანი მიდის“.

კანონის მიხედვით, უხარისხო კვების პროდუქციაზე კონტროლი საქსტანდარტს ევალება. როდესაც იმპორტული საქონელი საქართველოს საზღვარს გადმოკვეთს, მფლობელი ვალდებულია ტვირთის განბაჟებასთან ერთად შეამოწმოს კვების პროდუქტის ხარისხი ლაბორატორიაში და აიღოს შესაბამისობის სერტიფიკატი. სერტიფიკატს გასცემენ საქსტანდარტში აღრიცხვაზე მყოფი სპეციალური შპს-ები. საქსტანდარტის მონაცემებით, იმ პროდუქციას, რომელიც ლეგალურად შემოდის საქართველოში, თითქმის ყოველთვის გააჩნია ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატი. საქმე იმაშია, რომ კონსერვების დიდი ნაწილი ბაზარზე არალეგალურად ხვდება, ძირითადად ერგნეთის ბაზრობიდან. როგორც წესი, ეს კვების პროდუქტები იაფი ფასით გამოირჩევიან, მაგრამ ხარისხის რა მოგახსენოთ. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ უხარისხო დაკონსერვებულ პროდუქტთან საბრძოლველად საქსტანდარტს პრაქტიკულად არანაირი ბერკეტი არ გააჩნია.

ინსპექტორმა უბრალოდ გასაყიდად გამოტანილი კვების პროდუქტის ერთი ნიმუშიც რომ აიღოს, ამისთვის სასამართლოს ნებართვაა საჭირო. თუ დადასტურდა, რომ კონსერვი უხარისხოა, მაშინ საქსტანდარტს კიდევ ერთხელ მოუწევს მიმართოს სასამართლოს ახლა უკვე მთელი პარტიის შესამოწმებლად და საჭიროების შემთხვევაში პროდუქციის ამოსაღებად. ამ ხნის განმავლობაში კი უხარისხო პროდუქცია უკვე გაყიდულია, თუმცა, როგორც წესი, სასამართლო ხშირად შემოწმების უფლებას არ იძლევა. გასულ წელს საქსტანდარტმა მიმართა სასამართლოს კონკრეტული პროდუქციის შემოწმებაზე ნებართვის მისაღებად და უარი მიიღო. ერთი თვის შემდეგ კი ამ პროდუქციით ადამიანი მოიწამლა და გარდაიცვალა.

შესაბამისობის სერტიფიკატის გარეშე აკრძალულია კონსერვის რეალიზაცია. სერტიფიკატის გაფორმება ლაბორატორიულ შემოწმებასთან ერთად გარკვეულ დროს მოითხოვს და მისი ფასი 100 ლარის ფარგლებში მერყეობს. მაშინ, როცა ჯარიმის გადასახდელი თანხის ოდენობა 50 ლარის ფარგლებშია. იმპორტიორს რა თქმა უნდა ურჩევნია ერთხელ გადაიხადოს ჯარიმის თანხა და გააგრძელოს უხარისხო კვების ნაწარმის გაყიდვა. გასულ წელს მაგალითად 1500-მდე იმპორტიორი დაჯარიმდა, ბიუჯეტში კი შევიდა 100 000-ზე მეტი ლარი, მაგრამ ამან პროდუქციის ხარისხი ნამდვილად ვერ გაზარდა.

საქსტანდარტს კანონმდებლობის მიხედვით უხარისხო პროდუქციის განადგურების უფლებაც კი არა აქვს. უკვე 1 წელია პარლამენტში დევს საქსტანდარტის მიერ მომზადებული კანონპროექტი არასაიმედო საკვები პროდუქციის განადგურების შესახებ რომლის დამტკიცებასაც დღემდე ელოდებიან.

2002 წლის ბოლო 6 თვის განმავლობაში საბაჟოდან მიღებული ინფორმაციით საზღვარი ოფიციალურად გადმოკვეთა 3700 დასახელების იმპორტულმა კვების ნაწარმმა, მათ შორის დიდი რაოდენობით საკონსერვო პროდუქციამ. თუ საქართველოში კონტრაბანდის მასშტაბებს გავითვალისწინებთ, ეს იმას ნიშნავს, რომ ერთი ამდენი მაინც არალეგალურად იყიდება სამომხმარებლო ბაზარზე. საქსტანდარტის ცნობით შემოწმება თითქმის არც ერთ კვების პროდუქტს არ სჭირდება — უმრავლესობა ვადაგასულია, განსაკუთრებით კი დაკონსერვებული ნაწარმი.

ვადაგასულებია ბოსტნეულის ნატურალური წვენები, ასევე საბავშვო იოგურტი, მაიონეზის მრავალფეროვანი ასორტიმენტი და ა.შ.

სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ ხელისუფლება პრაქტიკულად უძლურია რაიმე წინააღმდეგობა გაუწიოს უხარისხო, ვადაგასული კონსერვების და სხვა ნაწარმის მოძალებას.

*მაია შამუგია*

R

# რუსეთმა ამიერკავკასიაში პოზიციები გაიმაგრა

უკვე აშკარაა, რომ ამიერკავკასიაში რუსეთმა პოზიციები განიმტკიცა. ეს იქიდანაც ჩანს, რომ რფ-ის თავდაცვის მინისტრმა, სერგეი ივანოვმა და მისმა აზერბაიჯანელმა კოლეგამ, საფარ აბიევმა ბაქოში ხელი მოაწერეს სამხედრო-ტექნიკურ სფეროში თანამშრომლობის ხელშეკრულებას. ეს პირველი ხელშეკრულებაა აზერბაიჯანთან და რუსული სამხედრო დიპლომატიის დიდ წარმატებად მიიჩნევა, რადგან ამ საკითხში რუსეთის კონკურენტები აშშ და უკრაინა არიან.

როგორც ცნობილია, ყარაბაღთან მოუგვარებელი კონფლიქტის გამო მოსკოვმა, ისევე, როგორც სხვა სახელმწიფოებმა, 1993 წელს ბაქოსთან სამხედრო კონტაქტებს ემბარგო დაადო. თუმცა 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ აშშ-მა და ზოგიერთმა სხვა სახელმწიფომ შეზღუდვები მოხსნა და ბაქოს სამხედრო დახმარების ხელი გაუწოდა. ამბობდნენ, აფშერონის ნახევარკუნძულზე ამერიკა სამხედრო ბაზების შექმნას აპირებსო. მაგრამ ჯერჯერობით, ეს იდეა არ განხორციელებულა. თუმცა ამერიკელებმა უკვე დაგეგმეს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის დაცვა.

როგორც აზერბაიჯანში საქართველოს ელჩმა ზურაბ გუმბერიძემ განაცხადა, აშშ-მა გადაწყვიტა დახმარების 65-დან 75 მლნ დოლარამდე გაზრდა. რასაკვირველია, ფინანსურად რუსეთი ამერიკას ვერ შეეჯიბრება, თუმცა ცნობილია, რომ აზერბაიჯანის ჯარი საბჭოური და რუსული წარმოების ტექნიკითა და რაკეტებითაა შეიარაღებული. მოსკოვმა აზერბაიჯანისთვის ოფიცერთა კადრების მომზადება იკისრა, პოლიგონებზე კი აზერბაიჯანელ სპეციალისტებს საზენიტო-სარაკეტო შენაერთების სასწავლო სროლებში ვარჯიში აქვთ დაგეგმილი.

როგორც აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, — თუ ყარაბაღის კონფლიქტი მშვიდობიანად არ გადაწყდა, მისი ქვეყანა მზად არის, ძალის საშუალებით აღადგინოს ტერიტორიული მთლიანობა.

ცნობილია, რომ მოსკოვი თავის სტრატეგიულ პარტნიორად ამიერკავკასიაში სომხეთს თვლის, იქ მას სამხედრო ბაზაც აქვს და თავდაცვის დარგში ხელშეკრულებაც. ამიტომ თუ ბაქო ყარაბაღთან ომს დაიწყებს (ეს იმას ნიშნავს, რომ სომხეთთანაც), შეთანხმების მიხედვით, რუსეთი ერევანს დაეხმარება. თუმცა სერგეი ივანოვი ბაქოში ყოფნისას სრულიად საწინააღმდეგოს აცხადებდა და კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების სურვილს გამოთქვამდა.

ასე რომ, მოსკოვმა ამიერკავკასიის ორ რესპუბლიკაში მაინც მოახერხა თავისი ავტორიტეტის ამაღლება. აზერბაიჯანთან და სომხეთთან სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობით ის ამ ქვეყნებში თავის გავლენას აძლიერებს.

***სტრანა.რუ***




# სპეცსამსახურების ახალი ოპერაცია პანკისის ხეობაში

მაჰაჩყალაში, რუსეთ-აზერბაიჯან-საქართველოს მესაზღვრეთა სამეთაურო-საშტაბო ერთობლივ სწავლებაზე მყოფმა საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის შტაბის უფროსმა კორნელი სალიამ განაცხადა, — ზაფხულში ქართველი მესაზღვრეები რუსეთ-საქართველოს საზღვარზე მდგომარეობის გამწვავებას ელიანო.

კორნელი სალიას თქმით, — სიტუაცია პანკისის ხეობაში რუსეთ-საქართველოს საზღვრის მონაკვეთზე ჯერჯერობით სტაბილურია, მაგრამ გაზაფხულზე ჩეჩნეთში ფედერალური ძალების გააქტიურებასთან ერთად, შეიძლება ზოგიერთი ბანდფორმირება საქართველოში შემოიპაროს.

საქართველოს ოკეანის გაღმიდანაც შეახსენეს, პანკისის თემის დახურვა ჯერ ადრეაო. აშშ-ის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ამასწინანდელ წერილში ედუარდ შევარდნაძეს დაჰპირდა, აფხაზეთის პრობლემასაც მივხედავ, მაგრამ პანკისში მუშაობა გააააქტიურეო.

თბილისმაც „კარნახი“ მაშინვე სათანადოდ შეაფასა და თუ ცოტა ხნის წინ იკვეხნიდა, — პანკისში ანტიკრიმინალური და ანტიტერორისტული ფართომასშტაბიანი ოპერაცია წარმატებით დავასრულეთო, ახლა უფრო ძუნწად აფასებს ქვეყნის ამ რეგიონის მდგომარეობას. კერძოდ, პრეზიდენტი შევარდნაძე გამოტყდა, — ჩეჩენი ბოევიკებისაგან თითქოსდა გაწმენდილ ხეობაში მდგომარეობა შეიძლება კვლავ გამწვავდეს; გარკვეული გარეშე ძალების შეგულიანებით, დესტრუქციული ელემენტები შეეცდებიან რუსეთის ტერიტორიიდან პანკისის ხეობაში გადმოსვლას ან პირიქით, პანკისიდან რუსეთში წასვლასო.

აღმოჩნდა, რომ მიუხედავად საქართველოს გამარჯვების ყიჟინისა, იქ მაინც შემორჩნენ „ყოფილი ბოევიკები ან ტერორისტები, რომლებიც შეიძლება „ლტოლვილებად შეინიღბონ“.

სპეციალურად შექმნილ საუწყებათაშორისო ჯგუფში საქართველოს ყველა ძალოვანი სტრუქტურის ხელმძღვანელი შევიდა. შემუშავდა პანკისში ანტიტერორისტული და ანტიკრიმინალური ოპერაციის მეორე ფაზის გეგმა, რომელიც მოიწონა საქართველოს ეროვნული უშიშროების კომიტეტმა და თებერვლის ბოლოს ამ რეგიონში შინაგანი ძალების დამატებითი შენაერთები შეიყვანეს; ადგილობრივი მოსახლეობისაგან რეზერვისტების სპეციალური ბატალიონიც შეიქმნა, რომელიც საზღვრის მიმდებარე მთის ბილიკებსა და მისადგომებს გაამაგრებს.

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა თედო ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ საქართველოს სპეცსამსახურების მონაცემებით, გაზაფხულზე, პანკისის ხეობაში შეიძლება რუსლან გელაევის დაახლოებით 50-კაციანი ჯგუფი და რუსეთის ტერიტორიაზე მყოფი კიდევ სხვა შეიარაღებული დაჯგუფებები დაბრუნდნენო. მისივე თქმით, როგორც პირველი, ისე ახლანდელი ოპერაცია, პანკისში უცხოური სამხედრო ძალების დაუხმარებლად ჩატარდება.

შემუშავებული გეგმის მიხედვით ხეობაში ახალი ბლოკპოსტები შეიქმნება, მათ შორის, საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩეჩნური მონაკვეთის ახლოსაც; ამ ადგილებში ანტიკრიმინალური ოპერაციის პირველი ფაზის დროს ქართული სპეცრაზმები იშვიათად ჩნდებოდნენ და აქ შეიძლება ბოევიკთა ბანაკები ჯერაც იყოს.

ახალი გეგმის დეტალები, რასაკვირველია, საიდუმლოდ ინახება, მაგრამ არის ცნობები, რომ ამჯერად საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები პანკისის ჩრდილოეთ მონაკვეთის გაკონტროლებას აპირებენ, რადგან აქედან ჩეჩნეთი უფრო ახლოს არის და უფრო საშიშად მიაჩნია თბილისს.

ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, — იმისათვის, რომ პანკისის ხეობა კვლავ ცხელ წერტილად არ გადაიქცეს, საჭიროა რუსეთის სპეცსამსახურებთან და აშშ-თან უფრო მჭიდრო თანამშრომლობაო.

***ნეზავისიმაია.რუ***

## სადამმა თქვა...

*2003 წლის 19 თებერვალს რუსეთის დელეგაცია რფ-ის დუმის კომპარტიის ფრაქციის ლიდერის, გენადი ზიუგანოვის მეთაურობით ერაყს ეწვია. ერაყის პრეზიდენტი, სადამ ჰუსეინი სამსაათიანი საუბრის დროს საქართველოსაც შეეხო:*

...ჩვენთვის გასაგებია, რომ ჩეჩნეთი რუსეთის პრობლემაა, რომელიც აშშ-მა შვა. მათ რუსეთში კრიზისის მუდმივი წყარო და რუსეთზე ზეწოლის ბერკეტები სჭირდებათ.

ამ ბოლო დროს, ჩეჩნეთის კიდევ ერთი ხელისშემწყობი, ედუარდ შევარდნაძე, ერაყის წინააღმდეგ ილაშქრებს. ისევე, როგორც 1990 წელს, ამერიკა მას ამჯერადაც ტროას ცხენის როლში იყენებს. შევარდნაძე სწორედ იმ სიძულვილის ღირსია, რომელ-



საც საქართველოს ხალხი განიცდის მის მიმართ. საქართველომ არ უნდა დაივიწყოს თავისი და რუსი ხალხის ღირსეული შვილის — ი.ბ. სტალინის სახელი. ყველა ავ-კარგთან ერთად ის რუსების ერთგული იყო. სსრკ-ში სტალინის ბელადობის პერიოდში რუსებმა ბევრი მოუთმინეს საქართველოს. არ შეიძლება სტალინის პოლიტიკის შეფასება მხოლოდ 1924-37 წლებით. მან შექმნა მძიმე მრეწველობა, რაკეტები, წყალბადის იარაღი, საბჭოთა არმია. ისტორია მარტო ცალკეული მონაკვეთებით არ ფასდება...

***ზავტრა №9***

## ბაყაყების ექსპორტი

საქართველომ გადაწყვიტა საფრანგეთს მიჰყიდოს ბაყაყები, რომლის ხორცი ამ ქვეყანაში დელიკატესად ითვლება. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ ლანჩხუთის რაიონის კერძო ფირმა „ამორას“ ქვეყნიდან „ტბის ბაყაყების“ პირველი პარტიის გატანის უფლება მისცა.



„ამორამაც“ არ დააყოვნა და საფრანგეთში 8 ტონა ცოცხალი ბაყაყი გაამგზავრა.

***ნიუს.რუ***

***გვერდი მოამზადა თინათინ მარგველაშვილმა***

# საქართველო დსთ-ის ერთიან ეკონომიკურ სივრცეს შეიძლება შეუერთდეს



საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ვახტანგ რჩეულიშვილმა ედუარდ შევარდნაძეს ურჩია რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიისა და ყაზახეთის პრეზიდენტების მიერ ხელმოწერილი ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნის დოკუმენტის შესწავლა. პოლიტიკოსის აზრით, აუცილებელია იმის გაანალიზება, თუ როგორ შეიძლება ამან იმოქმედოს საქართველოს ეკონომიკაზე, და რას უქადის ქვეყანას ამ სივრცესთან მიერთება.

დეპუტატის წინადადების საპასუხოდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ერთობლივი ხელმოწერილი განცხადება მისთვის მოულოდნელი იყო, რადგან დსთ-ის სამიტზე, კიევში პრეზიდენტები შეთანხმდნენ, რომ თავისუფალი ეკონომიკური ზონის საკითხს სექტემბერში განიხილავდნენ.

საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა: „თუ დოკუმენტის შესწავლის შემდეგ აღმოჩნდება, რომ ის საქართველოს ინტერესებს არ ეწინააღმდეგება, გამორიცხული არ არის, რომ ქვეყანა მას შეუერთდეს“.

***ნტვ***

# საქართველო-აშშ-ის ხელშეკრულება ერაყის კაპიტულაციის აქტს უფრო ჰგავს

საქართველოსა და აშშ-ის მთავრობებს შორის დადებული ხელშეკრულება თავდაცვის დარგში, ითვალისწინებს აშშ-ის მოქალაქეთა და სამხედრო პირთა უვიზო შესვლას საქართველოში, ასევე მათი ტრანსპორტის, ტვირთისა და შეიარაღების შეუფერხებელ გადაადგილებას. ხელშეკრულება ამერიკელ სამხედროებს პირადი იარაღის ტარების უფლებასაც ანიჭებს. იმ შემთხვევაში, თუ აშშ-ის მოქალაქე, ბოროტმოქმედებას ჩაიდენს საქართველოს ტერიტორიაზე, მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე ამერიკული მართლმსაჯულების წესების თანახმად წარიმართება. სარატიფიკაციოდ წარდგენილმა ხელშეკრულებამ საქართველოს პარლამენტის ზოგი დეპუტატის უკმაყოფილება გამოიწვია, რის გამოც რატიფიკაცია გადაიდო. მათი აზრით, დოკუმენტი უფრო ერაყის კაპიტულაციის აქტს ჰგავს, ვიდრე თავდაცვის სფეროში საქართველოსა და ამერიკის თანამშრომლობას.

***ნტვ.რუ***


# ქორწინება, რომელიც „ჯერ არ შემდგარა“

არსებობს პრობლემა, რომელიც მოსახლეობის ფართო ფენებისთვის ცნობილი არ არის, მაგრამ ამავდროულად ფართოდაა გავრცელებული სუსტი სქესის წარმომადგენლებში. ამ პრობლემის სახელია – ვაგინიზმი.

ვაგინიზმი (ლათ. ვაგინა-საშო) არის მდგომარეობა, რომელიც ხასიათდება შერწყმის შიშით და ხშირად უბრალოდ, სასქესო ორგანოებზე შეხების შიშით. შიში იმდენად ძლიერია, რომ ავტომატურად იწვევს იმ კუნთების შეკუმშვას, რომლებიც საშოს შესასვლელშია განლაგებული. ეს მოვლენები ვითარდება, როგორც დამცავი რეფლექსი შერწყმისას, ან მის მოლოდინში. ამ პროცესის კონტროლირება ქალს არ შეუძლია, ეს კი სექსუალური სიახლოვის განხორციელებას შეუძლებელს ხდის. ვაგინიზმის გამოვლინებების ძალით გადალახვის მცდელობისას, მისი გამოვლინებები უფრო რთულ ფორმებს იძენს. მეუღლეებს შორის სექსუალური ურთიერთობები შესაძლებელია წლების განმავლობაში არ არსებობდეს.

ვაგინიზმის გამოვლინებას ძალიან მძიმედ განიცდის წყვილი, მაგრამ რაც არ უნდა უცნაურად ჩანდეს, უმრავლეს შემთხვევაში, ასეთი ქორწინებები სტაბილურია. როგორც წესი წყვილი მიმართავს ალტერნატიული სექსის ფორმებს, რადგანაც სექსუალური დაკმაყოფილება დღის წესრიგში არ დგას.

ამიტომაც ხდება ხოლმე, რომ ახალგაზრდები შეუღლებულები არიან, მაგრამ ქორწინება „ფორმალურად ჯერ არ შემდგარა“ და ქალი ქალიშვილია (პირველადი ვაგინიზმი). მაგრამ ხშირია შემთხვევები, როდესაც ვაგინიზმი ვითარდება მტკივნეული ან დამატრავმირებელი პირველი აქტის შემდეგ. ფიზიკურად ქალი უკვე აღარ არის ქალიშვილი, მაგრამ სექსუალური თანაცხოვრება აღარ შეუძლია გადაულახავი შიშის და მცირე მენჯის სპაზმური მოვლენების გამო (მეორადი ვაგინიზმი). ამასთან დაკავშირებით, საქალწულე აპკის ქირურგიული მეთოდით მოშორება, რასაც ხშირად მიმართავენ გოგონები, გაუმართლებელია. პრობლემას ფსიქოემოციური ხასიათი აქვს.

ხანდახან ვაგინიზმი შეიძლება ერთგვარი თავდაცვითი ფორმა იყოს არასასურველი პარტნიორის წინააღმდეგ. სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს იმის შესახებ, თუ რამდენი პროცენტი განქორწინებებისა „ხასიათების შეუთავსებლობის" გამო არის, სინამდვილეში ვაგინიზმით განპირობებული. თუ ქორწინება სექსუალური თანაცხოვრების გარეშე ხანგრძლივად გრძელდება, შეიძლება საქმე ეხებოდეს ვაგინიზმისა და პარტნიორის პოტენციის დაქვეითების კომბინაციას.

ვაგინიზმის მკურნალობამდე, უნდა გაირკვეს, მართლა არის თუ არა ეს პრობლემა სახეზე. სამედიცინო ცენტრში „ექიმი გილი", თითოეული პაციენტისათვის, გამოკვლევების საფუძველზე, შეირჩევა მკურნალობის საჭირო, ინდივიდუალური კურსი. თუ ადგილი აქვს შიშს, სპაზმური მოვლენების გარეშე, მაშინ პრობლემა შეიძლება ერთი ან რამდენიმე კონსულტაციის მეშვეობით გადაიჭრას. თუ სახეზეა ვაგინიზმი, უნდა გაირკვეს, გვევლინება თუ არა ამის მიზეზად საქალწულე აპკის ანომალიები. ანომალიის შემთხვევაში, მკურნალობა ტარდება ქირურგიული ჩარევის შემდეგ.

სამედიცინო ცენტრში „ექიმი გილი" ვაგინიზმის დიაგნოზი ისმება გასაუბრების და პაციენტის პირველადი სექსოლოგიური გამოკვლევის საფუძველზე კვალიფიციური სპეციალისტების მიერ. აქ გამოიყენება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში აპრობირებული მეთოდები. მკურნალობა მიმართულია პათოლოგიური რეფლექსების შეწყვეტისკენ, რომლებიც იწვევენ სპაზმურ მოვლენებს და შიშს. მკურნალობის სწორი კურსი, როგორც წესი, ამართლებს და მეუღლეებს შესაძლებლობა ეძლევათ „ფაქტიურად განახორციელონ“ ქორწინება.

სამედიცინო ცენტრი

**"ექიმი გილი"**

**☎ 33-00-72 25-27-09**

[illegible]

[illegible]

®



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!
კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები გვიხუმრობენ

***

**3 წლის ნინუცა შანგუას** სათამაშოები იატაკზე აქვს მიმობნეული.
— ჩქარა ავკრიფოთ, თორემ ბოროტი ჯუჯები მოვლენ და ყველაფერს წაიღებენ, — ეუბნება დედა.
პასუხად ნინუცა გარბის და შემოსასვლელ კარს ჯაჭვით კეტავს:
— ნუ გეშინია, დედიკო, ვერავინ ველარ შემოვაო და არხეინად წამოწვა დივანზე.

***

**5 წლის რეზიკო წიკლაურს** დედა ეკითხება:
— შენი ჯგუფელი თამთა კიდევ გიყვარს?
— არა, ეგ ხო დაძველდა უკვე, ახლები კიდე სულ დაჯღანულები არიან, — მიუგო ბიჭმა.

***

**3 წლის ნიტას** დეიდა ეკითხება:
— ხილფაფიანი პური არ გინდა?
თამაშით გართული გოგონა დაუფიქრებლად დაეთანხმა. ცოტა ხანში შერბის სამზარეულოში და ეუბნება:
— ნინო არ მინდა იანი პური.

***

**3 წლის ბექა ჯაფარიძეს** 2 წლის დაიკო ანას მეზობლის ქალი გაუწყრა. ბექა ამშვიდებს დაიკოს:
— ანა, წამოდი, ყურს ნუ უგდებ ამ ნერვიულს და უფრო არ აგანერვიულოს.

## ძვირფასო მშობლებო!

იქმნება თანამედროვე საბავშვო პერსონაჟი ბუთქუნა. თქვენი შვილი შეიძლება ბუთქუნასა და მისი მეგობრების პროტოტიპი აღმოჩნდეს. ასე რომ, „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნეთ ბავშვების ფოტოები, სადაც ისინი დაახლოებით 4 წლისანი არიან და დაელოდეთ ბუთქუნას!

## იპოვე 7 განსხვავება



## I ანა, გამოიცანი

**1. იტალიის რომელ ქალაქშია ქუჩების ნაცვლად არხები?**
ა) რომში; ბ) ვენეციაში, გ) ნეაპოლში; დ) ფლორენციაში.

**2. ვინ იყო დავით აღმაშენებლის მამა?**
ა) გიორგი ; ბ) გიორგი ; გ) ბაგრატ ; დ) ბაგრატ V.

**3. დაასრულე აფორიზმი: „თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს ...“**
ა) მასწავლებელი; ბ) ცხოვრება; გ) ბედისწერა; დ) წუთისოფელი.

**4. რომელ ქვეყანაშია მკვდარი ზღვა, რომელიც ისეთი მარილიანია, რომ მასში თევზიც არ არის?**
ა) ისრაელში; ბ) იორდანიაში; გ) პალესტინაში; დ) სირიაში.

**5. ჩასვი გამოტოვებული სიტყვა: „თავს ... სჯობია, ბოლოჟამს დანანებასა“.**
ა) სიზარმაცე; ბ) სიბეჯითე; გ) სიდუხჭირე; დ) სინანული.

**6. რომელი მათგანი არ იყო ბიბლიური ნოეს შვილი?**
ა) სემი; ბ) ქამი; გ) თარგამოსი; დ) იაფეტი.

**7. რომელი კომპოზიტორი დაბრმავდა?**
ა) ბეთჰოვენი; ბ) მოცარტი; გ) ბახი; დ) ჩაიკოვსკი.

## II რებუსი



შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელი ფერის ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: „მაღალი ხის ნაყოფია, მისი კრეფა ხელით ჭირს, გრძელი ჭოკით იბერტყება, სეტყვასავით ცვივა ძირს“.

## III







ზღაპრების შეძენა შეგიძლიათ „კვირის პალიტრის“ საგაზეთო ჯიხურებში, აგრეთვე პრესის სხვა გამავრცელებლებთან და წიგნის მაღაზიებში


გამოიცანი, რომელ ფიგურას არ გააჩნია ორეული





გამოიცანი, რომელი ნივთები სჭირდება ფოსტალიონს

## ქიაყელი

| „ციხე“ ცხოველებისა და ფრინველებისთვის | „ყოფნა, არყოფნა, ... აი ეს არის!“ (შექსპირი) | ესტონეთის დედაქალაქი | თარსი რიცხვი | ნოტი |
|---|---|---|---|---|
| რაიონული ცენტრი აფხაზეთში | იგივეა, რაც წლოვანება | ცხოველი | ქართველი ფეხბურთელი ... დარასელია | ქალაქი საფრანგეთში | ნაცვალსახელი | სასვენი ნიშანი |

ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ, მიუთითოთ რუბრიკა „საბალღო-სალაღო“

პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

# ზოზო — კეთილი გოლიათი, ანუ მსოფლიოს მერვე საოცრება

ვისაც ერთხელ მაინც უნახავს ზოზო (იაზონ) ბაქრაძე კინოეკრანზე, ძნელად წარმოსადგენია, დაავიწყდეს ეს გოლიათური აღნაგობის, ნიჭიერებით სავსე კაცი. მარტო „სერენადაში" რად ღირს შეყვარებული ზოზოს რამაზ გიორგობიანთან ჭიდილი. ბევრმა ალბათ არც იცის, რომ თვით მისი ცხოვრება არაფრით ჩამოუვარდებოდა საუკეთესო მხატვრულ ფილმსაც კი. სიკეთით, სინაზით, გამორჩეული თვისებებით შემკული ზოზო ბაქრაძე ზღაპრის პერსონაჟივით დაამახსოვრდა ნაცნობებსა და მეგობრებს, ოჯახის წევრებს.

## იაზონ პირველი და იაზონ მეორე

**ლევან ბაქრაძე (ზოზოს ძმა):** — ყველა ზოზოს ეძახდა. სინამდვილეში იაზონი ერქვა, პაპაჩემის სახელი. უფროსი იაზონ ბაქრაძე თავისი დროის ცნობილი პიროვნება იყო. პუბლიცისტურ წერილებს წერდა, თარგმნიდა გერმანულიდან. იგი ჭიათურის შავი ქვის მრეწველთაგან ერთ-ერთი იყო, საკმაოდ დიდი ქონების პატრონი. ცნობილი მეცენატი. კონსტანტინე გამსახურდია, ისე, როგორც ბევრი სხვა, გერმანიაში სასწავლებლად მან და მისმა მეგობრებმა გაუშვეს. აი, ამ იაზონ პაპის სახელი დაარქვეს ზოზოს. ოჯახში შემორჩენილი გვაქვს პატარა სახუმარო წერილი, რომელიც იაზონ-უფროსმა დაუტოვა შვილიშვილს:

*„ძვირფას შვილიშვილ იაზონ მეორეს*
*მისი ბაბუის, იაზონ პირველის დავალება:*

*დედაშენმა დოდომ და მამაშენმა დილიკომ (ესე იგი, სილვიამ და ავთანდილმა) 1935-36 წლებში იშვიათი გმირობა გამოიჩინეს და მიუხედავად საკუთარი შევიწროებული მდგომარეობისა, თექვსმეტი თვის განმავლობაში არ შემამჩნევინეს ჩემი გაჭირვება და გადმომცეს 1935 წლის 1/V-დან 1936 წლის 1/V-მდე 3763 მანეთი. 1936 წლის 1/V-დან 1936 წლის 1/X-მდის 937 მანეთი. სულ 16 თვის განმავლობაში 4. 700 მანეთი. რადგან ამ ვალის გადახდას მე ვეღარ მოვასწრებ, გავალებ, რომ ეგ ფული მთელი კუთვნილი სარგებლით, გადაუხადო ჩემს მაგიერ შენს კეთილ მშობლებს არაუგვიანეს 1960 წლისა. შენი მოყვარული ბაბუა იაზონ პირველი.*

*ტფილისი, 1936 წლის 23 ოქტომბერი".*

ზოზო 1936 წელს დაიბადა. 1937 წელს ბაბუა შინსახკომელებმა წაიყვანეს და მას შემდეგ აღარავის უნახავს. გაქრა მისი ნაწერებიც (ქონებაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია). ზოზომ პირნათლად შეასრულა ბაბუის დავალება. ასმაგად გადაუხადა მშობლებს სიკეთე. მამა ადრე გარდაგვეცვალა — 1965 წელს და ოჯახის რჩენა მას დააწვა ტვირთად. დედა ავადმყოფობდა. ზოზო გულჩვილი და მზრუნველი შვილი იყო. ისე მოხდა, რომ დედის გარდაცვალებას მარტო ის შეესწრო. დედა მაგიდასთან იჯდა. უცებ ცუდად გახდა. ზოზო წამოხტა ხელის შესაშველებლად. დედა უკვე აღარ იყო... თვითონ კი, დიდი ნახტომის გამო მყესი გაუწყდა და კარგა ხანს მოუწია წოლამ და მკურნალობამ.

## გოლიათი

**ნატო წიქარიძე (რძალი):** — ზოზო ადრე სპორტსმენი იყო — ბადროს მტყორცნელი. მერე სპორტს დაანება თავი.

**ლევან ბაქრაძე:** — სპორტს დაანება თავი და ჭამა-სმას მიჰყო ხელი!

**ნატო წიქარიძე:** — წარმოიდგინეთ, სიმაღლით 190 სმ იყო. სულ უჭირდა ტანსაცმლის შოვნა. სვიტერებს ძირითადად ვუქსოვდით ჩემი და, ან — მე. ფეხი 47 ზომა ჰქონდა. რუსეთში არსებობდა ფეხსაცმლის ფაბრიკა „სკოროხოდი". მხოლოდ იქ შეკერილი ფეხსაცმელი ერგებოდა.

**ლევან ბაქრაძე:** — ინსტიტუტის სამხედრო კათედრიდან ერთხელ შეჯიბრზე გაუშვეს რუსეთში. იქ მისი ზომა ფორმა ვერ უშოვიათ და უკან დააბრუნეს.

უყვარდა ქეიფი, ბევრს სვამდა კიდეც. გადავხედავდი სუფრას, ყველა მთვრალი იყო, ის იჯდა, ვითომც აქ არაფერიაო. 10 ლიტრ ღვინოს დალევდა და ფეხი არ აერეოდა.



კინოფილმიდან „სერენადა"

გემრიელი სადილი რომ უყვარდა, ბაზარშიც ხშირად დადიოდა. ერთი პორტფელი ჰქონდა. იმას ატარებდა ბაზარში. ეხერხებოდა ყიდვა. მეგრელ გამყიდველს მეგრულად ელაპარაკებოდა ხოლმე. მეგრული ნათლიისაგან ისწავლა. სხვათა შორის, ინგლისურიც კარგად იცოდა.

**ბუბა ხოტივარი (რეჟისორი):** — გადამღები ჯგუფის სული და გული იყო. ყველა კოცნიდა და ჩქმეტდა, როგორც პუტკუნა ბავშვს. განსაკუთრებული წარმატება ჰქონდა ზოზოს უცხოელებში. მახსოვს „სერენადას" შემდეგ იმწამსვე როგორ დაუმეგობრდნენ და გვერდიდან აღარ იცილებდნენ — სიკეთით ასე სავსე კაცთან ვისვენებთ და სტრესი გვეხსნებაო (მაშინ გავიგე პირველად ეს სიტყვა — „სტრესი"). ერთი ფრანგი კრიტიკოსი ქალი გაოცებული აკვირდებოდა და ამბობდა: — ძლივს ვნახე ადამიანი, რომელმაც მთლიანად დაჯაბნა დრო! ეს კაცი დღესაც ახალშობილია და ზრდასრულ მოქალაქემდე არ ჩამოქვეითებულა, მუდმივად სიბრძნის უსასრულობაში იმყოფებაო. მეორე ქალი, სხვებს სულ რომ გვიბღვერდა, აქაოდა მოუსყიდველი კრიტიკოსი გახლავართ და ამაოდ ნუ მიტრიალებთო, სულ ეფერებოდა და კისკისებდა: — მსოფლიოს მერვე საოცრება — 152 კილო ახალშობილი, ეს ლოყებფუნჩულა ანგელოზი თქვენი ეროვნული სიამაყეაო! ზოზო არაფრით გვიმხელდა, საიდან იცოდა ამ ქალმა მისი ზუსტი წონა. რცხვენოდა, აწითლებულ სახეს ხელებში მალავდა და კიდევ უფრო საყვარელი ხდებოდა — საოცრად ემსგავსებოდა ღვთისმშობლის გარშემო სერიოზულად ჩაფიქრებულ პატარა ანგელოზებს, იტალიელი გენიოსები რომ ხატავდნენ შუა საუკუნეებში...

## „სერენადა"

„სერანადა" იყო პირველი ფილმი, სადაც ზოზო ბაქრაძე მიიწვია ბავშვობის მეგობარმა, რეჟისორმა ქართლოს ხოტივარმა.

**ლევან ბაქრაძე:** — პროფესიით მშენებელი ინჟინერი იყო. მისი გარეგნობა მოეწონა ქართლოს ხოტივარს. ძალიან უხაროდა ზოზოს ფილმებში თამაში. ყველას აყვარებდა თავს. ჩვენთან ხშირად დადიოდნენ: ქართლოს ხოტივარი, რეზო გაბრიაძე, კახი კავსაძე, გოგი ქავთარაძე...

კარგი სპეციალისტი იყო, ბანკში მუშაობდა, მშენებლობებს ამოწმებდა ხოლმე. ძალიან უჭირდათ მისი გადაღებებზე გაშვება. ცოტა ხნით დაიხსნიდა თავს, გახმოვანებას ვეღარ ახერხებდა. სულ 35 როლი ითამაშა, უმრავლესობა ეპიზოდურია, მაგრამ...

**ბუბა ხოტივარი:** — ქართლოსის ბავშვობის მეგობარი, მსახიობად დაბადებული ძლიერი ფინანსისტი-ინჟინერი, ნიჭიერი პროფესიონალი და უწესიერესი კაცი იყო... აი, ვინ იქნებოდა დღეს საქართველოს ფინანსებში ბაჯაღლო ოქრო — არც გაფლანგავდა, არც მოიპარავდა. ფეხზე დააყენებდა მთელ ქართულ საფინანსო სისტემას... მაფია ვერ გატეხდა ვერც ფიზიკურად, ვერც სულიერად. ისეთი მსახიობი იყო, ყველას მოატყუებდა და სიკეთეს მაინც გააკეთებდა...

„სერენადას" დიდი წარმატება ხვდა წილად. 1969 წელს მოსკოვის კინოფესტივალის არც ერთ პროგრამაში არ იყო შეტანილი, მაგრამ მაინც აჩვენეს. ფილმის დასაწყისიდანვე, იმ კადრიდან, როცა სქელმა ზოზომ ცერა თითით ახადა ბორჯომის ბოთლს ხუფი და ლალის გაეპრანჭა, ატყდა სიცილ-ხარხარი, ტაში და ფილმის დასრულებამდე არ შეჩერებულა. დასრულდა ფილმი. ყველა ქართლოსს შემოეხვია: — ვინ ხარ, ეს ფილმი როგორ გადაიღეო... ამ დროს კინომექანიკოსი შემოვიდა, — მივდივარ, ჯიხურს ვკეტავ და ფილმი ჩაიბარეთო. ქართლოსს ვიღაც პატარა კაცმა დაასწრო, ფილმს ხელი სტაცა: — ეს ჩემი ფილმია, ჩემი სული და გული. არ წამართვათ, დამიტოვეთ და ერთად მოვიაროთ ამ ფილმით მსოფლიოო!

ეს კაცი აღმოჩნდა მარსელ კარნე, დიდი ფრანგი რეჟისორი. „ქანდარის შვილების", „ტერეზა რაკენის", „ნისლების სანაპიროს" და სხვა შედევრების ავტორი.

— აი, მე კი შენ ამას გაჩუქებ, — და მიიდო ქართლოსის ხელი გულზე, — აწი ეს გული შენ გეკუთვნის, ჩემო შვილო, ჩემო მეგობაროო. გერმანელმა პროდიუსერმა — შნიტცერმა ნახევრად ხუმრობით თქვა: — ამ ფრანგებმა ყველაფერი წაგვართვეს საწყალ გერმანელებს, ახლა რუსებსაც გვართმევენ ხელიდანო! ქართველებმა ცხარედ დაიწყეს ახსნა, რომ რუსები არ იყვნენ...

## კეთილი ზოზო და კეთილი ექსპრომტები

არაჩვეულებრივად ეხერხებოდა კარიკატურების ხატვა და ექსპრომტები...

**ბუბა ხოტივარი:** — გალექსილი იუმორის უბადლო ოსტატი იყო. პროზით საუბარი არ იცოდა. სასტუმროს ნომერზე თქვა:

„იმდენია ტარაკანა,
ვერ დაიტევს „მარაკანა".

ფილმის დირექტორს, გურამ ბეგიაშვილს უთხრა: „როცა მოგაქვს სუტოჩნი,/ რატომ არ ხარ სულ ტოჩნი?"

ირაკლი ონოფრიშვილმა რომ თქვა: ისევ სპარსეთში უნდა წავიდე, შაჰის გადასაღებადო, ზოზომ იქვე გაახსენა: „ირაკლი, ირანში ბივალი ი რანშე?"

ქუთაისელმა და თბილისელმა ფეხბურთელებმა ერთმანეთში სერიოზულად რომ იჩხუბეს, ზოზომ უსაყვედურა: „უმაღლესო რასაო, რას მიჰქარავ, რასაო?"

...მის ყველა ექსპრომტს ვინ მოთვლის!

## ზოზო და ბავშვები

**ნატო წიქარიძე:** — ბავშვობაში აქვე ახლოს ვცხოვრობდი. მახსოვს, დაიძახებდნენ: ზოზო კინოს უშვებსო და ყველანი აქეთ გამოვრბოდით. მას კინოს გასაშვები აპარატურა ჰქონდა. გამოაგორებდა აივანზე, ეზოში გაჭიმავდნენ ეკრანს და ფილმს უშვებდა.

თავისი ოჯახი არ ჰყავდა. როცა ძმისშვილები შეეძინა, სიხარულით გადაირია. უფროსი 3 წლის იყო, უმცროსი რომ გაჩნდა. იმ დღესვე გაიტანა უფროსი ძმისშვილის საწოლი თავისთან და თვითონ უვლიდა, ასწავლიდა კითხვას, უყვებოდა ზღაპრებს. უაღრესად განათლებული იყო. ყოველ ახალ წელს მეკვლე იყო ხოლმე. მოჰქონდა უცხოური პარკები, ვაწყობდით საჩუქრებს და ახალი წლის დილას მეკვლედ მიდიოდა... ბიძამისი იყო ვახტანგ სულაქველიძე, „ქვევრში" ქვევრში რომ ზის... მასთანაც მიდიოდა... სხვათა შორის, ვახტანგი რომ გარდაიცვალა, ზოზო არ წასულა, არ შეეძლო...

44 წლისას პირველად ჩაექცა სისხლი. 4 თვის შემდეგ ფეხზე დადგა. ისევ დადიოდა სამსახურში. მეზობლის ბავშვებზე ზრუნავდა. გაუკეთა კალათბურთის ფარი. აწყობდა შეჯიბრებებს. თვითონ აივანზე გამოდიოდა და მსაჯობდა...

ხელფასი ყოველთვის ტკიცინა მანეთიანებით



კინოფილმიდან „ჩირიკი და ჩიკოტელა"

მოჰქონდა. ყველა ჯიბეში ანაწილებდა. შემოვიდოდა შინ და — აბა, მაკოცეთ და რაღაცას მოგცემთო. შეაბობღდებოდნენ ბავშვები. ის კი რიგრიგობით იღებდა მანეთიანებს... სულ ოცნებობდა, პატარები რომ იყვნენ, ნეტა მოვესწრო, გაიზარდონ, „მიყიდე" მითხრანო... მერე გაუმეორდა ჩაქცევა. 9 თვე იავადმყოფა. სამსახურში მაინც დადიოდა. ძმას დაჰყავდა. თვითონ მანქანას არ ატარებდა, არც სურვილი ჰქონდა. ის კი არა და, ერთ ფილმში მოტოციკლეტს ატარებს და — ძლივს მასწავლესო, ამბობდა.

ბოლო საღამოს ეზოში ბავშვებს კარტს ეთამაშებოდა. შემოვიდა, დავაწვინეთ... ცუდად გახდა და ლევანს დაუძახა. წამალი მივეცით, მაგრამ ყველაფერი გვიანი აღმოჩნდა...

49 წლისა გარდაიცვალა.

***ლელა ჯიყაშვილი***

# ქართველები ბერლინის კინოფესტივალზე

**ბასა ფოცხიშვილის** ერთ-ერთმა პირველმა მხატვრულმა ფილმმა „დასასრული", ედინბურგის კინოფესტივალზე პრიზი მოიპოვა. მისი და, თამრიკო ფოცხიშვილი, რამდენიმე ფილმის მხატვარია. კინოფესტივალზე „ოქროს არწივი" საუკეთესო კინომხატვრად დასახელდა ფილმისთვის „რჩეული" (რეჟისორი მიხეილ კალატოზიშვილი)...



მერე დები, ქართული კინოინდუსტრიის პარალიზების გამო, ორი წელი უსამსახუროდ დარჩნენ, შემდეგ კი თავი შოუ-ბიზნესს და ტელევიზიას შეაფარეს და წარმატებითაც, მოუთმენლად ელიან იმ დროს, როცა საყვარელ საქმიანობას დაუბრუნდებიან.

ამიტომ ბასასთვის ათმაგად სასიხარულო იყო, როცა მან ცნობილი კინოფესტივალის, „ბერლინალე"-53-ის მოწვევა მიიღო. სწორედ ამ ეგიდით ტარდებოდა ახალგაზრდა რეჟისორთა შეკრება. საქართველოდან ამ შეკრებაზე ბასა და ნანა ჯანელიძე (ყველასთვის საყვარელი ფილმის „იავნანას" რეჟისორი) გაემგზავრნენ...

— ამდენი ხანია კინოში არაფერი გამიკეთებია და ძალიან ბედნიერი ვიყავი, როცა მიწვევა მივიღე, — ჰყვება ბასა.

— **ამ შეკრებაზე მოხვედრის აუცილებელი პირობა იყო ორგანიზატორთათვის მინი-ფილმის წარდგენა...**

— მე ჩემი გადაღებული — მარიკა თხელიძის ერთწუთიანი კლიპი გავგზავნე... ძალიან მოსწონებიათ. გერმანიაში გატარებული ორ კვირაზე მეტი დაუვიწყარი იქნება ჩემთვის. ვცხოვრობდით ბერლინში, ფრიდრიხშტრასეზე, ხუთვარსკვლავიან სასტუმროში, ირგვლივ უჩვეულო შემოქმედებითი ატმოსფერო სუფევდა.

— **„ბერლინალესთვის" ქართული კინო უცხო არ არის. სხვადასხვა დროს მისი მთავარი პრიზი მოიპოვეს გიორგი შენგელაიამ და თემურ ბაბლუანმა...**

— თუ არ ვცდები, შარშან ოთარ იოსელიანის ფილმმაც აიღო იქ მთავარი პრიზი. ძალიან უყვართ ბატონი ოთარი, არანაკლებ პოპულარულნი არიან ნანა ჯორჯაძე და ირაკლი კვირიკაძე... მართლაც კარგად იცნობენ ქართულ კინოს. არაერთი წინადადება წამოვიდა „ბერლინალეს ფილმ მარკეტიდან", მაგრამ რას შეისყიდდნენ, როცა არც ერთი ქართული ფილმი არ იყო წარმოდგენილი... მინდა აღვნიშნო, რომ საერთოდ მსოფლიოს კინემატოგრაფს შეეხო კრიზისი...

— **თუმცა, როგორც ცნობილია, „ბერლინალეს" ეგიდით მოეწყო რუსული ფილმების რეტროსპექტივა...**

— რუსული კინო თითქმის ავანგარდული ფილმწარმოების ფავორიტად ითვლება. ოთხი დღე აჩვენებდნენ ფილმებს. კარგად დამამახსოვრდა „შიკი" და „კავკასიური რულეტი"... ერთი დღე მთლიანად ბოდროვის ხსოვნას მიუძღვნეს. საოცრად პოპულარულია ბახტიარ ხუდოინაზაროვი და მისი ფილმები (მკითხველს შევახსენებ, რომ ამ რეჟისორის ერთ-ერთი ფილმის, „ლუნა პარკის" ავტორია ირაკლი კვირიკაძე... სწორედ მასში თამაშობს მთავარ როლს მერაბ ნინიძე. ფილმი სხვადასხვა ფესტივალზე არაერთი პრიზით აღინიშნა, — *ე.მ.*). მეხუთე დღეს რუსებმა ფართი მოაწყვეს. ეს იყო „ბერლინალეზე" ყველაზე ხელგაშლილი და შთამბეჭდავი ფართი.

— **ფესტივალი უამრავ ცნობილ პიროვნებას მასპინძლობდა...**

— მართლაც ბევრმა საინტერესო ადამიანმა მოიყარა თავი. ვის არ ნახავდით აქ — ვიმ ვენდერსს, დენის ჰოპერს, — კუბრიკის გენიალური ფილმების მხატვარს, ანუკ ემეს, ჯორჯ კლუნს, კეტრინ ზეტა-ჯონსს, ნიკოლ კიდმანს... იმართებოდა ფოლქშოფები, მასტერკლასები... შედგა ახალი კონტაქტები...

წამოსვლა აღარ გვინდოდა. ყოველ წუთს იმდენი საინტერესო რამ ხდებოდა... იქ წარმოდგენილი ფილმები ალბათ მალე შემოვა ჩვენთანაც. ცოტა არ იყოს გული გვწყდებოდა, იქ ამ ფილმების ყურებაზე დროს რომ ვაცდენდით — მათი ნახვა თბილისშიც შეიძლება, ის შთამბეჭდავი შეხვედრები კი აღარ გამეორდება.

— **როგორც ვიცი, წარმოდგენილი იყო ფილმი „არსად აფრიკაში", სადაც მერაბ ნინიძე მთავარ როლს თამაშობს...**

— ეს ფილმი დიდი წარმატებით სარგებლობდა, მან „ოსკარის" საგზურიც მოიპოვა. მერაბი თეატრალური სარდაფის სპექტაკლის — „ვენეციელი ვაჭრის" რეპეტიციების გამო ვერ დაესწრო „ბერლინალეს"...

— **ყველაზე მეტად რომელმა ფილმმა მოახდინა თქვენზე შთაბეჭდილება?**

— ძალიან ბევრმა, მაგრამ გამოვყოფდი მიუზიკლს — „ჩიკაგოს", სადაც მთავარ როლებს კეტრინ ზეტა-ჯონსი, რიჩარდ გირი და რენე ზელვეგერი თამაშობენ...

— **თქვენს კინოპროექტზე რას გვეტყვით?**

— კონკრეტულად ვერაფერს, თუმცა ვგეგმავ, როგორც გერმანელ, ისე სხვა ქვეყნების კინოხელოვანებთან თანამშრომლობას. ამას გარკვეული დროით საიდუმლოდ შევინახავ...

„ბერლინალე"-53-ზე პრიზები ასე განაწილდა: მთავარი პრიზი — „ოქროს დათვი" გადაეცა ინგლისურ ფილმს „ამ სამყაროში" (რეჟისორი პიტერ ბროტომი), პრიზი, ქალის როლის შესრულებისათვის სამსახიობო ანსამბლს — მერილ სტრიპს, ჯულიანა მურს და ნიკოლ კიდმანს (ფილმისთვის „საათი"), პრიზი მამაკაცის როლის შესრულებისთვის — სემ როკუელს (ფილმისთვის „სახიფათო ადამიანის აღსარება"), საუკეთესო რეჟისურისთვის — პატრის შეროს (ფილმისთვის „მისი ძმა"). პრიზი „ცისფერი ანგელოზი" გადაეცა გერმანულ ფილმს „მშვიდობით, ლენინო!"

„ბერლინალე"-53 წარსულს ჩაჰბარდა... ვნახოთ, რა მოხდება „ოსკარის" დაჯილდოებაზე... ჩვენი ყურადღება კი, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, იმ ფილმისკენ იქნება მიმართული, რომელშიც მერაბ ნინიძე თამაშობს მთავარ როლს...

წარმატებებს ვუსურვებთ ქართველ მსახიობს...

***ეკა მახარაშვილი***

თემურ ჭკუასელი

ფრაგმენტი წიგნიდან „წინ, წინაპრებისაკენ!“

# გამარჯობა, მამა!

**ძვირფასო მკითხველო! თქვენ გელით შეხვედრა დიდ ემოციასთან, დიდ ქართულ სიტყვასთან, მის უდიდებულესობა — ქართული სიმღერის სათავესთან.**

**თქვენ მოგინდებათ მუხლის მოდრეკა და ყურის მიგდება ყელში მობჯენილი და ვერშეკავებული ცრემლის სადაყურობისა... თქვენ გელით წინ დიდი გაქართველება (რედ.).**

ჩვენ ჩოხები ჯერ არ გვეცვა და ათივენი პატარა კაფეს წინ ტერასაზე ვიდექით. ტერასას ცალი მხრიდან ციტადელის მთავარი მოედნის გაგრძელება უფრო ეთქმოდა, ზუსტად კაფეს მინის კართან მთავრდებოდა და თუ იმ კარისკენ სახით იდექი, რკინის ძველებური მოაჯირი მარცხენა მხრიდან გიცავდა გადავარდნისაგან. სწორედ ამ მოაჯირს ვიყავით ჩამოყრდნობილნი. ჩვენს ქვემოთ, აცაბაცა, დაფერდებული მოედნის ბოლოს რკინის კონსტრუქციებით სცენა იყო აღმართული, მის პირდაპირ კი, ზემოდან, მოედანს გრანიტის კიბის ჩანჩქერი უერთდებოდა ვიწრო ქუჩით, ძველებურ სახლებს შორის რომ მიიკვლევდა გზას. კიბის ჩანჩქერიც, იმ ძველებური სახლების აივნებიც, ჩვენი და სხვა ტერასებიც, ის დამრეცი მოედანიც და მისი დამაგვირგვინებელი სცენაც ერთად საკმაოდ შთამბეჭდავ ბუნებრივ ამფითეატრს ქმნიდა. აი, ამ ამფითეატრში მთავრდება დღეს ფესტივალი, პოლიფონიური სიმღერის ფესტივალი — კორსიკის ლამაზი დღესასწაული.

ემატება და ემატება ხალხი მოედანს. ზოგი იქვე რჩება, მოედანზე, ზოგი ზემოთ — „ჩანჩქერისკენ“ მიდის. დაღამებას აღარაფერი უკლია, მაგრამ ვარსკვლავები ჯერ არ ჩანან ჩამუქებულ ცაზე. თვალი ძალაუნებურად ხალხისკენ გაგირბის და კიდევ იმ ყურესაკენ, ქვემოთ ათასი დიდ-პატარა იახტის ილუმინაციით რომ ციმციმებს უკვე და ცოტა ხანში, ვარსკვლავები ცაზეც რომ აინთება, უეჭველად ზეცის ანარეკლს რომ დაემსგავსება.

ირგვლივ ყველაფერი სასიამოვნო მოლოდინითაა გაჟღენთილი. ჰაერი ფრანგულ, იტალიურ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე წარმოთქმული ფრაზების პოლიფონიით პირთამდე სავსეა, მაგრამ ყველამ იცით, რომ მეტყველების პოლიფონია სულ მალე სიმღერების პოლიფონიით შეიცვლება, პოლიფონიური სიმღერების პოლიფონიით.

ისე, ჩვენამდე არ აღწევს, თორემ მოედნის გარშემო სახლების აივანთა უკან შეყუჟულ პატარ-პატარა ოთახებშიც თავ-თავიანთ ენებზე საუბრობენ და ჩვენსავით სასიმღეროდ ემზადებიან კუბელები, ბულგარელები, სამხრეთ აფრიკელები, ტუველები, სარდები, მაროკოელები, ლიგურიელები, ბერბერები, იტალიელები, ბოშები, ამერიკელები, ალბანელები, ფრანგები, ვიეტნამელები, ებრაელები და რაღა თქმა უნდა, კორსიკელებიც. ტერასიდან მათ ჯერ ვერ ვხედავთ, რადგან ისინი, როგორც გითხარით, შიგნით, ოთახებში არიან „ჩასაფრებულნი“, დროს ელიან, რათა სიმღერით გამოიჭრან მერე აივანზე და ამფითეატრში შეკრებილ ხალხს სული აუფორიაქონ, მაგრამ მათი არსებობა და ზრახვებიც კარგად ვიცით და იმასაც კარგად ვაცნობიერებთ, რამხელა ომი გვაქვს მათთან სიმღერით გადასახდელი.

ვიცით ეს ყველაფერი ჩვენ და რაც უფრო გვიახლოვდება ამ უსისხლო ომის დაწყების ჟამი, მით უფრო ძლიერდება ჩვენს ძარღვებში წინაპართა სისხლის წილი. ძლიერდება და ჩვენც გადამწყვეტი შეტევისთვის ვემზადებით.

— როდის დაიწყება? — ხაზგასმული სიმშვიდით მეკითხება გურამი.

— თერთმეტზე, — საათს დავხედე, — თერთმეტზე აქაურობა ჩაბნელდება, მერე, გახედე რამდენია, ყველა აივნის გაყოლებაზე სანთლები აინთება და ესაა დაწყების ნიშანი. რომელი ტერასაც ან აივანიც პირველად გამონათდება პროჟექტორით, სიმღერასაც ისინი იწყებენ. ასე გაგრძელდება. მთავარი სცენა კორსიკელებისაა, მასპინძლები არიან. ჩვენ გვიან გვიწევს სიმღერა, მაროკოელების შემდეგ და...

— მომისმინე, — მაწყვეტინებს გურამი, — მრავალფეროვნების უპირატესობას ვკარგავთ ჩვენ. ყველა მონაწილე ორ სიმღერას მღერის, ხომ? ჰოდა, თლად შტერი უნდა იყოს ხალხი, ორი თავი ნორმალური სიმღერა არ ჰქონდეს, მაყურებელმა რა იცის, იმ ორის იქით რომ აფერი არაა, სიაბდლეა, ამიტომ ჩვენ ისეთი სიმღერები უნდა შევარჩიოთ, მგელივით რომ დეეტაკება და გადარევს ხალხს. სოლისტობის და ქარგვის დროი აღარაა, ორად გევიყოთ, ერთი გურული ვთქვათ ორპირად, ორპირი კრიმანჭულით, ერთიც სვანური ფერხული, ომახად. ვაკივლოთ აგინი... — ნაცადი სარდალივით მიზიარებს გურამი მოახლოებული ბრძოლის ტაქტიკას — შენ, გოგიამ და რობერტიმ დაიწყეთ, მოტრიალებაზე ყველაი აგერ ვართ, წამოგყობით...

უეცრად გურამი დადუმდა. წამის წინ ბრძოლის ჟინით დამუხტული მზერა ჩემს მიღმა გაექცა და თვალები ერთბაშად გაუფართოვდა. ძალაუნებურად მეც უკან მივიხედე. ღირდა მიხედვად. მოედნიდან ჩვენი ტერასისკენ ასე ოცდაორიოცდაოთხი წლის ასული მოდიოდა, მაღალი, თმაგაშლილი, თვალს ვერ მოაცილებდი და მოაცილებდა კიდეც მოედანზე თავმოყრილი ამდენი თვალი. მისი მოქნეული ტანისათვის აშკარად სრული და წელზე ერთი შეხედვით უყურადღებოდ დაგრეხილი ფერადი მანდილით შემოსალტული შავი კაბა კი არ ფარავდა, კიდევ უფრო ამძაფრებდა მისი სხეულის სილამაზეს. აშკარად გამოირჩეოდა ამ მილეთის ხალხში — ჯიშითაც და ხაზგასმული მიუკარებლობითაც. მოკლედ, მთელი მისი გარეგნობა ბრწყინვალე მაგალითი გახლდათ იმ იშვიათობისა, კაცს ცოდვისკენ კი არა, ღმერთისკენ რომ გაგახედებს.

გვერდზე ჩაგვიარა, არც შემოუხედავს ისე შეაღო კაფეს კარი და ის იყო მინის კარს მიღმა უნდა გაცრეცილიყო, რომ ერთ-ერთ ჩვენიანს ნერვებმა უმტყუნა და უფრო თავისთვის, ვიდრე მის გასაგონად, ლოცვასავით აღმოხდა — გამარჯობა, შენ შემოგევლეო...

გამოღებულ კარებშივე გაშეშდა უცხო ფერია, წამის მერე მოგვიტრიალდა, ჯერ ღიმილით მოგვჭრა თვალები, შემდეგ კი სიტუაციის ბუნდოვანებით ისედაც დაბნეულებს გამართული ქართულით გვითხრა თუ გვიპასუხა — გამარჯობა, მამა!

კიდევ უფრო დავიბენით და რაღაცის ახსნის იმედით ერთმანეთს უიმედოდ გადავხედეთ.



კორსიკელ მასპინძელთან

**...და ქართველები დღესაც სვამენ წყალს, როგორც ღვინოს და ღვინოს, როგორც წყალს. ფეხზე მდგარნი წარმოთქვამენ მაგიდასთან სადღეგრძელოებს. ქვეყანასა და ოჯახს ადღეგრძელებენ. დარწმუნებულნი არიან, რომ ეს მათ ძალას მატებთ, რომ იმღერონ, სიმღერა კი ძალას მატებთ, რომ იცხოვრონ მღელვარე დროებაში და შეინარჩუნონ სიცოცხლის სიხარული.**

— ვის უჩივა თუ იცი?! — დაეჭვდა ზაური.

სიცილისთვისაც აღარ გვეცალა. გურამის მიერ დაგეგმილი „იერიში“ ნაადრევად დავიწყეთ და ხალხზე „შეტევის“ ნაცვლად კაფეს შესასვლელი მოვიქციეთ ალყაში.

თანდათან დალაგდა ყველაფერი. გოგონას სალომე ერქვა და წუთის წინ ასე გაუგებარი და ამფორიაქებელი „გამარჯობა, მამა“ ერთადერთი აღმოჩნდა, რაც მას ქართულად შეეძლო ეთქვა, ამიტომ სასაუბროდ ინგლისური შეირჩა და სულ მალე ჩვენი ცნობისმოყვარეობაც დანაყრდა. მამის მხრიდან მისი ბებია ყოფილა ქართველი, იმერეთიდან. სალომეს დაბადებამდე გარდაცვლილა და საქართველოში ყოფილა დაკრძალული. სად, არ იცის. თვითონ მარსელში ცხოვრობს, სტუდენტია. სამი წლის წინ მამაც გარდაცვლია. მამას ადრე ქართული კარგად სცოდნია, მერე კი ველარ ლაპარაკობდა და ამას ძალიან განიცდიდა თურმე. სიკვდილამდე ორი საათით ადრე კი უეცრად ქართულად ალაპარაკებულა.

— მე მხოლოდ ეს ერთი სიტყვა „გამარჯობა“, ვიცოდი და როცა მწოლიარე მამა ქართულად მელაპარაკებოდა, არაფერი მესმოდა და ვტიროდი. დიდხანს მიხსნიდა რაღაცას. მერე უეცრად გაჩერდა, ცოტა ხნით თვალებში ჩამაცქერდა და ფრანგულად მითხრა — სალომე, შვილო, „გამარჯობა“ მითხარი, ქართულად მითხარი... გამარჯობა, მამა! შევეცადე გამეღიმა, ის კი უკვე ჩურჩულით — კიდევ, კიდევ მითხარი... მეც თან ვტირი და თან გაუთავებლად ვიმეორებ — გამარჯობა, მამა! გამარჯობა, მამა! გამარჯობა, მამა! არ მახსოვს, ალბათ ორმოცდაათჯერ მაინც ვთქვი ეს სიტყვები, მერე გარდაიცვალა, აღარც მესმოდა, მე კი დაჟინებით ვიმეორებდი, სანამ ექიმებმა არ წამომაყენეს. თქვენგან რომ ეს სიტყვა გავიგონე, ამიტომ გავშეშდი უეცრად, მამა გამახსენდა... რას არ დავთმობდი, ოღონდ ვიცოდე, რას მეუბნებოდა, მაშინ, სიკვდილის წინ. სამი წელი გავიდა, მე კი გამუდმებით ამაზე ვფიქრობ... საკმარისია მარტო დავრჩე, ყურში მაშინვე მისი ხმა მესმის, მისი ქართული, გაგებით კი არაფერი მესმის და ისევ ტირილს ვიწყებ...

საუბრის დროს სულ გაღიმებას ცდილობდა სალომე და მღელვარების შესანიღბავად თმას ისწორებდა ხშირ-ხშირად. მის საუბარს დათო აბესაძე თარგმნიდა, ამიტომ ჯერ მას ევსებოდა თვალები ცრემლით, მერე — ჩვენ.

გოგიმ პაუზა შეავსო — ნუ გეშინია, სალომე, ახლა ათი მამა გყავს, „გამარჯობის“ გარდა კიდევ ბევრ რამეს გასწავლითო. ისევ სევდიანად გაიღიმა სალომემ, მერე ჩამოგვიარა და ათივეს მართლაც შვილივით ჩაგვეხუტა.

...აქამდე ვერ გიბედავდით, მერიდებოდა, გვიან გავიგე კორსიკაზე ქართველები არიან ჩამოსულებიო, მაშინვე ყველაფერი მივატოვე და თქვენთან გამოვიქეცი. კონცერტის მერე უნდა მომეძებნეთ, თუმცა შეიძლება ვერც გამებედა, ისე, შორიდან შეგხედავდით და მამას გავიხსენებდი...

ამან სულ მოგვითავა ხელი. არა, ჩვენი სალომეს თვალისმომჭრელი გარეგნობა და მისი ხასიათი აშკარად არ იყო ერთმანეთთან ჰარმონიაში.

ქართული, თუნდაც ფრანგული ტრადიციებით იგი ფრანგი და მხოლოდ ფრანგი იყო — მამაც ფრანგი ჰყავდა და დედაც. მხოლოდ მამის დედა იყო ქართველი და ასეთ შემთხვევაში აკი ვამბობთ კიდეც — ფრანგია, მაგრამ დედა ქართველი ჰყავს, ან პირიქით — ქართველია, მაგრამ დედა ჰყავს ფრანგი. და, თუ მაინცდამაინც სისხლის ხსენება გვინდა, მაშინ ასე ვამბობთ, — ეს გოგონა ფრანგია, მაგრამ მეოთხედი სისხლი ქართული აქვსო... ხომ ასეა? ხომ ყველა მეთანხმებით? ჩვენ კი ამ ჭეშმარიტების გაგონებაც აღარ გვსურდა. სალომე ქართველი იყო ჩვენთვის და უკვე აღარ ჰქონდა მნიშვნელობა, თავად რას ფიქრობდა ამაზე.

ეტყობა, სისხლი მათემატიკის კანონებს არ ემორჩილება. ერთი და იმავე შესაკრებებმა შესაძლოა ჯამში სულ სხვადასხვა შედეგი მოგვცეს. ჯამი სისხლთა რაოდენობაზე კი არა, ალბათ მის სიძლიერეზეა დამოკიდებული, თორემ ბებია — შაჰ-აბასსაც ქართველი ჰყავდა, მაგრამ კახეთში კახური სიმღერების მოსასმენად არ ჩამოდიოდა.

მოკლედ, ასეა თუ ისე, საჭირო იყო დროზე გავცლოდით იმ სევდიან ტერასას, თორემ ცოტაც და ერთი საათის შემდეგ სამღერი იმ ორი აუცილებელი სიმღერის მღერა, სალომესთან შეხვედრამდე გადასახდელ ომად რომ გვეჩვენებოდა, ნაღდად გაგვიჭირდებოდა.



„ქართული ხმები“ კორსიკაში

ბოდიში ვთხოვეთ სალომეს, წავალთ ახლა ჩვენ, ტანზე უნდა გამოვიცვალოთ, დღეს შენთვის ორი სიმღერა გვაქვს სამღერი, მერე კი, როცა კონცერტი დამთავრდება, ერთად ვივახშმოდ და დანარჩენს იქ გიმღერებთ-თქო.

ცერად გადავჭერით მოედანი, ჩავიდაღმართეთ და ხუთ წუთში კორსიკაზე დაფუძნებული ჩვენი ჩერქეზი ძმადნაფიცის ჟან-ტემირის სახლში შევაბიჯეთ. ჩოხები მასთან გვქონდა დატოვებული. გვიყვარდა იქ ჩაცმა, ჟან-ტემირის სახლის კედლებიდანაც მისი ჟღალჩოხიანი და წელწვრილი წინაპრები გვიცქერდნენ და როცა ჩვენც ჩოხებით შევიმოსებოდით, გეგონებოდა ფოტოები გაცოცხლდნენ და კედლებიდან ოთახში გადმოაბიჯესო.

ჩაცმის დროს ხელახლა აგორდა კამათი, რა ვიმღეროთო...

— ერთი გურული და ერთიც კახური — მოკლედ მოჭრა რობერტიმ — თვითონ სიმღერები სოლისტებმა აარჩიონ.

— კახური კაია, რობერტ, მარა დღეს ეფექტი გვჭირდება, გურული დარჩეს და მეორე სვანური მივაყოლოთ, — ერთხელ ნათქვამს არ გადადის გურამი.

— მე რომ მკითხოს კაცმა, ისეთი სიმღერები უნდა შევარჩიოთ, სალომეს რომ მოეწონება, ხომ ვუთხარით შენთვის ვიმღერებთო?! — ეს გოგია.

— მეიცა, გოგია, სალომეს ვახშამზეც მოვეფერებით, მოედანზე მის გარდა ათასი კაცი გვისმენს, არ გამოვა მაი ამბავი, — ჩაერია ზაური და ზურაც დაითანხმა.

მერე გივი აღშფოთდა — ათასი სიმღერა გქონდეს კაცს და გინდა თუ არა ორი იმღერეო, აგია სამართალი? გააფრინა ამ ხალხმა, ან მეტი გვემღერა და ან სულ ნუ გამოვიდოდით. ამდენი სიმღერიდან არ გინდა ორი აარჩიო? ათი მაინც ეთქვათ დალოცვილებს, გაადვილდებოდა საქმე...

— ხმაზე რავა ხარ? — მე მეკითხება დათო.

— რა ვიცი აბა, პირს რომ გავაღებ, სად წავა, ამოვა ალბათ, სხვა რა გზა აქვს?!

— ა, გამომართვი, ეს წაიკითხე და ხმაზეც მოგიყვანს — მითხრა და რაღაც გამოხუნებული რვეული გამომიწოდა. რა არის-მეთქი, ვეკითხები. ვილიამის ნაწერია, სახლში მაგიდაზე ეყარა, შემთხვევით კითხვა დავიწყე, დამაინტერესა, მერე ნებართვა ვთხოვე და ვთარგმნეო. ორი დღეა თევზაობის ნაცვლად მაგაზე ვცოდვილობო.

ვილიამ კიისერი ტიპური ინგლისელია. მეუღლესთან ერთად ჯერ სამხრეთ აფრიკაში წასულა ლონდონიდან, მერე კარგა ხანს შავ კონტინენტზე უბოდიალიათ, ბოლოს კორსიკაზე მოხვედრილან, აქ სახლი უყიდიათ და როგორც თავად ამბობენ, აქედან არსად წასვლას აღარ აპირებენ, აქაურობა და აქაურები მოსწონთ ძალიან.

ჩვენ რომ მეორედ მოვხვდით იქ, მასპინძლებს უთხრეს, რადგან ქართველებს სასტუმროში არ უშვებთ და სახლებში მიგყავთ, ჩვენც მოგვეცით ამის უფლება და ორი კაცი მაინც დაგვითმეთო. ასე მოხვდნენ დათო და გია ვილიამ კიისერის ლამაზ ოჯახში. აი, ამ კაცის ჩანაწერების თარგმანი მომაწოდა დათომ.

— ჩვენზეა, ხომ? — კი, ჩვენზეა — დამიდასტურა მან და რადგან ამ დროს მარჯვენა უძიროს ვიჭიმავდი გამართულ ფეხზე, რვეული მაგიდაზე დამიდო.

იმ უძიროებს ლეკვერთხები გადავუჭირე, ჩოხის ქილებზე ხელისგულები გადავატარე, ხანჯალასხმული ქამარი წელზე ღვედივით შემოვიჭირე, წამით სარკეშიც შევავლე ჩემს თავს თვალი, ერთი კედლიდან მზირალ ჩერქეზსაც ავხედე და მერე გადავშალე რვეული.

„ქართველები თბილისიდან მოვიდნენ კორსიკაზე და პოლიფონიის ფესტივალზე იმღერეს.. ადვილად შეგეძლოთ დაგესკვნათ, როგორი ძალით შეეხო კორსიკულ გრძნობებს ეს ათი კაცი, რომ მასპინძელთა უმრავლესობა იძულებული გახდა ატლასი გადაესინჯა შავი ზღვის საპოვნელად.

ქართველებმა დატოვეს სამოქალაქო ომის პირზე მიმდგარი თავისი ქვეყანა და მოვიდნენ იქ, სადაც ბევრს იარაღი საწოლის ქვეშ უდევს. თქვენ მოგწონთ, რომ შემსრულებლები ერთ მტკიცე მუშტად არიან შეკრულნი. სულიერად მტკიცე, უდიდეს ქართველებს შეუძლიათ სულაც ათის წილი იმღერონ, მაგრამ ასევე შეუძლიათ უეცრად ბავშვებად გარდაიქმნან, თქვენ კი თვალებს ხუჭავთ და ისე უსმენთ აკვნის სიმღერას. უსმენთ და ხედავთ, გურამი, გია, გივი, თემური, ზურაბი როგორ სთავაზობენ თავიანთ ხმებს რობერტის, გოგის, ზაურს, დავითს და დავითს — როგორც სიყვარულში გახვეულ ძვირფას საჩუქარს..

არსებობს ერთი ასეთი ქართული თქმულება — მრავალთაგან ერთ-ერთ დამპყრობელს, რომელმაც მოსპო, გაანადგურა პატარა მთიანი ქვეყანა, უკანა გზაზე ერთ-ერთ სოფელში, სადაც ეგონა, რომ მოსახლეობა მთლიანად ამოწყვიტა, ორი მომღერლის სიმღერა გაუგონია, ამ სიმღერამ დაარწმუნა იგი — ასეთი ხალხის დაპყრობა შეუძლებელიაო. უცნაურია, მაგრამ კორსიკელებიც იმავეს გვიყვებიან თავისი ისტორიიდან.

და ქართველები დღესაც სვამენ წყალს, როგორც ღვინოს და ღვინოს, როგორც წყალს. ფეხზე მდგარნი წარმოთქვამენ მაგიდასთან სადღეგრძელოებს. ქვეყანასა და ოჯახს ადღეგრძელებენ. დარწმუნებულნი არიან, რომ ეს მათ ძალას მატებთ, რომ იმღერონ, სიმღერა კი ძალას მატებთ, რომ იცხოვრონ მღელვარე დროებაში და შეინარჩუნონ სიცოცხლის სიხარული.

ისინი შავ სამოსს ატარებენ, წელზე შემორტყმული გრავირებული იარაღით, მაღალყელიანი წაღებით და მკერდზე პატრონტაჟით ჭეშმარიტ პატრიოტებად გამოიყურებიან და ნამდვილად ასეთები არიან, თუმცა ყოველთვის ნიღბავენ თავიანთ ძლიერ პიროვნულ ინდივიდუალობას, რომელიც მხოლოდ მაშინ ხდება თვალსაჩინო, როცა სულიერების სფეროში იძირებიან და განუმეორებელი შინაგანი იმპულსებით თხზავენ თავიანთ წარმოუდგენელ მუსიკალურ პარტიებს. გრძნობ, რომ სამღერლად გადახვეულ მათ სხეულებში საქართველოსთვის იწყება სულთა განწმენდა.

ზღვის სანაპიროზე ეს ნაღდი მეომრები სულ მთლად ბავშვები ხდებიან. სიმღერის მოლოდინში ისინი ახალბედა, გამოუცდელ ადამიანებად გეჩვენებიან და ეს მათ კორსიკელებთან აწყვილებს.

მხოლოდ ქართველებს შეუძლიათ ადვილად და უკონფლიქტოდ გაგრძნობინონ ერთდროულად ორი რამ — მოწყენილობა მხიარულებად მიგაჩნდეთ და საშიშროება უკიდურეს ბედნიერებად. და ისინი მღერიან საწესჩვეულებო, ეპიკურ, შრომის, სამოგზაურო თუ სუფრის სიმღერებს, ფერხულებს, იავნანებს, საგალობლებს, ბალადებს. მღერიან სამლოცველოებში, ეკლესიებში, მაგიდასთან, ბალში, მანქანაში, სახლებში და ალბათ შხაპის ქვეშაც. მღერიან გულის კარნახით და უძლიერესი ემოციით, რომელიც მათი სულის ჭიდან ამოდის — იქ სიმღერაა ყოველი და ყველა ასაკისათვის.

***(დასასრული შემდეგ ნომერში)***

# „სანქტ-პეტერბურგიდან ჩამოსულს ყველაფერი პატარა მომეჩვენა“

## — აქ უფრო მაღალი დონეა...



*ახლახან ქართული შოუბიზნესის ერთ-ერთმა ნორჩმა წარმომადგენელმა* ***ქეთა თოფურიამ*** *წარმატება მოიპოვა სანქტ-პეტერბურგში. მან ქალაქის 300 წლისთავთან დაკავშირებით გამართულ მუსიკალურ ფესტივალზე თავისი ასაკის კონკურსანტთა შორის პირველი ადგილი მოიპოვა.*

— საკმაოდ ძლიერი კონკურენტები მყავდა და ამიტომაც უფრო გამიხარდა გამარჯვება. ფესტივალზე გიგა კუხიანიძის „შაირი“ შევასრულე განახლებული ინტერპრეტაციით. ასევე ვიმღერე ვლადიმირ პრესნიაკოვის საკმაოდ ძველი სიმღერა „Если нет тебя со мной“. „შაირს“ სულ მალე მოისმენთ ქართულ ეთერშიც.

**— როგორც ვიცი, მხოლოდ ამ პირველი ადგილით არ იყო მნიშვნელოვანი შენთვის ეს ფესტივალი.**

— რა თქმა უნდა. იქვე მივიღე მიწვევები ესპანეთში, ნორვეგიასა და იტალიაში სხვადასხვა კერძო პირისგან. ასევე მთავაზობენ ორ კონტრაქტს მოსკოვში (სადაც სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ გავემგზავრე), ერთი MTB-დან, მეორე — მოსკოვში მყოფი ქართველი ბიზნესმენებისგან. აქ კი, თბილისში ჩავწერე ერთი სიმღერა ჯგუფ „ინტროსთან“ ერთად, რომელიც მალე გავა ეთერში. უკვე კლიპზე მუშაობასაც ვიწყებთ. ეს სიმღერა ძალიან მომწონს. კლიპშიც და სიმღერაშიც განსხვავებულ ამპლუაში წარვდგები.

**— რუსეთიდან ალბათ უამრავი შთაბეჭდილება გამოგყვა...**

— სანქტ-პეტერბურგი ულამაზესი ქალაქია. სამწუხაროდ, უდროობის გამო ბევრი რამ ვერ ვნახე, მაგრამ მინიექსკურსიები საკმარისი აღმოჩნდა აღფრთოვანებისთვის. იქ უზარმაზარი სივრცეა, ამიტომ აქ ჩამოსულს ყველაფერი პატარა მომეჩვენა. ისე, სიმღერის მხრივ, ისინი ნამდვილად ვერ შეგვედრებიან. აქ უფრო მაღალი დონეა. გემოვნება ჩვენთან უფრო დახვეწილია, აი, შოუბიზნესი კი იმათთან მართლა მაგარია.

**— შენი აზრით, რას ნიშნავს საერთოდ შოუბიზნესი?**

— ბიზნესს, რომელიც აკეთებს შოუს და როგორიც წარმომიდგენია ეს შოუ, საქართველოში ჯერ არსად მინახავს. აქ სანახაობაში არ ტრიალებს ისეთი ბიზნესი, რომელსაც შეიძლება დაეყრდნოს ადამიანი და მთელი ცხოვრება იქიდან მიღებული შემოსავლით იცხოვროს.

**— შენი შოუ, კონცერტი როგორ წარმოგიდგენია?**

— ხშირად მეკითხებიან, სოლო კონცერტს როდის გამართავო. ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ან თუნდაც სპორტის სასახლეში ვერ ჩავატარებ კონცერტს, იმიტომ, რომ ამისთვის ჯერ მზად არ ვარ.

**— შეძლებდი მთელი საკონცერტო დრო ფონოგრამის გარეშე გემღერა?**

— მთელი კონცერტი რომ ფონოგრამაზე ვიმღერო, სამარცხვინო იქნება. მაყურებელს ვერ მოვატყუებ. მზად ვარ, ყოველთვის შევასრულო 2-3 სიმღერა ფონოგრამის გარეშე, მაგრამ მთელი კონცერტის ასე ჩატარება არ შემიძლია. ეს ჩემი ასაკისთვის ნაადრევია. ამის ამბიცია ნამდვილად არა მაქვს.

**— შენი სიმღერებიდან ყველა მოგწონს?**

— დიახ. მაგრამ საკმაოდ თვითკრიტიკულიც ვარ და არა მარტო სიმღერის დროს, ინტერვიუს დროსაც არ მომწონს ხოლმე რაღაცები. მოკლედ, ბოლომდე კმაყოფილი არა ვარ.

**— ქეთა, მოგეხსენება, ცხოვრება სავსეა მოულოდნელობებით, ზოგჯერ, სამწუხაროდ, უსიამოვნო ამბებიც ხდება. თუ წარმოგიდგენია, რას იზამ, ხმა რომ დაკარგო?**

— დედაჩემიც სულ ამას მეუბნება — მხოლოდ სიმღერას რომ გადაეკიდე, ხმა რომ დაკარგო, პროფესია ხომ უნდა გქონდესო. სულ ამაზე გვაქვს ჩხუბი. ფსიქოლოგობა მინდოდა, მაგრამ გადავიფიქრე იმის გამო, რომ უამრავი საგანია სასწავლი. ახლა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის მეორე მუსიკალურ ტექნიკუმში ჩავაბარე და ნამდვილად არა მაქვს იმის დრო, რომ უნივერსიტეტში მისაღები გამოცდებისთვის მოვემზადო. თან ზარმაციც ვარ...

**— სკოლაშიც ზარმაცობდი? იქნებ ოროსანიც იყავი?**

— არა, მეოთხე კლასამდე ოთხოსანი ვიყავი. მერე ფრიადოსნების ფოტოების საპატიო დაფებზე გამოკვრა რომ დაიწყეს და მე იქ არ აღმოვჩნდი, დედა ძალიან გულდაწყვეტილი დამრჩა. ამის გამო გადავწყვიტე, პოზიცია შემეცვალა და ხუთოსნობისთვის ბრძოლა დავიწყე, მივაღწიე კიდეც წარმატებას. ძალიან მიყვარდა ქართული ლიტერატურა. ანა კალანდაძის ლექსებს სიხარულით ვსწავლობდი. მწარედ მახსოვს „ვეფხისტყაოსანი“, მეორე კლასიდან გვასწავლიდნენ და სულ მიკვირდა, მთელი საქართველო გაიტანჯა სკოლებში „ვეფხისტყაოსნის“ სწავლით და შოთა რუსთაველს ძეგლი როგორ დაუდგეს-მეთქი.

**— ქეთა, წელან ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ საქართველოში შოუბიზნესის განვითარებაზე ხელი გაქვს ჩაქნეული და ერთი ბიძგიც საკმარისი იქნება, რომ უცხოეთში წახვიდე.**

— პრინციპში მართლაც აცრუებული მაქვს გული, მაგრამ იმის გამო, რომ ძალიან ნოსტალგიური ვარ, მაქსიმუმ ოცი დღე შეიძლება გავძლო სხვაგან. იმდენად მიყვარს აქ ყოფნა, ალბათ მიჩვევის, ალბათ ჩემი მეგობრების გამო, რომ სხვაგან წასვლაზე არ ვფიქრობ.

*ეკა ლომიძე*

ორშაბათი 3 მარტი

სამშაბათი 4 მარტი

ოთხშაბათი 5 მარტი

ხუთშაბათი 6 მარტი

პარასკევი 7 მარტი

შაბათი 8 მარტი

კვირა 9 მარტი



# „ძალიან მიყვარხართ!“



*თითქოს უკვე ყველაფერი ვთქვით მის შესახებ და პორტრეტის შექმნაც დავასრულეთ. თურმე სულაც არა, სტუმრად კვლავ* ***რომა რეხვიაშვილთან*** *ვართ. რომამ ამ ბოლო პერიოდში, მიუხედავად იმისა, რომ ფეხის მსუბუქი ტრავმა გადაიტანა, სიმღერაც ჩაწერა პატარა ანი მაღლაკელიძესთან ერთად და კლიპიც გადაიღო. მერე ხმა გავრცელდა, უცხოეთში წავიდაო. მუსიკის გარდა სხვა ბიზნესსაც მიჰყო ხელიო, კერძოდ რესტორნის გახსნას აპირებსო.*

— რიყეზე ჩემი მეგობრები ხსნიან კლუბ-რესტორანს, რომელსაც ჩვენი ძველი ანსამბლის „ნატვრის ხის“ სახელი ერქმევა. აქ გიმასპინძლებთ მეც სხვა მუსიკოსებთან ერთად. მე კი არავითარი ბიზნესი არა მაქვს, მუსიკის გარდა. „სპილო“ იმღერებს და დაუკრავს მხოლოდ თქვენთვის. არც საქართველოდან არ წავსულვარ.

**— „არტ-იმედთან“ შენი „დაძმაკაცებაც“ ჭორია?**

— იქ ყველა ჩემი ახლობელი და მეგობარია, მაგრამ მათთან გაწევრებას არ ვაპირებ, ვთვლი, რომ ჩემი პირადი თავისუფლება უფრო ძვირფასია, მირჩევნია თავად გადავწყვიტო, სად ჩავატარო კონცერტი, ვინ და რამდენი დავპატიჟო და ა.შ. ჯერჯერობით, თავად „არტ-იმედია“ ჩამოსაყალიბებელი.

**— მოდი, ცოტა გადავუხვიოთ საქმიან სტილს — როგორი ხარ ექსტრემალურ სიტუაციებში. წარმოიდგინე უკაცრიელ კუნძულზე მოხვდი, მარტოობა გაგიგრძელდა, ძალიან მოგენატრა მაყურებელი, როგორ მოიქცევი? როგორც რობინზონი ცნობილი ფილმიდან თუ?..**

— თუ ახლოს არ მეგულება როიალი ან სხვა საკრავი, უკვე უკაცრიელ კუნძულზე ვგრძნობ თავს და ყველანაირად ვცდილობ იქიდან გამოღწევას. პრინციპში, რაც დღეს ხდება, ძალიან ჰგავს იმგვარ გარემოს, სადაც ხელოვანი თავს სრულიად მარტო გრძნობს. მიუხედავად ამისა, პესიმიზმი არ მეუფლება და ჯადოსნურ წრეს არ ვაძლევ შეკვრის საშუალებას.

**— წარმოიდგინე, მიდიხარ ცარიელ ტრასაზე, სადღაც შორს, მანქანები თითქმის არ გხვდება. უცებ დაინახე, რომ დგას გაფუჭებული ავტომობილი.**

— გავაჩერებ, აუცილებლად დავეხმარები. უამრავი ადამიანი მხვდება, მახსენებენ — გახსოვთ, თქვენ, მაშინ როგორ დამეხმარეთ? ქალია თუ კაცია საჭესთან, არა აქვს მნიშვნელობა, ყველას ვეხმარები. ხომ შეიძლება მეც აღმოვჩნდე მსგავს მდგომარეობაში. ადამიანები იმიტომ გვქვია, რომ ელემენტარული თანაგრძნობა შეგვეძლოს.

**— ქუჩაში მიმავალს რომელიმე ფანჯრიდან რაიმე საგანი რომ დაგეცეს, ან გადმოღვრილი წყლით რომ გაიწუწო, რას მოიმოქმედებ?**

— ასეთ სიტუაციაში არ ვყოფილვარ და თუ ჩავვარდები, დამნაშავეს სახლში ვეახლები, ჩემი ტანსაცმლის მოწესრიგებას მოვთხოვ და წარმოიდგინეთ მისი სახე, კარს რომ გააღებს და ზღურბლთან მე, „სპილოს“ დაინახავს, იმედია, მეორედ აღარ მოიქცევა უდიერად.

**— რომა, რომელიმე ღონისძიებაზე ცეკვის დროს რომ დაეცე, რას იზამ?**

— არა, არც ეს მომხდარა არასდროს. მაგრამ რას ვიზამ? მარტო არ დავეცემი, პარტნიორსაც თან გავიყოლებ (იცინის).

**— ყველა ხელოვანს უყვარს „ფიქრთ გასართველად“ სადმე განმარტოება, შენთვის სად არის ასეთი სავანე?**

— მას შემდეგ, რაც მთა გავიცანი და შევიცანი, არ მეგულება უკეთესი ადგილი „ფიქრთ გასართველად“ და სულის საამებლად. თბილისშიც უამრავია ასეთი ადგილი და არ მიჭირს სავანის მოძებნა.

**— საქართველოში „ფართების“, „ტუსოვკების“ ტრადიცია დამკვიდრდა. შენ რა შეხედულების ხარ ამაზე?**

— კარგია თუ ცუდი ეს ტრადიცია, ვერ გეტყვით ასე გადაჭრით. მთავარი ალბათ ის არის, რომ ხალხი ერთმანეთს ხვდება, ურთიერთობები იხვეწება.

**— ბოლო დროს რა დაგამახსოვრდა თბილისში ყველაზე მეტად?**

— ტრაგედიაა ჩემთვის ქარიანი ამინდი თბილისში. ერთ დროს ია-ვარდების ქალაქი მტვრითა და ჭუჭყით აივსო. ქარი დამამახსოვრდა ბოლოს ცუდად. ქარი, რომელსაც უნდა ვუმღეროდეთ, მაგრამ...

და კიდევ, მინდა ყველას გითხრათ, რომ ძალიან მიყვარხართ!

*ეკა ლომიძე*

ქართული და უცხოური
ჟურნალ-გაზეთების
გამოწერა
თბილისის მაცხოვრებლებისათვის
და ორგანიზაციებისათვის
ტელ: 33-26-73
სახლიდან გაუსვლელად
შპს „ელვასერვისი“

# ბატონებო! თქვენთვის

ძია ანდროს აგარაკი აქვს ქალაქთან ახლოს. ზაფხულობით იქ ცხოვრობს, ზამთრობით — დროდადრო, კარგ ამინდში ადის ხოლმე, ბაღ-ვენახს შეავლებს ხელს, თითქოს გაზაფხულის გაგრძელებული მოლოდინის შემოკლებას ცდილობს. შევედით სიცოცხლე ქალაქში გაატარა, მაგრამ სულში მაინც სოფლელ ბიჭად დარჩა, დღემდე ესიზმრება მამაპაპისეული სახლი თუ ყანა-ვენახი.

## კაცი ძაღლის ხუხულაში...



ძია ანდრო ზაფხულობით ხშირად გვეპატიჟება თავის აგარაკზე. ამას წინათ მითხრა, — უარი არ თქვა, კვირას ადრე გამოგივლი, ჩემს აგარაკზე უნდა წაგიყვანო. ხომ მშვიდობაა-მეთქი. შენი თვალით ნახავ, რაცაა — სიტყვით რომ გითხრა, მაინც არ დამიჯერებო!..

სერიოზული კაცია ბიძაჩემი, ტყუილად არ ატეხდა განგაშს. უჩვეულოს მოლოდინით კვირას იქით ადრიანად მივაკითხე. რაც ადრე მივალთ, უკეთესია, თორემ მერე შეიძლება გაგვასწროსო, — მითხრა.

— ვინ-მეთქი, — ჩავეკითხე.

— ხომ გახსოვს, ჩემი აგარაკის უკან რომ ვენახი იყო და მოუვლელობით გახმა?!

— როგორ არა. გულიც კი დამწყდა მისი პატრონის უნიათობამ — ისეთი ვენახი როგორ გაახმე-მეთქი.

— ის ვენახი აჩეხეს შემოდგომაზე და პირწმინდად ამოძირკვეს. ხმა გავარდა — გასაყიდად გაამზადეს!.. დადიოდნენ კიდეც ვიღაც კაცები, მაგრამ ვერ შეთანხმდნენ ფასზე. დაადო ბოქლომი ჭიშკარს და გაქრა პატრონი. დახლოებით ერთი თვის წინ კი იქაურობას დაუკითხავად დაეპატრონა ერთი კაცი...

— მაწანწალა?!

— თავიდან მეც ასე მეგონა...

ამ ლაპარაკში მივადექით ხსენებულ ეზოს თუ ნაეზოვნარს.

— აი, ხედავ?!.

ეზოში ძაღლის ხუხულის მეტი ვერაფერი შევნიშნე. იგი ძველი ყუთების ფანერისა და რკინის ნაჭრებისგან იყო შეკრული და კარის ადგილზე ძველი ბრეზენტის ნაჭერი ჰქონდა აკრული...

— არ გადამრიო, კაცი ცხოვრობს ამ ხუხულაში?!

ანდრო ძიამ ისე შემოხედა, თითქოს მეუბნებოდა, — ჯერ სადა ხარო.

...დაახლოებით დილის ათის-ნახევარზე ბრეზენტის ფარდა გადაიწია და სანამ კაცი გამოჩნდებოდა, ხელი მოაფათურა სივრცეში, ამინდი შეამოწმა აშკარად...

ხუხულაში ფეხზე დადგომა და გამართვა ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა... ასეც არის! მუხლებზე, ოთხზე დამდგარი, წამოდგა. ძველი პალტო ეცვა, ქუდი ცხვირამდე ჰქონდა ჩამოფხატული. აშკარად ასეც ეძინა. იქვე, ხუხულის უკან მიდგა და მოისაქმა...

ანდრო ძიამ დაირცხვინა, — წამო, მანქანაში ჩავსხდეთ და დაველოდოთ, მალე გამოვაო!..

მართლაც, დიდი ხნის ლოდინი არ დაგვჭირვებია. კაცი ეზოდან გამოფრატუნდა, ხელში ტილოს აბგა ეჭირა, ჯოხს ისე ეყრდნობოდა, თითქოს საკუთარი სხეულის სიმძიმის შემსუბუქებას ცდილობდა...

— იცის, რომ ხალხს არ სიამოვნებს მისი დანახვა, ყველა ერიდება ჭუჭყიანს, ამიტომ ყოველდღე ფეხით მიდის ქალაქის ცენტრალურ ბაზრამდე!

— იქამდე ხომ ლამის ათი კილომეტრია?! — შევიცხადე მე.

— მერე რა, აგვიანდება თუ რა? — მხრები აიჩეჩა ძია ანდრომ, — გზადაგზა „საქმესაც" აკეთებს...

— რა საქმეს?! — ისევ ვერ მოვისვენე.

— წამო, გაუყევით და ნახავ!..

კაცი მიდიოდა. მართლაც მაწანწალა ძაღლივით ერიდებოდა ხალხმრავალ ქუჩებს და ტროტუარებს, არც ტრანსპორტისთვის გაუხედავს. მხოლოდ ნაგვის ურნებს ვერ უვლიდა გულგრილად გვერდს და ძაღლებთან ერთად ეძებდა მათში რაღაცას, ეჩხრებოდა, პოულობდა კიდეც, რადგან დროდადრო თავის აბგაში ყრიდა ნაპოვნს.

...[illegible] მიმავალ პატარას ბლინი გაუვარდა ხელიდან, ტროტუარზე გაგორდა და ორმოში ჩავარდა. გულდაწყვეტილ ბავშვს აღარც უფიქრია მისი აღება, სამაგიეროდ, კაცი მივარდა, ძაღლს მიასწრო და ჯოხი მოუქნია. ბლინი აბგაში ჩაუშვა, მაშინვე დაუწყო ღრღნა...

ბაზრამდე მისვლას დაახლოებით ორსაათ-ნახევარი მოანდომა. ტროტუარზე ჩამოჯდა, ეტყობა, დაიღალა. აბგიდან ბორჯომის ბოთლი ამოიღო, ისიც ჭუჭყიანი. მოსვა. ვიღაცამ ხურდა ფული ჩაუგდო ხელში, მათხოვარი ეგონა...

კაცმა ფულს დახედა და... ისიც აბგაში ჩაადო(!). ცოტა ხანში ადგა და ბაზარში შევიდა.

— დავკარგეთ! — ვთქვი დანანებით.

— არა უშავს, სამი-ოთხი საათისთვის დაბრუნდება „შინ", — მითხრა ანდრო ძიამ.

კაფეში შევედით, ჩაი დავლიეთ. მერე გამყიდველს უამრავი ნამცხვარი ჩააწყობინა პარკში ანდრო ძიამ. მერე ორლარიანიც ჩაადო პარკში, რომელიც ხურდაში დაუბრუნა გამყიდველმა.

მივუხვდი განზრახვას...

აგარაკზე დავბრუნდით...

კაცი ოთხის შემდეგ მოვიდა. სავსე აბგა „კართან" დადგა და იქვე ჩამოჯდა. პირჯვარი გადაიწერა, რაც ნამდვილად გამიკვირდა მის მდგომარეობაში მყოფი კაცისაგან...

ანდრო ძია ღობეს მიუახლოვდა, მიესალმა და დაუძახა... მძიმედ წამოიწია და მოგვიახლოვდა. ახლაღა მოვახერხე მისი სახის ნაკვთების გარჩევა, ჭუჭყი ჰქონდა ჩამჯდარი ნაოჭებში, თვალებიც ჩაქრობოდა, თითქოს აღარც იყო ცოცხალი...

ცელოფანის პარკი მივაწოდეთ. ანდრო ძიამ — ყველაფერი ახალიაო!..

— გმადლობთ! — თქვა კაცმა მოკლედ და მოლოდინით შემოგვაცქერდა, თითქოს თვალებით გვეკითხებოდა, — ჩემგან რაღას მოითხოვთო!...

— საიდან მოხვედით, ან ამ ხუხულაში როგორ აპირებთ ზამთრის გადატანას?! — ვიჩქარე შეკითხვა.

— თუ არ შეიძლება, წავალ! — გვითხრა სასოწარკვეთილი მორჩილებით.

— არა, მაგიტომ არ მითქვამს... სახლი არა გაქვს?!.

— არ ვლაპარაკობ წარსულზე, აღარ მაინტერესებს... წავიდა და გაქრა ყველაფერი... ყოველი კაცი იმას მიიღებს ღვთისგან, რაც დაიმსახურა... მეც ვერ დავიმსახურე მეტი! — თქვა და მივხვდი, რაღაც მნიშვნელოვანი იმალებოდა მის პასუხსა და ცხოვრების მიმართ დამოკიდებულებაში.

— ოჯახი არა გყავთ, შვილები?!.

კაცი შეტრიალდა და უპასუხოდ დატოვა ჩემი შეკითხვა. ოთხზე დადგა და ხუხულაში შეძვრა, ბრეზენტის „კარიც" დახურა...

გაოცებულმა შევხედე ძია ანდროს. მხრები აიჩეჩა, არც მას ჰქონდა მეტი სათქმელი.

არც მანქანაში ამოგვიღია ხმა.

მერე მარტო დავუყევი შინისკენ მიმავალ ნაცნობ ქუჩას და...

არა, ამქვეყნად არაფერი ხდება შემთხვევით: ქალბატონი ანეტა შემომეფეთა წინ, თავის ძაღლს ასეირნებდა, მარტოხელა ცხოვრების ერთადერთ სიხარულს. ყეფით და კუდის ქიცინით მომვარდა ძაღლი, რომელსაც კაცის სახელი — დათუნა ჰქვია რატომღაც... პალტო ეცვა დათუნას, ზურგზე მბრწყინავი ღილებით შეკრული...

ანეტას ერთადერთი შვილი „კანონიერი" ქურდია და ბოლო მონაცემებით, ამერიკაში უნდა ცხოვრობდეს...

აი, პასუხიც კითხვაზე, რომელიც ასე მაწვალებს:

— როგორ აღმოჩნდა კაცი ძაღლის ხუხულაში?!.

— ქურდებს რომ დარჩათ ეს ქვეყანა, იმიტომ!..

ნუ მიწყენთ ასეთ ხმამაღალ ნათქვამს — რომ გენახათ ძაღლის ხუხულაში მცხოვრები კაცი, იქნებ ამაზე უარესიც გეფიქრათ!..

**ინგა ჯაყელი**

## მარტოხელა მამაკაცის ბინა



სულაც არ არის ადვილი, მარტოხელა კაცს ბინაში ჩვეული ინტერიერი ცოტათი მაინც შეაცვლევინო; არადა, საკმარისია სულ ორიოდ ნივთი დაუმატოს ან გადააადგილოს, რომ მკაფიოდ გამოჩნდება პიროვნების ინდივიდუალობა. ამიტომ გირჩევთ:

1. შეიძინეთ ნადირის ტყავი, რომელიც მშვიდ და იდუმალ გარემოს ქმნის ბინაში. ტყავს უხდება ბუხარი, ნამდვილი ან ელექტრონული. ირმის რქები დაამაგრეთ კედელზე კაბინეტში, და არა შესასვლელში. დღეს ეს ცუდ ტონად ითვლება.

2. ნებისმიერი ცივი თუ ცეცხლსასროლი, ახალი თუ ძველი, მოქმედი თუ უვარგისი იარაღის კოლექციით უთუოდ მოხიბლავთ სტუმარს. ყველა მათგანს თავისი ადგილი უნდა მიუჩინოთ. ხანჯლები და დანები დაჰკიდეთ სპარსულ ხალზე, ძვირფასი ლითონის XIX ს-ის პისტოლეტები შეინახეთ წითელი ხის ზარდახშაში და ა.შ. კარგი იქნება, თუ მეგობარ ქალთან ერთად გახვალთ სადმე სასროლად, ან თუ სეზონია — სანადიროდ... იარაღზე ლაპარაკისას აგრძნობინეთ სტუმრებს, რომ ძალიან ბევრი საიდუმლო ამბავი იცით...

3. შეიძინეთ ახალი, დიდი საწოლი. გადასაფარებელი და ბალიშის პირები უნდა იყოს პასტელის ფერისა, კედლების, ჭერისა და დანარჩენი ავეჯის ფერთან შეხამებული. არც ის დაგავიწყდეთ, რომ ფერები გარკვეულ ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ახდენს ადამიანზე, მაგალითად, წითელი — მამაკაცური ფერია და აღმგზნები, მწვანე — დამამშვიდებლად მოქმედებს, ყვითელი და ნარინჯისფერი — მეტ სითბოს სძენს გარემოს.

4. შეიძინეთ მუსიკალური ცენტრი, რომელიც თავისი დიზაინით უნდა ერწყმოდეს ოთახის ინტერიერს. გარდა ამისა, უნდა ერკვეოდეთ მუსიკაში, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ თქვენი გემოვნება შეიძლება განსხვავდებოდეს თქვენი მეგობარი ქალის გემოვნებისგან, ამიტომ შეიძინეთ იმ მუსიკალური ნაწარმოებების ჩანაწერები, რომლებიც ორივეს მოგწონთ.

5. პალმა, მექსიკური კაქტუსი ან ფიკუსი გაალამაზებს თქვენს ბინას და გაასუფთავებს ჰაერს.

6. გამჭვირვალეკარიან ლამაზ მაცივარში გამოფენილი ღვინის კოლექცია მეტ ეშხს შესძენს ბინას.

7. მოდაშია ლამაზი ელექტროლამპა — არც ერთი ნივთი არ არის ისეთი ანდამატური და ინტიმური, როგორიც ის.

8. შეიძინეთ ცნობილი მხატვრის სურათი (აუცილებლად დედანი) და ისე დაკიდეთ, რომ მუდამ ყურადღების ცენტრში იყოს. ნახატის შერჩევისას უნდა გამოავლინოთ ინტელექტი, დახვეწილი გემოვნება... დიდი მნიშვნელობა აქვს ჩარჩოს, რადგან ის არა მარტო ალამაზებს და ავსებს სურათს, არამედ შთამბეჭდავ ზეგავლენას ახდენს მნახველზე... ასე რომ, არ იძუნწოთ...

9. იყიდეთ აკვარიუმი ლამაზი თევზებით.

10. ყველა ქალს მოსწონს ანტიკვარული ნივთები, ამიტომ შეიძინეთ და მოუნახეთ შესაფერისი ადგილი...

## ფული დადე, ბევრი გითხრა...

*ქაშუეთის ტაძრის წინ გავლისას პირჯვარს ისახავდა დიდი თუ პატარა. საიდანღაც ბოშა ქალები გამოჩნდნენ. ისეთ მაცდუნებელ „წინასწარმეტყველებებს" მისძახოდნენ გამვლელებს, რომ აღტაცებისაგან ღიმილს ნამდვილად ვერ დაფარავდით. და აი, ისიც გამოიჭირეს. იქნებოდა ასე, 30 წლის მამაკაცი, რომელმაც ჯერ სხვების მსგავსად, ტაძრის წინ ღმერთს სცა თაყვანი, მერე კი, როგორც ჩანს, მაინც ვერ სძლია ცდუნებას და „წინასწარმეტყველის" მახეში გაება. დრო დავინიშნე. ზუსტად 25 წუთი ცინცლავდნენ ფულს გაბრიყვებულ კაცს. ბოლოს „გულდამშვიდებული" გაუშვეს და მორიგი მსხვერპლის გამოსაჭერად გაემართნენ. ეს ამბავი საღამოს მეგობრებს მოვუყევი, მეგონა, გავაოცებდი, მათ კი, ეგ რა არისო — ხელი ამიქნიეს და ისეთი რამ მიამბეს?.. თურმე „ეშმაკის ფეხი" ბოშა ქალების მსხვერპლი უფრო ხშირად მამაკაცები ყოფილან.*



**სანდრო (34 წლის):** — ერთხელ, მე და ჩემი მეუღლე ბაზარში წავედით. ბიზნესში ცოტა წავიფორხილე და უგუნებოდ ვიყავი. მანქანაში დავრჩი ბაზრის შესასვლელთან. უცებ აქეთ-იქით ფანჯრებთან მომეტუზნენ ბოშები — მოდი, ბიჭო, გიმკითხაო, სულ ხუთი ლარი დადე და ბევრი გითხრაო. მომწყდით თავიდან-მეთქი, ვუყვირე და მინები ამოვწიე. სიცხეში დიდხანს ვერ გავჩერდი ჩახუთული, ჩამოვწიე და ისინიც ისევ შემომაფრინდნენ. „შენი საქმე ახლა კარგი არ არის, მარა მალე ბევრი ფული გექნება", — შემომცინა ბოშამ და ანკესზე წამომაგო. როგორც იტყვიან, მაგრად გამასულელეს. ჩემი ცოლი რომ დროზე არ გამოჩენილიყო, ჯიბეში გროშს არ დამიტოვებდნენ. ხელისგულს გამაშლევინებდნენ, ზედ ფულს მადებინებდნენ, მერე მარიგებდნენ, ახლა თვალები დახუჭე და სურვილი ჩაიფიქრეო, თუ ფული გაქრა, ე.ი. საქმე კარგად წაგივაო. რა თქმა უნდა, ფული „ქრებოდა". მერე საქმე მართლად კარგად წავიდა. თუმცა, არა ბოშების წყალობით, მაგრამ ეს ამბავი სულ ღიმილს მგვრის.

**ნიკა (27 წლის):** — თბილისიდან რუსთავში მივდიოდი „ელექტრიჩკით". ერთ-ერთ სადგურში ბოშები ამოლაგდნენ. ერთს, იქნებოდა ასე, 18-20 წლისა, თვალს ვერ მოსწყვეტდი, ისეთი ლამაზი იყო. გვერდით მომიჯდა. არშიყი დავუწყე, თან ჩემს თავზე მეცინებოდა, იმანაც შემომცინა და მითხრა, ხელი მაჩვენეო. ღარებს თითები გააყოლა და ეშმაკურად ამომხედა. ჟრუანტელმა დამიარა ტანში. ბედნიერი კაცი იქნები, ლამაზი ცოლი გეყოლება, სამი შვილი, ორი ბიჭი და ერთი გოგო, კაი სახლი, ფული, მანქანა — ამიწყო ცხოვრება. კიდევ მითხარი რამე-მეთქი. „კიდევს" ფული უნდაო — აწკიპა ცალი წარბი. რუსთავში ჩასვლამდე იმდენი თანხა დამტყუა, ტაქსისთვისაც თავისუფლად მეყოფოდა. მას მერე 5 წელი გავიდა, რაღაც არც ცოლის მოყვანა მეღირსა, ვერც სასახლე ავიშენე და ისევ იაფფასიანი ტრანსპორტით დავდივარ; ბოშებს კი, ცაზე მოწყვეტილ ვარსკვლავს რომ ჰგავდნენ, ახლოს არ ვიკარებ.

**დიმიტრი (58 წლის):** — ეს ამბავი 10 წლის წინ მოხდა. ქუთაისიდან საქმეზე ჩამოსული ალექსანდრეს ბაღში ახლობელს ველოდებოდი. ერთი ბოშა გადამეკიდა — შენი ფული არ მინდა, შუბლზე ამბავი გაწერია და უნდა წაგიკითხოო. გამეცინა. შუბლზე ხელი გადავისვი — მორჩა, წავშალე-მეთქი. აჰ, არ გაჭრა არაფერმა. დამიჯდა გვერდით და დაიწყო: 24 საათის განმავლობაში, ისეთი რამ მოხდება, ძალიან ინერვიულებ. ტყუილად დაგიწყებენ მკვდრებში ძებნას. თუ გინდა, ოჯახი დამშვიდდეს, წადი, ახლავე და დარეკე, რომ დღეს არ მიდიხარ. ორი კვირის მერე ქორწილი გექნებაო. შევაწყვეტინე. ხელი ამიქნია — ეეჰო და წავიდა. არადა იმ საღამოსვე დაიწყო მისი წინასწარმეტყველების ასრულება. საქმე ისე აეწყო, რომ ქუთაისში წასვლა გადავდე. იმ დღეს თბილისი-ქუთაისის „იკარუსი" ავარიაში მოხვედრილა. ხალხი დაიღუპა. ჩემი ცოლ-შვილი გულგახეთქილი მეძებდა თურმე დახოცილებში. ბოშასთვის რომ დამეჯერებინა და დამერეკა, ეს არ მოხდებოდა. ორი კვირის თავზე ქალიშვილი მომტაცეს... მას შემდეგ, როგორც კი თბილისში ჩამოვალ, დარია თუ ავდარი, ალექსანდრეს ბაღში იმ ბოშას ველოდები, მაგრამ არ მოდის. იქნება ვცოდავ ღვთის წინაშე, მაგრამ, რა ვქნა, სუსტი ყოფილა კაცის ნებისყოფა.

**ეკა ლომიძე**

საქართველოში ოდითგან ცხოვრობდნენ ბერძნები და ეს მიწა სამშობლოდ მიაჩნდათ.

ბზიფელ ბერძენს, ირინა კირიაკიდის და ალექსი (ავქსენტი) ლაკიას გაცნობისთანავე შეუყვარდათ ერთმანეთი და მალევე შეუღლდნენ. წლისთავზე პატარა მერიც გაუჩნდათ...

ირინას და ალექსის ურთიერთობას თავიდანვე რაღაც ბზარი დაჰყვა, ამიტომაც სიყვარულის გამოსაცდელად თუ გადასარჩენად ცოტა ხნით ცალ-ცალკე ცხოვრება გადაწყვიტეს.

ირინას მეგობრები ხშირად ურჩევდნენ — ბავშვი მეზობელს დაუტოვე და გულის გადასაყოლებლად ჩვენთან ერთად გაისეირნეო, მაგრამ ახალგაზრდა ქალი უარობდა: არა, ვერ წავალ... ალექსი რომ მოვიდეს და მომიკითხოს? ან მერიკო როგორ დავუტოვო მეზობელს, ჯერ ხომ წლისაც არ არისო და გულში ჩაიკრავდა ხოლმე შვილს.

კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო...

თითქოს ქმარსა და მომავალზე დარდი არ ეყოფოდა ქალს. მალე ისეთი საფიქრალი გაუჩნდა, რომელმაც კინაღამ თავიც დაავიწყა... ხმა დაირხა, ლავრენტი ბერია ბერძნების გასახლებას აპირებსო.

მოსვენება დაეკარგა ახალგაზრდა დედას: თუკი ეს მართალი იყო, რა უნდა ექნა ბავშვისთვის, ვისთან დაეტოვებინა, ვისთვის ეთხოვა შველა?

ალექსი ლაკია იმხანად ბზიფში არ იყო, სამსახურის გამო საქართველოს სხვადასხვა რაიონში დიდხანს უხდებოდა დარჩენა.

სამწუხაროდ, დარხეული ხმა გამართლდა... სოხუმის რკინიგზის სადგურში ჩამომდგარი ეშელონები უცებ გაივსო ბერძნებით. სულის მოთქმა ვერ მოასწრო ხალხმა, ისე გამოასახლეს ბინებიდან.

ირინამ სასწაულებრივად მოახერხა და გულამოვარდნილმა დედამთილს, ალექსის დედას მიუყვანა ბავშვი და აქვითინებულმა უთხრა, — ბერძნებს ყაზახეთში გვასახლებენ... თქვენზე ახლობელი აღარავინ დამრჩა და იმედია, თქვენს სისხლსა და ხორცს უპატრონებთ... როცა დავბინავდები, წერილს მოგწერთ. ალბათ ალექსი ჩამომიყვანს ბავშვს, შემდეგ კი... რაც მოსახდენია, მოხდესო...

ირინა იმ საღამოსვე გაუყენეს გზას, რომელსაც „გზა არსაით" ჰქვია.

ალექსის დედას შეშინებია, ვაითუ, ვინმემ დამასმინოს, — რძალი ბერძენი ჰყავს და ბავშვიც წამართვანო, შვილის ჩამოსვლისთვის აღარ დაუცდია, ნათესავი ქალისთვის, რომელიც მაშინ სოხუმის „წითელი ჯვრის" უფროსად მუშაობდა, უთხოვია, ცოტა ხნით მერიკო უპატრონო ბავშვთა სახლში ჩააბარეო (ალბათ სიტუაციის დამშვიდებას თუ იმედოვნებდა მოხუცებული).

ზინა მუმლაძემ უყოყმანოდ გაუწოდა მას დახმარების ხელი და რადგან ბავშვის დედის ვინაობას, შესაძლოა, „მავანნი" დაეეჭვებინა, გოგონა, როგორც ღვიძლი შვილი, თავისი გვარით ჩააბარა ბათუმის მიუსაფარ ბავშვთა სახლს, მიზეზად — უკიდურესი გაჭირვება დაასახელა (სამუშაო ადგილი კი დამალა).

ალექსი შინ დაბრუნდა. ისედაც აფორიაქებულ დედას მოსვენება დაეკარგა. გრძნობდა, რომ არ მოიქცა სწორად. დამნაშავედ თვლიდა თავს ირინას, შვილის და იმ უცოდველი გოგონას წინაშე... თავდაპირველად, არ აპირებდა საიდუმლოს გამჟღავნებას, მაგრამ ღვთის წყრომისა და ცოდვის შეეშინდა და შვილს ყველაფერში გამოუტყდა. კინაღამ გაგიჟდა ალექსი... კარგა ხანს გაოგნებული იყო, ცალკე ირინაზე დარდობდა, ცალკე ბავშვზე.



მერე გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, გოგონა მოეძებნა. მაშინვე ბათუმის ბავშვთა სახლს მიაკითხა, სადაც საშინელი ამბავი დაახვედრეს — რახან პატარას რამდენიმე თვე არავინ მიაკითხა, უშვილო

# შვილო, მთელი ცხოვრება გეძებ...

## 80 წლის დედა იმედს არ კარგავს, რომ იპოვის 53 წლის წინ დაკარგულ შვილს

ცოლ-ქმარს მივაშვილეთო. ალექსიმ ისღა გაიგო, რომ ბავშვის ახალი „მშობლები" ქუთაისიდან იყვნენ.

მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბევრი ტკივილიც და ცრემლიც თან წაიყოლა. ალექსიმ მეორე ოჯახი შექმნა, შვილებიც შეეძინა, მაგრამ სურვილი — მერიკოს პოვნისა — არ განელებია. როგორც იქნა, კითხვა-კითხვით მიაგნო იმ ოჯახს, სადაც მერიკო ცხოვრობდა. „დედა" პედაგოგი აღმოჩნდა, „მამა" — ექიმი, ბავშვს სხვა სახელი, ირმა ერქვა... ნაცნობთა წყალობით მათ ოჯახშიც შეაღწია, როგორც სტუმარმა, მაგრამ თვისი გულის ტკივილი ვერ ამოთქვა, რადგან საოცარი სიყვარული, მზრუნველობა და სითბო დახვდა იქ. ისინი ბავშვს თავს ევლებოდნენ, მერიკო-ირმაზე ამ ორ ადამიანს მზე და მთვარე ამოსდიოდა. თან, იმანაც ჩააფიქრა, რომ საიდუმლოს გამჟღავნებას შეიძლება მისი ნათესავის, ზინა მუმლაძის დაპატიმრება მოჰყოლოდა. გულში ჩაიკლა დარდი და დამშვიდებულმა, ბავშვი თბილ ოჯახშიაო, სამუდამოდ გამოიხურა იმ ოჯახის კარი.



დრო გავიდა. ალექსი შვილებს დაჰკანკალებდა, განსაკუთრებით პატარა მაიკოს ანებივრებდა. თითქოს ცდილობდა, ის სითბო და ალერსი, რაც სიყრმის შვილს დააკლო, ნაბოლარაზე დაეფრქვია. ზოგჯერ, შვილებს უფროს დაზე გაკვრით ეტყოდა ხოლმე რაიმეს.

ალექსი 1989 წელს გარდაიცვალა. სიკვდილის მოახლოება რომ იგრძნო, შვილებს გაუმჟღავნა საიდუმლო და სთხოვა: რაც მე ვერ შევძელი, იქნებ თქვენ მოახერხოთ. ახლა მერიკო-ირმა უკვე გათხოვილიც იქნება... ნუ დაკარგავთ თქვენს სისხლსა და ხორცსო.

მალე აფხაზეთის ომიც დაიწყო და ახლობლის მოსაძებნად აღარავის ეცალა.

ეს ამბავი მაია ლაკიასა და ქალბატონ ირინა კირიაკიდის წერილების მიხედვით მოგითხრეთ.

ირინა კირიაკიდი უკვე 80 წლისაა. ცხოვრობს სოჭში. იგი დღემდე სთხოვს დახმარებას სხვადასხვა ორგანიზაციას, პიროვნებებს და იმედს არ კარგავს, რომ იმ არეულ წლებში დაკარგულ გოგონას იპოვის.

***მაია ლაკიას წერილიდან:*** „როცა აფხაზეთში ომი დაიწყო, შრომაში ვცხოვრობდი, ასე ვთქვათ, ბრძოლის ხაზზე. მერე ფეხით გადმოვიარე სვანეთის ის საშინელი გზა. თბილისში შევხვდი ჩემს ბედს, თენგოს. მყავს ორი შვილი. როცა ქალბატონმა ირინა კირიაკიდმა (მამაჩემის პირველმა ცოლმა) თბილისში, ჩემს ოჯახში პირველად დარეკა, ძალიან გამიკვირდა, როგორ მომაგნო-მეთქი. მერე მივხვდი, რომ ამ ქალისთვის ერთადერთი იმედი მე ვარ... როგორ არ ვეცადე, ყველგან ვიყავი, მოვიარე თბილისის და ბათუმის არქივები, მაგრამ ვერაფერს მივაკვლიე.

ბუნდოვნად მახსოვს ბავშვობის დროინდელი ეპიზოდი (ეგებ, ამ დაბურდული გორგალიდან ძაფის გამოხსნაში დაგვეხმაროს). მაშინ მეოთხე კლასში ვიყავი. ერთ გაზაფხულს, ზინა მუმლაძის ქმარმა, მიშა ბუაძემ (ქალბატონი ზინა მაშინ უკვე გარდაცვლილი იყო) სოხუმიდან ზესტაფონში (ჩემს დედულეთში) წამომიყვანა. იმხანად მიშა ძია უკვე თბილისში ცხოვრობდა. გზად ქუთაისში, თავის დასთან, ქალბატონ თამართან შეიარა. სუფრა გაგვიშალეს. მიშა ძიამ თავისი გარდაცვლილი ცოლის შესანდობარი დალია. ზუსტად აღარ მახსოვს, მაგრამ მგონი, ზინა დეიდას ხსენებას მოჰყვა და-ძმის კამათი. ტირილი დავიწყე. მიშა ძიამ თავის დას გაცხარებულმა მიუგო: ის ბავშვი (ჩემს უფროს დას გულისხმობდა) ჩემი ცოლის ნაბიჭვარი კი არა, ამ ბავშვის (ჩემზე მიუთითა) მამის პირველი შვილიაო. უსიამოვნო საუბარს მასპინძელმა, შალვა ვარდოსანიძემ, გამომარიდა, ეზოში გამიყვანა. მითხრა, შენი და ჩემი საუკეთესო სტუდენტია, საოცარია, მაგრამ სულ არ გავხარო. სწორედ ბატონი შალვასგან გავიგე, რომ ჩემს უფროს დას ირმა რქმევია, რომ იგი ეკონომიკის ფაკულტეტზე სწავლობდა. სამწუხაროდ, ბატონი შალვა დღეს ცოცხალი აღარ არის, თორემ ბევრ რამეს გავიგებდი მისგან. მაშინ კი ბავშვი ვიყავი, შევშინდი და ის უსიამოვნო საუბარი არავისთვის გამიმხელია.

როდესაც მამაჩემის პირველი ცოლი დამიკავშირდა და მთხოვა, შვილის პოვნაში დავხმარებოდი, ჩემმა ძმამ, შოთიკომ, მირჩია თქვენთვის მომეწერა წერილი. სამწუხაროდ, კარგა ხანს ვერ დავალაგე აზრები. შემდეგ, მოულოდნელად, გულის შეტევით გარდაიცვალა ჩემი ძმა. ბოლოს, მტკიცედ გადავწყვიტე, ჩემი მამიკოს ხსოვნის პატივსაცემად და იმ უბედური ქალის გულის გასახარად ვიპოვო ჩემი უფროსი და — ირმა (მერიკო). მისი გამზრდელები ცოცხლები აღარც იქნებიან. ალბათ ირმაც ქმრის გვარზეა გადასული და ამიტომაც უფრო გაჭირდა მისი მოძებნა.

მჯერა, გულთან მიიტანთ ამ ამბავს და მომაძებნინებთ დას... გიგზავნით ირინა კირიაკიდის სურათს. მამა ამბობდა, გოგონა ძალიან ჰგავს დედამისსო. ასევე გიგზავნით ირმას (მერიკოს) პატარაობის სურათსაც. იგი ამ სურათზე 9 თვისაა (ახლა კი დაახლოებით 54 წლის იქნება). მინდა მასაც მივმართო: *„ჩემო უფროსო დაიკო! ვიცი, ამ საიდუმლოს გამჟღავნება უმტკივნეულო არ იქნება შენთვის, მაგრამ გთხოვ, გამიგო — არ შემიძლია მუდარად ქცეულ დედაშენს უარი ვუთხრა დახმარებაზე. ნათქვამია, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო. წარმომიდგენია, რამხელა სიხარული იქნება ირინა კირიაკიდისთვის შენი გამოჩენა. ახლა, შენც იმ ასაკში ხარ, დედის წუხილს და ტკივილს უკეთესად რომ გაიგებ. მჯერა, სურვილი საკუთარი დედის ნახვისა, აღარ მოგასვენებს და აუცილებლად დაუკავშირდები „კვირის პალიტრას". პატივისცემით და სიყვარულით შენი უმცროსი და — მაია ლაკია".*

***ქალბატონ ირინა კირიაკიდის წერილიდან:*** *„დავიბადე 1924 წელს, ეროვნებით ბერძენი ვარ, ამჟამად ვცხოვრობ სოჭში. ვეძებ ქალიშვილს, რომელიც 1948 წლის ოქტომბერშია დაბადებული.*

*...შვილო ირმა! იქნებ ჩემი სურათით შენი ქალობა დაგიდგეს თვალწინ. იქნებ, იმ პატარა, 9 თვის გოგონაში შენი თავი იცნო. მთელი ცხოვრება გეძებ. იმედი არასოდეს გადამიწურავს, რომ გიპოვი. მჯერა, ჩემი სისხლი და ხორცი მოხუცებულ დედას გულმოკლულს არ გაუშვებს იმ ქვეყნად.*

*ირინა კირიაკიდი, ქ. სოჭი, 2003 წლის თებერვალი".*

**P.S.** ყველას, ყველას, ყველას (განსაკუთრებით ქუთაისელებს მივმართავთ)! გთხოვთ, გულთან მიიტანოთ მოხუცი დედის ტკივილი, რომელიც 50 წელზე მეტია დაუღალავად ეძებს შვილს. გოგონა გაიზარდა ექიმის ოჯახში, დედა პედაგოგი ყოფილა. თვითონ — განათლებით უნდა იყოს ეკონომისტი. ვინც იცნობთ ასეთ ქალბატონს, გამოგვეხმაურეთ. იქნებ, მართლაც სასწაული მოხდეს და თავად ქალბატონი ირმა მოვიდეს ჩვენთან. ამ ცისქვეშეთში ხომ უკვალოდ არავინ და არაფერი იკარგება! იქნებ, სწორედ ჩვენს რედაქციაში მოხდეს ის მონატრებული და ნანატრი შეხვედრა, რომელსაც ასე ელოდება 80 წლის ირინა კირიაკიდი.

***მარინა ბაბუნაშვილი***

# დიასახლისთათვის

## საყველიერო მაჭკატები



დიდმარხვის წინ, ყველიერში, საგანგებოდ აცხობდნენ მრავალგვარ ქადას, ნაზუქს. გთავაზობთ ორ რეცეპტს, რომლის მიხედვით დამზადებული მაჭკატები უთუოდ მოგეწონებათ:

**ცომისთვის საჭიროა:** 2 ჭ ფქვილი, 3 ჩ/ჭ რძე, 2 ც კვერცხი, 1 ს/კ საფუარი, 1 მწიკვი მარილი, 30 გ კარაქი.

დაასხით ცხელ ტაფაზე, ოდნავ შეშრება თუ არა, მოაყარეთ დაფხვნილი ყველი, მოაწყვეთ თხლად დაჭრილი, მაგრად მოხარშული კვერცხი, დაახურეთ ხუფი და გამოაცხვეთ ცალ-ცალკე ულუფებად.

**მოამზადეთ არაჟნის სისქის ცომი** 2 ჭ ფქვილით, 4 ც კვერცხით, 180 გ კარაქით ან მარგარინით, 1 ს/კ შაქრით, 2 ჭ მაწვნით, 4 ს/კ ზეთითა და 1 მწიკვი მარილით და ცხელ ტაფაზე ცალ-ცალკე გამოაცხვეთ.

## პუნში



250გ მაგარ შავ ჩაის შეურიეთ 500 გ ვაშლის წვენი და 100გ რომი. დაუმატეთ 1 ანისული, 1/2 კოვზი დარიჩინი, 4 ც მიხაკი, 3 მარცვალი ბაჰარი, 50გ შაქარი, 3 ს/კ ბროწეულის წვენი. ნელ ცეცხლზე ადუღეთ 15 წუთი. ჩაასხით ლამაზ ჭიქებში და მორთეთ ლიმონის ან ფორთოხლის ნაჭრით.

# ჩემს ჯიბეში მოფათურე ხელზე დანა დავუსვი...

***ღვთის წყალობით, თბილისში მანიაკები და კანიბალები არ გამოჩენილან, მაგრამ ჯიბის ქურდები ბლომად გვყავს! ეს ყველას კარგად მოეხსენება და მით უმეტეს, ქალებს. როგორც ირკვევა, საზოგადოების ამ მავნე წარმომადგენლებს ქალების ჯიბეებისა და ჩანთებისკენ უფრო უწევთ გული. რას იზამ, ალბათ არც უნდა გაგვიკვირდეს სუსტი სქესისკენ ასეთი ლტოლვა, მაგრამ ხშირად თურმე პირში ჩალაგამოვლებულნი რჩებიან გონიერი და მოხერხებული ქალბატონების გადამკიდე „კარმანშჩიკები".***



**ლიკა (38 წლის):** — ავტობუსით ვმგზავრობდი. პატარა ავტობუსია, მაგრამ ბევრი ხალხი გადაჰყავს და ჯიბგირებიც შანსს არ უშვებენ თურმე ხელიდან. დავითვალე კიდეც, 6 მუშაობდა ერთად, თანაც რა ლამაზი ბიჭები იყვნენ, იცით? გული მერევა, მათი გველივით გამოციებული თვალების, ზამბარასავით დაჭიმული სხეულების და სხვის ჯიბეში მოფათურე ხელების გახსენებაზე. ჩანთიდან საფულე და საკანცელარიო დანა ამოვიღე. ფული პალტოს ჯიბეში ჩავიდე, თანაც ისე, რომ ერთ-ერთმა მათგანმა შემხედა. გაშლილი დანა კი ხელში დავიჭირე. ცოტა ხანში ვიგრძენი, როგორ ჩასრიალდა ხელი ჯიბეში, ჩემი ხელიც მივაყოლე და დანა დავუსვი ავაზაკს. უნდა გენახათ, როგორ ილმუვლა — გააჩერეთ ავტობუსიო. ქორივით შემომხედა, შემაგინა და გიჟივით ჩავარდა დაბლა. დანარჩენებიც თან მიყვნენ.

**ეკა (37 წლის):** — ტროლეიბუსით მივდიოდი ვაკეში. ვიგრძენი, რომ ვიღაცამ ჯიბეში ჩამიყო ხელი და უცბადვე ამოიღო. ერთი ძველი საათი მეგდო, ის ამოელო გვერდით მდგომ ოციოდე წლის ბიჭს. გრცხვენოდეს, რაც მოიპარე, უკან ჩააბრუნე-მეთქი. მანაც რაღაც ჩამიდო ჯიბეში. ამ დროს ტროლეიბუსიც გაჩერდა და ისიც ძირს ჩახტა. ვნახე, საათი მართლაც დაებრუნებინა, ოღონდ ჩემი არა, სხვისი. თანაც საკმაოდ ძვირფასი...

**ნინო (32 წლის):** — სამედიცინო გამოკვლევისათვის შვილების განავლის ანალიზი უნდა გამეკეთებინა. „მასალა" ასანთის კოლოფებში მოვათავსე, კარგად გავახვიე და ჯიბეში ჩავიწყვე. ავტობუსში ვიღაცამ ამომაცალა ჯიბიდან — ბაქტერიოფაგში მისულმა ჯიბეში ხელი ჩავიყავი... ჯერ გავოგნდი, ჩემი კოლოფები რომ ვერ ვნახე, მერე კი ხარხარი ამიტყდა, ძლივს დავწყნარდი. ყველა გაოცებული მომაჩერდა. როგორც იქნა, ამოვთქვი, რაც მოხდა და ხარხარი მერე გენახათ... წარმომიდგენია, იმ დროს რა გუნებაზე იქნებოდა ჩემი გამძარცველი.

**ნუნუ (48 წლის):** — ავტობუსში ფეხზე ვიდექი და ახლობელს ვესაუბრებოდი. ამ დროს ჩანთა გამიხსნეს და საფულე ამომაცალეს, რომელშიც მხოლოდ რამდენიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტი მედო. მივუბრუნდი იმ თავხედს და — ახლავე მომეცი საფულე, რაც შიგ გიდევს, მაგაში არ არის-მეთქი. ხმა ჩაიგდო, თორემ ტყვიას დაგაჭედებ შუბლშიო. გადაირია. იმ იდიოტს პასპორტი ედო პერანგის ჯიბეში, არც ვაციე, არც ვაცხელე, ამოვტაცე, ჩანთაში ჩავდე და ვუბრძანე, ძირს ჩამოეთრიე-მეთქი. ისე მოხდა, რომ ნაგვის ურნასთან მოგვიწია გაჩერება. ის იდიოტი თან საფულეს „ჩითავდა", რომ ვერაფერი ნახა, დამიბრუნა, მე კი მისი პასპორტი ურნაში ჩავუძახე. გადაირია — ეს რა ქენიო. რაც გეკუთნოდა-მეთქი. ჩემს ახლობელს ხელკავი გავუკეთე და გზას გავუყევი.

**დოდო (56 წლის):** — ამას წინათ „მარშრუტკაში" ორი ბიჭი ამოვიდა და წინა სავარძელზე გოგონას მიუსხდნენ გვერდით.. ერთს ხელში ცელოფანის პარკი ეჭირა, რომელშიც 3-ლარიანი ოთახის ჩუსტები, საპონი, ფხვნილი და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთები ეწყო. ცოტა ხანში ბიჭებმა გოგოს ჩანთაში დაიწყეს ფათური და მალე შამპუნი „ჰედ ენდ შოლდერსიც" ამოაძვრინეს. თვალები გამიფართოვდა. გოგომ მძღოლს სთხოვა, გააჩერეთო და ჩასვლისას დასძინა — ჩემი მგზავრობის საფასურს ეს ბიჭები გადაიხდიანო. მერე ჯიბგირებს ზიზღით შეხედა და კარი მიხურა. სულ ქალები ვიჯექით ტრანსპორტში. ჯიბგირებს ვუსაყვედურეთ. იმათ კიდევ, ვითომ კაცებმა — ხმა ჩაიკმინდეთ, თორემ დაგსერავთო, — თავის ჭკუით დაგვემუქრნენ და „მარშრუტკიდან" ჩავიდნენ.

გული მეტკინა. მათნაირები რომ კაცობაზე პრეტენზიას გამოგიცხადებენ, სამართალი არ არის და ეგაა.

P.S. რა დასანანია, რომ ჯიბგირები გაზეთებს არ კითხულობენ, იქნებ...

***ეკა ლომიძე***

# სკანვორდი ფრაგმენტებით





ხუთი კაპიკი

ტანადი, მოხდენილი ვაჟი

მის სახელს ბერლინის უნივერსიტეტი ატარებს

ჩიჩოლინას „პროფესია“

დედამიწის უახლოესი ვარსკვლავი

შოლოხოვის საყვარელი მდინარე

ფარაონთა მფარველი ღმერთი

კ/ფ-ბი „ურჩხული“, „შესანიშნავი“ (მსახიობი)

ამერიკელი კოსმონავტი

ცნობიერება

ტაილანდის დედაქალაქი

უცხოური სამწვადე

გერმანელი ფილოსოფ. (კრიტიკ. რეალიზმი)

ჩებურაშკას მეგობარი

პერუს მთავარი ქალაქი

ხორხის ლორწოვანი გარსის ანთება

მთა ახალქალაქის რაიონში

მოურიდებელი, უტიფარი

ქართველი ქირურგი ... კუზანოვი

სპექტაკლის დასრულებული ნაწილი

შესახედაობა

თხზულების მოკლე, შეკუმშ. გადმოცემა

თვალისჩინი

ადამიანის განცდათა, გრძნობათა სიმბოლო

ხელის მტევნებით შედგენილი სასმისი

იმპრესიონიზმის ერთ-ერთი ფუძემდებ.

ნაქსოვი ჩხირების გარეშე

„ვიტა“, „აფტაბი“, „ხაზარი“

კამათი, ცილობა

ვენტსპილსის ადრინდელი სახელწოდება

მდარე ხარისხის შაქარი

ნორბერტ ვინერის ფუნდამენტ. ნაშრომი

ქალიშვილის ქმარი

ვაჟიშვილი

სატვირთოსამგზავრო ავტომობილი

ვოლტერის ნამდვილი გვარი



იაპონიის უდიდესი ტბა

პერსონაჟი ოპერიდან „დაისი“

კაცს რამის სახელი რომ დაავიწყდება

ფუნქციური ნერვულფსიქიკური დაავადება

კათოლიკე მღვდელი

ბუნებრივი ყავისფერი პიგმენტი

მეფის მხლებლები

კათოლიკური ღვთისმსახურება

რიტმული მოძრაობა წონასწორ. მდებარეობაში

დაუფიქრებელი, ჩქარი, თავქარიანი

ხალხთა ისტორიული მყარი ურთიერთობა

ხერხემლის ძვალი

ქირურგის იარაღი

კოლო, ბუზი, პეპელა

საზეიმო კონცერტი

საესტრადო წარმოდგენა

ქიმიური ელემენტი

მოსაფხანი ადგილი თავზე

ცოლქმრად ყოფნა





საკერავი მანქანების ამერიკული ფირმა

ორსახოვანი ღმერთი რომაული მითოლოგ.

სოფელი ონის რაიონში

**წინა სკანვორდის პასუხები:** 1. ნირვანა; 2. ნიცშე; 3. შიდსი; 4. „ალიონი“; 5. ნიჟი; 6. ოცი; 7. ცი; 8. ბაცი; 9. ვაცი; 10. „ევიტა“; 11. წიხლი; 12. „ლანკომი“; 13. ნელსონი; 14. ეოცენი; 15. ლი; 16. მრე; 17. გოეთე; 18. „სონი“; 19. „ლომი“; 20. ნისია; 21. მილიონი; 22. ლიონი; 23. ონი; 24. ტაიტი; 25. რიზე; 26. ბეთლემი; 27. რე; 28. ბარტონი; 29. ბიზე; 30. ქოლერა; 31. წოპე; 32. მხალი; 33. ინდიგო; 34. წენგო; 35. კა; 36. კოლიე; 37. თავლა; 38. „კომბლე“; 39. გო; 40. კიი; 41. ზუილი; 42. მაზლი; 43. ეკალი; 44. ვიერი; 45. დგუში; 46. ვატიკანი; 47. თუთიყუში; 48. ლეილი; 49. ცანგალა; 50. ავა; 51. ბუ; 52. ძილი; 53. კალა; 54. „რენო“; 55. ღვინო; 56. გარემო; 57. თუთა; 58. ოპერა; 59. „ტუ“; 60. მგელი; 61. ფოტო; 62. ტაფელა; 63. ბოი; 64. მარში; 65. ნომა.

1. ცხენი ხომ არ გგონივარ; 2. წელს მე ვიქნები შენი მწვრთნელი; 3. წრიული თავდაცვა; 4. ოტიტი; 5. კანიბალს ვერ გამოასწორებ.

**პასუხები მოცემულია სკანვორდში კითხვების განლაგების მიხედვით, თანამიმდევრობით, მარცხნიდან მარჯვნივ. ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები.**

**შეადგინა რამაზ ალანია**



▲ УДАРНЫМИ ДЕЛАМИ отметил начало юбилейной вахты коллектив Тбилисского литейно-механического завода имени Камо. С начала года здесь выпущено продукции на несколько тысяч рублей сверх плана. Широко развернувшееся соревнование за достойную встречу 60-летия Великого Октября уже определило лидеров. Шлифовальщик Б. Иванишвили — один из них. Передовой производственник, член заводского комитета комсомола, он намного опережает сегодня свой трудовой календарь.

**ქართველი ბიზნესმენი და ქველმოქმედი ბიძინა ივანიშვილი ჩვენი საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევს. იგივე გვამოძრავებს ჩვენც, ჟურნალისტებსაც. პირადად მე კი, ჩემი საჩხერელობის გამო, ამ ძნელად სანახავ პიროვნებაზე ინფორმაციის მოძიება უკვე პრესტიჟის საქმედ მიმაჩნია და შეძლებისდაგვარად ნელ-ნელა, მარცვალ-მარცვალ ვაგროვებ მასზე ამომწურავ მასალას. მომავალში შევეცდები, იგი შედარებით ვრცლად და დოკუმენტური სიზუსტით მივაწოდო მკითხველს. ამჯერად კი გთავაზობთ ჩემ მიერ მოძიებულ გაზეთ „ზარია ვოსტოკაში" 26 წლის წინ გამოქვეყნებულ ფოტოს, რომელზეც თბილისის ერთ-ერთი ქარხნის მრანდავი, 21 წლის ბიძინა ივანიშვილია აღბეჭდილი. ვფიქრობ, ფოტო ნაწილობრივ შეავსებს ჟურნალ „რეიტინგში" (№7 (20), №8 (21), 2003) დასტამბულ წერილს, რომელსაც საზოგადოების დიდი დაინტერესება მოჰყვა. ჩვენი აზრით, ეს პუბლიკაცია (მცირედი შემოკლებით) არც „კვირის პალიტრის" მკითხველისთვის იქნება ინტერესმოკლებული.**

*ვაჟა გავაშელი*

# რეიტინგი რითი დაიწყო ყველაფერი?!

ამბობენ, ბიძინა ივანიშვილი ქუვეითის ნავთობის 0,4 პროცენტის მფლობელიაო, საკუთარი კუნძულები აქვს, თავის ყველა ნათესავსა და თანასოფლელს 300 დოლარს უხდის ხელფასის სახით, მეზობლებს ფქვილს, შაქარს, მაკარონს, ბრინჯს და კიდევ ბევრ რამეს ტომრებით ურიგებსო. სიმართლის გასაგებად წინა ზაფხულს გეზი იმ სახლისკენ ავიღეთ, სადაც უამრავი ადამიანი დახმარების მისაღებად მიეშურება ხოლმე.

— სოფელ ჭორვილასთან ამ გზით მივალთ? — ვკითხეთ გზაჯვარედინზე მდგარ მამაკაცებს.

— დიახ, ამ ასფალტს გაჰყევით, — იყო პასუხი.

— ივანიშვილები ხომ ჭორვილაში ცხოვრობენ? — ჩავეძიეთ დასაზუსტებლად.

— თუ ივანიშვილებთან მიდიხართ, ეს ასფალტი პირდაპირ ჭიშკართან მიგიყვანთ, — გვიპასუხა ერთ-ერთმა მათგანმა მოგვიანებით. მერე გადაჭარბებულმა ცნობისმოყვარეობამ თავისი გაიტანა, უცნობი მამაკაცები საუბარში ავიყოლიეთ: — საკუთარი თვითმფრინავით ჩამოდის ხოლმე. გამხდარი ბიჭია, ვერც კი იფიქრებ, ამხელა ფულის და ძალის პატრონი თუა. ხუთი წელია, რაც არ მინახავს, არადა, ჩემი ნათესავია. არ მნახულობს, თორემ კი არ ვავიწყდები. სულ ახლახან „კამაზი" მიყიდა, უმუშევარი ვიყავი. ახლა რაღა გამიჭირდება?! ჩემი შვილი თბილისში სწავლობს. სწავლის ფულს, რა თქმა უნდა, ბიძინა იხდის.

— შეგიძლიათ მასთან ოჯახში მიგვყვეთ?

— არა. აქაური იქ არავინ მიგყვებათ. ბიძინას განაწყენება არავის უნდა. ვიცი, რაც არ უნდა გამიჭირდეს, პატრონი მყავს. მთელ საჩხერეს ჰყავს პატრონი.

— აქ უფასო საავადმყოფო იხსნება?

— სწავლაც უფასოა, მკურნალობაც. ჩვენს თანასოფლელს გულის ოპერაცია დასჭირდა და მთელი ფული ბიძინამ გადაუხადა. სააღდგომოდ მეზობლებს 200-200 დოლარი დაურიგა. მთელი სოფელი მის მშობლებთან მიდის ფულის სასესხებლად. ციცინო (ივანიშვილის დედა. — ავტ.) დაახვედრებს ხოლმე სიას, ვინ რამდენი ლარი ისესხა. ბიძინა იმ სიას ყოველთვის ხევს... პოლიტიკოსებს ახლოს არ იკარებს. პოლიტიკაში გარევა არ უნდა. ასჯერ მაინც ვნახეთ ამ გზაზე ვანო ჩხარტიშვილის მანქანა, ვახტანგ რჩეულიშვილისაც. ზაზა სიორიძე აქ ათენებდა და აღამებდა, სახლში მაინც არ შეუშვეს...

ჩვენ კი ივანიშვილების სახლში შესვლა მაინც მოვახერხეთ, თუმცა თითქმის ყველა ჭორვილელი გვარწმუნებდა: დაცვა არ შეგიშვებთო, მაგრამ სწორედაც რომ პირიქით მოხდა. ბიძინა ივანიშვილის დედამ — ციცინო ბებომ შინაც შეგვიპატიჟა, კარ-მიდამოც დაგვათვალიერებინა და გვთხოვა კიდეც: ცოტა ხანს დარჩით, წიწილას დაგიკლავთო... გრიშა ბაბუა წითელი ღვინით გაგვიმასპინძლდა და გაგვიმხილა: ეს უზარმაზარი საწნახელი განსაკუთრებით მიყვარს. დღე ისე არ გავა, რომ არ მივიდე და სიყვარულით ხელი არ გადავუსვაო. ერთი სიტყვით, ინტერვიუ შედგა, რომლის გამოქვეყნებისგანაც თავს ვიკავებდით იმ მიზეზით, რომ მესამე რესპონდენტი — თავად ბიძინა ივანიშვილი გვაკლდა.

მწვანეში ჩაფლულ ეზოს ალაყაფის კარი და ბეტონის გალავანი აკრავს. ორსართულიან, ვარდისფრად შეღებილ სახლში ბატონი გრიშა და ქალბატონი ციცინო ცხოვრობენ. სახლის გვერდით, ჭიშკრიდან მარჯვენა მხარეს ყავისფერი შუშებით შემინული სასადილოა, რომელიც რესტორნის სტილშია აგებული და დიდ საქეიფო დარბაზს ჰგავს. იქვეა სამზარეულო, რომელსაც მოხუცები სასადილო ოთახადაც იყენებენ. ეზოს ცალ მხარეს კოტეჯის ტიპის ოთახებია ჩარიგებული, სადაც მომსახურე პერსონალსა და სტუმრებს აბინავებენ ხოლმე. მოკირწყლულ ქვაფენილს ვარდისფერ სასახლესთან მივყავართ, სადაც ბიძინა ივანიშვილი და მისი მეუღლე ეკა (ეკატერინე) ხვედელიძე ისვენებენ ხოლმე. იქვეა უზარმაზარი ხის ჰამაკი, კალათბურთის მოედანი, სატრენაჟორო დარბაზი, საუნა და ა.შ. ეზო დამეწყრილია, რასაც მოხუცები განსაკუთრებით განიცდიან... კარ-მიდამოს წვრილი ქვით ნაშენი ჭა ამშვენებს. ეს, ალბათ, ერთადერთი რამაა, საწნახელთან ერთად, რაც სოფლის შთაბეჭდილებას ქმნის... ორსართულიანი სახლის წინ ახალი „ჯიპი" დგას. ეს მანქანა ბიძინა ივანიშვილმა დედამისს აჩუქა.

ციცინო ბებო:

— საფრანგეთში ვიყავით. ხომ უნდა მენახა ჩემი შვილი უცხო ქალაქში როგორ ცხოვრობს? მთელი ქალაქი შემოვიარე. ყველაფერი დავათვალიერე. ბიძინამ ეს მანქანა მიყიდა და მაჩუქა, რათა საკუთარი მანქანით მევლო, უფრო სწორად, დაცვას ვეტარებინე. რომ წამოვედი, აქაც გამომატანა, მას შემდეგ ეზოში დგას.

— ხშირად ჩამოდის?

გრიშა ბაბუა:

— არასდროს არ ვიცით, სად არის, როდის ჩამოვა. მაგრამ ყოველი მისი მოსვლა



ბიძინა ივანიშვილი ქალიშვილთან ერთად

დღესასწაულია, განსაკუთრებით მაშინ, თუ შვილებიც მოჰყავს. ეზოში ისეთი მხიარულებაა ხოლმე, რომ გულს უხარია.

— შვილიშვილები ხშირად მოდიან?

— ბიძინას შვილები ძირითადად, ზაფხულში ჩამოჰყავს. მათ კიდევ ფრანგულისა და ქართულის მასწავლებლები მოჰყვებიან ხოლმე, ზოგჯერ მათემატიკისაც. ეს ოთახებიც ძირითადად, მასწავლებლებისთვის არის აშენებული.

— ბავშვებმა ქართული კარგად იციან?

— ძალიან კარგად. ჩემი რძალი და ბიძინა მათ სულ ქართულად ელაპარაკებიან.

— ბიძინა მკაცრი მამაა?

ციცინო ბებო:

— პირიქით, ძალიან რბილია. ბავშვებს ანებივრებს. ხომ ხედავთ ამ სურათებს, ბავშვს დიდი დაბადების დღე გადაუხადა პარიზში, უზარმაზარ პარკში.

— რა ჰქვიათ ბავშვებს?

— უტა, გერა და გვანცა. ერთი შვილი ალბინოსი ჰყავს, მაგრამ ძალიან ნიჭიერი ბიჭია.

— რძლით კმაყოფილი ხართ... როგორ დაქორწინდა ბიძინა?

— ეკა გაურიგეს, კარგი ქალია, მასთან ერთად ბიზნესშია ჩართული. ბიძინა ამბობს, რომ ეკა ძალიან ნასწავლი და ნიჭიერია. კარგი ცოლქმრობა აქვთ. ბევრს მუშაობენ.

გრიშა ბაბუა:

— ბიძინა ძალიან დაღლილია ხოლმე. როცა ჩამოვა, ყოველთვის ვატყობ, დასვენება სჭირდება. რაც გაჩნდა, მას შემდეგ შრომობს. უმუშევარი არასდროს ყოფილა. მე ახალგაზრდობაში მაღაროში ვმუშაობდი. თავს არ ვზოგავდი, ყოველთვის პრემიას მაძლევდნენ, ხელფასი 50 მანეთი მქონდა. მერე მეურნეობაში აგრონომი ვიყავი. ახლა პენსიაზე ვარ.

— პენსიას იღებთ?

— ცოტაა, მაგრამ მაინც ვიღებთ. ეს ჩვენი ფულია, ჩემი შრომის გამო მაძლევენ, მაგ ფულს სხვანაირი გემო აქვს, მთავრობას რატომ უნდა დავუტოვო?!

— ეკონომიურად ყოველთვის ძლიერი ოჯახი არ გქონდათ?

ციცინო ბებო:

— ისე გვიჭირდა, რომ ჩასაცმელიც არ გვქონდა. ცუდ დროს დავიწყეთ ცხოვრება. 1944 წელს დავქორწინდით. ოცი წლისები ვიყავით, ახლა ოთხმოცი წლისები ვართ. ბევრი გაჭირვება ვნახეთ. შვილები ფეხშიშველები დამიდიოდნენ. კოლექტივში ვმუშაობდი, ვთოხნიდი, ვბარავდი, როგორც ჩემი თანასოფლელი ყველა ქალი, მეც პაპანაქება სიცხეში მუხლჩაუხრელად ვმუშაობდი.

— არავინ გეხმარებოდათ?

— არა, ყველას უჭირდა, ვინ დაგვეხმარებოდა. მე ათი დედმამიშვილი მყავს, ყველანი გაჭირვებულები იყვნენ. ახლა მათ ბიძინა ეხმარება. თავის ბიძაშვილებსა და მამიდაშვილებს ყველას მანქანები აჩუქა. ხელფასის სახით კი 300-300 დოლარს აძლევს.

— ბიძინას ბავშვობაში სათამაშოები თუ ჰქონდა? თუ იყო ისეთი სათამაშო, რომელზეც ოცნებობდა?

ციცინო ბებო:

— სათამაშოები, რა თქმა უნდა, არ ჰქონდა. მე მგონი, არც ერთი სათამაშო არ ჰქონია. ველოსიპედი უნდოდა. რომელ ბიჭს არ უნდა ველოსიპედი?! შევპირდი: კაკალს გავყიდი და გიყიდი-მეთქი. მახსოვს, როგორ ვაგროვებდით კაკალს, მაგრამ ველოსიპედის საყიდელი ფული მაინც ვერ შევაგროვეთ. წლების შემდეგ ურეკში შვილიშვილი რომ შემეძინა, ბიძინამ თბილისში უყიდა ველოსიპედი და მატარებლით ჩამოუტანა.

— არასდროს უთქვამს, რომ გაიზრდებოდა, მდიდარი კაცი გახდებოდა?

გრიშა ბაბუა:

— არა, ასეთი რამ არ მახსენდება. ბევრი ლაპარაკი არ იცოდა. მაგრამ, როგორც ხედავთ, გამდიდრდა და ახლა ყველა გაჭირვებულს ეხმარება.

ციცინო ბებო:

— წლების წინ სახლი დაგვეწვა. ღამე სახურავში გაჩნდა ცეცხლი და ყველაფერი დაიფერფლა. ისედაც გაჭირვებულები ვიყავით, კიდევ ეს გვინდოდა?! ბიძინა მოსკოვში სწავლობდა. ზაფხულში რომ ჩამოვიდა და ნახა, რა დღეში ვიყავით, გული დაეწვა. მაშინ მითხრა: ნუ გეშინია, დედა, ამ ადგილზე ახალ სახლს აგიშენებო და ორი წლის შემდეგ მართლაც ეს ორსართულიანი სახლი ააშენა.

— თუ ასე გიჭირდათ, ბიძინამ სწავლა როგორ შეძლო?

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობდა საინჟინრო-ეკონომიკურ ფაკულტეტზე, თავის ძმასთან ერთად. ძმები მთელი ღამე კამოს ქარხანაში მუშაობდნენ, დღე კი სწავლობდნენ. სწავლა წითელ დიპლომებზე დაამთავრეს, კოტემ თქვა: დედი, კაცი უნდა გამოვიდე, მოსკოვში ასპირანტურაში უნდა ჩავაბაროო. მართლაც ჩააბარა. ბიძინა კი მუშაობდა, ფულით ეხმარებოდა. კოტემ რომ დაამთავრა, ბიძინაც წაიყვანა. კოტე ახლა თბილისში ცხოვრობს, ერთი გოგო ჰყავს.



ბიძინა ივანიშვილის შვილები კლოუნთან ერთად. პარიზში გადაღებული ფოტო

— სხვა შვილები სად ცხოვრობენ?

გრიშა ბაბუა:

— უფროსი ბიჭი ურეკში ცხოვრობს, მასთან ძალიან ხშირად დავდივართ. კოტე თბილისშია, ბიძინა ყველაზე უმცროსია. კიდევ ორი გოგო გვყავს. ერთი ქვრივია, მას, რა თქმა უნდა, ყველაზე მეტი დახმარება სჭირდება. ერთი გოგო ზესტაფონში ცხოვრობს, მეორე — ნიჩბისში. ასე რომ, ხუთი შვილი გვყავს, ათი შვილიშვილი და რვა შვილთაშვილი. ჩვენს ახლობლებს თბილისში ბინა თითქმის ყველას აქვს, ბიძინას კი — არა. მინის სახლს რომ აშენებს ბოტანიკურ ბაღში, უკვე გაზეთში დაწერეს, ქალაქს აუშნოებსო. იმას არ ფიქრობენ, რამდენი ადამიანია მის მშენებლობაზე დასაქმებული და რამდენ ოჯახს გაუჩნდა ლუკმაპური.

— ბიძინამ მგონი, ეკლესიაც ააშენა...

— დიახ.

— სამების ეკლესიასაც ის აშენებს?

— დიახ, მაგრამ ბიძინას არ უნდა ამაზე ლაპარაკი. არ მოსწონს, როცა ლაპარაკობენ, თუ ვის რამდენი მისცა და როგორ დაეხმარა.

ციცინო ბებო:

— ობოლა ციმაკურიძის სახელობის კულტურის სახლს აშენებს, თავის მეზობლებს „კამაზები" უყიდა, დენის გადასახადს მთელ საჩხერის რაიონს თვითონ უხდის, საავადმყოფოსაც აშენებს.

— ციცინო ბებო, გულწრფელად მითხარით, თეიმურ შაშიაშვილი მართლა გააგდეთ? მართლა გაეკიდეთ, აქ მოსული აღარ დაგინახოთო?

— რა უნდა, რაზე მოდის?! ვანო ჩხარტიშვილიც იყო ჩამოსული. რაზე მოვიდა?! ბიძინა არავის არ იღებს, პოლიტიკაში ჩარევა არ უნდა. ჩვენც გვიკრძალავს რამის თქმას... ახლა ყველაფერი გვაქვს. მხოლოდ სიმშვიდე გვჭირდება. გრიშა ავადმყოფობს. ის თუ გამოჯანმრთელდება, მეტი ოცნებაც აღარ გვექნება.

P.S. ახლახან ბიძინა ივანიშვილის მამა — ბატონი გრიშა გარდაიცვალა. ივანიშვილების ოცნება აუხდენელი დარჩა. ჩვენ კი სამუდამოდ დაგვამახსოვრდა მოხუცი კაცი, რომელსაც უნდოდა, მის სახლში გატარებული რამდენიმე საათი ჩვენთვის დაუვიწყარი ყოფილიყო, რომელმაც თავისი წითელი ღვინით, კეთილი გულით და გულღია მასპინძლობით მოგვხიბლა.



ეს ფოტო შარშან ზაფხულშია გადაღებული. მასზე ბიძინა ივანიშვილის მშობლები — ციცინო ბებო და გრიშა ბაბუა არიან აღბეჭდილნი... სამწუხაროდ, ცოტა ხნის წინ ბატონი გრიშა გარდაიცვალა...

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

## რითი დაიწყო ყველაფერი

ახლა კი გიამბობთ, თუ როგორ წამოიწყო და განავითარა თავისი ბიზნესი ბიძინა ივანიშვილმა. კარგა ხანს ვცდილობდით, ინფორმაცია პირველწყაროსგან მოგვეპოვებინა, მაგრამ შეუძლებელი აღმოჩნდა. ამიტომ შესაბამისი ინფორმაცია ინტერნეტში მოვიძიეთ და სტატიასაც ინტერნეტსაიტების ინფორმაციაზე დაყრდნობით გთავაზობთ:

ბორის (ბიძინა) გრიგოლის ძე ივანიშვილი მოსკოვში 1989 წლისთვის გამოჩნდა. ერთი წლის განმავლობაში ამზადებდა ის ნიადაგს გარკვეული კომერციული სტრუქტურების ასამუშავებლად. მოსამზადებელი პერიოდის დასრულებისთანავე, ერთობლივი თანამშრომლობის ეგიდით და მისი უშუალო მონაწილეობით, მუშაობა დაიწყო 20-ზე მეტმა კომერციულმა ორგანიზაციამ. მათ სათავეში ედგა კომერციული ასოციაცია „არგო-სერვისი".

ფირმების მოღვაწეობა იმგვარად იყო ორგანიზებული, რომ ფულადი მასა ერთი ორგანიზაციიდან მეორის ანგარიშზე კრედიტების ან ურთიერთთანამშრომლობის დახმარების სახით გადაედინებოდა, რაც საბოლოოდ საკმაოდ დიდ მოგებას იძლეოდა.

დიდი ფულადი მასის მართვას, რა თქმა უნდა, საკუთარი ბანკიც ესაჭიროებოდა. ამიტომ საქმეში დროულად ჩაერთო ბანკი „როსკრედიტი". 1992 წლის შემოდგომაზე „როსკრედიტმა" შიდასავალუტო ლიცენზია მოიპოვა, იმავე წლის დეკემბერში კი უკვე გენერალური სავალუტო ლიცენზიის მფლობელი გახდა, რამაც საშუალება მისცა, სავალუტო ოპერაციები საზღვარგარეთის ბანკებთანაც ეწარმოებინა. 1992 წელს ივანიშვილი „როსლეგპრომს" დაუკავშირდა (ამ ორგანიზაციის პრეზიდენტი ვინმე ბირიუკოვი იყო, რომლის ვაჟიც შემდგომში ერთ-ერთი ფილიალის ხელმძღვანელი გახდა). ივანიშვილმა „როსლეგპრომთან" ერთად დააფუძნა „როსლეგპრომბანკი". ამ ახალი ბანკისთვის კადრები „როსკრედიტში" შეირჩა. ბანკი აქტიურად თანამშრომლობდა ფირმა „არგოსთან" და მოგვიანებით „როსკრედიტის" აქციონერიც გახდა. 1993 წელს კი „როსკრედიტს" ახალი ბანკის საწესდებო კაპიტალში „როსლეგპრომის" შემდეგ სიდიდით მეორე წილი ჰქონდა, ამიტომ „როსლეგპრომბანკის" მართვაში აქტიურად ჩაებნენ ივანიშვილი და მისი ნდობით აღჭურვილი პირი, ვინმე ვიტალი მალკინი (მის შესახებ საინტერესო ამბავს ქვემოთ მოგითხრობთ).

1992 წლის ბოლოს ბანკ „როსკრედიტის" საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ ედუარდ სახაროვი დაინიშნა, რომელიც მანამდე მოსკოვის მერიის საფინანსო-სამეურნეო სამმართველოს უფროსის მოადგილე, შემდგომში კი სააქციო საზოგადოება „პეკინის" პრეზიდენტი იყო (ამ თანამდებობაზე იგი მოსკოვის მერმა — იური ლუჟკოვმა დანიშნა). ბანკში სახაროვის მისვლამ ივანიშვილს მოსკოვის მერიასთან გაუმყარა კავშირები.

90-იანი წლების დასაწყისში ბევრმა საბროკერო კანტორამ საკმაოდ დიდი კაპიტალბრუნვა იგდო ხელთ. მათგან ერთ-ერთი ძლიერი იყო საბროკერო კანტორა „არგო-სერვისი", რომელიც სააქციო საზოგადოება „ბიოპროცესთან" (კახა ბენდუქიძე) ერთად ვაუჩერებისა და აქციების მსხვილი პაკეტების შეძენის ოპერაციებს ატარებდა. ივანიშვილისა და ბენდუქიძის ერთობლივი მოღვაწეობა კვლავ გაგრძელდა და შეიქმნა ასოციაცია „ეკოლოგია. ტექნოლოგია. განათლება".

*(გაგრძელება იხ. გვ. 32)*

# ᲙᲠᲔᲛᲘᲡ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲬᲕᲔᲗᲐᲛᲓᲔ



სკანდალურად ცნობილმა ფრანგმა კონდიტერმა ნოელ გოდემ სახელი გაითქვა იმით, რომ ცნობილ პირებს ტორტებს ესვრის.

„მაიკროსოფტის" მეთაური ბილ გეიტსი, შვედეთის მეფე, კინორეჟისორი ჟან-ლუკ გოდარი, მსოფლიო სავალუტო ბანკის ყოფილი ხელმძღვანელი მიშელ კომდესიუ, კანცლერი ჰელმუტ კოლი... აი, გოდეს მსხვერპლთა არასრული სია.

ერთი თვის წინ მისმა რუსმა თანამოაზრეებმა მოსკოვში ტორტისმტყორცნელთა საიდუმლო ორგანიზაცია შექმნეს სახელწოდებით „კრემის ტერორი" და მასტერკლასის ჩასატარებლად ნოელ გოდე იხმეს. გასამრჯელოდ მას მოქანდაკე ზურაბ წერეთელთან შეხვედრას ჰპირდებიან — ტორტისმტყორცნელს დიდი ხანია უნდა თურმე წერეთელსაც „დაატყოს ხელი". პატივმოყვარე კონდიტერს ცდუნებამ სძლია და დათანხმდა წინადადებას.

თანამოაზრეებთან შეხვედრა საიდუმლო ვითარებაში შედგა. მონაწილეები ერთმანეთს ფსევდონიმებით მიმართავდნენ — მაგ. ვაშლის ღვეზელი, ქიშმიშიანი კექსი, შოკოლადის სუფლე.. დამსწრეთ უფასოდ დაურიგდათ ნოელის წიგნი „კრემი და სასჯელი" — ტორტისმტყორცნელთათვის ეს წიგნი სამაგიდო სახელმძღვანელოა.

— ტორტი, რომლის ტყორცნას აპირებთ, მხოლოდ უმაღლესი ხარისხის უნდა იყოს, აუცილებლად ფაფუკი და ნაზი კრემით, — ჩაატარა პატარა გაკვეთილი კონდიტერმა, — ნაღების კრემი აქციას სანახაობად აქცევს და არც მტკივნეულია. დაუშვებელია ფხვიერი და ფენოვანი ტორტების სროლა, შეიძლება მსხვერპლმა ტრავმა მიიღოს.

P.S. ტორტისმტყორცნელთა მსხვერპლი ახლახან ცნობილი მოდელიერი კელვინ კლაინი შეიქნა. ამერიკის მოდელიერთა აკადემიის პრიზის გადასაცემ ცერემონიაზე ნიუ-იორკში, ცხოველების დამცველმა ახალგაზრდა ქალმა ნატურალური ბეწვის გამოყენების გასაპროტესტებლად, კლაინს ტორტი სთხლიშა. დიზაინერი ძალზე გაჯავრებულა: კრემმა მისი მოდური შავი კოსტიუმი გააფუჭა.

*მოსკოვსკიე ნოვოსტი №18*

# ᲖᲝᲒᲡ... ᲧᲘᲜᲣᲚᲨᲘ ᲯᲓᲝᲛᲐ ᲛᲝᲡᲬᲝᲜᲡ

32 წლის ინგლისელ ილუზიონისტს ნოა კელს სურს ორი დღე ყინულის თავში გაატაროს. ეს აზრი მაშინ მოუვიდა, როცა ნახა, როგორ იჯდა 62 საათს ამერიკელი ილუზიონისტი ნიუ-იორკის მთავარ მოედანზე ყინულის ლოდში. ნოა კელიმ თავისი ნომრისთვის შეარჩია ყველი „ჩედერი". მზადება უკვე დაიწყო: ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, „ჩედერის" მძაფრ სუნსაც შეჩვევა უნდა. ნოა ყველში ჯდომის დროს პირს არაფერს დააკარებს. თუ შიმშილი მომეძალა, ავდგები და ყველს ვუკბეჩო, — განაცხადა ილუზიონისტმა და დასძინა, — ყველი ძალიან მიყვარს, მაგრამ ალე მგონია, 48-საათიანი ჯდომის შემდეგ შემძულდებაო. ილუზიონისტს არ უთქვამს, როგორ უნდა ჩაატაროს თავისი ტრიუკი, მხოლოდ ის მიანიშნა, მედიტაციის დახმარებით შევეცდები სუნთქვის შენელებასო. მის სიტყვაძვირობას არავინ გაუკვირვებია — ნოა ზოგიერთი ტრიუკის საიდუმლოს გამჟღავნებისთვის გარიცხეს ილუზიონისტთა საერთაშორისო საძმოდან.

*პრავდა რუ*



# ᲒᲐᲜᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲐ ᲑᲠᲣᲜᲔᲣᲚᲐᲓ

კონკიას ზღაპარს ყოველთვის როდი აქვს კეთილი დასასრული. 21 წელი იცხოვრეს ერთად სტიუარდესა მირიამმა და მსოფლიოს უმდიდრესმა კაცმა — ბრუნეის სულთანმა. ახლა კი სულთანმა მასთან განქორწინება გადაწყვიტა. ქვეშევრდომებს ეს ამბავი სულთნის ძმამ, პრინცმა სუფრიმ ამცნო. განქორწინება შარიათის ნორმების თანახმად მოხდება და მისი უდიდებულესობის ყოფილ მეუღლეს დედოფლის ტიტული აღარ ექნება. ბრუნეის დიდმოხელეებმა დაუყოვნებლივ ჩამოხსნეს თავიანთი სამუშაო ოთახების კედლებიდან ფოტოები, რომლებზეც გამოსახულია სულთანი და მისი ორი ცოლი. 47 წლის მირიამი სულთნის ორი ვაჟისა და ორი ქალიშვილის დედაა და ცხადია, იმედი აქვს, დიდ თანხას მისცემენ ღირსეულად საცხოვრებლად. ჯერჯერობით თანხის ოდენობა არავინ იცის, სულთნის ქონება კი 7,1 მლრდ დოლარადაა შეფასებული.

ბრუნეის სულთანს შარიათის კანონების თანახმად, მოსაფიქრებლად 100 დღე მისცეს. ვინ იცის, იქნებ გადაიფიქროს კიდეც განქორწინება.

*დენგი №6*



# რად უნდა დამიჯდე ტელეფონი?

23 წლის რუმინელ მარუის სიმეონის ეტყობა გაჭირვებამ დააწყებინა დარაჯად მუშაობა. არადა, ბავშვობიდან პანიკურად ეშინია სიბნელის. პირველივე ღამეს ისე დაფეთდა, რომ გადაწყვიტა ვინმეს დალაპარაკებოდა — სატელეფონო სექს-სამსახურებს დაუკავშირდა და ჟღურტულა ოპერატორს დილამდე ელაქლაქა.

დაწესებულებაში მისულმა 12.000-დოლარიანმა ანგარიშმა ისედაც ღარიბი მისი მეპატრონეები სულ გააკოტრა.

*ოკნა №4*

# ტკბილი კამპანია

უნგრეთის პოლიციამ მძღოლების წახალისება გადაწყვიტა — ის მძღოლები, რომლებიც უსაფრთხოების ქამრების მოხმარების წესს იცავენ, ამიერიდან კანფეტებით დაჯილდოვდებიან. პოლიცია ტკბილეულის დარიგებით აპირებს გზებზე ავტომობილების მსვლელობის მოწესრიგებას. როგორც პოლიციელები ამბობენ, თურმე ფულადი ჯარიმა არც ისე ეფექტიანი ყოფილა — მძღოლები მაინც არ იცავენ წესებს. ამიტომაც გადაწყდა, „მათრახიდან" „თაფლაკვერის" პოლიტიკაზე გადასულიყვნენ და იმედი აქვთ, რომ „ტკბილი კამპანია" უფრო შედეგიანი გამოდგება.

*ნიუ ზუიქი*

# ფიტნესი ძაღლებისთვის



იაპონიაში ძაღლები ისე დასუქდნენ, რომ ძლივს მოძრაობენ. შეწუხებული პატრონები არაფერს იშურებენ მათთვის ძველი იერის დასაბრუნებლად.

ტოკიოში ძაღლების ფიტნეს-ცენტრი გაიხსნა. ზედმეტ წონასთან ბრძოლა იმავე მეთოდებით მიმდინარეობს, როგორც ადამიანებთან.

ძაღლებს მიჩენილი ჰყავთ სპეციალური მწვრთნელები, რომლებიც ვარჯიშის კურსს უწესებენ ტრენაჟორებზე. გაზულუქებულ ცხოველებს ცხიმის დასადნობად სპეციალური ნაზავით სავსე აბაზანა-ჯაკუზებში აწვენენ.

*იტოგი №7*

# ᲢᲘᲢᲣᲚᲘᲪ ᲓᲐ ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲘᲪ...

ინტერნეტში გასაყიდად გაიტანეს უკანასკნელი 800 წლის მანძილზე ცნობილი შოტლანდიური არისტოკრატიული ტიტული. მსურველი მაკდონალდსების კლანის წევრი სულ მილიონ გირვანქა სტერლინგად გახდება.

ტიტულის მფლობელმა სენ იან ნობლმა ტიტულის გაყიდვა ვისკის წარმოების ასაღორძინებლად გადაწყვიტა. თვით ნობლსაც ტიტული შემთხვევით ერგო. 70-იან წლებში მაკდონალდსების საგვარეულომ ვალების დასაფარად მიწის სავარგულები გაყიდა. ნობლიც იმ პერიოდში აპირებდა სასტუმროსა და 23.000 აკრი მიწის ყიდვას. იურისტმა საბუთები შეცდომით გააფორმა და ნობლს ტიტული ერგო...

ბუნებრივია, ტიტულის მოპოვების მსურველთ საკუთარი კუნძულიც არ აწყენდათ. შესაფერისი ვარიანტიც არსებობს — სანტიაგოს ახლოს, ზღვის უბეში ერთი თვალწარმტაცი კუნძული უაპი მდებარეობს. მისი მფლობელი ჩილელი ვიქტორ ერერო ბრძანდება. ერერომ კუნძული 1989 წელს იყიდა გერმანელი კოლონისტებისგან და მალე 8-ჰექტრიანი ხმელეთი ნამდვილ სამოთხედ აქცია. უაპიზე კომფორტული ცხოვრებისთვის ყველა პირობაა შექმნილი: გაყვანილია გზები, მობილური სატელეფონო კავშირი, არის ელექტრობა, წყალსადენი და ბუნებრივი აირი, თანამგზავრული ტელევიზია. აქვეა ორი ერთსართულიანი სახლი და საკონფერენციო დარბაზი. შენობები ხეხილშია ჩაფლული.

ახლანდელ მეპატრონეს კუნძულის მოსავლელი დრო არ აქვს, ამიტომაც უაპი აუქციონზე გაიტანა ინტერნეტში და 2,2 მლნ დოლარის აღებასაც იმედოვნებს.

*ეხო პლანეტი №4*

# ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲓᲐ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘ



ჟურნალმა „ჰელო"-მ დაასახელა გასული წლის ყველაზე ლამაზი ქალები და მამაკაცები.

ქალთა ჰიტ-პარადში პირველი ადგილი შეუდარებელმა **ნიკოლ კიდმანმა** დაიკავა. ნიკოლი ჰოლივუდში სანდომიან და ნიჭიერ გოგონად ითვლებოდა, მაგრამ გათხოვების შემდეგ ძალაუნებურად ტომ კრუზის ჩრდილქვეშ მოექცა. ქმართან გაცილების შემდეგ ნიკოლი თავფეხიანად სამუშაოში გადაეშვა და „მულენ რუჟისთვის" ოქროს გლობუსიც მოიპოვა. 35 წლის ნიკოლი განა მარტო სილამაზით გამოირჩევა, ნატიფი გემოვნებითაცაა ქებული.

ლამაზების სიაში მეორეა იორდანიის დედოფალი რანია. მან ღირსეულად დაიკავა პრინცესა დაიანას ადგილი — მთელ მსოფლიოში სიმპათია და სიყვარული მოიპოვა. რანია სამი შვილის დედაა, ლამაზი, კეთილი და მშვიდობისმოყვარე. ის ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ჭეშმარიტი ისლამი წარმოაჩინოს როგორც მშვიდობიანი რელიგია, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ექსტრემიზმთან. რანიას დიდ პატივს სცემს დიდი ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედ II.

მესამე ადგილზეა მსახიობი ანჯელინა ჯოლი. სხვათა შორის, ნიკოლ კიდმანი და ჯოლი არა მარტო სილამაზით, კეთილი გულითაც არიან ცნობილნი — ორივე ნაშვილებ ბავშვებს ზრდის. ანჯელინა ქველმოქმედებასაც ეწევა.



ახალგაზრდებს არც მსოფლიოს ყველაზე ელეგანტური „ბებიები" ჩამორჩებიან. ჟურნალის მიხედვით პირველი მათგანი, 40 წლის მიშელ პფაიფერი ყოველწლიურად ლამაზდება, თანაც არ ცნობს არავითარ კოსმეტიკურ ოპერაციას, რასაც ვერ ვიტყვით მის თანატოლ დემი მურზე, რომელმაც დიდი ხანია თაყვანისმცემლები შეაჩვია გაუთავებელ გარდასახვას. ახლახან კვლავ ოპერაცია გაიკეთა და ისე გალამაზდა, რომ აჯ თვალს არ ენახვება.

ლამაზი მამაკაცების სიაშია 42 წლის ინგლისელი მსახიობი **კოლინ ფირტი**. მაყურებელი მას იცნობს ფილმით „ინგლისელი პაციენტი", „შეყვარებული შექსპირი" და სხვა. მეორე ადგილზეა „პოპ-კერპ" უილ იანგი. მათ მოჰყვებიან უფლისწული უილიამი, კიფერ საზერლენდი, ჰიუ გრანტი, დევიდ ბექჰემი, ენრიკე ეგლესიასი...

*ჩასტნაია ჟიზნ №2*

# ᲘᲔᲛᲔᲜᲔᲚ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲡ 4 ᲗᲘᲠᲙᲛᲔᲚᲘ ᲐᲦᲛᲝᲐᲩᲜᲓᲐ

იემენელმა სტუდენტმა, რომელიც რიგის ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს და კარგა ხანია აწუხებდა წელის ტკივილი, როგორც იქნა, ექიმს მიმართა. მედიკოსთა გასაკვირად, რენტგენის სურათზე ყმაწვილს ორის ნაცვლად, ოთხი თირკმელი აღმოაჩნდა, რაც სამედიცინო პრაქტიკაში საკმაოდ იშვიათი მოვლენაა. ეს ფაქტი გახმაურდა. ათასობით ადამიანი, რომელთაც თირკმლები აწუხებს და ოპერაციისთვის რიგში დგანან, შეეცადა, იემენელი დაეყოლიებინათ თირკმლების „დათმობაზე", მაგრამ მან უარი განაცხადა — 4 თირკმელი ალაჰმა მიბოძა და დიდ ფულადაც ვერავის დავუთმობო.

*პარი მატჩი*

# ᲥᲣᲠᲜᲐᲚ „ᲙᲐᲠᲣᲡᲔᲚᲘᲡ" ᲡᲐᲩᲣᲥᲠᲝ ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ „ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ"



**შევსების წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში იმ სიტყვებს ამოიკითხავთ, რომლითაც თანამედროვენი **ალექსანდრ ბლოკს** მოიხსენიებდნენ.

კ ვ ი რ ი ს პ ა ლ ი ტ რ ა შ ე ნ ი გ ა ზ ე თ ი ა

ე ნ დ რ — ი კ ა რ — ი ი ო ნ ც ი რ ი უ — ე ა ტ ა

**კ.** ფრანც ბეკენბაუერის მეტსახელი; **ვ.** რელსებზე მოძრავი სამგზავრო ან სატვირთო საზიდარი; **ი.** ქართული ხალხური შეჯიბრი ცხენოსნობაში; **რ.** საშა — ალექსანდრე, ბილი — უილიამი, დიკი — ?; **ი.** კუნძული, რომელზეც მდებარეობს ინდონეზიის დედაქალაქი ჯაკარტა; **ს.** არხი, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს წითელსა და ხმელთაშუა ზღვებს; **პ.** უეცარი შიშით, თავზარით გამოწვეული საერთო მღელვარება, არეულობა; **ა.** ხის ალვირი; **ლ.** რაიმე სპორტულ შეჯიბრებაში დაწინაურებული პირი ან გუნდი; **ი.** ათენი — თეზევსი, რომი — რომულუსი, თბილისი — ვახტანგი, მოსკოვი — ?; **ტ.** კანაფის ან ფოლადის ბაგირი; **რ.** გზა, რომელსაც გადის ტრანსპორტი საწყისი პუნქტიდან საბოლოო პუნქტამდე; **ა.** თავისთავად ცხადი ჭეშმარიტება; **შ.** ლითონის ფული ინგლისში (უდრიდა გირვანქა სტერლინგის 1/20-ს); **ე.** რაიმე აქროლადი ნივთიერების კონცენტრირებული ხსნარი; **ნ.** თავის თავზე უზომოდ შეყვარებული ყმაწვილი ბერძნულ მითოლოგიაში, რომელიც თავდავიწყებით უყვარდა ნიმფა ექოს; **ი.** უწყინარი ხასიათის დამცინავი დამოკიდებულება რაიმესადმი; **გ.** ქონდრისკაცი დასავლეთ ევროპულ მითოლოგიაში; **ა.** პრივილეგირებული წოდება ფეოდალურ საზოგადოებაში; **ზ.** ლათინური ანბანის უკანასკნელი ასო; **ე.** ძველი ბერძენი მეიგავე; **თ.** დამოკლეს მახვილი, არიადნეს ძაფი, ავგიას — ?; **ი.** თეოდორ დოსტოევსკის ნაწარმოები; **ა.** ტროპიკული ხილი.

***წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:***

**ე.** ექსცესი; **ს.** სპინოზა; **გ.** გამბიტი; **ა.** ამანათი; **ზ.** ზურაბი; **ე.** ერთიანი; **თ.** თელავი; **ი.** ივერია, **კ.** კასკადი; **ა.** ამური; **რ.** რიყე; **ბ.** ბაგაჟი; **ი.** იმამატი; **ა.** აბრაზია; **რ.** რუსტი; **ჩ.** ჩოხური; **ე.** ელიოზი; **ვ.** ვენეცია; **ა.** აზარტი; **ნ.** ნათლია; **ი.** იალბუზი; **ა.** აპენინი.

გამუქებულ უჯრებში იკითხება: **სიმართლეს უყვარს სინათლე.**

# მედიცინა

## შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**ცოტა ხნის წინ დამეწყო ტკივილი ქვედა მუცლის არეში და გამიჩნდა სექსუალური პრობლემები... ექიმმა მითხრა, რომ ამის მიზეზია პროსტატიტი, რომელიც ჩემს სამუშაოსთანაა დაკავშირებული. მაგრამ მე ხომ მძიმე სამუშაო არ მაქვს — მთელი დღე კაბინეტში ვზივარ. გთხოვთ ამიხსნათ, რატომ არის ჩემი სამსახური „მავნე“ და როგორია პროსტატიტის მკურნალობის თანამედროვე მეთოდები.**

*პატივისცემით, ერთგული მკითხველი*

პროსტატიტი წინამდებარე ჯირკვლის ანთებაა, რომელიც ხშირად ქრონიკული ხასიათისაა. მისი განვითარების მიზეზი მრავალგვარია. ამ მხრივ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ვენერიული დაავადებები: გონორეა, ქლამიდიოზი, ტრიქომონიაზი, ინფექციის ქრონიკული კერები. ამას გარდა, პროსტატიტს იწვევს ორგანიზმის გადაცივება, უმოძრაო ცხოვრების სტილი, ალკოჰოლის ბოროტად გამოყენება, მუდმივად საჭესთან ჯდომა, ვიბრაციები. სწორედ ამიტომ, პროსტატიტი ყველაზე ხშირად ემართებათ პროფესიონალ მძღოლებს, მათ, ვისი საქმიანობაც სიცივეში ქუჩაში დგომასთანაა დაკავშირებული და კაბინეტებში მსხდომთ.

განასხვავებენ ე.წ. შეგუბებით პროსტატიტს, რომლის მიზეზიც არარეგულარული სქესობრივი ურთიერთობებია.

პროსტატიტი იკურნება, მაგრამ მკურნალობა ხანგრძლივია და გარკვეულ დისციპლინას მოითხოვს. დღეისათვის პროსტატიტის სამკურნალო კომპლექსი აერთიანებს მედიკამენტურ და ფიზიოთერაპიულ მკურნალობას. ამჟამად არსებობს კომპლექსური აპარატები, რომლებიც რამდენიმე ფიზიოთერაპიული აპარატის შესაძლებლობებს აერთიანებს. ერთ-ერთი თანამედროვე მეთოდია დოზირებული ლოკალური ჰიპერთერმია (DLH). მისი აპარატი ერთდროულად ასრულებს პროსტატიტის ტრანსრექტალურ (სწორი ნაწლავის მხრივ) გათბობას, ელექტროფორეზს და ვიბრომასაჟს. ამასთან ერთად ხორციელდება წამლის მიზანმიმართული მიტანა დაავადებულ ორგანომდე, რაც საშუალებას იძლევა უარი ვთქვათ წამლის დალევაზე ან მნიშვნელოვნად შევამციროთ მისი დოზა. ეს კი, იმას ნიშნავს, რომ იზრდება წამლის ქმედითუნარიანობა და ქვეითდება მისი გვერდითი მოქმედებები. გარდა ამისა, DLH-ს თანამედროვე აპარატები მაღალი ტემპერატურის კერას ქმნის შარდ-სასქესო ორგანოებში მაღალი სიხშირის დენის გამოყენების გარეშე. ხოლო მაღალი სიხშირის ულტრაგამოსხივება დამღუპველად მოქმედებს რეპროდუქციულ (გამრავლების) სისტემაზე.

## ფიტოთერაპია

**ვეხმაურები იმ მკითხველის თხოვნას, რომელსაც ქრონიკულად აწუხებს ხველა და ვურჩევ: გახანგრძლივებული, შემაწუხებელი ხველის დროს მიიღოს ე.წ. „ქონდრის ჩაი“: 1 ჩ/კ ქონდარს (ხმელს ან ნედლს), დაასხით ერთი ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი, წამოადუღეთ, გაწურეთ, დაუმატეთ 1 ს/კ კოვზი თაფლი და თბილ-თბილი სვით ნახევარი ჭიქა ორჯერ დღეში. შვებას აუცილებლად იგრძნობთ.**

*პატივისცემით — „კვირის პალიტრის“ მუდმივი მკითხველი*

**ექიმის კომენტარი:** ქონდარი, როგორც სამკურნალო მცენარე, ფარმაკოპეაში შეტანილი არ არის. ხალხურ მედიცინაში კი მას იყენებენ, როგორც კუჭ-ნაწლავის ფუნქციის გამაუმჯობესებელ, ჭიების გამომდევნ და შარდმდენ საშუალებას. აღსანიშნავია აგრეთვე მისი ლორწოს საწინააღმდეგო მოქმედება. სწორედ ამ უკანასკნელ ეფექტს ეფუძნება ქონდრის გამოყენება გახანგრძლივებული ხველის დროს. მას აქვს ამოსახველებელი და ანთების საწინააღმდეგო თვისებები. რეცეპტის მნიშვნელოვანი კომპონენტია თაფლი, რომელიც იმუნომოდულატორული და ანტიბაქტერიული თვისებებით გამოირჩევა. აღნიშნული რეცეპტი რეკომენდებულია სასუნთქი გზების ქრონიკული, არასპეციფიკური ანთებითი პროცესების დროს.

**მტკივნეული და არეული მენსტრუაციის დროს ქალბატონებს ვურჩევ, გამოიყენონ მინდვრის შვიტა. 1 ს/კ გამხმარ ბალახს დაასხით 2 ჩ/ჭ წყალი და ადუღეთ 5-10 წუთი. თუ მენსტრუაციის დროს გაქვთ გახანგრძლივებული დენა, უნდა მიიღოთ თითო სუფრის კოვზი ყოველ ორ საათში, ხოლო დენის შეწყვეტის შემდეგ, თითო სუფრის კოვზი სამჯერ დღეში.**

**ა.ა.**

**ექიმის კომენტარი:** მინდვრის შვიტა ბევრ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებას შეიცავს. ფიტოთერაპიაში მას ძირითადად იყენებენ, როგორც შარდმდენ საშუალებას საშარდე გზების ანთებითი პროცესებისა და ფილტვგულის უკმარისობით გამოწვეული შეშუპებების დროს. თუმცა მნიშვნელოვანია აგრეთვე მცენარის სისხლდენის შემაჩერებელი და ანტიანთებითი ეფექტი. მის სწორედ ამ თვისებებთან უნდა იყოს დაკავშირებული დადებითი მოქმედება გახანგრძლივებული და მტკივნეული მენსტრუაციის დროს. მცენარის ნაყენის მიღების წინააღმდეგ ჩვენებაა ნეფროზი (თირკმლის მილაკების გადაგვარება).

*გთხოვთ „კარაბადინში“ გამოაქვეყნოთ შეკითხა: როგორ ვუშველო კლიმაქსს ბუნებრივი საშუალებებით, წამლების გარეშე?*

*თქვენი მუდმივი მკითხველი ნანა ბალაშვილი*

*მოამზადა თამარ მამაცაშვილმა*

*ძვირფასო მკითხველო! იმის გამო, რომ შეკითხვების რაოდენობა საკმაოდ დიდია, ჩვენი რუბრიკა ყოველთვის ვერ იტევს ყველა მათგანს. ამიტომ გადავწყვიტეთ, ზოგიერთ კითხვაზე პასუხი ჟურნალ „ოჯახის მკურნალის“ ფურცლებზე მოგაწოდოთ. ეს ჟურნალი უკვე „კვირის პალიტრის“ დამატებას წარმოადგენს და 12 დეკემბრიდან განახლებული სახით გამოდის.*

## ჩვილი ბავშვი და ნატურალური ხილის წვენი



ხილის წვენებში პრაქტიკულად არ არის ცილები და ცხიმები, ცოტაა მინერალები და ვიტამინები, რომ არ ჩავთვალოთ C ვიტამინი. სამაგიეროდ, ისინი შეიცავს დიდი რაოდენობით ნახშირწყლებს, რომელსაც ბავშვის ორგანიზმი დიდი გაჭირვებით ითვისებს, რასაც ხშირად მოსდევს დიარეა და მოვლითი ტკივილები მუცლის ღრუში.

გარდა ამისა, ძალიან ხშირად წვენებში მომატებულია შაქრის კონცენტრაცია, რაც შეიძლება გახდეს კარიესის მიზეზი. ამიტომ, არ უნდა მისცეთ ნატურალური წვენები ბავშვებს 6 თვემდე. 6 თვიდან წლამდე შეგიძლიათ მისცეთ დღეში 100 მილიგრამი, ხოლო წლიდან 6 წლამდე — 200 მილიგრამი.

*პოსლედნიე ნოვოსტი №7*

**მაწუხებს ტკივილის შეგრძნება მუცლის არეში. რა გამოკვლევები არსებობს, რომ დავადგინო მიზეზი? ასევე მაინტერესებს, რა კვლევები ტარდება თავის ტკივილის დროს?**

**ა.ა.**

მუცლის არეში ტკივილისას ტარდება შემდეგი გამოკვლევები:

**სისხლის საერთო ანალიზის** დროს ირკვევა ჰემოგლობინის და ერითროციტების (სისხლის წითელი ბურთულების) დონე. ამ ორი მონაცემის შემცირება ზოგჯერ მიუთითებს სისხლდენას კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან. სისხლის ანალიზში ლეიკოციტების დონე და ერითროციტების დალექვის სიჩქარე ანუ ედრი მიუთითებს ორგანიზმში მიმდინარე ანთებით პროცესებზე. ეოზინოფილების ჭარბი რაოდენობა მიუთითებს ჭიების არსებობას ორგანიზმში.

**შარდის საერთო ანალიზი** — ცხადყოფს შარდ-სასქესო გზებში ანთებითი პროცესისა და ინფექციების არსებობას, რაც მჭიდროდ უკავშირდება ნაწლავების მდგომარეობას ქალებსა და გოგონებში.

**ორგანოების ულტრაბგერითი გამოკვლევით** ირკვევა მუცლის ღრუს ორგანოების ზომა (ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, კუჭქვეშა ჯირკვალი ანუ პანკრეასი), ასევე მიუთითებს არაპირდაპირ ნიშნებზე — გასტრიტის და თორმეტგოჯა ნაწლავის ანთებაზე. ულტრაბგერა (ექოსკოპია) განსაკუთრებით ინფორმაციულია, როცა ტკივილი აღინიშნება მუცლის ზედა ნაწილში, სადაც მდებარეობს კუჭი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი და ნაღვლმდენი გზები.

**დისბაქტერიოზის გამოსავლენად** — კეთდება ფეკალური მასის ანალიზი, განსაკუთრებით ბავშვებში. ნაწლავურ მიკროფლორას დიდი მნიშვნელობა აქვს კუჭ-ნაწლავის ნორმალური მუშაობისთვის, მისი შეფასებით შესაძლებელია ვიმსჯელოთ ნაწლავებში ქრონიკული ინფექციის არსებობაზე.

**კოპროლოგია** — ფეკალური მასის ანალიზი — იძლევა ინფორმაციას საკვების სხვადასხვა კომპონენტის გადამუშავებისა და ასევე პათოლოგიური მინარევების არსებობის შესახებ (სისხლი, ლორწო). ამ ანალიზით მსჯელობენ, რა და როგორ მიმდინარეობს ნაწლავებში უჯრედების დონეზე.

არსებობს სპეციალური ანალიზიც, რომელიც ამჟღავნებს ფარულ სისხლს ფეკალურ მასაში. ის მნიშვნელოვანია კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან სისხლდენის, გასტრიტის, წყლულის და სხვათა არსებობისას.

**ნაწლავური პარაზიტების აღმოსაჩენად** იკვლევენ ფეკალურ მასებს. პარაზიტების არსებობა ნაწლავებში განაპირობებს კუჭ-ნაწლავის მუშაობის დარღვევას, ალერგიას, იმუნიტეტის შესუსტებას, ქრონიკულ ინტოქსიკაციას. ზოგჯერ ანალიზის პასუხი უარყოფითია, თუმცა პარაზიტები ორგანიზმში ბუდობს. ამიტომაც საჭიროა ანალიზის გამეორება.

## როგორ მოვიქცეთ?



**გასტროსკოპია** — სპეციალური ოპტიკური ხელსაწყოთი — ენდოსკოპით ათვალიერებენ საყლაპავის, კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის ლორწოვან გარსს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს გამოკვლევა წყლულოვანი დაავადებისა და სხვა პათოლოგიის დიაგნოსტიკისთვის.

**კოლონოსკოპია** — იგივე გასტროსკოპიაა, ოღონდ ენდოსკოპი შეჰყავთ უკანა ტანში, იკვლევენ სწორი ნაწლავისა და მსხვილი ნაწლავის მდგომარეობას.

**ლაპარასკოპია** — ესეც ენდოსკოპიური მეთოდია, როდესაც ენდოსკოპი შეჰყავთ მუცლის ღრუში მუცლის კედელზე მცირე განაკვეთის საშუალებით. ეს მეთოდი გამოიყენება მწვავე დაავადებების — აპენდიციტის, პერიტონიტის, ასევე ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის დაავადებების დროს.

**ბიოფსია** — ენდოსკოპიური გამოკვლევისას იღებენ ქსოვილს ნებისმიერი ორგანოდან და მიკროსკოპით იკვლევენ.

**კუჭის ზონდირება** — ხდება კუჭის წვენისა და თორმეტგოჯა ნაწლავის შიგთავსის აღება-გამოკვლევა.

რენტგენოლოგიური გამოკვლევისას ნათლად ჩანს უცხო სხეულები, წყლულები...

კეთდება სისხლის ბიოქიმიური ანალიზიც.

**გამოკვლევა ინფექციის არსებობაზე** — კუჭ-ნაწლავის ინფექციურ პათოლოგიაზე ეჭვის მიტანის დროს კეთდება ანალიზი ქლამიდიაზე, ტრიქომონებზე, იერსინიოზზე და ა.შ.

თავის ტკივილის დროს ტარდება შემდეგი გამოკვლევები:

**თავის ტვინის ტომოგრაფია** — მისი საშუალებით ვლინდება ინსულტი (სისხლჩაქცევა), ტრავმა და მისი შედეგი. ეს მეთოდი ძალზე ინფორმაციულია. მისი უარყოფითი მხარეა რენტგენოლოგიური დასხივება.

**მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია** — გამოიყენება გაფანტული სკლეროზის, ტვინში მიმდინარე სისხლძარღვოვანი დარღვევისა და ანთებითი პროცესის დროს. ეს გამოკვლევა დასხივებას არ იწვევს.

**თავის ტვინის გამოსაკვლევად** იყენებენ ულტრაბგერებსაც. ეს მეთოდი ტომოგრაფიასთან შედარებით ნაკლებინფორმაციულია.

**ულტრაბგერითი დოპლეროგრაფია** — მიუთითებს თავის ტვინში სისხლძარღვების მდგომარეობაზე. ის ძალზე ინფორმაციულია თანდაყოლილი სისხლძარღვოვანი დეფექტისა და სისხლის მიმოქცევის დარღვევის დროს.

**რენტგენოლოგიური ანგიოგრაფია** — ერთ-ერთ სისხლძარღვში, რომელიც ტვინს კვებავს, შეჰყავთ რენტგენოკონტრასტული ნივთიერება. ირკვევა ინსულტის შედეგი, ტრავმა, ანევრიზმის არსებობა. ეს გამოკვლევა ჩვეულებრივ ნეიროქირურგიულ კლინიკაში ტარდება.

**ელექტროენცეფალოგრაფია** — თავის ტვინის ელექტრული პოტენციალის რეგისტრაცია. ის რეგისტრირდება მონიტორზე ან ქაღალდზე. მეთოდი გამოიყენება ეპილეფსიის დიაგნოსტიკისთვის, სისხლძარღვოვანი დაზიანების დროს.

*მაია მუხიგული*

ვმკურნალობთ
ქრონიკულ პროსტატიტს
- ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წთ-ში;
- ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
- კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი“, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.
**მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ). 10-14 სთ.**

## ცხრა ზღვის იქითური დელიკატესები

### ფეიხოა — იოდის წყარო



ფეიხოას მოგრძო ნაყოფი მუქი მწვანე მაგარი კანით არის დაფარული. გულს — გამჭვირვალე სალათისფერ ნაზ ჟელეს მარწყვისა და ანანასის სურნელი აქვს.

ფეიხოა შეიცავს უამრავ ვიტამინს, მიკროელემენტსა და შაქარს, და, რაც მთავარია, წყალში ხსნად იოდს.

— ***ფარისებრი ჯირკვლების დაავადებისა და ვენების ვარიკოზული გაგანიერების დროს*** მიიღეთ დღეში 200-300გ ფეიხოა.

— ***პიელონეფრიტის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ანთების დროს*** მიიღეთ 1/2 ჩ/ჭ ფეიხოას წვენი 2-ჯერ დღეში.

— ***რაქიტისა და სურავანდის დროს*** ეს ნაყოფი შეუცვლელია — მიიღეთ დღეში 1 ჩ/კ ფეიხოას წვენი ან საუზმეზე 200-300 გ ნაყოფი.

### ანანასი გამოდევნის წიდებს



ანანასის წვნიანი და არომატული მწიფე ნაყოფი შეიცავს 12% შაქარს, ფრუქტოზას, გლუკოზას, საქაროზას, პექტინურ და მინერალურ ნივთიერებას, კალციუმს, მაგნიუმს, რკინას, B,C და PP ვიტამინებს.

**ყელის ტკივილის დროს** 3-4-ჯერ გამოივლეთ ყელში ანანასის წვენი.

**ზედა სასუნთქი გზების კატარის დროს** დალიეთ უზმოზე 1/2 ჩ/ჭ ანანასის წვენი.

**თირკმლების, ღვიძლისა და გულ-სისხლძარღვების დაავადებისას** მიიღეთ 1/2 ჩ/ჭ ანანასის წვენი 3-ჯერ დღეში, ჭამამდე 20 წუთით ადრე.

**ორგანიზმს წიდებისგან გაწმენდს** თუ დილა-საღამოს, ჭამამდე 10 წუთით ადრე, მიიღებთ 1 ჩ/ჭ წყალს ანანასის წვენთან ერთად (1:1), ვახშმად კი, მოხარშული ჭარხლის, ანანასისა და ნიახურის მაწვნიან სალათს.

ანანასი სასარგებლოა ანემიის, ნერვული სისტემის დაავადებების და ძვლების მოტეხილობის დროს...

*ცელებნიკი №4*

**ISKRA INDUSTRY Co., LTD. JAPAN**
ისკრა ინდუსტრი კო., ლ.ტ.დ
იაპონური სავაჭრო კომპანია „ისკრა ინდუსტრი კო., ლ.ტ.დ“ გახლავთ მსოფლიოში ცნობილი სამედიცინო ტექნიკის მწარმოებელი ფირმების – „ALOKA“, „PENTAX“, „NIHON KOHDEN“, და „ATOM“-ის ოფიციალური და სრულუფლებიანი დისტრიბუტორი, რომელიც
**გთავაზობთ თანამედროვე სამედიცინო აპარატურას იაპონიიდან**
დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ „ისკრა“-ს საქართველოს წარმომადგენლობას შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მელიქიშვილის გამზ. 18, II სად, III სართ. ტელ/ფაქსი: (995 32) 22 01 95; 877 404 055; 899 909 949
e-mail: iskra@caucasus.net http://www.iskra.caucasus.net

**აზერბაიჯანი**

# ერაყელი დევნილები აზერბაიჯანისკენ დაიძრნენ



მაშინ, როდესაც პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი ვაშინგტონში, ერაყზე დასარტყმელად აზერბაიჯანის ტერიტორიის პლაცდარმად გამოყენების შესაძლებლობას განიხილავდა, ერაყის 400-მა მოქალაქემ უკანონოდ გადალახა ქვეყნის საზღვარი და ხელისუფლებას დევნილის სტატუსი მოსთხოვა. ცუდად დაცული საზღვარი ირანში თავმოყრილ ერაყელ დევნილთა დიდ ჯგუფებს, რამდენიმე ასეული დოლარის საფასურად, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე შეღწევის საშუალებას აძლევს, დამატებით 200-300 დოლარად კი ბაქომდეც ჩადიან. ერაყელები ცდილობენ, აზერბაიჯანიდან ევროპაში გავიდნენ.

დევნილთა უმრავლესობა ჩრდილოერაყელი ქურთები არიან. იქ ბაღდადის იურისდიქცია არ ვრცელდება და ომის შემთხვევაში, შესაძლოა, ისინი სადამ ჰუსეინის სპეცდანიშნულების რაზმებმა გაანადგურონ. ამ ხალხმა პირველი სამხედრო ოპერაციის, „ქარიშხალი უდაბნოში“, სიმწარე იწვნია, ამიტომაც სურთ დროზე გაეცალონ იქაურობას. აზერბაიჯანში, გაეროს დევნილთა საქმეების უმაღლესი კომისარიატის სამმართველოში, რეგისტრაცია უკვე ერაყის 100-ზე მეტმა მოქალაქემ გაიარა, მაგრამ საზღვარგარეთის პასპორტს მიგრანტები პრაქტიკულად ვერ მიიღებენ, ამდენად, ვერც ევროპაში წავლენ აზერბაიჯანის მოქალაქის სტატუსით. იგივე დაემართათ ჩეჩენ ლტოლვილებსაც, რომლებიც ბაქოში ჩარჩნენ.

***ნეზავისიმაია №37***

**რუსეთი**

# პუტინი — ორთავიანი არწივი

მეტისმეტად გაქნილი კაცი ხომ არ არის პუტინი? თავის დიპლომატიურ პოლიტიკას პარიზსა და ვაშინგტონში რუსეთის გერბის — ორთავიანი არწივის ნიშნით ატარებს. ჟაკ შირაკის და გერჰარდ შრედერის წინადადება, ერაყი გაეროს „ცისფერმა ჩაფხუტებმა“ გააკონტროლონო, ზევრად წონიანი გახადა პუტინის მხარდაჭერამ. საკუთარი იმპერიის დანგრევით დასუსტებული რუსეთი, როგორც უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი, მაინც რჩება საერთაშორისო პოლიტიკის ერთ-ერთ წამყვან მოთამაშედ.

ტატამის ვეტერანი პუტინი მიმდევარია ძიუდოს პრინციპისა — სისუსტე ძლიერებად აქციე. მან, ერაყთან დაკავშირებით დასავლეთის პოზიციისათვის მხარდაჭერის საფასურად, ჩეჩენ ამბოხებულთა შეუბრალებელი რეპრესიების უფლება მოიპოვა. აშშ-მა და საფრანგეთმა, რომლებიც აქტიურად აკრიტიკებდნენ რუსეთს ადამიანის უფლებათა დარღვევაში, ისლამურ ტერორიზმთან საერთო ბრძოლის სახელით, ახლა პირში წყალი ჩაიგუბეს. დასავლეთის მთავრობებს აღარც ის აწუხებთ, რომ რუსეთის ხელისუფლება ცდილობს, მასმედია თავის სამსახურში ჩააყენოს.

სავალდებულო არ არის, რუსეთმა დემოკრატიაზე დასავლური შეხედულება გაიზიაროს. ეს უზარმაზარი ქვეყანა ყოველთვის ეძებდა საკუთარ პოლიტიკურ მოდელს. ერთ მშვენიერ დღეს რუსეთი ისევ გაძლიერდება და კონკურენციას გაუწევს დასავლეთს.

***ფიგარო***

# პალესტინამაც ხელი აუკრა არაფატს

საიდუმლო მოლაპარაკება ადრე თუ გვიან უნდა დაწყებულიყო. ომმა ყველა დაღალა. მაგრამ რატომ დაიწყო მაინცდამაინც ახლა? ისრაელელ პოლიტიკურ მიმომხილველთა აზრით, საპარლამენტო არჩევნებმა აიძულა ზოგიერთი არაბი ლიდერი, შეეცვალა დამოკიდებულება არიელ შარონის მიმართ, ისინი მიხვდნენ, რომ მასთან კონტაქტი აუცილებელია.

ჩანს, იგივე დასკვნა გამოიტანეს პალესტინის ხელმძღვანელებმაც. პრემიერ-მინისტრის რეზიდენციას დაცვის გარეშე ეწვია პალესტინის საკანონმდებლო საბჭოს თავმჯდომარე აბუ ალი. ორსაათიანი საუბრის შემდეგ მიღწეული იქნა შეთანხმება ცეცხლის თანდათანობით შეწყვეტის შესახებ. გეგმის თანახმად, უნდა აღდგეს მშვიდობა, მიღებული იქნება ზომები ღაზის სექტორის უსაფრთხოების დასაცავად; ისრაელის ჯარს გამოიყვანენ იმ დასახლებული პუნქტებიდან, რომლებშიც პალესტინის ხელმძღვანელობა გააკონტროლებს სიტუაციას.

დაახლოებით იმავე პერიოდში შარონის კანცელარიის დირექტორი დოვ ვაისგლასი ისრაელში, ამერიკის საელჩოში, შეხვდა პალესტინის ავტონომიის სპეცსამსახურების მუშაობაზე პასუხისმგებელ პირს ჰასნი ალი-ჰასანს. მათ მოილაპარაკეს, რომ პალესტინის ავტონომიის დასახლებულ პუნქტებში (საიდანაც გაიყვანენ სამხედროებს) შევლენ ადგილობრივი პოლიციის რაზმები.

საიდუმლო მოლაპარაკებაზე შარონმა აბუ ალის შესთავაზა პალესტინის სახელმწიფოს შექმნის გეგმა — ქვეყანას არ უნდა ჰყავდეს საკუთარი არმია და არც საგარეო პოლიტიკის დამოუკიდებლად წარმოების უფლება ჰქონდეს. შარონიც და პალესტინელებიც ჩქარობენ. დღესხვალ ერაყის ომი დაიწყება და ახლო აღმოსავლეთში ყველაფერი აირევ-დაირევა. ამერიკელებმა განაცხადეს, — ერაყის შემდეგ ისრაელ-პალესტინას მივხედავთო. მართალია, არაფატმა მრავალმნიშვნელოვნად განაცხადა, — საიდუმლო მოლაპარაკება ჩემი თანხმობით გაიმართაო, მაგრამ აშკარაა, რომ მისი ადგილი ამ თამაშში აღარ არის. მაღალჩინოსანმა ისრაელელმა პოლიტიკოსმა აღნიშნა, — არაფატს აქედან ამერიკის თანხმობით გავაძევებთო. ჩანს, არაფატის გაძევების მოსურნე მარტო ამერიკა კი არა, მისი გარემოცვაცაა.

***ნიუ ზუიქი***

# გორბაჩოვი: ელცინს ხელს არ ჩამოვართმევ!

## ამონარიდი ინტერვიუდან

*გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ კორესპონდენტი ესაუბრა საბჭოთა კავშირის პირველ და უკანასკნელ პრეზიდენტს მიხაილ გორბაჩოვს.*

— **როგორ ფიქრობთ, რა უდევს საფუძვლად ერაყის კონფლიქტს?**

— ის, რომ ამერიკელებს, ანუ დედამიწის მოსახლეობის 5%-ს, ფუფუნებით ცხოვრება სურს. ამისთვის მას მსოფლიო ენერგიის 42% სჭირდება. ამერიკა მონსტრია, რომელსაც გარშემო ყველას გადაყლაპვა უნდა.



— **ძალიან ადვილად ხომ არ დათანხმდა რუსეთი ნატოს გაფართოებას?**

— ნატოს გაფართოებაში სახიფათოს ვერაფერს ვხედავ. ამჟამად რუსეთს ნატოში 10 მთავარ პოზიციაში არა მარტო აზრის გამოთქმის, არამედ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის უფლებაც აქვს.

— **თქვენ დღემდე გადანაშაულებენ — საბჭოთა კავშირს გერმანიის გაერთიანებისა და ვარშავის ბლოკის დაშლის შემდეგ სარგებელი არაფერი დარჩაო.**

— 1990 წლის იანვარში ათასობით გერმანელი გამოვიდა ქუჩებში ქვეყნის გაერთიანების მოთხოვნით. რა გვექნა — ჩვენს სამხედროებს ხომ ვერ მივუსევდით?! გამარჯვებული კოალიციის სხვა სახელმწიფოებთან მოლაპარაკება დავიწყეთ. ვაჭრობა მიდიოდა მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ჯარის გერმანიიდან გამოყვანასა და მათთვის სამშობლოში საცხოვრებელი სახლების აშენებაში დახმარებაზე.

— **განა დასავლეთი არ იყო მზად გერმანიის გაერთიანების საფასურად ვალები ჩამოეწერა საბჭოთა კავშირისთვის?**

— ასე არ იყო. საბჭოთა კავშირს ვალების დიდი ნაწილი კერძო კრედიტორებისაგან ჰქონდა აღებული, ისინი კი ვალს არავის აპატიებენ. მე არ ვფიქრობ, რომ ვიღაცამ მომატყუა ან რაღაც დამაკლო. მაინცდამაინც რამე უნდა წაგვეგლიჯა მათთვის?

— **სამაგიეროდ, ბეიკერ-შევარდნაძის წყალობით ამერიკელებმა წაგვგლიჯეს წყნარი ოკეანის ჩვენი ნაწილი.**

— ამ საკითხზე მუშაობდნენ რუსეთის საგარეო საქმეთა და თავდაცვის სამინისტროები, სუკი... ახლა კი ისე გამოდის, თითქოს შევარდნაძემ გორბაჩოვს რაღაც შეატყუა. ოკეანის საზღვრის ცვლილების გეგმა პოლიტბიურომ მოიწონა, თუმცა სსრკ-ის უმაღლეს საბჭოს რატიფიცირება არ მოუხდენია. ამერიკელები სანაცვლოდ სხვა ზონას დაგვპირდნენ, მაგრამ პირობა არ შეასრულეს. ამიტომაც მართებული იქნება ამ საკითხის ხელმეორედ წამოჭრა.

— **დღეს თქვენც და ელცინიც პენსიონერები ხართ. შეგიძლიათ მას აპატიოთ წარსულში რაც მოხდა?**

— არა, მე ვერც საკუთარ თავს ვაპატიებ იმას, რაც ქვეყანას დაემართა, მას — მით უმეტეს, შეხვედრისას ხელსაც არ ჩამოვართმევ.

***კომსომოლსკაია პრავდა №41***

# ლუკაშენკომ ჰუსეინის ვაჟი სტუმრად მიიწვია



სადამის ვაჟები

ერაყთან ომის მოლოდინში ბელორუსიის პრეზიდენტმა გადაწყვიტა დრო მეგობრულ საუბარში მოეკლა: სტუმრად მიიწვია სადამ ჰუსეინის ვაჟი. ვიზიტის ოფიციალურ მიზეზად თავისუფალ ჭიდაობაში საერთაშორისო ჩემპიონატს ასახელებენ, რომელიც მარტის დამლევს უნდა გაიმართოს მინსკში. ერაყის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაადასტურა — პრეზიდენტის უფროსი ვაჟი, უდეი, რომელიც ქვეყნის ოლიმპიურ კომიტეტს უდგას სათავეში, აუცილებლად ეწვევა მინსკსო. ეს იქნება სადამ ჰუსეინის ვაჟის პირველი ვიზიტი დსთ-ის ქვეყნებში.

სხვათა შორის, ლუკაშენკო მინსკში თავად სადამსაც ეპატიჟებოდა, ის კი არა, მას პოლიტიკურ თავშესაფარსაც სთავაზობდა. მინსკში ერაყის ელჩმა განაცხადა, — ჰუსეინიც და ლუკაშენკოც ნამდვილი ვაჟკაცები არიან, ამერიკელებისა არ ეშინიათო. თავად სადამმა კი ბელორუსიას შესთავაზა, — ჩემი უპირველესი მეგობარი ხარ, შესაძლოა უახლოეს ხანში უპირველესი სავაჭრო პარტნიორიც გახდეო.

ვიდრე მსოფლიო საზოგადოებრიობა ერაყთან შესაძლო ომზე ბჭობს, ბელორუსია ახალი საჰაერო რეისის — მინსკი-ბაღდადის გასახსნელად ემზადება. ლუკაშენკოს ხელისუფლება არ აპირებს ერაყიდან არც თავისი მოქალაქეების გამოწვევას და არც დიპლომატების გამოხმობას.

***მოსკოვსკი კომსომოლეცი №44***

# ის — მეთექვსმეტეა!



სეულში, ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციაზე, ეროვნული კრების შენობის წინ ათიათასობით სამხრეთკორეელი შეიკრიბა. საპატიო სტუმართა შორის იყვნენ კორეის ყოფილი ლიდერები. კორეის რესპუბლიკის მე-16 პრეზიდენტის, 56 წლის ნო მუ ჰენის სეფესიტყვის მთავარი თემა იყო ჩრდილოეთ კორეასთან დამოკიდებულება. პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, — სეული სამშვიდობო პოლიტიკას გაატარებს, მაგრამ არ შეურიგდება ფხენიანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებულ გაურკვევლობასო. ჯერჯერობით, უცნობია, შეძლებს თუ არა მუ ჰენი ორ კორეას შორის ყინულის გადნობას, თუმცა გადაწყვეტილი აქვს, რომ საამისოდ ყველაფერი იღონოს.

***იზვესტია. რუ***

# რა მოჰყვება ნავთობის ემბარგოს

ისლამური ქვეყნები მსჯელობენ აშშ-ისა და ერაყთან ომის მომხრე სხვა ქვეყნებისათვის ნავთობის მიწოდების შეზღუდვის გზებზე. 30 წლის წინ ნავთობის ემბარგომ კინაღამ აშშ-ის ეკონომიკური კრახი და ოპეკ-ის დაშლა გამოიწვია. აშშ-ისა და მისი მომხრეების წინააღმდეგ ნავთობის, როგორც იარაღის, გამოყენების საკითხი დაისვა მალაიზიაში ისლამური სახელმწიფოების წარმომადგენელთა კონფერენციაზე, რომელშიც 56 ქვეყანა მონაწილეობდა; თუმცა კონკრეტულად არაფერი გადაუწყვეტიათ. ამჟამად ამ ქვეყნებს — ნავთობის მსხვილ ექსპორტიორებს, შეთანხმებული მოქმედებით შეუძლიათ საწვავის გარეშე დატოვონ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მანქანა და ზარალი მიაყენონ მის ეკონომიკას.

1973 წელს არაბეთის ქვეყნების მიერ აშშ-ისათვის გამოცხადებულმა ნავთობის ემბარგომ დიდ დეპრესიაზე მეტი დამართა ქვეყანას, რადგან მისი საკუთარი ნავთობი მოთხოვნილების მხოლოდ ორ მესამედს აკმაყოფილებდა. ორ წელიწადში ბარელი ნავთობის ფასი 3-დან 12 დოლარამდე ავარდა. პრეზიდენტმა რიჩარდ ნიქსონმა უკიდურეს ზომას მიმართა — ბენზინგასამართებში კვირა დღეს არ ყიდდნენ ბენზინს, სამუშაო დღეებში ერთ ადამიანს 10 გალონზე მეტს არ აძლევდნენ.

სავარაუდოდ, ერაყთან ომის დაწყების შემდეგ, ემბარგოს გარეშეც, ბარელი ნავთობის ფასი მინიმუმ 50 დოლარი გახდება.

ნავთობის ექსპორტის ერთდროული შემცირება არც მის მწარმოებლებს დააყრის კარგ დღეს. მალაიზიის პრემიერმა მაჰატჰირ მოჰამედმა განაცხადა, — კარგად დავფიქრდეთ, ვიდრე ემბარგოს შემოღების გადაწყვეტილებას მივიღებთო.

***ლენტა რუ***

## მოკლედ

**ჩინეთის** პროვინცია სინძიანში, რიხტერის სკალით 6,8-ბალიანმა მიწისძვრამ 242 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, 50 ათასზე მეტი უსახლკაროდ დარჩა.

**ჰააგის** სასამართლომ სერბეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ბიალინა პლავშიჩს 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მას ბრალად ედება 1992 წელს ბოსნიისა და ჰერცოგოვინის 37 სათვისტომოდან არასერბი მოსახლეობის განდევნის ორგანიზებაში მონაწილეობა. 72 წლის ქალბატონი თავად ჩაჰბარდა ტრიბუნალს და აღიარა დანაშაული.

**ამერიკელი** ტელეწამყვანი ოფრა უინფრი ისტორიაში პირველი შავკანიანი ქალია, რომელიც ჟურნალ Forbes-ის გამოკითხვით, მილიარდერთა სიაში შევიდა. ნუსხაში 37 ქალია, მაგრამ აქედან მხოლოდ 3-მა დააგროვა ქონება დამოუკიდებლად, ოფრა ერთ-ერთი მათგანია. მას კონკურენციას უწევენ კომპანია Cep-ის მეპატრონე დორის ფიშერი და ამერიკელი ტელევარსკვლავი მარტა სტიუარტი. ოფრა პოპულარული ტოკ-შოუს ავტორი და პროდიუსერია, 35-ჯერ აქვს მოგებული სატელევიზიო პრემია „ემი“.

**საფრანგეთის** კინოპრემია „სეზარი“ და ბრიტანეთის კინოსა და ტელეხელოვნების აკადემიის ჯილდო წილად ხვდა რეჟისორ რომან პოლანსკის ფილმს „პიანისტი“.

*გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ*

**თუ უკანონო მშენებლობით ირღვევა თქვენი უფლებები**
მიმართეთ
„დემოკრატიული განვითარების ცენტრს“,
**სადაც უფასოდ მიიღებთ იურიდიულ კონსულტაციას, აღმოგიჩენენ დახმარებას სასამართლო საქმის წარმოებაში, ასევე — ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობაში.**
მის: რუსთაველის გამზ. №23, ☎ 92-05-94

**600-750 მმ. დიამეტრის ნაბურღნატენი ხიმინჯების გაკეთება**
სიღრმე (0-25)მ.
ავარიული სახლებისათვის ფუნდამენტების გამაგრება.
☎ 899-16-09-10
69-83-38 (საღამოს)

**გსურთ ზიანის ფულადი ანაზღაურება? კავშირი „თქვენი ადვოკატი“ გთავაზობთ უფასო იურიდიულ მომსახურებას თუ:**
- თქვენს მიმართ შეწყდა სისხლის სამართლის საქმე;
- გამოტანილია გამამართლებელი განაჩენი;
- გამომძიებელი და პროკურორი არღვევენ თქვენს უფლებებს.

თქვენ გაქვთ უფლება სახელმწიფოს მოსთხოვოთ მიყენებული ზიანის ანაზღაურება და რეაბილიტაცია (უფლებების აღდგენა).
**მის: თაბუკაშვილის ქ. №37 ☎ 92-21-57**

# ის, რაც ჩვენ გვაკლია წარმატებული ცხოვრებისთვის

ხშირად გვსმენია: — მას, ვისაც გაცივებისკენ მიდრეკილება აქვს, ესაჭიროება ვიტამინი C; თუ კბილები „გცვივათ", ე.ი. ორგანიზმს კალცი აკლია. აი, სულ ეს არის, რაც ვიტამინებისა და მინერალების დეფიციტის სიმპტომებზე ვიცით. სინამდვილეში კი, ასეთი ნიშნები გაცილებით მეტია.

ზამთარ-გაზაფხულის სეზონისთვის უადგილო არ იქნება გავიხსენოთ ჯანმრთელობის ერთი, ერთობ განმამტკიცებელი საშუალება — ვიტამინური დანამატები.

„ვიტამინები ძველ ჭეშმარიტებას ადასტურებენ: ყველაფერი საუკეთესო განსაზღვრული რაოდენობით. ყველაფერი ის, რაც სიცოცხლისთვის გვესაჭიროება — ვიტამინების მიკროსკოპული რაოდენობაა, მაგრამ სწორედ ეს რაოდენობები ჩვენს სიცოცხლისუნარიანობას ხარისხის მიხედვით ერთობ განსხვავებულად აქცევს" — წერს კარლ ლოუ თავის წიგნში „ყველაფერი ვიტამინების შესახებ".

ვიტამინები — უმნიშვნელოვანესი, ყოვლად შეუცვლელი ელემენტებია, რომლებიც ნივთიერებების ნორმალური ცვლისთვისაა საჭირო. მაგრამ ისინი ორგანიზმში არ გამომუშავდება და მათი მიღებაა საჭირო. ვიტამინი არის ლათინური სიტყვა და ნიშნავს „სიცოცხლის ამინს"; ამინი — ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებაა. ორგანიზმში ვიტამინების უკმარისობა ასუსტებს იმუნიტეტს, აქვეითებს გამძლეობასა და შრომისუნარიანობას, ამძიმებს ავადმყოფობის პროცესს, ხოლო ბავშვებსა და მოზარდებში — აფერხებს გონებრივ და ფიზიკურ განვითარებას.

სწავლულმა დიეტოლოგებმა შეიმუშავეს ტესტები, რომელთა დახმარებითაც სულ რაღაც რამდენიმე წუთში შესაძლებელია განისაზღვროს, კონკრეტულად რომელი ვიტამინები და მინერალები ესაჭიროება თქვენს ორგანიზმს.

ვიტამინ $B_6$-ის (პირიდოქსინი) დეფიციტის ადრეული აღმოჩენის ხერხი: ხელები წინ გასწიეთ ჰორიზონტალურ მდგომარეობაში, ხელისგულები ზევით უნდა იყოს მიმართული; ორივე ხელის ოთხი თითი ბოლო ორ სახსარში ერთდროულად მოხარეთ მანამ, სანამ თითის წვერები ხელისგულებს არ შეეხება (ხელით მუშტი კი არ უნდა შეკრათ, არამედ მხოლოდ ორ სახსარში მოხაროთ). თუ ამის გაკეთებას ვერ ახერხებთ, მაშასადამე შესაძლოა ვიტამინ $B_6$-ის დეფიციტს ჰქონდეს ადგილი.

უსიამოვნო სუნი პირის ღრუდან: შესაძლოა, ვიტამინ $B_3$-ის და ნიაცინის (ვიტამინი PP) უკმარისობაზე მეტყველებდეს.

თუ ჰემატომები ხანგრძლივად გაწუხებთ, მსუბუქი ტრავმის შედეგადაც კი, ეს ხშირად ვიტამინ C-ს (ასკორბინის მჟავა) და ვიტამინ P-ს (რუტინი) დეფიციტზე მიანიშნებს. სასარგებლოა, დღეში 1000 მგ C ვიტამინის მიღება.

ხშირი თავბრუსხვევა და შუილი ყურებში: შესაძლოა მიუთითებდნენ ვიტამინების $B_3$ და E (ტოკოფეროლი), აგრეთვე მანგანუმის და კალცის უკმარისობაზე. რეკომენდებულია 50-100 მგ $B_3$ ვიტამინისა და 400 ერთეული E ვიტამინის მიღება დღეში.

მხედველობის პრობლემა: — სიბნელეში სწრაფი ადაპტაციის უუნარობა, ხშირი ანთებები, ქუთუთოების შეწითლება, წვის შეგრძნება, ჯიბლიბოების გაჩენა — დაკავშირებულია ვიტამინების A და $B_2$ (რიბოფლავინი) დეფიციტთან. შევსება შესაძლებელია 10.000 ერთეული A ვიტამინის დღეში ერთხელ, 100 მგ B ჯგუფის ვიტამინების დილა-საღამოს და 500 მგ C ვიტამინის მიღებით დღეში.

ქერტლი — იმ შემთხვევაში ჩნდება, როდესაც ორგანიზმს ვიტამინები $B_{12}$, $B_6$, F და სელენი არ ჰყოფნის.

ჩამქრალი, მტვრევადი, ადრე და სწრაფად გაჭაღარავებული თმა — განპირობებულია ვიტამინების კომპლექსის, ვიტამინ F-ისა და იოდის დეფიციტით.

თმის ცვენა — დაკავშირებულია B ჯგუფის ვიტამინების, აგრეთვე ვიტამინების C, H, ინოზიტისა და ფოლიუმის მჟავის ($B_3$), აგრეთვე მინერალების კალციუმი, მაგნიუმი, სელენის უკმარისობასთან.

ინფექციებისადმი მაღალი მიდრეკილება: მიუთითებს, რომ ორგანიზმს ვიტამინი A და პანტოტენის მჟავა (ვიტამინი $B_5$) ესაჭიროება. ხოლო გრიპის ეპიდემიებისას ხშირად ავადმყოფი ადამიანებისთვის უმჯობესია დღეში 1-2 გ ვიტამინი C-ს მიღება პროფილაქტიკის მიზნით, ხოლო გრიპით დაავადებისას რეკომენდებულია მისი უფრო მაღალი დოზა.

უძილობა: ამის მიზეზი შესაძლოა იყოს ორგანიზმში გარკვეული ვიტამინებისა და მინერალების ნაკლებობა. საუბარია, უწინარეს ყოვლისა, B კომპლექსის ვიტამინებზე, კალიუმსა და კალცზე.

კუნთოვანი სისუსტე ფეხებში, ტკივილის შეგრძნება, ღამის კუნთოვანი სპაზმები: ამის მიზეზი ვიტამინების $B_1$, $B_6$ და მინერალების, კერძოდ კალიუმის, მაგნიუმის უკმარისობაა.

სისხლდენები ცხვირიდან: ძირითადად დაკავშირებულია ვიტამინების C, K და P დეფიციტთან.

ფერიმჭამელები და წითელი ლაქები სახეზე: ორგანიზმში B ჯგუფისა და A ვიტამინების, აგრეთვე მინერალების — სელენის, კალცის, გოგირდის უკმარისობაზე მიგვანიშნებს.

დერმატიტები: ხშირად ვითარდება ვიტამინების $B_2$, $B_3$, $B_6$ და H-ის დეფიციტის ფონზე.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ დანამატს შეიცავს საკვები — ახალი ბოსტნეული, ხილი, ხორცი, თევზი, ბურღულეული, რძის ნაწარმი, მცენარეული ზეთები, პური — მათში ყველა აუცილებელი ელემენტია (ვიტამინი, მინერალი) თავმოყრილი.

კი, მაგრამ ფიგურა?! როგორ მოვახერხოთ, რომ რაციონის ზედმეტი კალორიების მომატების გარეშე, ორგანიზმი ვიტამინური და მინერალური ნივთიერებების საკმარისი რაოდენობით უზრუნველვყოთ? არსებობს მცდარი მოსაზრება იმისა, რომ თითქოსდა ვიტამინების მიღება იწვევს მასის მომატებას. სინამდვილეში კი, მასის მომატებას განაპირობებს არა ვიტამინები, არამედ საკვებში ვიტამინებისა და მინერალების გარდა არსებული კალორიები.

მოდით, მოვიქცეთ ისე, რომ არც გავსუქდეთ და ჯანმრთელადაც გამოყურებოდეთ. ამაში კომპლექსური ნატურალური პრეპარატები დაგვეხმარება, რომელთა დიდ არჩევანს — შერჩევა ასაკობრივი და სხვა გრადაციის გათვალისწინებით — ახალი ფირმა „ჯეოვიტი" გთავაზობთ.

აღნიშნული ნატურალური პრეპარატები განკუთვნილია ბავშვების, მანდილოსნების, ორსულებისა და მეძუძური ქალების, მამაკაცებისა და ხანდაზმულებისთვის, აგრეთვე ზრდის სტიმულაციის, ოსტეოქონდროზის, ძვალ-სახსართა პათოლოგიის, გულის, ღვიძლის დაავადებების, თავის ტვინის მიკროცირკულაციის, იმუნიტეტის დარღვევა-დაქვეითების, სისხლძარღვოვანი დაავადებების, შარდ-სასქესო სისტემის დაავადებების, კანცეროგენეზის და ონკოდაავადებების პროფილაქტიკისა და მკურნალობის პროცესისათვის.

კომპანია „ჯეოვიტის" კვალიფიციური ექიმი-კონსულტანტები არა მარტო პრეპარატის სწორი დანიშნულებისა და დოზირების შერჩევაში დაგეხმარებიან, არამედ გაგიწევენ უფასო კონსულტაციებს მედიცინის ზოგად საკითხებზეც.

**მის: ჭავჭავაძის 41,**
**ვიტამინ-ცენტრი,**
**კომპანია „ჯეოვიტი",**
**ტელ./ფაქსი: 29-20-91**

R





„[illegible]" ფირმის
**მეტალოპლასტმასის**
**კარ-ფანჯრები**
**ძალიან იაფად**
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუქი მუხა...
**ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია**
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის" გვერდით
☎ 966-779; 61-32-37; 34-49-40; 899-51-51-09; 899-902-091






# ცხოვრებისეული კურიოზები

## „სულ ყეფამ და ყეფამ!..“



გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების ბოლოს, როცა ეროვნულმა მოძრაობამ პიკს მიაღწია, თბილისში, ერთ-ერთ დიდ ქარხანაში ინჟინრად ვმუშაობდი. დირექტორად გვყავდა საკმაოდ მრისხანე კაცი, რომელიც იუმორთან ცოტა არ იყოს, მწყრალად გახლდათ. პირად მდივნად, როგორც თითქმის ყველა მაშინდელ დირექტორს, რუსის მოხდენილი ქალი ჰყავდა, რომელიც ქართულსაც „ამტვრევდა“. ჰოდა, ერთხელაც, ჩვენი დირექტორი სამსახურში მივიდა გაცივებული, გრიპიანი, საშინელი ხველებით. რა თქმა უნდა, მისთვის სათანადო დახმარება პირველ რიგში პირადმა მდივანმა გადაწყვიტა. ბუფეტში აადუღებინა რძე, გაურია შიგ „ბორჯომი“ და მოზრდილი ფინჯნით ხელში გაემართა კაბინეტისკენ, საიდანაც ისმოდა განუწყვეტელი ხველების ხმა. ჩვენ კიდევ, ინჟინრები, მისაღებში ვისხედით, საწარმოო თათბირის მოლოდინში. უცბად, კართან მისული მდივანი მოგვიბრუნდა და გვეკითხება: „ბიჭებო, როგორ იქნება კარტულად, სულ კაშლიტე ი კაშლიტე?“ მივხვდით, რომ ჩრდილოელმა ლამაზმანმა იმიჯის ასამაღლებლად მოინდომა ქართულად მოფერებოდა თავის დირექტორს. ჩვენში ყველაზე ენაკვიმატმა გურამ ზ.-მ სასწრაფოდ „უთარგმნა“ მონდომებულ მდივანს სასურველი სიტყვა — კაშლიტე ქართულად არის ყეფაო! მდივანიც შევიდა კაბინეტში ნარნარი რხევით, დირექტორს ბორჯომიანი ცხელი რძე მიართვა და გულდათუთქულმა უთხრა: — გრიგორიჩ! მეცოდებით, სულ ყეფამთ და ყეფამთ, აჰა, ეს დალიეთ და აღარ იყეფამთ!..

თქვენ წარმოიდგინეთ, ისედაც მრისხანე დირექტორი, რომელიც მართლა სულ ყვიროდა (ანუ „ყეფამდა“), რა დღეში ჩავარდებოდა...

***თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი***

## „შეჩემალეებისა და კაროჩეების ქვეყანა“



ავტობუსით ვმგზავრობდი ნატანებიდან ოზურგეთის მიმართულებით.

ამოვიდა ერთი ხნიერი ბერიკაცი და მაშინვე მიიქცია ყურადღება თავისი ენაწყლიანი იუმორით. დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო, მხიარული ამბების მოყოლა. ბოლოს, ასეთი რამ მოგვიყვა: „ჩუუარდა, ბიძია, ქვეყანა ხელში შეჩემალეებსა და კაროჩეებს“... ხოდა, რაფერ გავხთი მე მაგენის ძმაკაცი, გეტყვით ახლაო და გააგრძელა: „მივალ, ბიძიებო, ნატანებში და დამხთა ერთი კაროჩე, აა ამსიმაღლე იქნებოდა (ხელი ბოლომდე ასწია თავს ზემოთ) და მითხრა, მომაწევიე, სიმონ, სიგარეტიო. ამევიღე ჩემო ორხიდიანი (ანუ „ასტრა“). აბა, ამ მთავრობის ხელში უკეთესს რას იყიდი... პენსია თორმეტი ლარი მაქ, იმასაც საახალწლოდ მპირდებიან, თუ მივიტანე სული ახალ წლამდე, ხომ კაი... ხოდა, მივაწოდე და ვუთხარი, სიმონა არ მქვია მე, ბაბუა, ნატიფო ვარ-მეთქი, კაროჩე, ბევრს ნუ ბაზრობ, მომიკიდეო, მითხრა. მეც ევიღე ჩემი ორხიდიანი და პირდაპირ დრუნჩზე არ მივადევი! იბღავლა მარა, რა იბღავლა! გამეიარ შეჩემალა აქანაო, დამექადნა. სალამო ხანია, უკან ვბრუნდები და რას ვხედავ, ქარ დამხთენ, ბიძია?! აი, კაროჩე და სამი შეჩემალა ახლავს. მოვბრუნდი ცივათ, მოვკურცხლე, გამომეკიდენ გინებით და ქვების სროლით, ქვაი მინდოდა ახლა მე კიდო! ხოდა, ჩემდა ბედად გურამა ჩხაიძის ვილისი ქარ გამოშთა, ჩაყარა ყველა შით და წეიყვანა განყოფილებაში. მეტი ადგილი არაა და შენ თვითონ მოიო, მითხრა. მივედი და რას ვხედავ, ჩუუმწკრივებია ოთხივე. ბიძიკონა! იცანი აგენიო, მკითხა, ვერა-მეთქი, გევიაბდლე თავი. შემეცოდენ ყაზილრები. ხოდა, კაი ბიძიკონა, თუ ვერ იცანი, დაგხთება მაგენი კიდო და მერე შენს თავს დააბრალეო!

მუალ მეორე დღეს. დგანა ოთხივე. „მოი, ბაბუა, აგერ!“, დამიძახეს. შენ კაროჩე, ჩვენი კაცი ყოფილხაროო, მითხრეს. მერე ადესაც მეიტანეს და კრიმანჭულიც შემოვძახეთ. ასე გავხთი კაროჩეების და შეჩემალეების ძმაკაცი, აბა?“

მალე მოხუცი ჩავიდა, რომლის არც გვარი ვიცოდი და არც სახელი. ჩვენ კი ხალისიანი განწყობილება დაგვიტოვა...

***ბადრი კილაძე, სოფელი მამათი, ლანჩხუთის რაიონი***

# პაროდიის კუთხე

## გილოცავთ დედის დღეს
## ტესტი



**1. თქვენმა პატარამ ატეხა ტირილი, თქვენი აზრით:**

ა) ითხოვს ჭამას (1,5).

ბ) ითხოვს პამპერსის გამოცვლას (2,5).

გ) სურს მოგილოცოთ დედის დღე და არ იცის, როგორ (3,5).

**2. თქვენი 5 წლის გოგონა მოდის თქვენთან და გკოცნით, თქვენი აზრით:**

ა) უბრალოდ, ძალიან უყვარხართ (1,5).

ბ) უბრალოდ, სურს რამე უყიდოთ (2,5).

გ) უბრალოდ, სურს მოგილოცოთ დედის დღე (3,5).

**3. თქვენი შვილი წამოიზარდა, თქვენი აზრით:**

ა) დროა, საჭმელი თავისი ხელით შეჭამოს (1,5).

ბ) დროა, სკოლაში მარტომ იაროს (2,5).

გ) დროა, დედის დღისათვის რაიმე საჩუქარი მოგიმზადოთ (3,5).

**4. თქვენმა შვილმა გამოცდები ჩააბარა უმაღლეს სასწავლებელში, თქვენ:**

ა) კმაყოფილი ხართ, რომ დაეუფლება თქვენს პროფესიას (1,5).

ბ) უკმაყოფილო ხართ, რომ დაეუფლება მამის პროფესიას (2,5).

გ) უკმაყოფილო ხართ, რომ არ მოგილოცათ დედის დღე (3,5).

**5. თქვენმა შვილმა მუშაობა დაიწყო და ძალიან დაკავებულია, თქვენი აზრით:**

ა) არა უშავს, თანდათან შეეჩვევა სამუშაოს (1,5).

ბ) თუ არ შეეჩვევა, თავის თავს დააბრალოს (2,5).

გ) მაინც უნდა დაერეკა და დედის დღე მოელოცა (3,5).

**6. თქვენი ვაჟიშვილი დაოჯახდა, თქვენი აზრით:**

ა) მეუღლეს კარგი საჩუქარი გაუკეთა (1,5).

ბ) თავის თავს კარგი საჩუქარი გაუკეთა (2,5).

გ) კარგი საჩუქარი გაგიკეთათ თქვენ (3,5).

## დაითვალეთ ქულები:

**თუ დააგროვეთ 12-მდე ქულა, მაშინ თქვენ ბრწყინვალე დედა ხართ და ბრწყინვალე შვილი გყავთ. იგი, მართალია, სამსახურში ძალიან დატვირთულია, მაგრამ არა უშავს, თანდათან შეეჩვევა. თუკი მან ვერ მოახერხა დედის დღის მოლოცვა, ნუ გაკიცხავთ, დაელოდეთ, იქნებ მოგვიანებით მოგილოცოთ. წელს თუ არა, გაისად მაინც...**

**თუ დააგროვეთ 12-დან 18-მდე ქულა, მაშინ თქვენი შვილი უკვე წამოიზარდა და დროა, სკოლაში მარტომ იაროს. თუკი ჯერ არ მოგილოცათ დედის დღე, იმედი იქონიეთ, რომ ახლა სწორედ მოსალოც ბარათს წერს და სულ მალე გადმოგცემთ საგანგებოდ შეფუთულ პატარა საჩუქართან ერთად.**

**თუ დააგროვეთ 18-ზე მეტი ქულა, მაშინ თქვენ შვილმა არ მოგილოცათ და არც მოგილოცავთ დედის დღეს. იმიტომ, რომ თქვენ მამა ხართ...**

***ტესტი შეადგინა ზაქრო ინწკირველმა***


## სიცილი ჯანმრთელობაა




*როცა ცხოვრება მძიმდება,*
*— სიცილი უფრო გვიხდება...*

**გაილიმეთ ჩვენთან ერთად!**


# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



სვანს ჭექა-ქუხილისა და ელვის დროს სიცილი აუტყდა:
— რა გაცინებსო, — ჰკითხეს.
— აბა, რა უნდა ვქნა, სურათს მიღებენ და ხომ არ ვიტირებო!

***ლ. ნასყიდაშვილი, ხაშური***



კურორტზე ვაკელი მაკუნა სასწორთან მიდის. მონეტას აგდებს და ზედ დგება. წონა არ ესიამოვნა. სვიტერი გაიხადა და ისევ შედგა. შემდეგ ფეხსაცმელებიც გაიხადა, მონეტა ჩააგდო და ისევ აიწონა. ამ დროს ჭიჭიკია ღიმილით უახლოვდება:
— შენ გააგრძელე, ლამაზო! მონეტებს მე ჩავყრი!..

***გია პატარიძე, თბილისი***



გურულს ჰკითხეს, ინგლისური თუ იციო?
— მაი რავა არ მეცოდინება! — იყო პასუხი.

***გოგია ვასაძე, ოზურგეთი***

***ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, ახალ სასაცილო ამბებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ. მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.***

C M Y K

# დოლარის აშშ-დან გატანა აკრძალულია?!

— უცხოელმა მეგობრებმა მითხრეს, აშშ-ში 10.000-დოლარიანი კუპიურა 1944 წლის შემდეგ აღარ დაბეჭდილაო. მსგავს ინფორმაციას ვერსად წავაწყდი. იქნებ თქვენ მიპასუხოთ, რომელი წლიდან დაიწყეს ამერიკაში დოლარის ბეჭდვა და მართალია თუ არა, რომ ამერიკელებისათვის 100-დოლარიანზე მაღალი კუპიურის გატანა ქვეყნიდან აკრძალულია. და საერთოდ, რამდენი კუპიურა აქვს დოლარს?

*გიორგი მამულაშვილი*




— თქვენი მეგობრები ნამდვილად არ ცრუობენ. მართლაც 10.000-დოლარიანი კუპიურა 1944 წლიდან აღარ დაბეჭდილა. გარდა ამისა, გასული საუკუნის 80-იან წლებში ამერიკაში მიმოქცევაში იყო მხოლოდ 348 ცალი ბანკნოტი. რაც შეეხება თავად დოლარს, როგორც ფულის ერთეული, იგი 1785 წლის 6 ივნისს ამერიკის ეროვნულმა კონტინენტურმა კონგრესმა შემოიღო. სიტყვა დოლარი გერმანული „ტალერ"-იდან წარმოიშვა. თავდაპირველად დოლარი ვერცხლის მონეტად მოიჭრა, ქაღალდის ფული მხოლოდ 1861 წლიდან გამოვიდა. მაშინ იგი იბეჭდებოდა სელისა და ბამბის ნარევისაგან დამზადებულ მწვანე საღებავით შეფერილ ქაღალდზე. ამ დროისათვის ფულს კერძო კომპანიები ბეჭდავდნენ, ხოლო 1977 წლიდან ეს მოვალეობა ამერიკის სახელმწიფომ მთლიანად აიღო საკუთარ თავზე. დღეისათვის ამერიკაში მიმოქცევაშია მხოლოდ ისეთი კუპიურები, რომელიც გამოშვებულია 1928 წლის შემდეგ. რაც შეეხება თქვენს ბოლო კითხვებს, მართლაც, აშშ-დან 100-დოლარიანზე მაღალი კუპიურის გატანა აკრძალულია. გარდა ამისა, არსებობს დოლარის 1, 2, 5, 10, 20, 50, 100, 500, 1.000, 5.000 და 10.000-იანი კუპიურები. 1968 წლიდან ამერიკის ხაზინამ შეაჩერა 100-დოლარიანზე მაღალი კუპიურების ემისია. 2-დოლარიანი ბანკნოტები უკანასკნელად 1976 წელს დაიბეჭდა. რაც შეეხება მაღალ კუპიურებზე გამოსახულ პიროვნებებს, ისინი არიან: 500-დოლარიანზე — ამერიკის 25-ე პრეზიდენტი მაკ'კინლი, 1000-დოლარიანზე — 22-ე და 24-ე პრეზიდენტი ჯეიმს მედისონი (ორჯერ იქნა არჩეული), ხოლო 10.000-იან კუპიურაზე ფინანსისტი სეიმონ პორტლენდ ჩეისი.

# პირველი ლამაზმანი... ვინ და სად?...

— ამ ბოლო დროს ძალიან ხშირად ტარდება სილამაზის კონკურსები. საინტერესოა, როდის გაიმართა პირველი კონკურსები და ვინ იყო პირველი გამარჯვებული?

*ნინო ჩიხლაძე*



— მეტოქეობის თვისება, რომელიც ყველა ქალშია, მამაკაცებმა საკუთარი მიზნებისთვის გამოიყენეს. დაიწყეს სილამაზის კონკურსების გამართვა და საკმაოდ დიდ წარმატებებსაც მიაღწიეს. პირველი სილამაზის კონკურსი გაიმართა 1888 წელს ბელგიურ კურორტ სპაში, სადაც გვადელუპელმა გოგონამ გაიმარჯვა და პირველი პრიზი, 5.000 ბელგიური ფრანკიც დაისაკუთრა. კონკურსების ჩატარება პირველმა მსოფლიო ომმა შეაჩერა. მისი დასრულების შემდეგ კი კანტიკუნტად იმართებოდა. ამ სანახაობისადმი ინტერესის განახლება შეძლო ერთ-ერთი ინგლისური ფირმის უბრალო მენეჯერმა, — ერიკ მორლიმ. მას დაევალა ლონდონში არსებული ფირმის საცეკვაო დარბაზების რეკლამირება. მოხერხებულმა მორლიმ ერთ-ერთ დარბაზში ბიკინის კონკურსი მოაწყო, სადაც შვედმა ლამაზმანმა კიკი ხააკონსონმა გაიმარჯვა. პრესის წარმომადგენლები იმდენად აღაფრთოვანა შვედმა ლამაზმანმა, რომ მას „მის მსოფლიო" უწოდეს. სწორედ აქედან იღებს სათავეს „Miss World Organization". ამ ფირმის მფლობელი გახლდათ ერიკ მორლი, რომელმაც გახსნა ფილიალები სხვადასხვა ქვეყანაში. ამის შემდეგ ჩამოყალიბდა კონკურსის მთავარი წესი — რომ მასში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ის ლამაზმანები, რომელთაც თავიანთ ქვეყნაში ულამაზესი ასულის სტატუსი მოიპოვეს. 1970 წლიდან კონკურსზე დაუშვეს შავკანიანი ქალები. 1990 წლამდე სანახაობა მხოლოდ ლონდონში იმართებოდა, ახლა კი კონკურსის გამართვის ადგილი ნებისმიერი ქალაქი შეიძლება გახდეს.

# თახვის მოშენება იოლი არ ყოფილა!..

— არის თუ არა ამჟამად საქართველოში გავრცელებული თახვი (თუ არის, რომელ კუთხეში გვხვდება იგი?). შეიძლება თუ არა ჩვენთან თახვის მოშენება?

*გიორგი ადეიშვილი*

კითხვაზე უპასუხებს **ჯემალ რატიანი**, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის ხერხემლიან ცხოველთა განყოფილების გამგე, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.



— ამჟამად თახვი საქართველოში არ არის გავრცელებული. ის საარსებო პირობები, რომელშიც თახვი ბინადრობს, ჩვენთან თითქმის არ არის. ლოგიკურია ალბათ კითხვა — თუ ეს მღრღნელი ჩვენს ტერიტორიაზე არ ყოფილა გავრცელებული, მაშინ რატომ გვაქვს ქართულ ლექსიკონში მისი შესატყვისი სახელი? მეცნიერების ვარაუდით, მღრღნელთა ეს სახეობა საქართველოს ტერიტორიაზე მცირე ოჯახებით ცხოვრობდა და სავარაუდოდ თახვი ინბრედული (ნათესავებს შორის შეჯვარება) დეპრესიის შედეგად გადაგვარდა, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ „ბრაკონიერობა" საუკუნეების წინათაც „ძალაში ყოფილიყო" და თახვებიც ძვირად ღირებული ბეწვის გამო მონადირეთა მადას გადაჰყოლოდა.

ერთი სიტყვით, თახვი ბინადრობს ფოთლოვანი ან შერეული ტყის მასივების მდორე მდინარეებში. საქართველოში მისი მოშენებისთვის ხელსაყრელი მხოლოდ რიონის ხეობა იყო. თახვი გავრცელებულია ევრაზიაში — რუსეთში (ციმბირში), უკრაინაში, ბელორუსიაში, ჩრდილოეთ ამერიკაში და განსაკუთრებით, კანადაში. ამ ცხოველზე ნადირობა აკრძალულია და იგი „წითელ წიგნშია" შეტანილი.

თახვი ზომით ყველაზე დიდია მღრღნელთა შორის. მისი სხეულის სიგრძე საშუალოდ 75-100 სმ-ია, იწონის 20 კგ-მდე. აქვს მოკლე, იშვიათი ღია წაბლისფერი ან მუქი, შავი ბეწვი. ზაფხულში მიირთმევს მცენარეთა ყვავილებსა და ღეროებს. ზამთარში კი იკვებება წინასწარ მომარაგებული მცენარეთა ღეროებითა და ფესვებით. მისი მაკეობის პერიოდი 105-107 დღეს შეადგენს. შობს 2-დან 5-მდე ნაშიერს. თახვის მოშენება საქართველოში დღევანდელ პირობებში თითქმის შეუძლებელია. რაც შეეხება მის მონათესავე მღრღნელს — ნუტრიას, მისი მოშენება ჩვენთან მეტად სარგებლიანიცაა და თანაც იოლი.

# ნატო გელაშვილი პირად ცხოვრებაზე არ საუბრობს

— ძალიან მიყვარს ნატო გელაშვილის სიმღერები და დიდ პატივს ვცემ ამ მშვენიერ ქალბატონს. ჩემთვის სრულიად შემთხვევით გახდა ცნობილი, რომ მან ხელმეორედ იქორწინა. მაინტერესებს, ვინ არის ამჟამად მისი მეუღლე და რატომ გაშორდა პირველ ქმარს?

*ზურაბ ხაჩიძე*



კითხვაზე უპასუხებს **ნატო გელაშვილი**.

— პირდაპირ გეტყვით, რომ ხელმეორედ გათხოვილი ნამდვილად არ ვარ. ეს ჭორია. რაც შეეხება კითხვას, ჩემი ოჯახის დანგრევისა და მეუღლესთან განშორების მიზეზის შესახებ, ამის თაობაზე კომენტარს არ ვიძლევი. მე არ გახლავართ ისეთი პიროვნება, რომელსაც საკუთარი ცხოვრების წვრილმანები თუ მსხვილმანები, ოჯახური პრობლემები და განცდები სააშკარაოზე გამოაქვს. ჩემი აზრით, საკუთარი თავის რეკლამისა და გაზეთის ფურცლებზე მოხვედრის სხვა მეტად მნიშვნელოვანი ხერხიც არსებობს. მაგალითად, არჩეული საქმის სიყვარული და პროფესიონალიზმი. თუმცა, შოუბიზნესში არსებობენ ისეთი ადამიანებიც, რომლებიც ათასგვარ სენსაციურ ამბებს წარმატებით იყენებენ პირადი რეკლამისათვის, რაც ჩემთვის მიუღებელია. პირადი ცხოვრება, კარგია თუ ცუდი, მხოლოდ შენ უნდა გეკუთვნოდეს. ჩემი განქორწინების ფაქტი ფართო საზოგადოებისთვის მხოლოდ ერთი წლის შემდეგ გახდა ცნობილი... ვერავინ დამარწმუნებს იმაში, რომ ჩემი პრობლემები და ტკივილი ვინმემ ჩემს ახლობლებსა თუ ოჯახის წევრებზე მეტად განიცადოს ან გულთან ახლოს მიიტანოს. ამიტომ ნუ მიწყენს მკითხველი და საკუთარი ცხოვრების სააშკარაოზე გამოტანით ვერ შევაქცევ.

# სოფო მოსიძე ტელეეკრანს უბრუნდება

— სად არის ამჟამად „მოამბის" ყოფილი წამყვანი სოფო მოსიძე, რატომ აღარ ჩანს იგი ტელეეკრანზე?

*მაიკო დოლიძე*



კითხვაზე უპასუხებს **სოფო მოსიძე**.

შარშან, სექტემბერში გავიდა კონტრაქტის ვადა, რომელიც ჩემსა და სახელმწიფო ტელევიზიას შორის იყო გაფორმებული. რადგანაც იმ პერიოდში შემოთავაზება მივიღე კერძო ტელეკომპანიისგან, ჩემთვის ხელსაყრელი პირობებით, მეც დავთანხმდი, ვიმუშაო ერთ-ერთი საინფორმაციო პროგრამის წამყვანად. პროექტით ეს ძალზე საინტერესო გადაცემა უნდა იყოს. რაც შეეხება ტელევიზიის სახელწოდებას, სამწუხაროდ, ჯერჯერობით თავადაც არ ვიცით, თუ რა სახელი შეირჩევა. საუბარია რამდენიმე ვარიანტზე. ჩატარდა საზოგადოებრივი გამოკითხვაც და მაყურებლისთვის მოსაწონ ვარიანტზე შევჩერდებით ალბათ. ტელევიზია სულ რამდენიმე დღეში ამუშავდება და ჩემი საეთერო დრო 15-დან 18 საათამდე იქნება. ასე რომ, უახლოეს მომავალში კვლავ ეთერში მიხილავთ.

# სდექ, ალასკაზე წასვლა სახიფათოა!!!

— მსურს ალასკაზე სამუშაოდ გამგზავრება. მაინტერესებს, თუ არსებობს თბილისში ისეთი საშუამავლო ფირმა, რომელიც დამეხმარება ამ პრობლემის გადაჭრაში? რამდენად სანდოა წინადადება ალასკაზე დასაქმებისა თუ გამგზავრების შესახებ?

*თეონა ქართველიშვილი*

*კითხვით მივმართეთ საქართველოში არსებულ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელმაც მოგვახსენა შემდეგი:*



— ჩვენი ორგანიზაცია არ თანამშრომლობს კერძო, საშუამავლო ფირმებთან და მათ შესახებ ცნობებსა თუ ინფორმაციას არ ვფლობთ და შესაბამისად, არც ვიძლევით. რაც შეეხება ალასკას, თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ დღემდე საქართველოს არც ერთ მოქალაქეს ქვეყნის ტერიტორია არ დაუტოვებია ალასკაზე სამუშაოდ გამგზავრების მიზნით, რადგანაც ამერიკის საკონსულოს მიერ ჩვენი ორგანიზაციისთვის მოწოდებული ცნობით, საქართველოში არსებულ არც ერთ ფირმას არა აქვს შესაბამისი უფლება.

*იმავე კითხვით მივმართეთ ამერიკის საკონსულოს, სადაც გვაცნობეს:*

— ჩვენ გვაქვს სერიოზული ეჭვი, ვივარაუდოთ, რომ სამუშაო ადგილების შემოთავაზებანი (იგულისხმება ალასკა) გაყალბებულია. ამგვარი ეჭვის საბაბს გვაძლევს არაერთი გარემოება. მაგალითად, ბროშურებში, რომლებსაც მოქალაქეებს ურიგებენ, უამრავი ფაქტობრივი შეცდომაა. გარდა ამისა, რატომღაც ალასკაზე გამგზავრების მსურველთაგან მოითხოვენ ფულის გადარიცხვას კვიპროსის ბანკში. მოგეხსენებათ, კვიპროსი მსოფლიოში ფულის გათეთრების საკმაოდ ცნობილი „პუნქტია". გარდა ამისა, ბროშურაში ჩაკრულია ვიზის ანკეტა, რომელიც ხმარებიდან ამოღებულია და შესაბამისად, — გაყალბებული. ასევე, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, შუამავლები დაინტერესებულ მოქალაქეებს უმტკიცებენ, რომ ალასკაზე გამგზავრებისთვის არ ყოფილა საჭირო ამერიკის საკონსულოს ნებართვა და რომ ვიზის მიღება თითქოს საკონსულოს გვერდის ავლითაც შესაძლებელია, რაც ასევე აბსურდია და დიდი სიცრუე. აგრეთვე ეჭვს იწვევს ინტერნეტში მითითებული მისამართი, რომელიც გახსნილია yahoo-ში, რაც საქმიანი ფირმებისთვის არ არის დამახასიათებელი. გარდა ამისა, ინტერნეტში მოცემულ ტესტში ბევრი უზუსტობაა.

ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად, გვინდა გაცნობოთ, რომ საზღვარგარეთ მართლაც არსებობს ლეგალური ფირმები, რომლებიც ალასკაზე დროებით დასაქმებას სთავაზობენ ამერიკის თუ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს. მსგავსი ფირმების ლეგალიზებისთვის საჭიროა ამერიკის საემიგრაციო სამსახურის მიერ გაცემული სპეციალური ნებართვა.

*რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა*

**ძვირფასო მკითხველო, „ანიდან ჰოემდე" ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს, და რაც მთავარია, ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...**

CMYK

## მილოცვა



ჩვენო ძვირფასო, ნაზო, მოსიყვარულე და ალერსიანო **ნინიკო**, გილოცავთ დაბადების დღეს! სიმბოლურია, რომ ამ თარიღს დაამთხვიეს „დედის დღე". შენს დღეობას ზეიმობს სრულიად საქართველოს ყველა დედა. შენც სულ ასეთი მოღიმარი და ლაღი იყავი, ჩვენი გულების ნინიკუნა!

*გიორგი, გუჯა და დანარჩენი სვანები...*



**თამრიკო ბერიაშვილ-ბარნოვს!**

გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას, სიხარულს, სიყვარულს, შენს საყვარელ ოჯახთან და ახლობლებთან ერთად.

ძალიან მიყვარხარ.

*მზია ქარქუსაშვილი*

სათნო ქალბატონებს – **ნანა შუკაკიძეს** და **ლალი ყორყოლიანს** დიდი მადლიერების გრძნობით ვულოცავ გაზაფხულის დადგომას.

*ნანა ანტონოვა-ილურიძე*

**ციცო და გიორგი კვარაცხელიებს!**

ბებია და შვილიშვილი – ციცინო და გიორგი,
გაზაფხულზე დაიბადნენ. საოცარი ის არი –
ციცო – ექვსში, გია – ხუთში, თვე კი იყო მარტი,
ერთმანეთი უყვართ ძლიერ, ზეციური მადლით.
ყველას გვხიბლავს საკვირველი ეს დამთხვევა ლამაზი,
გკოცნით მაგრად, გეხუტებით, გაგითენდეთ ათასი.

*ვალერი, ლია, ლიკა, ვიტალი*

**სულიკო დარჯანიას!**

დიდი სიყვარულით გილოცავთ იუბილეს, ჩვენო საყვარელო ბებია. ღმერთმა დაგლოცოს, დიდხანს გაცოცხლოს ჯანმრთელად და ბედნიერად, ბაბუასთან და ჩვენთან ერთად. ძალიან გვიყვარხარ!

*ნათია, თაკო, ნანული, გივი*

**ნანული უფლისაშვილს!**

ჩვენო მშვენიერო, ახალგაზრდა და სითბოთი სავსე დედიკო! გილოცავთ დაბადების დღეს – 8 მარტს. გისურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერებას. ღმერთი გფარავდეთ – შენ და შენს ლამაზ ოჯახს.

*ნათია, თაკო, გივი, თორნიკე*

**გურამ გვიმრაძეს!**

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და დიდხანს სიცოცხლეს!

*მზია გვიმრაძის ოჯახი*

**სალომე მჭედლიშვილს, ეკა გელაშვილს!**

მშვენიერ, ჭკვიან გოგონებს, ეკას და სალომეს, ვულოცავთ დაბადების დღეს, ულევ სიხარულს და სიყვარულს, ჯანმრთელობას ვუსურვებთ. დღემზიანობა გქონდეთ მარადის!

*მშობლები, ახლობლები*

**მაია ცანავას, ვალერი ურუმაშვილს!**

ჩვენო ძვირფასებო, გილოცავთ მარიამის შეძენას, ვუსურვებთ თქვენს პატარებს – მარიამსა და გიორგის, ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, ბედნიერებას. გაგეზარდოთ თქვენი მადლმოსილი ოჯახის ღირსეულ შთამომავლებად.

გვიყვარხართ, გკოცნით.

უფალმა დაგლოცოთ, ურუმაშვილებო! ამინ!

*გული, მიმოზა, ირა*

## გთავაზობთ სამუშაოს

ყურადღება!!! ახალ მაღალპროფილიან კორპორაციას ესაჭიროება 21 მენეჯერი. შესაძლებელია სხვადასხვა პროფესიის ადამიანების გადამზადება-დასაქმებაც. ანაზღაურება – მაღალი. გვაინტერესებს წარმომადგენლები რეგიონებიდანაც. ინფორმაცია უფასოა. ტელ. 52-44-10; 34-67-71; 893 33-18-86

18-25 წლამდე გოგონებს და ვაჟებს ვთავაზობთ გამგზავრებას საფრანგეთსა და გერმანიაში, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

გვჭირდება განათლებული, რუსულის მცოდნე თანამშრომლები. სამუშაო საოფისე, კონტრაქტით. საუკეთესო თანამშრომლებს, წელიწადში 2-ჯერ ეძლევათ შანსი, სტაჟირება გაიარონ მსოფლიოს ქვეყნებში. ანაზღაურება მზარდია – თვეში 300-600 ლარიდან. მიღება – შერჩევით. მენეჯერი ბ-ნი მიხეილი. მის. მ. „დიდუბე", „სამთო ქიმიის ინსტიტუტი", I სართ. ოთახი №6. ტელ: 34-02-38 (19 სთ-მდე); 78-14-94 (საღამოს); 899 90-54-78

## ვეძებ სამუშაოს

მაქვს საერთაშორისო კომპანიაში მუშაობის 6 წლის გამოცდილება. ვმუშაობდი ტექნიკურ მენეჯერად. ვარ კომპიუტერის სპეციალისტი. კარგად ვფლობ გრაფიკულ, ანიმაციურ და ვიდეომონტაჟის პროგრამებს. ვეძებ სამუშაოს ნორმალური ანაზღაურებით. ტელ: 61-70-40; 95-10-36. რევი

## მომსახურება

ჭარბიმძიმობის სამუდამოდ განკურნება უმოკლეს დროში და უკვალოდ. დაიმახსოვრეთ: არ არსებობს მოურჩენელი თმა და ნებისმიერ შემთხვევაში, პირველივე სეანსზე ეძლევა მკურნალობას! მოითხოვეთ გარანტია (თანხის დაბრუნებით). გააკეთეთ სწორი არჩევანი და სილამაზე გარანტირებულია! 57-50-49; 899 91-46-36. მარიკა

[illegible]

## მკურნალობა

თბილისში – მოსკოვის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, მეტყველების ცენტრში, 23-ე საავადმყოფოში კვალიფიცირებული ექიმ-ლოგოპედი, ფსიქოლოგი – თსუ-ს ფსიქოლოგიის კათედრის ასპირანტი-მაძიებელი, ყველა ასაკში, მოკლე დროში, უახლესი მეთოდით, ჩინური ნემსებით, წერტილოვანი მასაჟებით და აღმდგენი აპარატებით აღადგენთ ხმისა და მეტყველების ყოველგვარ დარღვევას – ენაბორძიკობას, ნევროზს, პარეზს და სხვა დარღვევებს. მიღება წინასწარი სატელეფონო ჩაწერით: 899 55-05-75

პატივცემულო მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, ანთებების, უშვილობის პრობლემების მოგვარება, პროსტატის ჯირკვლის გაწმენდა ოპერაციული ჩარევის, უხერხული მასაჟებისა და ნემსების გარეშე – ძალზე ეფექტური, უნიკალური ბალახებით, ანონიმურობის სრული გარანტიით. ტ: 96-62-58; 899 14-64-95

მხოლოდ ჩვენთან! მეჭეჭების, პაპილომების, კონდილომების, ხალების, ლაქების, სვირინგების, ნაწიბურების და სხვა წარმონაქმნების მოცილება; ეროზიების, ლეიკოპლაკიის მკურნალობა უახლესი $CO_2$ ლაზერით. მხოლოდ ერთი სეანსი! მაღალი კოსმეტიკური ეფექტი! მის: ბახტრიონის ქ. №18. სამკურნალო ცენტრი „ლაზერი". ტელ: 877 468-253; 91-18-33

არტერიული ჰიპერტონიის მკურნალობა აპარატით (Electro-effector) და მედიკამენტებით (გაცემა უფასოა), მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის კონტროლის ქვეშ. მის: ვაჟა-ფშაველას №29, სამედიცინო უნივერსიტეტის ცენტრალური კლინიკა, IV სართ. გასტროენტეროლოგიური განყოფილება, ოთახი №481. მიღება: 11-13 სთ, ჩაწერა წინასწარ: 66-04-67; 899 24-49-20

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე, სამკურნალო მცენარეებისა და თეთრი მუმიოსგან ამზადებს მალამოებს, საფენებს და ხსნარებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს, მარილებს, ართროზს, საშწვერა ნერვს, რადიკულიტს, პოლიართრიტს, სახსრების ანთებას, ქოლეცისტიტს, გასტრიტს. მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 5-8 დღეში სრული გარანტიით. მის: ფიფიას (ყოფ. ვორონინის) ქ. №25, II სართ. („დინამოს" პირდაპირ). ტ: 34-04-06; 34-62-51 (მიღება ყოველდღე, შაბათის გარდა, 13-16 სთ.)

## ვასწავლი

კომპიუტერული სტუდია – „დავი" კომპიუტერი, გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების და უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიითა და სწავლების დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის" უკან). ტელ: 98-44-20; 899 14-03-31

ეროვნების და ვაჟიარის უნივერსიტეტის გერმანული ენის ფაკულტეტდამთავრებული, უმაღლესი კლასის სპეციალისტი მოამზადებს ბავშვებს 5 წლიდან მე-9 კლასის ჩათვლით. ფასი $25. ტ: 37-38-10; 893 26-70-98. ვენცა

ფირმა „ქართი" აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე: 1. მასაჟისტი (სამკურნალო, ჰიგიენური, ჩვილ ბავშვთა მასაჟი); 2. პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი); 3. კოსმეტიკა (ეპილაცია, მასაჟი, მაკიაჟი, მლამოები); 4. ვიზაჟი; 5. პედიკური, მანიკური. კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. აღმაშენებლის გამზ. №115ა. კაბ. №20 (ეზოში). ტ: 94-01-82; 95-83-18; 96-22-89

პირველად თბილისში! ახალი ტიპის საკვირაო სკოლა უზრუნველყოფს ბავშვთა აქტიურ დასვენებას, მრავალმხრივ შემეცნებას – მსუბუქ, ხალისიანი ფორმებით: ფსიქოლოგიური სამსახური; კულტურულ ღონისძიებებზე დასწრება; ინტელექტუალური თამაშები; სისტემატური შეხვედრები ცნობილ, საინტერესო ადამიანებთან. მიიღებიან ბავშვები 5-დან 15 წლამდე. ჯგუფები დაკომპლექტდება ასაკობრივ კატეგორიებად. თითო ჯგუფში – მაქსიმუმ 10 ბავშვი. მისამართი: ნიკო ნიკოლაძის ქ. №6 (ვერის პარკთან). შაბათ-კვირას, 12-18 სთ. ტელ: 98-72-54; 877 43-21-02; 899 56-35-31

## იყიდება

სმენის აპარატები, შეღავათიან ფასებში, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით. აგრეთვე, ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები, გარანტიით. ტელ: 95-95-22 (15-19 სთ); 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ)

ა/მ ფორდი „ფერმერი", 6-კაციანი, 260 სმ სიგრძის ტენტიანი ძარით, 1993 წლის გამოშვება; გერმანიიდან ჩამოტანილი ავეჯი – კედელი, ტყავის 2 დივანი; საყინულე მაცივარი (420 ლარი); „პირამიდა" კომპიუტერი, 19-იანი მონიტორით; ტელ: 60-89-60

სავენახე: რკინა-ბეტონის ახალი ბოძები და ლუზები; მოთუთიებული და სპეციალ. ქიმიურად მდგრადი პოლიმერით დაფარული მავთულები. ტელ/ფაქსი: 94-27-15; 94-26-47

## შევიძენ

თმას. მის: ცენტრალური რკინიგზის სადგური, მე-2 სართ. მაღაზია „ესთეტი". 12-17 სთ. დასვენება შაბათ-კვირას.

## ხსოვნა

**გიორგი ჯიბლაძის ხსოვნას!**



რა მალე გავიდა ეს ერთი წელიწადი... ჩვენი ცხოვრების დაძაბული რიტმის მიუხედავად, არ ყოფილა დღე, შენ არ გაგვხსენებოდი, შენზე არ გვეთქვა რამე, თუნდაც ამოოხვრით: „ეხ, გიო!"; თუნდაც ღიმებით – როცა შენი იუმორი გაგვახსენდებოდა, ან დანანებით – ასე ახალგაზრდა, ნიჭიერი რომ წახვედი, ცოლი და პატარა შვილები რომ დაგრჩა... ყველა ჩვენგანი სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე დგას ყოველ წუთს, გიო და ამიტომაც გესაუბრებით ასე შორიდან და ასე ახლოდან. შენც ჩვენ შორის ხარ... განა არ იცი, როგორ გვტკივა გული, როგორ გვახსოვხარ. ერთი წელი გავიდა. შენთვის, მარადისობაში გადასულისთვის, ეს ერთი წელი არის „წელი, ვითარცა დღე"; ჩვენთვისაც დღესავით მალე გავიდა, მაგრამ ეს დღე იყო, ვითარცა წელი!!!

ღმერთი იყოს შენი მფარველი ზეციურ საქართველოში. ილოცე ჩვენთვის, ცოდვილ მიწაზე დარჩენილთათვის, გიო!

*„კვირისპალიტრელები"*

**მაყვალა ჯაფოშვილი-ქტიაშვილის გახსენება**



ჩემო საყვარელო და დედასავით დიდო მოამაგე, ჩემო ძვირფასო დაო მაყვალა, გავიდა ცრემლიანი და ტკივილიანი სამი წელი, რაც ჩვენ შორის აღარა ხარ. 3 მარტი, დედის დღე, მწარე მოგონებად დაგვიტოვე – შენს ოჯახს, დედმამიშვილებს, ახლობლებს. ჩემო მაყვალა, დიდია შენი დაკარგვით გამოწვეული გულის ტკივილი. შენ ხომ შენს უფროს შვილად მთვლიდი. მე კი, ადრე დაობლებულს, დედად მიმაჩნდი. ჩემო დაიკო მაყვალა, კიდევ ერთხელ დიდ მადლობას გიხდი, ჩემზე ზრუნვის, სითბოსა და სიყვარულისთვის. მუდამ მახსოვხარ, მიყვარხარ და მენატრები. ღმერთს ვთხოვ, ნათელში ამყოფოს შენი წმინდა სული.

*შენი ძმა ნოდარი*

**ანა შალამბერიძეს!**



ანგელოზებმა აიტაცეს ცაში ჩვენი საყვარელი ანა მასწავლებლის სული. პატარა გულებს კი არასოდეს დაავიწყდებათ ეს თავზარდამცემი ტკივილი. როგორ შევხვდეთ გაზაფხულს უთქვენოდ? თქვენ ხომ თვითონ იყავით ჩვენთვის გაზაფხული და ყვავილების ფერია... სასწავლო წელი, თანაკლასელი მარიამის გარეშე დავიწყეთ, დასრულება კი, უთქვენოდ მოგვიწევს. ღმერთო, გვაკმარე ცრემლი და იარა. ძალიან გვენატრებით, ანა მასწავლებელო.

*62-ე სკოლის VII[1] კლასის მოსწავლეები და მშობლები*

**ფრიდონ ნიკოლოზის ძე გელაშვილის ხსოვნას!**

რვა წელი გავიდა, რაც ჩვენგან წახვედი, ძვირფასო მამა. გვენატრები და ჩვენს ლოცვაში მარად ცოცხლობ. გვჯერა, შენი ლამაზი სული სასუფევლის მკვიდრია და იქიდან ლოცულობს ჩვენზე.



*სულსპეტაკი და გულბავშვი მამა*
*მოულოდნელად გამოგვეცალა.*
*ჩვენ დაგვაობლა თვით ღმერთმა ისამ*
*და ამ ცხოვრებას ფერი ეკვალა.*
*ბედნიერები ვიყავით მაშინ,*
*თან ვიგულებდით როდესაც მამას...*
*მოგონებებით დაღლილ თვალთაგან*
*ტკივილნარევი ცრემლები გვნამავს.*

*შვილები*

**ელისო კაკაბაძის და მერი დოლიძის ხსოვნას!**





3-8 მარტს მოგილოცავდით იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ მეცნიერებათა ეროვნულ ინსტიტუტში, სადაც მუშაობდით და სამაგალითონი იყავით მაღალი პროფესიონალიზმით, საქმისადმი უდიდესი სიყვარულით, პასუხისმგებლობითა და გულისხმიერებით. ყველას გვიყვარდით. მრავალი შრომის და წიგნის ავტორებს კიდევ ბევრის გაკეთება შეგეძლოთ.

*თამარ გოგოლაშვილი*

**ეთერ ჯიქიას ხსოვნას!**



27 იანვარს, წმინდა ნინოობის დღესასწაულზე შენმა სულმა სასუფევლის ნათელი გზა აირჩია. მძიმე სენისგან გატანჯულმა, მაინც შეძელი მშვიდად და უშფოთველად გადასვლა მარადიულ ცხოვრებაში. 7 მარტს ორმოცი დღე შესრულდება შენი გარდაცვალებიდან, ჩვენო საყვარელო, კეთილო და იმედიანო დედიკო. უშენოდ განვლილი დღეები, თუნდაც თვეები, ვერ იქნება მკურნალი იმ დარდის და მწუხარების, რასაც შენი შვილები და შვილიშვილები განვიცდით. შენ ხომ წლების მანძილზე იყავი ძალიან დიდი ოჯახის დიასახლისი, შენ ხომ ულევ სითბოს და სიყვარულს გვინაწილებდი ყველას.

10 წელი იმედით ცხოვრობდი, ნატვრად ქცეული აფხაზეთი დიდ ტკივილად დაგრჩა გულში. დაბრუნებაზე ოცნებობდი, გინდოდა ქმრის და სიძის საფლავების მონახულება, რომლებიც შენ დაასაფლავე საკუთარ ეზოში. შენ ძლიერი და უშიშარი სულის პატრონი იყავი. სწორედ ასე უშიშრად შეხვდი სიკვდილსაც, შვილებს ხმამაღლა გამოგვიცხადე: მე გტოვებთ, თქვენგან მივდივარ და ახალ ცხოვრებას ვიწყებო.

ჩვენ კი ვილოცებთ და წმინდა ნინოს შევავედრებთ შენს სულს, რათა ცათა სასუფეველში დაიმკვიდროს შენმა სულმა.

*შენი შვილები და შვილიშვილები*

**ნელი ჩიტიშვილის ხსოვნას!**



გლოვის მოთქმა არ მინელებულა ჩვენს გულებში და თვალზე ცრემლი არ შეგვშრობია. ტყუილი ყოფილა – დრო მკურნალიაო. ძალიან გვენატრები. ღმერთმა ერთადერთი სურვილის ასრულების ნება რომ მომცეს, – შენს სიცოცხლეს ვინატრებდი, ნელი, ჩემო დაიკო!

მოწყენილი და ცრემლიანი დღეები მიფრინავენ და აი, უკვე მეოთხედ ვხვდებით 5 მარტს – შენს დაბადების დღეს უშენოდ. ოთხი წელი მიილია, რაც უსაშველო მოლოდინით ვიტყუებთ თავს. რა გაუსაძლისია უშენობით გამოწვეული სიცარიელე, ჩვენო სულით სპეტაკო, გულით თბილო, სიცოცხლით სავსე ადამიანო! – ცრემლები გვახრჩობს. გვზარავს შენი ცივი სასაფლაო, სინამდვილე აუტანელია: რამხელა ტკივილი ხარ.

შენ მუდამ ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე დარჩები ჩვენს გულებში. ღმერთს ვავედრებთ შენს ლამაზ სულს; ნათელში იყავი, ჩვენო ძვირფასო დაიკო!

*ახლობლები*

**ალიკა ქარჩაიძის გახსენება**



შვილო ალიკა, ერთი ტკივილიანი წელი გავიდა. ამ ტკივილს უშენობა ჰქვია, შენს საფლავზე გატარებული მწარე დღეები ჰქვია. სიკვდილსაც კარგი უნდაო...

4 მარტს მეორე მწარე დაბადების დღე მოვიდა უშენოდ. საცოდავ შენს მშობლებს ვერ გაუნელა ის უსაზღვრო მწუხარება, რაც შენი ამ ქვეყნიდან წასვლით დაუტოვე. ვერაფრით ვერ ვეჩვევით შენს უდროოდ წასვლას. შენმა კეთილმა, ალერსიანმა გულმა გიღალატა ასე მოულოდნელად და უდროოდ – 34 წლის ასაკში.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული და მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური მჭადიჯვრის მიწა.

*შენი გამწარებული მშობლები, ძმები და ცოლ-შვილი*

**მადონა სიხარულიძის მონატრება**



*დაღუპულია 9 აპრილის მძიმედ მოწამვლის შედეგად, 1994 წლის 31 დეკემბერს*

მშობლების და ყველა ახლობლის დიდი იმედი და ნუგეში იყავი, მადონა, შენ გენაცვალოს დედა. ცხრა წელია უკვე, უშენოდ ვართ. ოჰ, რა მწარეა სიტყვა „უშენოდ". დაგვიტოვე სამუდამო მოუშუშებელი ტკივილი.

ჩემო გაუხარელო შვილო, ხშირად მგონია, მიტინგზე ხარ წასული და სადაცაა შემოაღებ კარს!

5 მარტი შენი დაბადების დღეა. ისევ მოვალთ შენს საფლავზე, მოგიტანთ ყვავილებს, დაგინთებთ წმინდა სანთლებს და ვილოცებთ შენი გაუხარელი სულისთვის.

ბიძაშენი, შენთვის ღირსშესანიშნავ დღეს, ყოველთვის პირველი მოდის შენს საფლავთან, შენი საყვარელი ყვავილებით. განუზომელია შენი მონატრება, ჩვენო უდროოდ წასულო შვილო. 26 წლის ასაკში შეაღე მარადიული ცხოვრების კარი, შენ და შენი თანატოლების დაღუპვის შემდეგ, გულს მტკენს აპრილის მოსვლა.

*„აღარ მიყვარხარ, აპრილო, სისხლიანი გაქვს კალთა,*
*მე თუნდაც გაგენაპირო, მე თუნდაც რამე არ ვთქვა,*
*ზეციდან მათი სულები ყველას აცნობენ მართალს".*

მადონა, ძნელია შენსა და ლექსის გარეშე. მუდამ ნათელი ფარავდეს უდროოდ გაფრენილ შენს წმინდა სულს.

*ნაირა სიხარულიძე-კიკნაძის ოჯახი*

**ზურაბ სირაძის გახსენება**



ცრემლსა და მწუხარებაში გავიდა ტკივილით და მოგონებებით სავსე ერთი წელიწადი. უშენოდ მოვა გაზაფხული, მასთან ერთად – შენი დაბადების დღე. გვენატრები, უზომოდ გვენატრები, ჩვენო კეთილო, ლამაზო და მოუსვენარო ზურა!

ტრაგიკულმა შემთხვევამ შეწყვიტა შენი სიცოცხლე. მიგვატოვე და მარადისობაში გადახვედი... გაუსაძლისი ტკივილით ვიხსენებთ იმ უკანასკნელ წუთებს, შენი დაკარგვის შიშით რომ ვცხოვრობდით და ყველას ერთმანეთის აცრემლებულ თვალებში რომ ვეძებდით... შენი იმედიანი სიტყვები ახლაც ჩაგვესმის მეათასეჯერ, უგონოდ მყოფმა დედის სიახლოვე რომ იგრძენი და ამხნევებდი: „ნუ გეშინია, დედა!"

უზომოდ გვიყვარდი, გვეამაყებოდი და გვეიმედებოდი. შენი 23 წლის მანძილზე მოასწარი იმდენი სიკეთისა და სიყვარულის დათესვა, რასაც მთელი სიცოცხლე სჭირდება.

უფალმა ნათელში დაამკვიდროს შენი ბობოქარი სული, შენს მამიკოსთან ერთად. და ჩვენ, შენს დედიკოსთან და დაიკოსთან ერთად, ვილოცებთ შენთვის...

*შენი რუსიკო, ზურა, ნინიკო და გურამ ადამიები*

**მაია მაისურაძის მონატრება**



მაია, 5 მარტი შენი დაბადების დღეა – 30 წლის გახდებოდი, ჩვენო საფიცარო, გაზაფხულივით მშვენიერო. აღარ გვიხარია გაზაფხული უშენოდ. პირველი დაბადების დღეა შენ გარეშე – ტკივილიანი, ცრემლიანი. 29 გაზაფხული ეყო შენი ღირსეული ქალის სახელის დამკვიდრებას. 29 ფოთოლი ჰქონია შენი სიცოცხლის ხეს და ისიც ისეთი ლამაზი...

ყველა შენი ახლობელი სიყვარულით გიხსენებს და გილოცავს დაბადების დღეს. რა ბედნიერი მეგონე და რა უბედური ყოფილხარ, შვილო... ყოველი დღე შენზე მოგონებით იწყება და მთავრდება. ყველაზე მეტად დედის სათუთი გული დაიჩაგრა, რომელიც ყოველი მხრიდან გეფარებოდა, რომ არ ჩამქრალიყო შენი სიცოცხლის სანთელი, მაგრამ დედაზე ძლიერი შენი ბედისწარა აღმოჩნდა. ვაი, მოგიკვდეს დედა! როგორ მალე დაბნელდა შენი წილი მზე. უშენოდ არასოდეს ვიქნებით ბედნიერნი. თურმე შენ გვაგრძნობინებდი სიცოცხლის ძალას და ვაი, რომ სიკვდილის ძალაც შენ გვაგრძნობინე. შენი ანუკი, ნინო და გიორგი გილოცავენ 3 მარტს – დედის დღეს; გიძღვნიან ყვავილებს და ფრიადებს. გიორგიმ უშენოდ გადადგა პირველი ნაბიჯი. ვაი, რომ დედას ვერავის დაუძახებს, გაიზრდება ობლად. ვესაუბრებით შენს სიყვარულზე, აუხდენელ ოცნებებზე. გვენატრები, ჩვენო საყვარელო შვილო, მეუღლევ, დაიკო!

გვჯერა, რომ ამქვეყნად მშვენიერ არსებად მოვლენილს, იმ ქვეყნადაც ანგელოზობა გერგო წილად. დეიდაშენმაც ხომ ანგელოზად გნახა სიზმარში.

გვიყვარხარ, გვენატრები, შენ სულს ვფიცულობთ. ყველაფერს გისრულებთ, რასაც შეგპირდით, დედა.

*შენი უბედური ოჯახი*

**ნანა ქართველიშვილს!**



ბებო, გილოცავთ დაბადების დღეს და დედის დღეს. ძალიან გვენატრები.

ისევ შენთვის დავკრიფეთ ია, ია, ლურჯთვალა, მაგრამ... ვდგავართ საფლავთან და ვევედრებით ღმერთს: მოიხსენე, უფალო, სული გარდაცვლილისა მხევალისა შენისა ნანასი, მიუტევენ მას შეცოდებანი მისნი და დაუმკვიდრე სასუფეველი.

გვიყვარხარ, ისევ გეალერსებით და გკოცნით უთვალავს.

*შენი ანანო, ელენე, ნათია, ირაკლი; შენი ოჯახი*

**გრიგოლ (გუგუშა) ვეკუას გახსენება**



8 მარტს ორმოცი დღე სრულდება, ბიძია, შენი გარდაცვალებიდან. შენისთანა ადამიანები არ უნდა კვდებოდნენ – მეტად საჭირონი არიან. შენ, სინდისზე, ზნეობაზე, მორალზე, ტრადიციებზე გაზრდილი, კაცური კაცი იყავი. ირგვლივ სიკეთეს თესდი და კიდევაც იმკიდი. ყველას უყვარდი, გაფასებდნენ.

ცხოვრებამ მძიმე გამოცდა მოგიწყო – ბევრი მწარე და ტკბილი გაგემა. ვაჟკაცურად იდექ, მაგრამ ბოლოს გულმა ვეღარ გაგიძლო. ამ ქვეყნიდან ვალმოხდილი წახვედი.

თუ აფხაზეთში დაბრუნება გვიწერია, ბაბუშერის მამა-პაპათა საძვალეს დაუბრუნდები. თუ არა და, მსუბუქი იყოს შენთვის თბილისის მიწა, რომელმაც მიგიღო და მიგიბარა.

*შენი და ფატიმა; დისშვილები: ეთერი, ლუიზა, მზია, მარინე, გონელი*

**ალიოშა ჯამრულიძის მონატრება**



სასიკვდილოდ ყველა ბრალია, ბერიც და ახალიც, მაგრამ სამზეოდან შენნაირი ვაჟკაცების სამუდამოდ გაუჩინარება, ერთი-ორად ამძიმებს და ამძაფრებს აქ დარჩენილთა ისედაც უნუგეშო განწყობილებას.

ამიერიდან ორმოცი დარდიანი დღის შემდგომ, შენც იქ გვეგულვი, სადაც ცას წვერმიბჯენილი თეთრი ციხის ზედათვლებში ერთი ასაკის ახალბედები იკრიბებიან და სევდიან სიმღერას ამბობენ, წუთისოფლის უხანობასა და დაუნდობლობაზე.

გულის გამფლეთ ტკივილამდე საკლისობს შენს სიახლოვეს და ახოვანი სულის გამონაშუქს შენი ცოლ-შვილი; საკლისობენ შენი მშობლები, დები, დეიდები და დეიდაშვილები, მოკეთე-ახლობლები, მეგობრები და მეზობლები... და, ალბათ, პატრონდაკარგული ცხვრის ფარაც ჟივილით აწყდება ელდარსამუხის ფერგაცრეცილ სანახებს...

მჯერა: ვიდრე ამ ცოდვილ მიწაზე სიავ-სიკეთის გარჩევა და კაცობის გასაგისი იარსებებს, შენს ხსოვნას გახუნება არ უწერია.

*ამირან არაბული*

**ლამარა ბიჩინაშვილის მონატრება**



პირველად ვხვდებით შენს დაბადების დღეს – 8 მარტს უშენოდ, ტკივილით, ცრემლით.

ხანმოკლე აღმოჩნდა შენი მიწიერი სიცოცხლე.

სიკვდილსაც კარგი უნდაო... ყველასგან გამოირჩეოდი შენი გულწრფელობითა და სისპეტაკით.

ადრეულ ასაკში გამოცადე მშობლების, დის, გამზრდელი მამიდის სიკვდილი. იქნებ ამანაც იმოქმედა შენს თირკმლებზე. მძიმე სენმა მოგისწრაფა სიცოცხლე. ამაოდ იბრძოდა ყველა შენი გადარჩენისთვის.

ცრემლიანი თვალებით დაგეძებ ყველგან, მაგრამ უშედეგოდ.

მენატრები ძალიან. მენატრება შენი ალერსი, ხმა, ღიმილი.

ნუგეში ისღაა, რომ ოდესმე ერთად ვიქნებით. ღმერთი იყოს შენი მფარველი ცათა სასუფეველში.

*შენი გამწარებული და – ლუიზა ბიჩინაშვილი*

ალექსანდრე, გულნაზი, მელსი სილაგაძეები ოჯახებით იუწყებიან და თანაგრძნობას უცხადებენ კახმეგ, თენგიზ, ეთერ კუდავებს, დედის

**ლარისა ობოლაშვილი-კუდავას**

გარდაცვალების გამო.

მამიდა ციალა კალაძე; ბიძა ვასო ხუჭუა; მამიდაშვილები: დალი და ლალი კოხრეიძეები, ლია და ზურიკო ხუჭუები; რძალი ნანა ნამიჭეიშვილი; სიძე ვახტანგ ხარაიძე შვილებით; ლევან მანჭავიძე, ვალერი სხილაძე, ლევან ხარაიძე, ანა და ციალა ხუჭუები იუწყებიან

**ტარიელ ამბროსის ძე კალაძის**

გარდაცვალებას.

# ღოლი შუაღამისას

ღრმა ძილში ჩაძირული სოფელი თოფის ხმამ ფეხზე დააყენა — ბიჭის დაბადების სამახარობლო ეგონათ...

ოჯახის უფროსმა ფანჯარაში შემოჭრილ სითეთრეს თვალი გაადევნა და ეზოში მონავარდე არსება დალანდა: უცნაური, თმაგაშლილი სხეული მოსასხამს აფრიალებდა, ბუქნავდა, როკავდა. ფეხმძიმე ქალმა საბანი წაიფარა და კანკალი დაიწყო. კაცმა თოფს წამოავლო ხელი, სირბილით ჩაათავა კიბე, მიზანში ამოიღო რაღაც თუ ვიღაც, ესროლა. ის კი ისევ როკავდა, მოსასხამს აფრიალებდა. მერე ნელა შეუყვა აღმართს. თან რძისფერი ზოლი გაიყოლა. შემთხვევის ადგილს აქეთ-იქიდან მოაწყდნენ მეზობლები. რამდენიმეს წინ შეეფეთა. ზე აიწია, შარიშურით გადაუფრინა მომხვდურებს თავზე. დასცეს ყიჟინა, ჩირაღდნებით გააჩახჩახეს გზა-ბილიკები. კოცონი დაანთეს.

ალია შემოჩენილი ხეობიდან. წყალთხელზე გამოდის ღამით, უხორცოა და უსახო, ტყვია არ ეკარებაო ტიალს, — ამბობდნენ.

...დედამ ჩვილის აკვანს ავგაროზი დაჰკიდა. ბალიშის ქვეშ დანა ამოუდო. იმ დღიდან გაქრა მოჩვენება. გადაიკარგა, დარჩა ლეგენდად.

დავაჟკაცდა ყმაწვილი. ცა ქუდად არ მიაჩნდა, დედამიწა — ქალამნად. სროლასა და ჯირითში არ ჰყავდა ბადალი.

— შენ ავი ანგელოზი გდევს. ხეობიდან ამოვიდა იმ ღამით, როცა დაიბადე, სოფელმა გადაგარჩინა, ცეცხლის ალით გააქრო კუდიანი, — უთხრა ერთხელ ჭაბუკს ღვინით შეჭიკჭიკებულმა მეზობელმა. ბიჭებმა ჯერ გულიანად იცინეს, მერე დანაძლევდნენ: ვინ გაათენებდა ხეობაში მარტო. „მან" ითავა. შებინდებისას მიაცილეს თანატოლებმა „ქაჯების ბუდესთან".

იარაღში ჩამჯდარმა შუაღამემდე იხეტიალა ხეობაში. მთვარე ჩავიდა. ჩამობნელდა. ყმაწვილი წყლის პირას ჩამოჯდა კუნძზე. თვალი მილულა თუ არა, რაღაც მარწუხივით შემოეჭდო ყელზე. საკუთარმა ხრიალმა გამოაფხიზლა. ჩამოიგლიჯა საკინძე, ძლივს მოიშორა კისრიდან სიმძიმე. ნაკადულს მიღმა ბუწკნარს შეერია რძისფერი ზოლი. მხდალი ვყოფილვარო, — გაიფიქრა ჭაბუკმა. მაინც არ გამოჰკრა ჩახმახს, არ შეირცხვინა თავი. გათენდა, მზემ დალალები გადმოფინა ფერდობს.

ფერდაკარგული ამოვიდა ხეობიდან. ნაძალადევი ღიმილით შეეგება მეგობრებს. შეგცივნია, ბეჩაოო — და ცეცხლთან მიიწვიეს, „კაიყმობისა" თითო ყანწი გადახუხეს. ნაძლევი მოგებული იყო. ქეიფის დღე დათქვეს და დაიშალნენ. ის კი შინ დარდიანი მივიდა. სარკეს ეცა. ყელზე ირიბად ჩასდევდა ხუთწვერი ნაკაწრი. დედას ვუტირებო, — შეიკურთხა. მას მერე ღამით ჩადიოდა ხეობაში. ცხენს ფერდობზე უშვებდა. არსაიდან ხმა. არავითარი მოჩვენება, არც ავსული, ქაჯი და ეშმაკი...

გამოხდა ხანი. გიორგობა ახლოვდებოდა. სოფლის ბიჭები ბედნიერ დღეს დოლს მართავდნენ. ისიც ემზადებოდა. ცხენი ისე მისჩვეოდა ხეობის ფერდობებს, გაუშვებდნენ თუ არა, იქითკენ დაეშვებოდა და მთელ ღამეს



ძოვდა. ერთ დილას კი ფაფარდაწნული მოადგა ეზოს. ათი-თორმეტი წვრილი ნაწნავი ეკიდა კისერზე. პატრონი დაუშლიდა, დავარცხნიდა, გაუშვებდა საძოვარზე, იქიდან კი ისევ დაწნული ფაფრით ბრუნდებოდა. რაღაც ენიშნათ. დედამ გააფრთხილა — ცხენს ხეობაში ნუ გაუშვებო. არ დაიშალა. აისხა იარაღი და თან გაჰყვა პირუტყვს. შუაღამისას შარაგზაზე ცხენების თქარათქური და უცნაური ყიჟინა გაისმა. ექო მთებს შეასკდა და კარგა ხანს გაგრძელდა. დილით დაღლილი, გაოფლილი ცხენი ცახცახით შეეგება პატრონს. ასე გრძელდებოდა მთელ კვირას. ცნობისწადილით გამწარებული ვაჟკაცი თავისას არ იშლიდა. გაუშვებდა ცხენს, გაჰყვებოდა უკან, სადმე ჩაიმუხლებდა, შუაღამისას ცხენების თქარათქური და ჭიხვინი წამოაგდებდა უცაბედად.

ერთხელ გზისპირას დაუდარაჯდა. უკუნი დაეპატრონა მიდამოს. შავად მოიქცა სამყარო — ტყე, მთა, ხე, ბუჩქი, ცხენიც და კაციც წყვდიადში ჩაიკარგნენ. უცებ გაისმა თქარათქური. კაცი შუაგზაზე დადგა. იარაღი შემართა, აქეთ-იქიდან ჩაუქროლეს ბედაურებმა, კინაღამ გადათელეს. განზე გახტა. ჩირაღდანი აანთო. ხორციელი არ ჭაჭანებდა იმ არემარეში. დილით ცხენი ისევ დაღლილი და გაოფლილი მიეახლა პატრონს. მას შემდეგ დააბა თავლაში. ღამით არ უშვებდა გარეთ. დოლისათვის ამზადებდა. გიორგობა ღამეს ბრაგაბრუგმა წამოაგდო ფეხზე. თავლაში ჩავიდა ანთებული ჭრაქით. მჭიდროდ გადასკვნილი დაწნული ფაფარი ცხენს ყელში წასჭეროდა და საცოდავად ფართხალებდა.

— შენი ჭირის სანაცვლოა, — უთხრა დედამ, — რაც გაჩნდი, რაღაც ლოდივით მაწვა გულზე. ეშმაკმა თავისი წილი წაიღო. დღეს გიორგობაა, წადი, ილოცე...

***თუთი რატიანი***

# ადამიანი–თევზი

70 წლის შალკუდელმა იოგმა მიშტრამ კარგა ხანია სახელი გაითქვა თავისი უცნაურობებით. ამას წინათ მან მეცნიერებიც გააოცა — იოგს ფეხებზე ტყვიის გირები დაჰკიდეს და ტბის ფსკერზე ჩაუშვეს. 9 მ-ის სიღრმეზე იოგი ლოტოსის პოზაში დაჯდა და 144 სთ არ განძრეულა. რომ ამოიყვანეს, ექიმებმა დაწვრილებით გამოიკვლიეს მოხუცის ორგანიზმი — არც ერთ ორგანოში დარღვევა არ დაფიქსირებულა.

როგორც იოგმა ბრძანა, ამას ღრმა მედიტაციის წყალობით მიაღწია. ექიმების გაანგარიშებით წყლის ფსკერზე ჩაშვებისას მოხუცი მხოლოდ 2-3 წუთის სამყოფ ჰაერს თუ შეისუნთქავდა, მან კი იქ მთელი 144 სთ გაძლო.

***ინტერპოლ-ექსპრესი №6***

# იდუმალი უცნობი



18 იანვრის ღამე. ბალტიმორი. მიტოვებული სასაფლაო. ჩაბნელებული ვესტმინსტერ ჰოლი. სასახლის ფანჯრები სასაფლაოს გადაჰყურებს. ფანჯრებთან მდუმარედ დგანან ადამიანები. სასაფლაოს ჭიშკართან ხალხს მოუყრია თავი. ზოგი მანქანაში ზის და ჭიშკარს თვალს არ აშორებს. ყოველ მათგანს ვიდეოკამერა, ჭოგრიტი და ფოტოკამერა უჭირავს ხელში.

„ეს ის არის! ის არის!" — ნიავივით გადაუქროლა ამ სიტყვებმა მომლოდინეებს. ოთხის ნახევარია. სასაფლაოს ჭიშკარში შედის შავლაბადიანი ახოვანი მამაკაცი. სახეს კაპიუშონი უფარავს, ხელში მომცრო ფუთა უჭირავს.

ლაბადიანი მამაკაცი ერთ-ერთ საფლავთან შეჩერდა, რამდენიმე წამს გარინდული იდგა, შემდეგ საფლავის ქვას ხელი შეახო, ფუთა იქვე დადო და სიბნელეში გაუჩინარდა.

ვერც ერთმა ვერ მოასწრო მისი გადაღება. ყოველ მათგანს მხოლოდ ერთი კითხვა აწვალებდა — ვინ არის ეს მამაკაცი? ის ხომ არ დადის ყოველ წელიწადს ამ საფლავზე, სადაც სამ წითელ ვარდს და ნახევარ ბოთლ „მარტელს" ტოვებს?

ამჯერადაც საფლავზე იდო სამი წითელი ვარდი და კონიაკ „მარტელის" ჩანახევრებული ბოთლი.

ეს რიტუალი 25 წელია, გრძელდება. ყოველ წელს ვესტმინსტერ-ჰოლში გროვდებიან ადამიანები, ვისაც სურთ ამ საიდუმლოს ამოხსნა. ღამის თვალთვალს ხელმძღვანელობს ჯეფ ჯერომი, ბოსტონის ედგარ პოს მუზეუმის დირექტორი. ყოველწლიურად ამერიკელი მწერლის თაყვანისმცემლებისგან მიღებული ბარათებით ის არჩევს რამდენიმე კაცს, რომლებსაც წილად ხვდებათ ბედნიერება, ნახონ შუაღამის სტუმარი.

პირველად უცნაური კაცი ედგარ პოს საფლავთან გამოჩნდა 1949 წლის 18 იანვრის ღამეს, მწერლის დაბადების დღის წინა დღეს. ეს მოხდა მისი გარდაცვალებიდან ზუსტად 100 წლისთავზე და მას შემდეგ მწერლის იდუმალ თაყვანისმცემელს ეს ტრადიცია არ დაურღვევია.

დეტექტიური ჟანრის მამამთავარმა ედგარ პომ სახელი გაითქვა მისტიკური პოემებით, ლექსებითა და საშინელებათა მოთხრობებით. ის 40 წლისა გარდაიცვალა — ბალტიმორის ერთ-ერთ ბარში გონება დაკარგა.

მწერლის სიკვდილი, ისევე როგორც მისი ცხოვრებისა და შემოქმედების უმეტესი ნაწილი, დღემდე ბურუსითაა მოცული. ზოგი მკვლევარი სიკვდილის მიზეზად ციებ-ცხელებას ასახელებს, მეორენი კი ქრონიკულ ალკოჰოლიზმს.

ედგარ პოს უჩვეულო თაყვანისმცემელი ყოველ წელს ერთსა და იმავე რიტუალს ასრულებს. მოდის 18 იანვრის ღამეს, საფლავზე ტოვებს სამ წითელ ვარდს, ჩანახევრებულ კონიაკის ბოთლს და უკვალოდ ქრება.

1993 წელს უცნობმა კონიაკთან და ყვავილებთან ერთად საფლავზე ბარათიც დატოვა: „მე ჩირაღდანს გადავცემ!" ამ ბარათის დედააზრი გაირკვა 1999 წ 18 იანვრის ღამეს, როცა მიტოვებულ სასაფლაოზე ტანდაბალი, ჩია მამაკაცის ნაცვლად ახოვანი, შავლაბადიანი ადამიანი გაჩნდა.

ჯერომი მიხვდა, რომ ედგარ ალან პოს საიდუმლო თაყვანისმცემელი გარდაიცვალა და ტრადიციის გაგრძელება თავის ვაჟს დაავალა.

ჯეფ ჯერომის ვარაუდით, „მარტელის" მარკის კონიაკი ალბათ პოს საყვარელი სასმელი იყო, ხოლო სამი წითელი ვარდი ეკუთვნის არა მარტო მას, არამედ მის გვერდით დაკრძალულ მეუღლეს — ვირჯინიასა და დედამისს — მერი კლემს...

***ნლო №8***

# ვინ არიან გარმიანელთა შთამომავლები?



გარმიანელები ჩვენ შორის დიდი ხანია ცხოვრობენო, — ამტკიცებს ცნობილი ბრიტანელი უფოლოგი ჯონ პოუპი. როგორ გამოვიცნოთ, ვინ არის ჩვენს ახლობელ-ნაცნობებში გარმიანელი? შეეცადეთ, გამოიყენოთ დიდი ბრიტანელი მკვლევარის რეკომენდაციები.

— კაცობრიობის 45-50% ჰიბრიდია — გარმიანელებისა და პირველყოფილი, შუასაუკუნოვანი და თანამედროვე ადამიანების ნაჯვარი, — გვარწმუნებს ჯონ პოუპი, — კოსმოსელი სტუმრები ჩვენს პლანეტაზე 30-40 ათასი წლის წინ გამოჩნდნენ. სწორედ მათმა შთამომავლებმა შექმნეს ეგვიპტის, შუმერების, მაიას, აცტეკების უდიდესი ცივილიზაციები. მიუხედავად იმისა, რომ უძველესი დროიდან გარმიანელებსა და დედამიწელებს საერთო შვილები უჩნდებოდათ, დღესაც არსებობს გარკვეული განსხვავება, რაც ნიშანდობლივია კოსმოსელი წინაპრებისთვის.

„უცხოების" შთამომავლები განსაკუთრებული ჭკუით გამოირჩევიან. ყველა დროის გენიოსები, მეცნიერებისა და ხელოვნების გამორჩეული მოღვაწენი, ნათელმხილველები, ექსტრასენსები, ჯადოქრები, მკურნალები — უმაღლესი ცივილიზაციის წარმომადგენლების შთამომავლები არიან. ასეთი ადამიანები იყვნენ და არიან ყველა ქვეყანაში.

გარმიანელთა შთამომავლებს ანდამატური, ლურჯი, ნაცრისფერი ან ფოლადისფერი თვალები აქვთ. დედამიწელებს კი, თავდაპირველად თვალები მწვანე, შავი და მუქი თაფლისფერი ჰქონდათ. სხვადასხვა ფერის ან დაწინწკლული თვალები იმაზე მეტყველებს, რომ თქვენს გენეალოგიაში ვიღაც გარმიანელი ერია.

აბორიგენ დედამიწელებს ხელისგულები კვადრატული ფორმისა აქვთ, თითები კი კოტიტა, ხოლო მამაკაცებს ხელები და თითებიც ბანჯგვლიანი.

გარმიანელთა შთამომავლებს „მუსიკოსის" თითები აქვთ — გრძელი, ნატიფი ღია ვარდისფერი ფრჩხილებით. დედამიწელებს კი ფრჩხილები ღია ყავისფერი ან ღია იისფერი აქვთ.

დედამიწელების შთამომავალი მამაკაცი შუატანის ან დაბალია, დაკუნთული სხეული აქვს და ფიზიკურად ძლიერია. ხშირად მკერდი, მხრები და დუნდულები თმით აქვს დაფარული. ეს შორეული წინაპრებისგან, მაიმუნისგან შემორჩენილი ატავიზმია. ქალები ტანმორჩილები, დიდმკერდიანები და ფართოთეძოიანები, ფიზიკურად ამტანები არიან.

გარმიანელების შთამომავლები მაღლები, ტანკენარნი, ჩამოქნილნი არიან. ხშირად აწუხებთ ტკივილი ზურგის ქვედა მხარეს და კუჭ-ნაწლავის ტრაქტში. როგორც წესი, ფიზიკურად ნაკლებამტანნი არიან, სამაგიეროდ, მაღალი გონებრივი მონაცემებით გამოირჩევიან. ხმა მათ დაბალი აქვთ, საუბარი გარკვეული, ხოლო დედამიწელებს, პირიქით, მაღალი ხმა აქვთ და ხშირად სწრაფად და გაურკვევლად ლაპარაკობენ.

***ტაინაია ვლასტ №3***



## „საზალოო–სალაღო" გვერდის პასუხები

**I. აბა, გამოიცანი**
1) — ბ); 2) — ბ); 3) — დ);
4) — ა); 5) — დ); 6) — გ);
7) — გ).

**II. რებუსი**
შუბი ხალთაში არ დაიმალებაო.

**III.** კაკალი.



მოკირწყლულ ქვაფენილს ვარდისფერ სასახლესთან მივყავართ, სადაც ბიძინა ივანიშვილი და მისი მეუღლე ეკა ხვედელიძე ისვენებენ ხოლმე

# რითი დაიწყო ყველაფერი?!

(დასაწყისი იხ. გვ. 23)

მართვის თვალსაზრისით, ბიძინა ივანიშვილის ძირითადი როლი ბანკის მუშაობის სტრატეგიის განსაზღვრა, წამყვანი კადრების შერჩევა და მათ მუშაობაზე კონტროლია. ეს როლი მუდმივია, მიუხედავად იმისა, იმყოფება ივანიშვილი რუსეთში თუ არა (თავად ბიძინა ივანიშვილის და მისი ოჯახის ზუსტი ადგილსამყოფელი და საცხოვრებელი ადგილი, ასევე ქვეყანა, სადაც ის იმყოფება, ყოველთვის გასაიდუმლოებულია). ასე მაგალითად, 1994-95 წლებში ივანიშვილი თითქმის ერთი წელი არ გამოჩენილა რუსეთში. ამ პერიოდში მასა და ბანკს შორის დამაკავშირებელ რგოლად ბანკის პრეზიდენტი ვიტალი მალკინი იქცა, რომელმაც ორჯერ თუ სამჯერ ჩააკითხა ივანიშვილს საზღვარგარეთ. ყოველი ვიზიტის შემდეგ, როგორც წესი, ბანკის საკადრო პოლიტიკაში და ფინანსურ მოქმედებაში მრავალი უმნიშვნელო თუ საკმაოდ სერიოზული ცვლილებები ხდებოდა.

ბევრი აღიარებს, რომ ბიძინა ივანიშვილი ძლიერი ეკონომისტი და კარგი სტრატეგია, კარგად შეუძლია ხალხის ხელმძღვანელობა, ყოველთვის თავად არჩევს თავის დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციების მმართველ კადრებს, მკაცრია მართვაში და დაუნდობელი იმათ მიმართ, ვინც მასზე დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად არ ასრულებს. თავად არის ყველა იდეის გენერატორი და აუცილებლად ახორციელებს მათ. ბანკის მართვისას არ ცდილობს ჩაეძიოს წვრილმანებს, საკუთარ თავზე მხოლოდ ბანკის მოღვაწეობასთან დაკავშირებულ იმ მნიშვნელოვან პრობლემებს იღებს, რომელთა გადაწყვეტასაც ბანკის წინსვლა მოსდევს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ, როგორც წესი, ის ყოველთვის ახდენს კადრების გადახალისებას. საკადრო პოლიტიკაში ივანიშვილი დაუნდობელია იმ პირების მიმართ, ვინც თავისი წარსული თუ ახლანდელი კავშირებით გარკვეულწილად ნამდვილად საინტერესოა ბანკისთვის, მაგრამ ბანკის საკეთილდღეოდ ეს კავშირები ვერ გამოიყენეს.

ბიძინა ივანიშვილი „ჩაკეტილი“ ადამიანების კატეგორიას მიეკუთვნება. ის საკმაოდ სიტყვაძუნწია და არ უყვარს ზედმეტი ლაპარაკი. მისი ბიოგრაფიული მონაცემებიდან რუსული პრესისთვის მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ ბიძინა ივანიშვილი საქართველოშია დაბადებულ-გაზრდილი და დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. ივანიშვილი ძალიან იშვიათად ჩნდება მიღებებსა და პრეზენტაციებზე და ცდილობს, ჩრდილში დარჩეს. ის მონდომებით ასაიდუმლოებს თავის ოჯახურ ცხოვრებას და ამაში მას საგანგებოდ შერჩეული ადამიანების მთელი შტატიც ერთგულად ეხმარება.

## ძლიერი მხარეები

ბიძინა ივანიშვილს თავის დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში მკაცრად აქვს განსაზღვრული შრომის განაწილების პრინციპები, რაც მას საშუალებას აძლევს, კარგად აკონტროლოს კონკრეტული პირების, უპირველესად, ხელმძღვანელების მოქმედება. გარე კავშირებს ბიძინა ივანიშვილი უმეტესად იმ ადამიანების მეშვეობით ამყარებს, ვინც დიდი ავტორიტეტით სარგებლობს ხელისუფლების წარმომადგენლებში და ბიზნესის სამყაროში. ისიც მნიშვნელოვანია, რომ თავად ივანიშვილს სამართალდამცავ ორგანოებთან საქმე არასდროს ჰქონია. მიუხედავად ამისა, ბანკის ხელმძღვანელობა და პერსონალი თავს მშვიდად მაშინ გრძნობს, როცა იგი ბანკშია. მისი არყოფნის დროს კი თვითდაჯერებულობა მაშინვე ქრება და ერთგვარი ნევროზული ატმოსფერო ისადგურებს.

რუსეთის ფინანსური ბაზრის უზადო ცოდნამ ბიძინა ივანიშვილს იმის საშუალება მისცა, დროულად აერიდებინა თავი 1995 წლის აგვისტოში საფინანსო ბაზარზე მომხდარი მოვლენებისთვის და „როსკრედიტმა“ მინიმალური ზარალი განიცადა. სწორედ ბიძინა ივანიშვილის იდეის შესაბამისად დაინერგა ბანკის ყველა ფილიალში, რუსეთში და მოსკოვში, უნაღდო ანგარიშსწორება Smart Card-ის მეშვეობით, რამაც მის ბანკს ლიდერის პოზიცია მიანიჭა მოსახლეობის ანაბრების მომსახურების სფეროში.

## სუსტი მხარეები

ეს, პირველ რიგში, ეროვნული ფაქტორია. ამასთან დაკავშირებით იხსენებენ კავშირს ფინანსურ-სამრეწველო სინდიკატ „ერლანთან“, რომლის სათავეშიც საქართველოში საკმაოდ ცნობილი პიროვნებები იდგნენ და 1995 წლის თებერვალ-მარტში ფირმის სრული პარალიზება მოხდა. ბევრი აღნიშნავს ბიძინა ივანიშვილის და ოთარ კვანტრიშვილის ძველ კავშირს და მათ ერთობლივ, უპირველეს ყოვლისა, ფინანსურ მოღვაწეობას. ბიძინა ივანიშვილის მართვის მკაცრი სტილი უარყოფითად აისახება ბანკის იურიდიულ განყოფილებაზე, რომლის სისუსტეც, პირველ რიგში, უიმედო კრედიტების დაბრუნების საქმის მომზადებასა და საარბიტრაჟო სასამართლოში ამ საქმეების არასათანადო დონეზე განხილვაში ვლინდება.

ივანიშვილს ერთ დიდ შეცდომას უხსენებენ, როცა ბანკის ძვირფასი ლითონის განყოფილებამ 1995 წლის სექტემბერში ნაჩქარევი გადაწყვეტილება მიიღო ოქროს შესყიდვის თაობაზე, რამაც ბანკს სერიოზული ფინანსური ზარალი მიაყენა. ამის მიზეზი ბანკის და თვითონ ივანიშვილის სუსტი საინფორმაციო მომზადება აღმოჩნდა. მათ ვერ შეძლეს მსხვილი კონკურენტი ბანკების შესახებ საჭირო ინფორმაციის მოპოვება, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ ბანკმა პოზიციები დათმო ფასიანი ქაღალდებისა და ძვირფასი ლითონების ბაზარზე. ამის ნათელ მაგალითად კი „ონექსიმბანკისთვის“ „ნორილსკის ნიკელის“ აქციების პაკეტის გადაცემა და კრასნოიარსკის მეტალურგიული კომბინატისთვის აქციების იძულებითი მიყიდვა იქცა.



ვიტალი მალკინი (მარჯვნივ) და არკადი გაიდამაკი, რომელიც რუს ბანკირებს და ჩინოვნიკებს შორის შინაურ კაცად ითვლება

## ვინ არის მისი „მარჯვენა ხელი“?

ვიტალი მალკინი — დაიბადა 1952 წელს. დაამთავრა ურალის პოლიტექნიკური ინსტიტუტი. 1994 წლიდან ბანკ „როსკრედიტის“ პრეზიდენტია, 1999 წლიდან კი — ამავე ბანკის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე. 1995 წელს აირჩიეს რუსეთის ებრაელთა კონგრესის ვიცე-პრეზიდენტად. არის კანადის მოქალაქე.

ის ახორციელებს ბანკის ძირითად სტრატეგიას და ამყარებს გარე კონტაქტებს ხელისუფლების წარმომადგენლებთან. სწორედ მალკინი ასხამს ხორცს ივანიშვილის იდეებს და ახორციელებს ბანკის სერიოზული პროგრამების ფინანსურ კონტროლს. ის კურირებს აგრეთვე ბანკის უსაფრთხოების სამსახურს ივანიშვილის არყოფნის პერიოდში.

ვიტალი მალკინთან დაკავშირებით ერთ საინტერესო შემთხვევას იხსენებენ. დაძაბული სამუშაო გრაფიკითა და რიტმით გადატვირთულ მალკინს ერთ დღეს ბიძინა ივანიშვილთან დაუჩივლია, რომ ნაშოვნი ფულის დახარჯვას და შესაფერისად დასვენებას ვერ ახერხებდა, რაზეც ივანიშვილს უპასუხია: „მე სიამოვნებას ქველმოქმედება და გაჭირვებული ადამიანების დახმარება მანიჭებს, შენც სცადე, ვინმეს ფულით დაეხმარე და ნახე, როგორ ისიამოვნებ“. ვიტალი მალკინი ასეც მოქცეულა — ფინანსურად გაჭირვებაში მცხოვრებ ალალ ბიძას დახმარებია. მეორე დღეს ბიძინა ივანიშვილს ვიტალი მალკინისთვის უკითხავს: „დაეხმარე ვინმეს?“ „კი, ბიძაჩემს ასი ათასი დოლარი ვაჩუქე“. „მერე, რა იგრძენი?“ „მხოლოდ ის, რომ ასი ათასი დავკარგე“, — უპასუხია მოწყენილ მალკინს.

## რაც შეეხება საქართველოს...

მოსკოვის უმსხვილესი ბანკი და უმდიდრესი ბიზნესმენი საქართველოში „ქართუ-ჯგუფად“ მოგვევლინა. მის დაქვემდებარებაშია ბანკი თავისი ფილიალებით, რძის პროდუქტების და ფეხსაცმლის მწარმოებელი ქარხნები. მოკრძალებულმა ბანკმა „ქართუმ“ თავის გამოჩენა მაშინ შეძლო, როცა მოულოდნელად ქართულ-ამერიკულმა ბანკმა „აბსოლუტმა“ დაახლოებით ორი მილიონი დოლარის ზარალი განიცადა და ბუშტივით გასკდა. მისი შეძენა, იმიჯის აღდგენა და ერთ-ერთ ფილიალად ქცევა უმტკივნეულოდ, „სულ რაღაც“ ხუთ მილიონ დოლარად შეძლო ბანკმა „ქართუმ“. მაშინ ქართული პრესა წერდა, რომ გადაწყვეტილება ამის თაობაზე „ქართუს“ ერთ-ერთმა აქციონერმა ბიძინა ივანიშვილმა მიიღო და „აბსოლუტის“ სანაცვლოდ, თანხაც სწორედ მან გადაიხადა. მაშინ ბიძინა ივანიშვილს საქართველოში ცოტა თუ იცნობდა, ის რუსეთში მოღვაწეობდა და თავისი მილიონებიც იქ ჰქონდა ნაშოვნი.

დაუზუსტებელი ინფორმაციით, „აბსოლუტბანკის“ ყიდვა ბიძინა ივანიშვილისთვის თვით პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს უთხოვია, რაზეც ბატონი ბიძინა იმერული თავაზიანობით დათანხმებულა და უკითხავს, რამდენია ამ საქმისთვის საჭიროო და, როცა პასუხი მოუსმენია, გაოცებულს საჩხერული აქცენტით უკითხავს: „სულ ხუთი მილიონიი?“

ამჟამად ბიძინა ივანიშვილის სახელი სამების გრანდიოზულ ტაძართან, რუსთაველის თეატრსა და ბოტანიკურ ბაღში მშენებარე უზარმაზარ სასტუმრო კომპლექსთან ასოცირდება.

**„რეიტინგი“ N7,8**
**დიანა ქანკოტაძე**



# ავტოსალონი

## Audi A8 ყველაზე მძლავრი დიზელით აღიჭურვა




ჟენევის მოახლოებულ ავტოსალონზე კორპორაცია „აუდი“ თავის ფლაგმანს წარმოადგენს. იგი 4-ლიტრიანი, V8 ტიპის დიზელის ძრავათი იქნება აღჭურვილი, რომელიც 275 ცხ.ძ სიმძლავრეს გამოიმუშავებს. საავტომობილო ბაზარზე გამოსვლის შემდეგ იგი პირველობას შეეცილება დღესდღეობით ყველაზე ძლიერ დიზელისძრავიან ავტომობილს — Mercedes-Benz E400 CDI-ს, რომელიც 260 ცხ.ძ სიმძლავრეს გამოიმუშავებს. „Audi A8“ ორი ტურბოგამაძლიერებლის დახმარებით საკმაოდ სწრაფიც იქნება. 100კმ/სთ სიჩქარეს იგი 9,6 წამში ავითარებს, ხოლო სპიდომეტრზე მაქსიმალური სიჩქარის ზღვარი 250კმ/სთ-ით არის განსაზღვრული. (გერმანული კანონმდებლობის მიერ სისწრაფე ტრადიციულად, ხელოვნურად არის შეზღუდული). ახალ „აუდის“ გაწევა ოთხივე თვალზე ექნება. გარდა ამისა, მყიდველის სურვილის შემთხვევაში, მისი ლიმუზინის ვერსიაც გამოვა. ავტომობილი აღიჭურვება როგორც ავტომატური, ისე მექანიკურ გადაცემათა კოლოფით.

## ევროკომისია ქვეითებს იცავს



ევროპის კომისიამ ავტომშენებელ კორპორაციებს მკაცრი დირექტივები გაუგზავნა. რომელთა მიხედვით, მთელი რიგი ცვლილებები განხორციელდება ავტომობილის კონსტრუქციასა და აქედან გამომდინარე, დიზაინშიც. როგორც ევროპის საგზაო უსაფრთხოების ასოციაციამ გამოიკვლია, გზებზე ყველაზე მეტი მსხვერპლი ქვეითად მოსიარულეებს შორის გვხვდება. ევროპაში ავტომობილის დაჯახების შედეგად ყოველწლიურად 8000 ადამიანი იღუპება.

დირექტივები მანქანის წინა ნაწილში, „ბამპერის“ კონსტრუქციაში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანას ითვალისწინებს. ამიერიდან, ევროპაში გამოშვებული ავტომობილების აღნიშნული ნაწილი სპეციალური, რბილი კომპოზიტისგან იქნება დამზადებული. გარდა ამისა, დადგინდა, რომ „ბამპერსა“ და ძარის ლითონის კონსტრუქციას შორის ამორტიზაციისთვის საკმარისი მანძილი უნდა იყოს დატოვებული. შეჯახების შემთხვევაში აღნიშნული ღონისძიებები ქვეითად მოსიარულეთა ტრავმებს შეამცირებს, თუმცა არა მნიშვნელოვნად, რადგან ყველაზე სახიფათო ტრავმას ადამიანი, როგორც ცნობილია, დაჯახების შემდეგ ასფალტზე დაცემისას, ან მანქანის კაპოტზე თუ სახურავზე დავარდნისას იღებს. როგორც ავტოექსპერტიზა გვასწავლია, 60 კმ/სთ სისწრაფით დაჯახებისას ადამიანი წინ ვარდება (დაჯახების კუთხის შესაბამისად, იზრდება ტრავმით გამოწვეული სასიცოცხლო რისკი), ხოლო თუ ავტომობილი შეჯახების მომენტში 60 კმ/სთ-ზე მაღალი სიჩქარით მოძრაობდა, მსხვერპლი მაღლა უკუმიმართულებით ვარდება და კაპოტზე, ან სახურავზე ეცემა. უკანასკნელი შემთხვევისთვის ბოლო პერიოდში მნიშვნელოვანი გამოგონებები გამოვიდა. „კვირის პალიტრის“ მკითხველს უკვე მოვუთხრობდით, კაპოტზე დამონტაჟებული უსაფრთხოების გასაბერი ბალიშის შესახებ. ევროკომისიის განცხადებით, მიმდინარე წელს ანალოგიურ გამოგონებებზე მუშაობა ორმაგად დაფინანსდება, რათა ქვეითად მოსიარულეთა შორის მსხვერპლი მაქსიმალურად შემცირდეს.

## გაუმჯობესებული ჯიპი „პორშესგან“



მიუხედავად იმისა, რომ „პორშეს“ ჯიპი საერთაშორისო ავტოსალონებზე არც ისე დიდი ხნის წინ გამოჩნდა, კომპანიის მარკეტოლოგებმა სერიოზული დასკვნების გაკეთება უკვე მოასწრეს. როგორც აღმოჩნდა, „პორშეს“ ერთგული კლიენტურა კომპანიისგან ყველგანმავლის შემთხვევაშიც კი სპორტულ მონაცემებს მოითხოვს. ამიტომაც ძვირად ღირებული გერმანული სპორტული ლეგენდის მესვეურნი იძულებულნი გახდნენ, ახალი ჯიპის კონსტრუქციაში სერიოზული ცვლილებები განეხორციელებინათ და ახალი მოდელი მაქსიმალურად მიესადაგებინათ სპორტული კატეგორიისთვის (თუკი შეიძლება საერთოდ, ჯიპი სპორტულ კატეგორიაში მოიაზრებოდეს...).

რასაკვირველია, ამის გამო მნიშვნელოვანი ცვლილებები ავტომობილის გარეგნობაშიც მოხდა და არა მხოლოდ სპორტული, აგრესიული იერის მისაღებად, არამედ წმინდა პრაქტიკული თვალსაზრისითაც — ავტომობილის წინა და უკანა ნაწილებში დამატებითი სპოილერების დამონტაჟება გახდა საჭირო. წინააღმდეგ შემთხვევაში, ევროპის საგზაო უსაფრთხოების ასოციაცია ჯიპის გაყიდვაში ჩაშვებას არ დაუშვებდა. თავად განსაჯეთ — როგორი წარმოსადგენია უზარმაზარი ჯიპი, რომელიც 100კმ/სთ სისწრაფეს სულ რაღაც 5 წამში ავითარებს („პორშე საიენის“ ახალი მოდელი BMW X5-ზე გაცილებით დიდია). მსგავსი მაჩვენებლის მიღწევა სხვა, მსუბუქი კატეგორიის სედანებსაც კი უჭირთ... საამისოდ „პორშეს“ „კაპოტის“ ქვეშ ნამდვილი „მხეცის“ დამწყვდევა გახდა საჭირო — მისი ახალი, 4,2 ლ მოცულობის ძრავა 8-ცილინდრიანია და ორი ტურბოგამაძლიერებლის დახმარებით 449 ცხ.ძ სიმძლავრეს გამოიმუშავებს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამხელა სიჩქარეზე ავტომობილის უსაფრთხოდ მართვისთვის მის დიზაინში სერიოზული ცვლილებები განხორციელდა — „პორშეს“ კონსტრუქტორები ლეგენდის გავლენას ვერ გაექცნენ და ახალი ჯიპი „911 კარერას“ დაემსგავსა. ავტომობილის აეროდინამიკის დასამუშავებლად კომპანიის საკონსტრუქტორო ბიურომ დიდი მუშაობა გასწია. ამისთვის სპეციალურად შეიძინეს ლაიპციგის აეროპორტის მახლობლად მდებარე, 400 ათასი კვმ ფართობი, სადაც სხვადასხვა ტიპის ესტაკადები, მოსახვევები თუ აღმართ-დაღმართები იქნა მოწყობილი. ფირმის მენეჯერთა განცხადებით, აღნიშნულ ტერიტორიაზე თითქმის ყველა სახის გზას გააკეთებენ, რომ „პორშეს“ მყიდველი ელემენტარულ საკითხებშიც კი უკმაყოფილო არ დარჩეს. ავტომობილის პროექტირების სრული ინვესტირება 50 მილიონ ევროს შეადგენს.

## მას მხოლოდ ავტომობილის მართვა შეეძლო...



ჩილეში, ქალაქ სანტიაგოს კრიმინალურმა პოლიციამ უცნაური ბანდა დააპატიმრა. ბინის ძარცვასთან დაკავშირებული გამოძახების საფუძველზე საპატრულო მანქანა მითითებულ მისამართზე გავიდა და ორმხრივი სროლის შემდეგ მძარცველების ავტომობილს დაედევნა. მოგვიანებით, პატრულის წევრებმა შვეულმფრენის დახმარება ითხოვეს, რადგან მათი თქმით, მძარცველთა ავტომობილს პროფესიონალი ავტომრბოლელი ისე ოსტატურად ატარებდა, მისი დაკავება შეუძლებელი იყო — უფრო მეტიც, დევნის დროს პოლიციის სამი ავტომობილი დაიმსხვრა, რასაც სანტიაგოს ქუჩებში საცობი და პანიკა მოჰყვა. ხანგრძლივი დევნის შემდეგ პოლიციის ათამდე მანქანამ მძარცველები ჩიხში მოიმწყვდია. ორი მათგანი გაქცევის მცდელობისას დააკავეს, ერთი კი დაჭრეს. მანქანიდან არ გადმოდიოდა დევნის მთავარი ფიგურა — მძღოლი. რამდენჯერმე გაფრთხილების შემდეგ მან პოლიციელებს უთხრა, რომ მანქანიდან გადმოსვლას ვერ ახერხებდა. დიდი სიფრთხილითა და წესების დაცვით მანქანასთან მიახლოებული, იარაღშემართული პოლიციელები გაოცებულნი დარჩნენ — საჭესთან მჯდომ „მძარცველს“ ხელ-ფეხი ამპუტირებული ჰქონდა... როგორც აღმოჩნდა, 20 წლის როდრიგესმა მანქანის მართვა კომპიუტერზე, „ფორმულა 1“-ის სიმულატორით ისწავლა. იმის გამო, რომ მუხლებთან და იდაყვებთან ხელ-ფეხი ამპუტირებული ჰქონდა, როდრიგესმა ასევე ინტერნეტის მეშვეობით სპეციალური ადაპტორი დაამზადებინა. იგი NASA-ს 1956 წლის ტექნიკურ დოკუმენტაციაში იყო აღწერილი. მასში ნაჩვენები იყო, თუ როგორ შეიძლება სპეციალურად გაწვრთნილმა ძაღლმა კოსმოსური ხომალდი მართოს. როდრიგესი საჭეს მუხლებით ატრიალებდა, რომელიც თოკით ჰქონდა მიბმული, ხოლო სატერფულებს (ე.წ. პედლებს) საგანგებოდ გამოჭრილი ხის ბერკეტებით მართავდა, რომელიც მოჭრილ მკლავებზე ჰქონდა მიბმული. როგორც პოლიციის უფროსმა ოფიცერმა განაცხადა, ბანდას ასამდე ბინა ჰქონდა გაძარცული. თავად როდრიგესს დასაკარგი არაფერი აქვს, მის ორ ჯანმრთელ თანამზრახველს კი მრავალი წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

## გონებამახვილი ამერიკელი

ამერიკელებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ყველაფრიდან შეიძლება სარგებლის ნახვა. როგორც ცნობილია, შეერთებული შტატების მოსახლეობის ერთი ნაწილი ერაყთან ომის წინააღმდეგია. მეორე ნაწილი სადამ ჰუსეინს სისხლისმსმელ დიქტატორად მიიჩნევს და მის სასწრაფო ლიკვიდაციას მოითხოვს. დაუჯერებელია, მაგრამ საყოველთაო აჟიოტაჟის ფონზე ამერიკის ეროვნული ტელევიზიით ორი დღის მანძილზე გადიოდა სარეკლამო რგოლი, სადაც ერთ-ერთი ბიზნესმენი, ავტომობილებით მოვაჭრე ბრედ ბენსონი სადამ ჰუსეინს ავტომობილის ჩუქებას სთავაზობდა. რაც მთავარია, ბენსონი ამ ფაქტს ერაყელი დიქტატორისადმი კეთილგანწყობით კი არ ხსნის, არამედ ერთი შეხედვით, აბსურდული არგუმენტები მოჰყავს. მისი განცხადებით, ჰუსეინი ცდუნებას ვერ გაუძლებს და „მიცუბიში აუტლანდერის“ ლუქსი მოდიფიკაციით ერაყის უდაბნოში გასეირნებას მოინდომებს. „აქ კი მას ამერიკული შვეულმფრენები ჩაუსაფრდებიან“ — ამბობს ბენსონი.



როგორც ცნობილია, გაეროს სანქციის გამო ერაყში საავტომობილო იმპორტი აკრძალულია და შეუძლებელია ჰუსეინი ახალი, ტყავითა და ხით გაწყობილი სალონის დანახვით არ მოიხიბლოსო. რასაკვირველია, ბენსონის იდეას განხორციელება არც ეწერა. თუმცა როგორც აღმოჩნდა, მისი საბოლოო მიზანი ჰუსეინის ლიკვიდაცია კი არა, ახლად გამოსული „მიცუბიში აუტლანდერის“ ფართო რეკლამა იყო. ბენსონის განცხადებამ იმხელა აჟიოტაჟი და მოსახლეობის აღშფოთება გამოიწვია, რომ ტელევიზია იძულებული გახდა, სარეკლამო რგოლის გაშვება შეეწყვიტა. ბენსონს მეტი არც სჭირდებოდა. მის სადილერო ქსელში „მიცუბიშიზე“ მოთხოვნილება ლამის 100%-ით გაიზარდა. მაგრამ ყველაზე საინტერესო ის არის, რომ მოხერხებული ბიზნესმენის ნათქვამი ბევრმა ამერიკელმაც სათავისოდ გამოიყენა — ერთ-ერთმა სატრანსპორტო კომპანიამ თავის თავზე აიღო სადამის ავტომობილის ტრანსპორტირება. კურიოზია, მაგრამ გამოჩნდა საწვავით გასამართი სადგურების ქსელიც, რომელმაც განაცხადა, რომ მზად არის ჰუსეინის „გასეირნება“ საწვავით უზრუნველყოს... (ცნობილია, რომ ერაყი სიდიდით ნავთობის მესამე მომპოვებელია მსოფლიოში!).

## „მოსკვიჩსაც“ თუ რამე ეშველება...

როგორც ჩანს, რუსეთის ხელისუფლების გონივრული პოლიტიკა ავტოწარმოებაში უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებით თანდათან გამართლებას პოულობს. რუსეთში უკვე რამდენიმე ერთობლივი ავტოსაწარმო შენდება, ხოლო „შევროლე-ნივა“ კი მალე გაიყიდება. მიუხედავად ყველაფრისა, „მოსკვიჩსაც“ თუ გამოუჩნდებოდა მშველელი, ალბათ ვერავინ იფიქრებდა — კორპორაცია „რენოს“ თავკაცმა, ლუი შვეიცერმა განაცხადა, რომ მზად არის, „მოსკვიჩის“ ქარხნის ბაზაზე საკუთარი მოდიფიკაციის წარმოება დააფინანსოს. პირველადი ინვესტიცია ჯერჯერობით 250 მილიონი დოლარით არის განსაზღვრული. სააქციო საზოგადოება „ავტოფრამოსმა“ „რენოს“ საცდელი, 10 მოდელი უკვე ააწყო. რაც შეეხება მის სერიულ წარმოებას, უახლოეს მომავალში განხორციელდება.




მანამდე კი „რენოს“ სპეციალისტები „მოსკვიჩის“ ქარხანაში კონვეიერულ ხაზს დაამონტაჟებენ. აღსანიშნავია, რომ რუსეთის ხელისუფლებამ ფრანგ ავტომშენებლებს მთელი რიგი საგადასახადო შეღავათები მიანიჭა. „რენოს“ შეღავათი ექნება ქარხნის იჯარის საფასურშიც — წარმოების პირველ ეტაპზე მხოლოდ მის 30%-ს გადაიხდის. ახალი „რენო-მოსკვიჩის“ სავარაუდო ფასი 5000 ევრო იქნება.

*გვერდი მოამზადა დაჩი გრძელიშვილმა*

# ფრანგები ფიფა-უეფას სტანდარტებს არ ცნობენ, ანუ რატომ ვერ იზრდებიან საქართველოში მწვრთნელები

მიშელ პლატინის ერთხელ უთქვამს, ჩემი უმთავრესი ნიჭი თამაშის კითხვა იყოო. რაღა შორს წავიდეთ, ქართული ფეხბურთის პატრიარქი ანდრო ჟორდანია წიგნში „ფიქრები ქართულ ფეხბურთზე“, წერდა: „ფეხბურთს ინტელექტი სჭირდება, იგი არის არა მარტო კუნთებისა და ნერვების, არამედ გონების შეჯიბრებაც. მე ვერ დამისახელებთ ვერც ერთ მაღალი კლასის ფეხბურთელს, რომელსაც გონება არ აძლევდეს საშუალებას თავისი ნიჭი სხვა საქმეშიც გამოამჟღავნოს... როდესაც თავშივე გეზღუდება ჭკუა, ფეხებიც ვერ დაგემორჩილება ისე, როგორც საჭიროა... ოდნავაც არ მეპარება ეჭვი, რომ ათი წლის ასაკში მესხს, მეტრეველს ან იამანიძეს ფეხი რომ დაშავებოდათ, მაინც სახელოვანი ადამიანები დადგებოდნენ, მეცნიერები თუ ხელოვნების მუშაკები“.

ფეხბურთელებზე საუბარს არ ვაპირებთ, პლატინისა და ჟორდანიას სიტყვები მხოლოდ იმიტომ გავიხსენეთ, რომ გვეთქვა განაპირობებს მწვრთნელის ზნეობა, რაც ძალიან ბევრს არ აქვს.

ქართული სამწვრთნელო სკოლა ვერც ადრე წყვეტდა ვარსკვლავებს, და ამიტომაც იყო უცხოელ სპეციალისტთა სიმრავლე, იაკუშინის, კაჩალინის, ზონინის ჩამოყვანაც ამას ადასტურებს, მაგრამ მწვრთნელთა გაზრდაზე სერიოზულად არასდროს უფიქრიათ...

პრობლემას ვერც ევროპაში თუ საქართველოში ჩატარებული სემინარებით მოევლება. ჯერ ერთი, „ხეზე აძრომის“ ტექნოლოგიას არავინ გაგვიზიარებს და რაც მთავარია, ერთი, ან ორკვირიანი სწავლით საჭირო ცოდნას ვერავინ შეიძენს.

საინტერესოა ივო შუშაკის მოსაზრების გაცნობა, რაც ცხადად ადასტურებს, რომ სემინარებისგან ხსნას არ უნდა ველოდოთ: საფრანგეთის სამწვრთნელო სკოლასა და საერთოდ, ფეხბურთზე უდიდესი გავლენა რუმინელმა სპეციალისტმა, სტეფან კოვაჩმა იქონია. მან ჩაუყარა საფუძველი ფრანგულ სკოლას... აღსანიშნავია, რომ ამ ქვეყნის მწვრთნელთა სკოლები არ ცნობენ ფიფასა და უეფას სალიცენზიო მოთხოვნებს და თავიანთი, სრულიად განსხვავებული რეჟიმი აქვთ. შედეგად დღეს ფრანგ სპეციალისტებს მსოფლიოში გამორჩეულად დიდი რეიტინგი გააჩნიათ. ფრანგები მიიჩნევენ, რომ ფიფა-უეფას სწავლებანი სტანდარტულია, რაც ევროპულ თავისებურებებს არ ითვალისწინებს.



— თუკი ფეხბურთელისთვის აუცილებელია აზროვნება, მით უფრო აუცილებელია იგი მწვრთნელისთვის. ამ ცოტა ხნის წინ პორტუგალიის ქალაქ ვილამურში დასრულებულ ევროპის წამყვან მწვრთნელ-ინსტრუქტორთა სემინარზე შოტლანდიელმა სპეციალისტმა ენდი როქსბურგმაც იგივე შეახსენა კოლეგებს: „მწვრთნელი არა მხოლოდ უნდა აზროვნებდეს, ფეხბურთელის აზროვნებაც უნდა გახსნას. აი, ეს არის XX საუკუნის მწვრთნელის პრინციპი“.

სამწუხაროდ, საქართველოში დღეს არათუ მომავლის, არამედ, თანამედროვეობასთან მიახლოებული მწვრთნელების საშინელი დეფიციტია. ამიტომაც მოიწვია ყველა წამყვანმა ქართულმა კლუბმა უცხოელი სპეციალისტები. „დინამოს“, „ლოკომოტივის“, „ვიტ ჯორჯიასა“ და „ტორპედოს“ ფეხზე დაყენების იმედი სწორედ მათ საქმიანობას უკავშირდება.

ნაწილობრივ გასაგებია ქართველი სპეციალისტების მიმართ გამოვლენილი უნდობლობა. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი უცოდინარია, რის შედეგებსაც დღეს ვიმკით. გაუგებარია სოკოებივით მომრავლებულ საფეხბურთო სკოლებში დასაქმებულ ახალგაზრდათა შერჩევის პრინციპი. ყოველ შემთხვევაში, მწვრთნელისთვის აუცილებელ აზროვნებას ბევრი ვერ ავლენს.

უნდობლობის მიზეზია „ქართულ-ნათესაურ“ პრინციპებზე დამყარებული ზოგიერთ ასაკობრივ ნაკრებში დანერგილი სელექცია. ესეც კიდევ არაფერი, უკვე ყველამ იცის, რომ „ფულის ცეხად“ იქცა ეს პროფესია. როდესაც ერთ-ერთმა მწვრთნელმა ტელევიზიით წარუმატებლობის გამართლება დაიწყო, აღშფოთებულმა მაყურებელმა პირდაპირ ეთერში მიახალა, შენ არ იყავი ბავშვის ნაკრებში აყვანისთვის 1.000 დოლარი რომ მომთხოვეო?

ცოტათი გადავუხვიოთ: კლოდ სორელმა რაგბის ნაკრებში ელემენტარულად წესრიგი დაამყარა, ამრევებს გზა დაულოცა და ასე ჩამოაყალიბა გუნდი, რომელიც მსოფლიო თასის ფინალში გავიდა.

... და კვალიფიკაცია? — როდესაც მთელი მსოფლიო ინტერნეტით მაინც ეცნობა მსოფლიოს უახლოეს ტენდენციებს, საქართველოს სხვადასხვა ნაკრების მწვრთნელთა უდიდესი ნაწილისთვის ინტერნეტი ისეთივე უცხო მოვლენაა, როგორიც ქვის ხანის ადამიანისთვის — თვითმფრინავი.

ახლახან ერთ-ერთ ჟურნალში საინტერესო ფაქტი ამოვიკითხე. თურმე, მიხეილ მესხი თბილისის „დინამოში“ უშტატოდ აიყვანეს, მაგრამ ხელფასსაც უხდიდნენ და ფორმაც გადასცეს. ყველაზე საინტერესო კი ის გახლავთ, რომ ფორმა და ხელფასის ნაწილი მას ჟორდანიამ მისცა(?!)

რა ძნელია ამის დაჯერება იმ დროს, როდესაც ასაკობრივ ნაკრებებში ნიხრია დაწესებული. კვალიფიკაციას კი უშუალოდ

სასურველი და ზღაპრული დღე უცებ ვერ დადგება. მისთვის საფუძვლის ჩაყრაა საჭირო. ნოდარ ახალკაცს მწვრთნელთა სკოლის ჩამოყალიბება არ დასცალდა. არადა, მომზადდა გრანდიოზული პროექტი, რომელიც უეფას თავკაცთანაც შეთანხმდა: საქართველოში უნდა დაარსებულიყო პოსტსაბჭოეთის სპეციალისტთა მომზადების ცენტრი, რომელიც პრობლემის მოგვარებასთან ერთად შემოსავლის წყარო გახდებოდა ღარიბი ქართული ფედერაციისთვის. ახლა ინიციატივას უკრაინელები და რუსები ეპოტინებიან. წაიღონ, ალალი იყოს, მაგრამ ჩვენ რა გვეშველება?

ფეხბურთის ფედერაციის დღევანდელი ხელმძღვანელობა აპირებს ადგილობრივი მასშტაბის სკოლის გახსნას, რომელიც დიღომში მშენებარე ნაკრების ბაზას შეეხიზნება. არც ეს არის ურიგო, მთავარია საქმე დაიძრას.

ისევ „დინამოს“ მწვრთნელს, ივო შუშაკს მოვუსმინოთ: „1975 წლიდან იუგოსლავიაში დიდმა მწვრთნელმა მილიან მილიანიჩმა სასიკეთო ტენდენციებს შეუწყო ხელი... დიდი ყურადღება დაეთმო მწვრთნელთა განათლებას. პირველ-მეორე დივიზიონში ულიცენზიოდ მწვრთნელი ვერ იმუშავებდა. კვალიფიკაციას კი ბელგრადსა და ზაგრებში არსებული მწვრთნელთა უმაღლესი სკოლები იძლეოდა. ამ სკოლის კურსდამთავრებულები დღესაც, ყოველგვარი გადამზადების გარეშე, იღებენ ევროპის ნებისმიერი გუნდის გაწვრთნის უფლებას“.

მილიანიჩის დამსახურებაა, რომ ყოფილი იუგოსლავიელი სპეციალისტები დღეს მთელ მსოფლიოს მოედვნენ და კარგი სახელი მოიპოვეს. სანამ ქართული სკოლის ჩამოყალიბება მომავლისთვის მიგვინდვია, მანამდე ურიგო არ იქნება, თუკი ფეხბურთის ფედერაცია მწვრთნელებს რომელიმე უცხოურ სასწავლებელში გაგზავნის. საქმე არც ისე უიმედოდაა — ავტორიტეტული უნიჭოების ჩრდილში დიდხანს აღარ გაჩერდებიან ნიჭიერი მწვრთნელები გაიოზ დარსაძე, ზაურ სვანაძე, გია გეგუჩაძე, კობა ჟორჟიკაშვილი, გელა გომელაური. წესით და რიგით, შედარებით მდიდარი კლუბებიც უნდა ზრუნავდნენ მომავალზე და წლის მანძილზე უცხოელთა ჯიბეში წასული მილიონის მცირედი ნაწილი მაინც უნდა მოახმარონ მათსავე კლუბში დასაქმებულ ქართველთა კვალიფიკაციის ამაღლებას.

სხვაგვარად, ყოველთვის იტრიალებს ქართული ფეხბურთი დაწყევლილ წრეში და მუდამ გვექნება ილუზია, რომ ხსნას მხოლოდ უცხოეთიდან უნდა ველოდოთ. ბოლოს და ბოლოს, ბავშვთა სკოლებშიც უცხოელებს ხომ არ ჩამოვიყვანთ? და თუ საქართველოში ნიჭიერი ბავშვები არ გაიზრდებიან, არც უცხოელი მწვრთნელი არაფერში გამოგვადგება და არც უეფას სემინარებზე მოსმენილი აზრები.

# „რომა“ ნაადრევად „ჩამოწერეს“



**გასულ კვირაში ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფური ეტაპის მეოთხე ტურისა და უეფას თასის საპასუხო მერვედფინალური შეხვედრები გაიმართა. როგორც ჩანს, გაზაფხულიდან ევროტურნირები ორი წამყვანი საფეხბურთო ქვეყნის, საფრანგეთისა და გერმანიის კლუბების გარეშე დარჩება. ევრომატარებელს უკვე ჩამორჩა უკანასკნელი ფრანგული „ვაგონი“ — „ოსერი“, რომელიც უეფას თასიდან ინგლისურმა „ლივერპულმა“ დაიფრინა. ამავე თასის გათამაშების მერვედფინალს შეეწირა ბუნდესლიგის ორივე წარმომადგენელი — „შტუტგარტი“ და „ჰერტა“, საქმეს ისეთი პირი უჩანს, მეოთხედფინალებიდან აღარც ლიგაში ეყოლებათ გუნდი გერმანელებს, „ლევერკუზენის“ „ბაიერმა“ ჯგუფური ბარიერის დაძლევის თეორიული შანსიც დაკარგა, საეჭვოა დორტმუნდის „ბორუსიას“ მეოთხედფინალში გასვლაც. ასე რომ დიდი სენსაცია მწიფდება, მეოთხედფინალებიდან ევროტურნირები ალბათ გერმანიისა და საფრანგეთის კლუბებს მოისაკლისებს, ასეთი რამ კი უიშვიათესად ხდება.**

ჩემპიონთა ლიგის მეოთხე ტური გასულ სამშაბათს გაიხსნა მოსკოვში, „ჩერკიზოვოს“ სტადიონზე „ლოკომოტივისა“ და „მილანის“ შეხვედრით. შეხვედრის ბედი რივალდოს მიერ გატანილმა პენალტმა გადაწყვიტა. საერთოდ, მილანელებმა მოსკოვში ზუსტად იმდენი ენერგია დახარჯეს, რამდენიც რუსი „რკინიგზელების“ დასამარცხებლად იყო საკმარისი. კარლო ანჩელოტის გუნდმა ამ მოგებით ვადამდე ორი ტურით ადრე გაინაღდა მეოთხედფინალში გასვლა და ახლა შეუძლია მთელი ყურადღება შინაურ ჩემპიონატზე გადაიტანოს. ბევრად საინტერესო და დრამატული იყო ამ ჯგუფის მეორე შეხვედრა. რომ არა ახალბედა მადრიდელის — პორტილიოს უკანასკნელ წუთზე გატანილი გოლი დორტმუნდის „ბორუსიას“ კარში, ესპანური „სამეფო კლუბი“ ლიგაში ყოფნა-არყოფნის სერიოზული საფრთხის წინაშე დადგებოდა. იან კოლერის მიერ 23-ე წუთზე გატანილი გოლის გასაქვითად დელ ბოსკეს გუნდს თითქმის ორი ტაიმი დასჭირდა. „რეალს“ მომდევნო ეტაპზე გასვლა ჯერ არ გაუნაღდებია, თუმცა „სამეფო კლუბის“ შანსები ბევრად რეალურია, ვიდრე ბუნდესლიგის შარშანდელი ჩემპიონისა. ტურინის „იუვენტუსი“ საკუთარ „დელ ალპიზე“ ძალიან იშვიათად აგებს, დიდი ანგარიშით კი პრაქტიკულად არასდროს მარცხდება. ასე რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ მიერ „დელ ალპიზე“ სამბურთიანი სხვაობით მოგება შეიძლება სენსაციადაც ჩაითვალოს. ტურინელთა რბევა რაიან გიგზმა დაიწყო და რუუდ ვან ნისტელროიმ დაასრულა. „იუვენტუსმა“ სეზონის უსუსტესი მატჩი ითამაშა, ალექს ფერგიუსონის გუნდმა კი „მილანის“ დარად, ორი ტურით ადრე გაინაღდა მეოთხედფინალში თამაში. ამავე ჯგუფის მეორე შეხვედრაში „დეპორტივომ“ დიეგო ტრისტანის ერთადერთი გოლის წყალობით სძლია შინ „ბაზელს“. ამ ჯგუფიდან მეორე გამსვლელი გუნდის ვინაობას ალბათ „დეპორტივოსა“ და „იუვეს“ ურთიერთშეხვედრა გადაწყვეტს.



A ჯგუფიდან „ბარსელონას“ შეეძლო „მილანს“ და „მანჩესტერს“ შეერთებოდა, ამისათვის მილანში „ინტერთან“ მოგება იყო საჭირო, „ბარსა“ „სან სიროზე“ მხოლოდ ქულას გამორჩა და მომავალ ეტაპზე გასვლა მომავალი ტურებისთვის გადადო. ფრე კატალონიელებს უფრო აძლევდა ხელს, ვიდრე მასპინძლებს. „ნიუკასლმა“ კვლავ აჯობა ჩემპიონთა ლიგის შარშანდელ ფინალისტს — ლევერკუზენის „ბაიერს“ და მეოთხედფინალში გასვლის შანსიც მიეცა. თუ სასწაული არ მოხდა, „ბარსელონა“ ჯგუფიდან გავა, მეორე მეოთხედფინალისტის ვინაობას კი „ინტერისა“ და „ნიუკასლის“ მილანში გასამართი მატჩი გადაწყვეტს.

„აიაქსისა“ და ლონდონის „არსენალის“ შეხვედრა უაღრესად ფრთხილ საჭადრაკო პარტიას ჰგავდა. მოედანზე მყოფმა ოცდაორივე „ფიგურამ“ ზუსტად იცოდა, როდის რა უნდა გაეკეთებინა, ნულოვანი ფრე ამ მატჩის ყველაზე კანონიერი შედეგი იყო, წინა ტურში შინ განცდილი მარცხის შემდეგ ყველამ ნაადრევად ჩამოწერა „რომა“. ფაბიო კაპელოს გუნდმა ერთხელაც დაამტკიცა, რომ ისეთი გუნდი, როგორიც „რომაა“, ყოველთვის ეცდება თავის შანსის გამოყენებას, თუნდაც ეს შანსი თეორიული იყოს. ფრანჩესკო ტოტი არა მარტო იტალიური, მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავია. ტოტიმ, რომელმაც „ვალენსიასთან“ წინა მატჩი ტრავმის გამო გამოტოვა, ორი გოლი თავად გაუტანა „ვალენსიას“, ერთიც ემერსონს გაატანინა და გაოგნებული დატოვა რაფაელ ბენიტესის ბიჭებიც და „მესტალიას“ პუბლიკაც. „იუვენტუსისა“ არ იყოს, „ვალენსიაც“ უიშვიათესად აგებს დიდი ანგარიშით და თანაც, შინ. ამ ჯგუფიდან ოთხივე გუნდს აქვს გასვლის შანსი და წინასწარი პროგნოზებისგან თავის შეკავება სჯობს.

| A ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი – ბარსელონა – 0:0 | | | | | | |
| ნიუკასლი – ლევერკუზენი – 3:1 | | | | | | |
| ბარსელონა | 4 | 3 | 1 | 0 | 8:2 | 10 |
| ინტერი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:6 | 7 |
| ნიუკასლი | 4 | 2 | 0 | 2 | 8:9 | 6 |
| ბაიერი | 4 | 0 | 0 | 4 | 5:11 | 0 |

| B ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი – არსენალი 0:0 | | | | | | |
| ვალენსია – რომა 0:3 | | | | | | |
| არსენალი | 4 | 1 | 3 | 0 | 4:2 | 6 |
| აიაქსი | 4 | 1 | 3 | 0 | 4:3 | 6 |
| ვალენსია | 4 | 1 | 2 | 1 | 2:4 | 5 |
| რომა | 4 | 1 | 0 | 3 | 5:6 | 3 |

| C ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დორტმუნდი – რეალი 1:1 | | | | | | |
| ლოკომოტივი – მილანი 0:1 | | | | | | |
| მილანი | 4 | 4 | 0 | 0 | 4:0 | 12 |
| რეალი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| დორტმუნდი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 |
| ლოკომოტივი | 4 | 0 | 1 | 3 | 3:6 | 1 |

| D ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეპორტივო – ბაზელი 1:0 | | | | | | |
| იუვენტუსი – მანჩესტერი 0:3 | | | | | | |
| მანჩესტერი | 4 | 4 | 0 | 0 | 10:2 | 12 |
| იუვენტუსი | 4 | 1 | 1 | 2 | 7:7 | 4 |
| დეპორტივო | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |
| ბაზელი | 4 | 1 | 0 | 3 | 2:8 | 3 |

## უეფას თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო შეხვედრები

ბეშიქთაში (თურქეთი) — სლავია (ჩეხეთი) 4:2 (0:1)
აეკ (საბერძნეთი) — მალაგა (ესპანეთი) 0:1 (0:0)
შტუტგარტი (გერმანია) სელტიკი (შოტლანდია) 3:2 (1:3)
დენიზლისფორი (თურქეთი) — პორტუ (პორტუგალია) 2:2 (1:6)
ანდერლეხტი (ბელგია) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი) 2:0 (0:3)
ლივერპული (ინგლისი) — ოსერი (საფრანგეთი) 2:0 (1:0)
ბოავიშტა (პორტუგალია) — ჰერტა (გერმანია) 1:0 (2:3)
ვისლა (პოლონეთი) — ლაციო (იტალია) გადაიდო (3:3)

## მეოთხედფინალის წილისყრა

მალაგა (ესპანეთი) — ბოავიშტა (პორტუგალია)
ბეშიქთაში (თურქეთი) — ვისლა (პოლონეთი) ან ლაციო (იტალია)
პორტუ (პორტუგალია) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
სელტიკი (შოტლანდია) — ლივერპული (ინგლისი)
პირველი მატჩები გაიმართება 13 მარტს, საპასუხოები — 20 მარტს

ლურჯი შავი წითელი

## მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

**ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის" ჟურნალისტებს თქვენ მიანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო სტატია. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ.**

## №8 (334) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 653 მკითხველი გამოეხმაურა. 8 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 243-მა ქალმა და 402-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რომელი პიროვნების საპროტესტო ნაბიჯს ამართლებთ ყველაზე მეტად?"**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, მკითხველთა 44,7%-მა „ღირსების ორდენის" უარყოფა ჩაუთვალა საყვარელ მსახიობს ყველაზე ღირსეულ ნაბიჯად. მინიმალური — 1 ქულით ეს ქმედება რესპონდენტთა 2,6%-მა შეაფასა. **6,38** საშუალო ქულით ნოდარ მგალობლიშვილი პირველ ადგილზეა.

შემდეგ ადგილზე დათო მაღრაძეა, მისი საპროტესტო ნაბიჯი — უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს დატოვება, მკითხველთა 17,1%-ს ყველაზე გამართლებულ საქციელად მიაჩნია. აღსანიშნავია, რომ ყველაზე ნაკლები რაოდენობის მინიმალური ქულა (2,0%) სწორედ მან დაიმსახურა.

რეზო შავიშვილის მიერ „კონტროლის პალატის" დატოვება თავის დროზე ერთ-ერთ სკანდალურ ფაქტად შეფასდა, დღეს ამ ფაქტს, როგორც პროტესტს, მკითხველთა 8,1% ყველაზე მეტად ამართლებს. საშუალო ქულაა 4,80.

მკითხველებმა შედარებით დაბალი შეფასებები მისცეს ზურაბ მურვანიძის, მიხეილ მაჭავარიანისა და გიორგი თარგამაძის საპროტესტო ქმედებებს. ყველაზე მეტი რაოდენობის მინიმალური (21,9%) და ყველაზე ცოტა მაქსიმალური (1,7%) ქულით საკუთარი პარტიის მიმართ გიორგი თარგამაძის პროტესტი შეფასდა.

## სამართლიანი პროტესტი




საპრიზოს ზუსტად არც ერთი ბარათი-რეიტინგი არ დაემთხვა. ყველაზე მიახლოებული ვარიანტი კი ჟურნალ **„რეიტინგის"** მკითხველს — 68 წლის თბილისელ ქალბატონს — **ელისო აფციაურს** ეკუთვნის. მან, საპრიზო ვარიანტისაგან განსხვავებით, „გიორგი თარგამაძეს" ერთის ნაცვლად — ორი ქულა (მეშვიდე ადგილი) მიაკუთვნა, ხოლო მიხეილ მაჭავარიანს — ორის ნაცვლად — ერთი (მერვე ადგილი). გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 100 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 5 მარტს, 17 საათზე.

**როგორ ხდება მიახლოებული ვარიანტის გამოვლენა: პირველ რიგში, მიახლოებულად ითვლება ის ვარიანტი, სადაც განსხვავება ბოლო ადგილებზე გასულ გრაფებშია (მაგ. თუ ადგილები აქვთ შეცვლილი 1 და 2 ქულას (VIII-VII ადგილებს), თუ ასეთი ბარათი არ აღმოჩნდება, მოგების შემდეგი პრეტენდენტია ბარათი, სადაც ადგილები აქვთ შეცვლილი 2-სა და 3 ქულას (VII-VI ადგილებს), შემდეგ — 3-სა და 4 ქულას (VI-V ადგილებს), 4-სა და 5-ს (V-IV ადგილებს) და ა. შ. 7-8-მდე (II-I ადგილებამდე). თუ არ არსებობს ასეთი ბარათები (სადაც განსხვავება გვერდიგვერდ მდებარე გრაფებს შორისაა), შემდეგ ხდება გადამოწმება ერთის გამოტოვებით. მაგალითად, 1 და 3 (VIII და VI ადგილები), 2 და 4 (VII და V ადგილები) და ასე შემდეგ. საგულისხმოა, რომ მიახლოებულის გამოვლენა იწყება ბოლო ადგილებიდან.**

## №9 (335) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

**„კვირის პალიტრა"** თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

# 100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„კვირის პალიტრის"** მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ მკითხველის რეიტინგში

**№9 (335) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათს, 5 მარტის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათს, 6 მარტის 13 საათამდე.**

© თბილისი

**ყურადღება! საპრიზო-გამოკითხვა რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც". თქვენ შეგიძლიათ ამოჭრათ ბარათები, შეავსოთ და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათები ისევე მიიღებენ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან" ამოჭრილი ბარათები.**

თემა №9 (335) — ქართველი მამაკაცები

**თქვენი აზრით, პირველ რიგში რას ითხოვენ ქართველი მამაკაცები ცოლებისაგან** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

**№9(335) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | | ქულა |
|---|---|---|
| 1 | გემრიელი სადილი | |
| 2 | მოწესრიგებული ტანსაცმელი | |
| 3 | გაგება/ანგარიშის გაწევა | |
| 4 | ალერსი/სიყვარული | |
| 5 | არაპრეტენზიულობა | |
| 6 | ერთგულება | |
| 7 | მომჭირნეობა/ეკონომიურობა | |
| 8 | დალაგებული სახლი | |

**მკითხველის რეიტინგი**

**ქართველი პოლიტიკოსებიდან რომელი იმსახურებს თქვენს რისხვას ყველაზე მეტად, ანუ ვისი ცემა გსურთ?**

✓ ____________________

**მკითხველის პრემია**

**დაასახელეთ ნომრის საუკეთესო სტატიის სათაური**

✓ ____________________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

**თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, „მკითხველის რეიტინგსა" და „მკითხველის პრემიაში" მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.**

## დამატებითი კითხვის შედეგები

**როგორ აფასებთ ერაყის წინააღმდეგ აშშ-ისათვის საქართველოს მთავრობის მიერ ტერიტორიის შეთავაზებას?**




| | |
|---|---|
| დადებითად | 17,5% |
| უარყოფითად | 63,1% |
| მიჭირს პასუხის გაცემა | 18,8% |

***დამატებით კითხვას 601-მა რესპონდენტმა უპასუხა.***

## მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

1. **ვაჟა გაჯაშელი** — „ორჯერ გაყიდული ქართველი ბიჭის დაბრუნება" — 154 ხმა
2. **ზვიად ჩაკვეტაძე** — „ერთი „პატარა" კამათი" — 56
3. **ეთერ თარიმანი** — „ალავერდის ზვარაკი" — 47
4. **ეკა მახარაშვილი** — „ამბავი ძიძიგურების სტუმართმოყვარე ოჯახზე, მარი და ჩუტა ერისთავებისადმი მიძღვნილ ბალმონტის ლექსზე და ბულატ ოკუჯავას დაგვიანებულ სიმღერაზე" — 41



5-6. **მარინა ბაბუნაშვილი** — „ამ ოჯახში ყველაფერს სიყვარულის ფერი აქვს..." — 22

5-6. **ირაკლი ალადაშვილი** — „სამხედრო თემაზე" — 22

თქვენი პრემია **ვაჟა გაჯაშელმა** დაიმსახურა.

*„მკითხველის პრემიის" მფლობელი 456-მა რესპონდენტმა გამოავლინა.*

## · ფოტოპალიტრა · ფოტოანტიკვარი ©

*გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.*

რას ლაარქმევდით?

____________________

____________________

____________________

____________________

თქვენი სახელი, გვარი ____________________

ქალაქი (რაიონი) ____________________



ელდარ შენგელაია, ზურაბ ჟვანია

**„ფოტოანტიკვარის" მონაწილეთა უმრავლესობას — 78%-ს სხვებში ნამდვილად არ შეშლიათ ეს პატარა გოგონა — ყველასათვის საყვარელი მანანა — ნანული სარაჯიშვილი.**

**სამაგიეროდ, დანარჩენმა 22%-მა, როგორც ჩანს, ბევრი იფიქრა და ბოლოს ზოგმა ელენე თევდორაძე დაასახელა, ზოგმაც — ვახტანგ რჩეულიშვილი და სოსო პავლიაშვილი...**





ზურა ნიკოლაიშვილის მეგობრული შარჟი



ნანული სარაჯიშვილი, ორი წლის

## ფოტო განწყობისთვის



დედიკოებო, გილოცავთ!

## წინა ნომრის სკანვორდის პასუხები



3/III

ახალი მთვარე

მაგნიტური დღეებია:
3/III 18-დან 20 საათამდე
7/III 15-დან 17 საათამდე



**თარაზულად:** 1. დიუმას მუშკეტერი; 4. ჯარების უფროსი, მხედართმთავარი; 6. მგოსანი, რომელიც საკრავზე ამღერებს თავის ლექსებს; 7. კურორტი სირიაში; 8. პარფიუმერიაში გამოყენებული კაშალოტის მიერ გამოყოფილი ცვილისებრი ნივთიერება; 9. წმინდა გამარჯვება ძიუდოში; 10. ლურჯი საღებავი; 13. ყვავის „ძმისშვილი“; 16. სამკაული; 18. ინდოეთის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქი და ნავსადგური; 19. პლანეტის უდიდესი ძუძუმწოვარი; 20. ახლანდელი დრო; 22. ქვეყანა მცირე აზიაში ძვ.წ.აღ.-ის I-ელ ათასწლეულში; 23. ოთარ რამიშვილის საყვარელი ინსტრუმენტი; 27. ლუდის სასმისი; 28. ხვიარა მცენარე; 29. ალოეს ძველი ქართული სახელწოდება საბას მიხედვით; 30. სისხლის აღრევა; 31. კუნძული ვესტ-ინდოეთში, ქართველ ემიგრანტთა პლაცდარმი ამერიკის „დასაპყრობად“.

**შვეულად:** 1. ოპტიკური ხელსაწყო წყალქვეშა ნავიდან სათვალთვალოდ; 2. სურნელოვანი მოწითალო, იისფერი ან თეთრი ყვავილების მსხმოიარე დეკორატიული ბუჩქი; 3. „ღია“ სენდვიჩი; 4. ბგერითი შემადგენლობით განსხვავებული, ხოლო მნიშვნელობით იდენტური სიტყვა; 5. სასწავლებლებთან არსებული საერთო საცხოვრებელი; 11. კანადელი მომღერალი, განსაკუთრებით პოპულარული კინოფილმ „ტიტანიკის“ შემდეგ. 12. „ბარსელონას“ ესპანელი ნახევარმცველი; 14. თოფის ლულაზე წამოცმული საძგერებელი იარაღი; 15. კაკლის გული, რომლისგანაც იღებენ ქოქოსის ზეთს; 16. ამერიკელი მსახიობი, ვუდი ალენის ყოფილი მეუღლე ... ფეროუ; 17. თბილისის „დინამოს“ მწვრთნელი ... შუშაკი; 21. მომავლის განჭვრეტის ერთ-ერთი „მეთოდი“. 22. უმაღლესი სასწავლებლის განყოფილება მომიჯნავე სამეცნიერო დისციპლინებით; 24. სამხრეთ ამერიკის სიდიდით მეორე ქვეყანა; 25. თვალის ექიმი, ოფთალმოლოგი; 26. მშვენიერი არგენტინელი ჩოგბურთელი ქალი (ვეტერანი).

შეადგინა რამაზ ალანიამ

## როცა ახალგაზრდები ვიყავით...



ეტყობა, ბერდება ჰოლივუდის ერთ-ერთი უსიმპათიურესი ვარსკვლავი დასტინ ჰოფმანი, რომელიც მოგონებებში გადავარდა. ერთ-ერთი ყველაზე ტკბილი მოგონება, რომელიც სიუზან სარანდონს უკავშირდება, მან ფართო საზოგადოებასაც კი გაანდო: „სიუზანი მოვიდა ფილმის „კრამერი კრამერის წინააღმდეგ“ სინჯებზე. ქუჩაში წვიმდა და ისიც გალუმპული იყო, შხაპის მიღება შევთავაზე, მან კი გამომიცხადა, მხოლოდ შენთან ერთადო. დავფიქრდი... და ერთად შევედით აბაზანაში, გადამღები ჯგუფი კი კართან შეგროვდა“. დასტინის თქმით, ის და სიუზანი შხაპის ქვეშ მხოლოდ თბილად საუბრობდნენ და სხვა არაფრის უფლება არ მისცეს თავს. მაგრამ, 25 წლის წინანდელი შემთხვევის გახსენებისას, დასტინს ნეტარება ეფინება სახეზე...




ფირმა „ბერმუხა“



ბრტყელი და თუნუქის სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.

წერეთლის გამზ. №55, ბინა №53

☎96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50


* * *



ჟურნალისტი ეკითხება მოკრივეს:

— გჯერათ თილისმის ძალის?

— როგორ გითხრათ, აბა, ალბათ მჯერა. რომ არ მჯეროდეს, ხელთათმანებში ნალებს არ ჩავიდებდი...






ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

## 9 უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი

სიტყვა და საქმე

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№9 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 5 მარტის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში — მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.

„კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.


გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები ნუცა ღუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი

სარედაქციო კოლეგია

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ: რედაქცია: 33-39-54

რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44

palitra@access.sanet.ge

www.opentext.ge/kvirispalitra

სარეგისტრაციო ნომერი 518

„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.


შავი ყვითელი ლურჯი წითელი